

# მეცნე

---

---

ენისა და  
ლიტერატურის  
სერია

1.1971

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
საზოგადოებრივ მეცნიერებათა  
განყოფილება

---

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР  
Отделение общественных  
наук

თბილისი-1971-თბილისი



# МАЩНЕ

ВЕСТНИК

Серия  
языка и  
литературы

1.1971

# მაცნე



ენისა და  
ლიტერატურის  
სერია

1.1971

სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),  
ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი,  
შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე), გ. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),  
Гвахария А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (заместитель редактора),  
Ломтатидзе К. В., Метревели Е. П., Цайшвили С. С., Церетели Г. В.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი  
Ответственный секретарь Г. А. Глонти

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. № 19  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, № 19  
ტელეფონი 37-24-07 телефон

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.3.71; შეკვ. № 188; ანაწილების ზომა 7×111/2;  
ქალაქის ზომა 7×1081/16; ნაბეჭდი თაბახი 16,10; სააღრიცხვო-საგამომცემლო  
თაბახი 13,93; უე 01267; ტირაჟი 1500.  
ფასი 1 ზან.

\*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

\*

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

## ს ა რ ჩ ე ვ ი

### წერილები

რედაქციის აჯან . . . . .	7
ა. ბარამიძე, ლიტერატურათმცოდნეობა საბჭოთა საქართველოში	9
შ. იმიძეშვილი, ენათმეცნიერება საბჭოთა საქართველოში	21
ლ. ძნელაძე, მიხეილ ჭავჭავაძის „თეთრი საუფლო“	43
ბ. შარაძე, ვეფხისტყაოსნის წერეთლისეული ხელნაწერის ზოგიერთი საკითხი	47
მ. ნიქარაძე, ახალი ცნობები ამბროსი ნეკრესელის ბიოგრაფიიდან . . . . .	61
ნ. რაჭვაცა, იგავის, ხატისა და კერპის ცნებებისათვის იოანე პეტრიწის „განმარტებში“	67
ლ. ბერძენიშვილი, ფოლკლორული ჩანაწერები „აკაკის კრებულში“	75
ა. სილაბაძე, არაბული ლექსის სტრუქტურის საკითხები	89
ა. შანიძე, შამასხლისი XI საუკუნის საქართველოში	105
თ. ცქიტიშვილი, ზოგიერთი სიტყვის სემანტიკური განვითარებას ისტორიისათვის . . . . .	113
ფ. მაკალათია, უცნობი სტრუქტურისა და სემანტიკის მქონე ტოპონიმები	123
ი. ქავთარაძე, აღწერითი მყოფალი და ნამუსო ერთი სახეობა ძველ ქართულში . . . . .	129
ნ. კარბოჭიანი, თანწყობითი სახელური ჭგუფი შვედურ-ლაზურში . . . . .	143
ა. ლმინაძე, გლოტოქრონოლოგიის მეთოდი და ლექსიკო-სტატისტიკის ამოცანები . . . . .	155

### უპბლიკაცია

ბ. ღვალნი, ლომონოსოვის X საუკუნის ერთი უცნობი ფრაგმენტი	167
---	-----

### ცნობები და შენიშვნები

ბ. ბრანსტრემი, ბასილი დიდის სიტყვათა უცნობი ხელნაწერი . . . . .	173
---	-----

### ანოტაციები

ახალი წიგნები . . . . .	179
-------------------------	-----

## რ ე ლ ა ქ ც ი ი ს ა ზ ა ნ

1971 წლიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ბეჭდვითი ორგანო „მაცნე“ იყოფა სამ დამოუკიდებელ სერიად.

ჩვენი სერიაა „ენისა და ლიტერატურის სერია“. იგი წელიწადში ოთხჯერ გამოვა. თითოეული 12 თაბახის მოცულობით. ჩვენი ჟურნალის დამოუკიდებელი სახით გამოცემა საშუალებას მოგვცემს უკეთ გავაშუქოთ ლიტერატურათმცოდნეობისა და ენათმეცნიერების საკითხები, უფრო სრულად ავსახოთ ლიტერატურათმცოდნეობისა და ენათმეცნიერების მიღწევები საბჭოთა საქართველოში.

„მაცნეს“ ენისა და ლიტერატურის სერიაში დაიბეჭდება უმთავრესად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებების – ქართული ლიტერატურის ისტორიის, ენათმეცნიერების, აღმოსავლეთმცოდნეობისა და ხელნაწერთა ინსტიტუტების თანამშრომელთა ნაშრომები. შესაძლებლობისდაგვარად ჩვენი ჟურნალის ფურცლები დაეთმობა აგრეთვე რესპუბლიკის სხვა სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებების თანამშრომლებსაც.

ჩვენს სერიაში გამოქვეყნდება მეცნიერული გამოკვლევები და ნარკვევები, კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული ხასიათის წერილები, მეცნიერული თარგმანები, საარქივო მასალები...

დასაბეჭდად უპირატესობა მიეცემა აქტუალურ თემებზე დაწერილსა და თანამედროვე მეცნიერულ დონეზე შესრულებულ ისეთ ნაშრომებს, რომლებიც ასახავს ქართული ფილოლოგიური მეცნიერების მიღწევებს. ხელს უწყობს მეცნიერული პრობლემების კოორდინაციას სამეცნიერო დაწესებულებებს შორის. ემსახურება სადისკუსიო საკითხების დამუშავებასა და გადაჭრას. გაძლიერდება ჟურნალის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილება.

„მაცნეში“ წერილები იბეჭდება ერთ ენაზე. ქართულ წერილებს, ავტორის სურვილის მიხედვით, დაერთვის რეზიუმე რუსულ და ერთ-ერთ უცხო ენაზე. წერილების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ ნაბეჭდ თაბახს.

„მაცნეს“ სერიებად გამოსვლა ემთხვევა ჩვენს დიდ ეროვნულ ღღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კომუნისტური პარტიის შექმნის 50-ე წლისთავსა და სკკპ 24-ე ყრილობას.

ჩვენში შექმნილია მეცნიერების განვითარებისა და აყვავების ყველა პირობა. სარედაქციო კოლეგია იმედოვნებს, რომ „მაცნეს“ ენისა და ლიტერატურის სერია ღირსეულად ასახავს იმ მაღალ დონეს, რომელზედაც დგას ქართული ფილოლოგია დღეს.

---



ალექსანდრე ბარამიძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ლიტერატურათმცოდნეობა საბჭოთა საქართველოში

ქართული მწერლობის შესწავლას დიდი ტრადიცია მოდგამს. საქმარისი იქნება თუ დავასახელებთ მ. ბროსეს (1802—1880), დ. ჩუბინაშვილს (1814—1891), ალ. ცაგარელს (1844—1929), ალ. ხახანაშვილს (1866—1912), ნ. მარს (1864—1934), პლ. იოსელიანს (1809—1875), მ. ჭანაშვილს (1855—1934), კ. აბაშიძეს (1870—1917), ექვ. თაყაიშვილს (1863—1953), დ. კარიჭაშვილს (1860—1927), ს. გორგიძეს (1876—1929).

რევოლუციამდელ პერიოდში მოიხვეჭეს სახელი ქართული საბჭოთა მეცნიერების ისეთმა გამოჩენილმა წარმომადგენლებმა, როგორც იყენენ ივანე ჯავახიშვილი (1876—1940) და კორნელი კეკელიძე (1879—1962). მაინც გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ლიტერატურათმცოდნეობის, ისე როგორც საზოგადოდ ქართული მეცნიერების აღორძინება, წინსვლა და წარმატება ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ შეაპირობა. ახალი ქართული მეცნიერება თბილისის უნივერსიტეტის წიაღში ჩაისახა და იქიდან იწყო განვითარება. თუ ძველად, რევოლუციამდელ საქართველოში, ქართული მწერლობის საკითხებს იკვლევ-იძიებდნენ ცალკეული ერთუზიასტები, საბჭოთა სინამდვილეში ეს საქმე მინდობილი აქვს დიდ კოლექტივებს, მრავალრიცხოვანი უმაღლესი სასწავლებლების კათედრებს და სპეციალურ საკვლევ-სამეცნიერო დაწესებულებებს — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებს (რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტს).

რასაკვირველია, ჩვენ მხოლოდ ზოგადი შტრიხებით თუ შევძლებთ ვილაპარაკოთ ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ვითარებაზე განვილილი ორმოცდაათი წლის განმავლობაში.

საბჭოთა წყობილების დამყარებამ ჩვენში წიგნი ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადა. საქართველოს მთელი მოსახლეობა ახლა წიგნიერია, წერა-კითხვის მტოდნა. დიდია მოთხოვნილება წიგნზე და ეურნალ-გაზეთებზე. საგულისხმოა, რომ 1970 წლის პირველი იანვრისათვის გაზეთ „კომუნისტის“ ტირაჟმა ნახევარ მილიონს გადააჭარბა. უზომოდ გაიზარდა საზოგადოდ წიგნის, კერძოდ კი ქართული მწერლობის ძეგლების გამოცემა. ცნობილია, რომ ისტორიული უკუღმართობის მიზეზით ქართული წიგნის ბეჭდვის საქმემ დაიკვიანა: პირველი ქართული წიგნი მხოლოდ 1629 წელს დაიბეჭდა და ისიც შორეულ უცხოეთში (იტალიაში). თითქმის სრული სამასი წლის განმავლობაში (1629 წლიდან 1921 წლამდე) ბეჭდურად გამოქვეყნდა 6300-მდე დასახელების

ქართული წიგნი. 1921 წლიდან წლებიდან მრავალგზის გაიზარდა ეს კიფრი. რა თქმა უნდა, ნაბეჭდი პროდუქციის მართო რაოდენობრივი ზრდის მჩაქვნეველი ციფრი არ კმარა. მნიშვნელოვანი გარემოებაა ამ პროდუქციის ტექნიკურ-პოლიგრაფიული და მეცნიერულ-მინაარსობრივი ხარისხი.

ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა მეცნიერულ-ფილოლოგიური პუბლიკაციის ტრადიცია დანერგა ნ. მარმა. მარისეული ტრადიცია საბჭოთა პერიოდში გრძელდება, ფართოვდება და ღრმავდება. ა. შანიძის თაოსნობით თბილისის უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა სპეციალური სერია „ძველი ქართული ენის ძეგლები“. ამ სერიებში დაიბეჭდა არა ერთი და ორი უძვირფასესი ძეგლი ქართული მწერლობისა. მათ შორის ქართული სალიტერატურო ენის უმდიდრესი საუნჯის — ბიბლიის ტექსტები, წანმეტი ლექციონარი, სინური მრავალთავი და ბევრი სხვა. ძველი ქართული მწერლობის ძეგლებს სისტემატურად აქვეყნებდა კ. კეკელიძე. ამჟამად ამ საქმეს ფართო მასშტაბით ეწევა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. საგანგებოდ აღსანიშნავია ხელნაწერთა ინსტიტუტის გამოცემა „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“ (ილ. აბულაძის რედაქციით).

ძველი ქართული საერო მწერლობის ძეგლებიდან რამდენიმეჯერ დაიბეჭდა ამრანდარეჯანიანი, ვისრანიანი, აბდულმესიანი, თამარიანი, დავით გურამიშვილიანი და ბესარიონ გაბაშვილის ლექსები; გამოქვეყნდა როსტომიანის დიდი ტომი, თეიმურაზ პირველისა და თეიმურაზ მეორის თხზულებანი, რულდანიანი. კალმასობა (ორ წიგნად), ქილილა და დამანა; პირველად გამოიცა არჩილის, სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგის მხატვრულ თხზულებათა კრებულები.

ახალი ქართული მწერლობის ძეგლები ძველად კანტაკუნტად თუ იბეჭდებოდა და ისიც უხეიროდ. აკაკი წერეთელი ერთ დროს გულისტკივილით ჩიოდა: „ქართული მწერლობა საზოგადოდ ვერა სდგას კარგ ნიადაგზე, მაგრამ ყველაზე მეტი უბედურება-კი ჩემ ნაწერებს ეწია: ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ორი პატარა ტომის მეტი არ გამოსულა, მაშინ როდესაც რამდენიმე ათეული მაინც უნდა გამოსულიყო“. ამაზე აღრეც დიდ პოეტს უთქვამს: „ოდნაშვიდი წელიწადია, რაც ეწერ და ჯერ კიდევ ჩემს ნაწერებს ცალკე წიგნად გამოსვლა არ ღირსებიაო“<sup>1</sup>. საბჭოთა პერიოდში დიდი ტირაჟით იბეჭდებოდა აკაკის როგორც ცალკეული ნაწარმოებები, ისე თხზულებათა კრებულები. გამოქვეყნდა აკაკის თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად გიორგი ამბროსიძის რედაქციით (მოამზადა ლიტერატურის ინსტიტუტმა). ილია ჭავჭავაძის თხზულებათა საუკეთესო გამოცემად დიდხანს ითვლებოდა მიხეილ გედევანიშვილის გამოცემა (თბილისი, 1914), რომელიც არც სრულია და არც უნაკლო. ახლა გვაქვს ილიას თხზულებათა რამდენიმე კარგი პუბლიკაცია, მათ შორის „ქართული წიგნისა“ ათ ტომად (პ. ინგოროყვას და აღ. აბაშელის რედაქციით), სამჯერ დაიბეჭდა ვაჟა-ფშაველას ნაწერების სრული კრებული. ჩვენ არ ვსახელებთ სხვა ავტორთა ნაწერების გამოცემებს. მეტ-ნაკლები სისრულით გამოქვეყნებულია ახალი დროის ყველა ქართველი მწერლის ნაწარმოებ-

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, აღ. მენაბდე, ქართული ლიტერატურის ისტორია (დიდი ოქტომბრის სპეციალური რევილუციის 40 წლისთავზე), თბილისის უნივერსიტეტის სიუბილუო კრებულები. 1967, გვ. 77.

ნი. ბევრია დაბეჭდილი კრიტიკოსთა და პუბლიცისტთა ნააზრევნი. ასე. მაგალითად. ქვეყნდება ნ. ნიკოლაძის თხზულებათა მრავალტომეული (დ. გამეზარდაშვილის რედაქციით), გამოვიდა ნაწერები ს. მესხისა ვ. ტომად (ი. ბოცუაძის რედაქციით). ბოსლეველისა (ს. ხუციშვილის რედაქციით), გ. მაიაშვილ-ზდანოვიჩის რჩეული ორ ტომად (მ. კანდელაკის რედაქციით), კ. აბაშიძის ცნობილი „ეტიუდები“, აგრეთვე მისივე წერილების კრებული ესთეტიკისა და კრიტიკის საკითხებზე ერთ დიდ ტომად (რედაქტორი დ. გამეზარდაშვილი) და სხვა. ახალი ქართული მწერლობის ძეგლთა მეცნიერულად გამოცემის მხრივ განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის სიმონ ხუნდაძეს. XIX საუკუნის კლასიკოსების ნაწერთა გამოცემის საქმეს ამჟამად ხელმძღვანელობს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ტექსტოლოგიური განყოფილება (განყოფილების ხელმძღვანელი პროფ. ს. ყუბანეიშვილი).

დიდი პატივითა და სიყვარულით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაში თანამედროვე მწერლობა. უსაზღვროა ამ მწერლობის სარბიელი. საბჭოთა მწერლობას ემსახურება როგორც პერიოდული პრესა, ისე სპეციალური საგამომცემლო ორგანოები. ცალკე ნაწარმოებთა გამოცემებზე რომ არაფერი ვთქვათ, გამოქვეყნდა ჩვენი ყველა გამოჩენილი საბჭოთა მწერლის მრავალტომეული თუ თხზულებათა კრებულები. ათ ტომად დაიბეჭდა ვასილ ბარნოვის ნაწერები, მთლიანად გამოვიდა დავით კლდიაშვილისა და ნიკო ლორთქიფანიძის თხზულებანი. სრული კრებულების სახით დაიბეჭდა მიხეილ ჭავჭავაძის, ლეო ქიაჩელის, შალვა დადიანის, კონსტანტინე გამსახურდიას, გერონტი ქიქოძის, სერგო კლდიაშვილის, დემნა შენგელიას, აკაკი ბელიაშვილის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, პოლიკარპე კაკაბაძის, სანდრო შანშიაშვილის, ვალაკტიონ ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ალაქსანდრე აბაშელის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ალიო მამაშვილის და სხვათა ნაწარმოებები. მალე დათავრდება საბჭოთა ეპოქის დიდი ქართველი პოეტის — ვალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა გამოცემა 12 ტომად.

ჩვენ ცალკე მოვიტოვეთ ვეფხისტყაოსანი. რუსთაველის უკვდავი პოემა საბჭოთა პერიოდში ოცდაექვსჯერ გამოიცა დიდი ტირაჟებით (თუმცა მკითხველთა მოთხოვნილება მთლად მაინც არ არის დაკმაყოფილებული). მარტო 1966 წელს (რუსთაველის საიუბილეო წელს) ოთხი გამოცემა განხორციელდა. ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემების ტექსტი საგრძნობლად დახვეწილია და ვამართვია. მაგრამ სამუშაო ჯერ ბევრი რჩება ვეფხისტყაოსნის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დაზღვევ კომისიას, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არის შექმნილი (კომისიის თავმჯდომარეა პოეტი-აკადემიკოსი ირ. აბაშიძე. მთავარი რედაქტორი — აკადემიკოსი გიორგი წერეთელი).

ქართული მწერლობის ძეგლთა ერთიანი და მასობრივი გამოცემის გვირგვინად მიგვაჩნია „ჩვენი საუნჯის“ ოცტომეული. რომელიც სპეციალისტთა დახმარებით მოამზადა და გამოაქვეყნა გამომცემლობა „ნაკადულმა“.

ჩვენი მიმოხილვა ცალმხრივი იქნებოდა, რომ არაფერი გვეთქვა ფოლკლორული მასალების პუბლიკაციაზე. უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ფართოდ წარმოებს ქართული ხალხური სიტყვიერების ძეგლთა შემკრებლობა და პუბლიკაცია. ფოლკლორული ტექსტების მეცნიერული გამოცემის ნიმუშიც მოგვცა დაუცხრომელმა აკაკი შანიძემ (ქართული ხალხური პოეზია,

ხევისურული). დაიბეჭდა ხალხური ლექსებისა და პოემების, ხისტორიო თუ მი-  
თოლოგიური თქმულებების, ლეგენდების, გადმოცემების, ზღაპრების. ანდა-  
ზების ხეთომეული, ხალხური სიბრძნის ექვსთომეული („ნაკადულის“ პუბ-  
ლიკაცია) და პეტრე უმიკაშვილის მიერ სუკრებოლი ხალხური სიტყვიერების  
წვგლთა ოთხთომეული. რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის ფოლკლორის  
განყოფილების კოლექტივმა მოამზადა გამოსაცემად და უახლოეს წლებში გა-  
მოქვეყნდება ქართული ხალხური პოეზიის სრული კორპუსი 8 ტომად.

ქართულმა მწერლობამ გადალახა მშობლიური ქვეყნის ფარგლები, გავი-  
და საკავშირო და მსოფლიო სარბიელზე. ეს შესაძლებელი გახადა მთარგმნე-  
ლობითი საქმიანობის დიდი მასშტაბებით გაშლამ. გამოჩენილმა რუსმა პოე-  
ტებმა (ბორის პასტერნაკმა, ნიკოლოზ ტიხონოვმა, ნიკოლოზ ზაბოლოცკიმ,  
ავლე ანტოკოლსკიმ, ვლ. დერეჟინმა, კონსტანტინე სიმონოვმა, ლეონიდ მარ-  
ტინოვმა, ალექსანდრე ბეჟიროვმა, მიხეილ ლუკონინმა, ეეგენი ევტუშენკომ,  
ბელა ახმადულინამ და სხვ.) გადაიღეს რუსულ ენაზე ქართული კლასიკური და  
საბჭოური პოეზიის საუკეთესო ნიმუშები. რუსულად გამოვიდა შესანიშნავი  
კრებულები «Грузинские романтики», «Антология грузинской поэзии»,  
«Грузинская проза» ((სამ ტომად), «Памятники древнегрузинской агно-  
графической литературы» (კ. ეველიძას თარგმანი) და ახვ. ქართული პოეზიის  
ანთოლოგიის ორთომეული დაიბეჭდა უკრაინულად; სომხურად გამოქვეყნდა  
„ქართული ლიტერატურის ჩრეული ფურკლების“ დიდი ტომი. თავის მხრივ  
ქართულ ენაზე იბეჭდება რუსული, უკრაინული, სომხური, აზერბაიჯანული და  
საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხის სიტყვიერი შემოქმედების საუკეთესო  
ნაყოფი. მჭიდრო, ცოცხალი, ძმური კავშირი ხელს უმართავს ურთიერთ მიღ-  
წვეათა გაზიარებას, ურთიერთზე კეთილ ზემოქმედებას, ურთიერთის გამდიდ-  
რებას, ერთიანი, მაგრამ მრავალეროვანი საბჭოთა მწერლობის საერთო წინ-  
სვლას და საერთაშორისო ასპარეზზე დაწინაურებას.

თუ რევოლუციამდელ პერიოდში რუსულად მოიპოვებოდა ვეფხისტყაოს-  
ნის მხოლოდ ერთი სრული პოეტური თარგმანი (კ. ბალმონტისა), ახლა რუ-  
სულად გვაქვს ხუთი ახალი სრული და ათზე მეტი ნაწილობრივი თარგმანი.  
ვეფხისტყაოსანი გადათარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა თითქმის ყველა  
ენაზე, აგრეთვე ინგლისურზე, ფრანგულზე, გერმანულზე, ესპანურზე, იტა-  
ლიურზე, იაპონურზე, ჩინურზე, ებრაულზე, პოლონურზე, უნგრულზე, ჩე-  
ხურზე, რუმინულზე...

საბჭოთა პერიოდში ძალზე გაიზარდა ქართული მწერლობის, ნამეტნავად  
პოეზიის ავტორიტეტი როგორც საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებში, ისე  
საზღვარგარეთ. ქართული მწერლობის საერთაშორისო აღიარების დემონსტრაც-  
იას წარმოადგენდა რუსთველის დაბადების რეაასი წლის იუბილე, რომელიც  
არაჩვეულებრივი ბრწყინვალეობით აღინიშნა 1966 წლის შემოდგომაზე.

ბევრი ითარგმნება ქართულ ენაზე უცხოურიდან. საკვიროდ მიმართა  
„ღენიშნო, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ (ნაწილობრივ კონსტანტინე ჰიკი-  
ნაძის თანამშრომლობით) საუცხოოდ გადმოთარგმნა დანტეს ღვთაებრივი კო-  
მედია, ბოლო დროს გამოვიდა დანტეს „ახალი ცხოვრების“ ქართული თარგმა-  
ნიც (მთარგმნელები ბაჩანა ბრეგვაძე და თამაზ ჩხენკელი). გამოქვეყნდა თუ  
ქვეყნდება მსოფლიო პოეტური კულტურის ისეთი შედეგები, როგორიცაა  
ნიბელუნგები (კ. ჰიკინამე, გრ. ზავთასი), სიმღერა როლანდზე, ისლანდიური  
„დიდი ელა“ (გ. კალანდაძე), ფინური კალევალა (მ. მაკავარიანი, დ. ჰნელაძე.

შ. ხანტლადე) და ბევრი სხვა. დაიწყო გამოცემა „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ ოთხმოცთმეულისა.

კვლავ განახლდა XIX საუკუნეში შეწყვეტილი მთარგმნელობა სპარსულ-ლიდან (მ. თოდუა, ალ. ვახაბრია, ვახუშტი კოტეტიშვილი). ახლა ქართულად მთარგმნება ინდური, არაბული, თურქული მწერლობის საუკეთესო ნიმუშები. კერძოდ, უკვე იბეჭდება „ათასერთი ღამის“ ქართული თარგმანის ტექსტი გ. წერეთლის რედაქციით (მთარგმნელი ნანა ჟურცელაძე). მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია შესანიშნავი კრებულის „არმადანის“ პუბლიკაცია (კრებულის შემდგენელი და რედაქტორი მ. თოდუა).

ერთი სიტყვით, საბჭოთა პერიოდში ქართული მწერლობა ორგანულად ჩაერთო საერთაშორისო ლიტერატურული ცხოვრების მიმოქცევაში.

დაწინაურდა ქართული მწერლობის მეცნიერული შესწავლა. განვლილი წლების მანძილზე საკვლევადიებო საქმიანობაში თანდათანობით ებმებოდნენ მკვლევართა ახალ-ახალი თაობები, რომელთა მეცნიერული და მსოფლმხედველობრივი ფორმირება ხდებოდა საბჭოთა წყობილების პირობებში. მკვლევართა როგორც ახალი, ისე ძველი თაობა მტკიცედ დადგა მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის ნიადაგზე და ამ პოზიციებიდან ცდილობს ქართული მწერლობის საკითხების გაშუქებას. მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიით შეიარაღება და ამ მეთოდოლოგიის საერთო ფუძემდებლური პრინციპებით ხელმძღვანელობდა უნდა ჩაითვალოს ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად. რა თქმა უნდა, მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიაზე გადასვლა უმტკივნეულო არ ყოფილა მკვლევართა ძველი თაობისათვის. მოწინავე მეცნიერულ-კრიტიკულ აზრს დიდი ბრძოლა დასჭირდა ანტი-მარქსისტული, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გადმონაშთების აღმოსაფხვრელად. რიგ შრომებში თავი იჩინა ვულგარულმა სოციოლოგიზმმა, ნიჰილიზმმა, კოსმოპოლიტიზმმა...

მაგრამ ქართული ლიტერატურათმცოდნეობის საერთო გეზი იყო სწორი და ამან უზარუნველყო ლიტერატურული ცხოვრების ძირითადად ჯანსაღი განვითარება. საკუთრივ ლიტერატურის მეთოდოლოგიის დარგში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გამოსაკვლევია, დასაზუსტებელი და დასახვეწი. მაგრამ ქართული საბჭოთა კრიტიკა და საერთოდ ლიტერატურული მეცნიერება ძირითადად თავისი მოწოდების სიმალლეზე იდგა და დგას როგორც თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების გაშუქების, ისე ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის მხრით.

საფუძვლიანად გამოკვლეულია და კრიტიკულად შესწავლილი ძველი და ახალი მწერლობის ბევრი საკიბობოროტო საკითხი, გამოქვეყნებულია დიდძალი ნაშრომი (მონოგრაფიული გამოკვლევები და ნარკვევები, წერილები, სტატიები, ესეები და მისთანანი). რასაკვირველია, ზოგი მათგანი ეპიკრიული ხასიათისაა, მაგრამ ბევრია სერიოზული ნაფიქრ-ნააზრების შედეგად განზოგადებული ნარკვევიც. სრულიად შეუძლებლად მიმაჩნია ორმოცდაათი წლის მანძილზე გამოქვეყნებული თუგინდ უმთავრესი ნაშრომების დასახელება.

ლიტერატურათმცოდნეობის საკითხების გაღრმავებულ შესწავლას ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ლიტერატურული ძეგლების სანდო გამოცემები და სამუზეუმო-საარქივო მასალების პუბლიკაცია.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დაწყარების შემდეგ ინტენსიურად და ფართო მასშტაბით წარმოებდა ხელნაწერი მემკვიდრეობის შეგროვება,

კონცენტრირება და დაცვა. საქართველოს დაუბრუნდა რუსეთის სიძველეთ-საცავების ქართული ხელნაწერი ფონდების მნიშვნელოვანი ნაწილი. უნაკლოდ დაგვიბრუნდა მენშევიკური მთავრობის მიერ საზღვარგარეთ გატანილი ხელნაწერი მასალები. ქართული სულიერი კულტურის უმდიდრესი განძა ახლა საიმედოდ არის დაცული ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მშვენიერი შენობის სეიფებში. ახალი მასალების გამოვლინება გააადვილა საარქივო-სამუზეუმო ხელნაწერი ფონდების აღწერილობათა და სხვადასხვა საბიბლიოგრაფიო ცნობარებისა თუ საძიებლების გამოქვეყნებამ. დიდი კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა გამოსცა თავისი უმდიდრესი კოლექციების სისტემური აღწერილობანი, დაიბეჭდა აგრეთვე აღწერილობანი ლენინგრადის ყოფილი სააზრო მუზეუმის. საქართველოს ცენტრალური არქივის, ლიტერატურული მუზეუმის, საჯარო ბიბლიოთეკის და ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ქართული ხელნაწერების ფონდებისა. მიკროფილმებისა და ფოტოპირების საშუალებით ზელმისაწვდომი გახდა საზღვარგარეთული სიძველეთსაცავების ქართული ხელნაწერი კოლექციები. დაიბეჭდა იერუსალიმისა და სინას მთის ქართულ ხელნაწერთა ფონდების აღრიხდელი და ახალი აღწერილობანი (ნ. მარისა, ი. ჭავჭავიძისა, რ. ბლაიკისა, ე. გარითისა). სასარგებლო საქმიანი კონტაქტი დამყარდა საზღვარგარეთელ ქართველოლოგებთან.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ საბჭოთა პერიოდში დიდი წარმატებები მოიპოვა რუსთველოლოგიამ. დამუშავდა და გამოქვეყნდა არა ერთი და ორი ათეული მნიშვნელოვანი ნაშრომი რუსთველოლოგიის სხვადასხვა პრობლემაზე. მათ შორის ბევრია სპეციალური მონოგრაფიული გამოკვლევა თუ განმარტებადებული ხასიათის ვრცელი ნარკვევი. რუსთველოლოგიური ნაშრომების ავტორებად გვევლინებიან როგორც უფროსი, ისე საშუალო და ახალი თაობის მკვლევარები. ლიტერატურის ინსტიტუტმა 1957 წელს გამოსცა გ. იმედაშვილის მიერ შედგენილი რუსთველოლოგიური ლიტერატურის კვებერთელა ანოტირებული ბიბლიოგრაფია 84 თაბახის მოცულობისა. მზადდება ამ ბიბლიოგრაფიის შევსებულ-შესწორებული და 1970 წლამდე მოყვანილი ახალი გამოცემა. სხვადასხვა ხასიათისა და მნიშვნელობის რიგი ნაშრომების ავტორები არიან რუსთველოლოგიის დარგში ივ. ჭავჭავიძე, იუსტ. აბულაძე, ს. კაკაბაძე, ქ. კეკელიძე, ა. შანიძე, ვ. ბერიძე, პ. ინგროსოვა, ქ. ჭიჭინაძე, შ. ნუცუბიძე, მ. გოგიბერიძე, გ. წერეთელი, ს. იორდანიშვილი, გ. იმედაშვილი, გ. ჭიბლაძე, დ. ბენაშვილი, ვ. ნორაკიძე, ა. ზურაბაშვილი, ე. მერტიველი, შ. ხიდაშელი, მ. ჩიქოვანი, ი. მეგრელიძე, შ. ძიძიგური, ი. გიგინეიშვილი, ი. იმნაშვილი, ი. ლოლაშვილი, შ. ლლონტი, ს. ცაიშვილი, მ. გუგუშვილი, ნ. ნათაძე, პრ. რატციანი, ს. სერებრიაკოვი, დ. ქუმისიშვილი, ე. ხინთიბიძე, მ. გოგიხეიშვილი, გ. შარაძე და სხვანი. რუსთველოლოგიის ისტორიაში დაუვიწყარია 1960 წლის სამეცნიერო ექსპედიცია იერუსალიმში ირ. აბაშიძის, ა. შანიძისა და გ. წერეთლის შემადგენლობით. ნამდვილი სახალხო ეროვნული ზემოთ აღინიშნა საქართველოში ეფხისტყაოსნის დაწერის 750-ე და რუსთველის დაბადების 800-ე წლისთავები. ამ თარიღებმა დიდად შეუწყო ხელი რუსთველის გასვლას მსოფლიო დიდების სარბიელზე. რუსთველოლოგიური მუშაობის ვასალრმავებლად და ვასალართობლად ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა რუსთველოლოგიის განყოფილება (ხელმძღვანელი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ს. ცაიშვილი), ხოლო თბილისის უნივერსიტეტში დაარსებულია რუსთვე-

ლის კაბინეტი (ხელმძღვანელი პროფ. ლ. მენაბდე). რუსთველოლოგიურა კვლევა-ძიება მიმდინარეობს საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ბრავალ ცენტრში. მკვლევარმა ვ. ნოზაძემ გამოაქვეყნა ბუენოს-აირესისა, სანტ-იაგო დე ჩილესა და პარიზში რუსთველოლოგიური ნაშრომების ხუთი ტომი. საინტერესოა პროფესორების ზ. ავალიშვილისა და მ. წერეთლის უცხოეთში დაბეჭდილი ნაშრომებიც. საყურადღებო რუსთველოლოგიური ნარკვევები ეკუთვნის ვ. ლანგს, რ. სტივენსონს, მ. ბაურას, საფრანგეთის აკადემიის წევრებს ედმონ ეალუსა და მარსელ ბრიონს. ლუი არაგონს, რენე ლაფონს, გ. დეეტერსს, პ. ჰუპერტს, გ. პეჩს, ჩილელ გუსტავო ბოტაროს, ისრაელ სწავლულ ხაიმ ვარდის, აარომირ იედლიჩკას, ვ. კერნახს. მარტონ იშტევანოვიჩს, იან ბრაუნს და ბუერსხვას. რუსი მეცნიერებიდან ფასეული რუსთველოლოგიური ნაშრომები დასტამბეს აკადემიკოსებმა ვ. შიშმარიოვმა, ალ. ბელეცკიმ, კ. ლუპოლმა, ა. ტოლსტოიმ, ნ. კონრადმა, ე. ჟირმუნსკიმ, პროფესორებმა პ. ბერკოვმა და რ. სამარინმა, მწერლებმა ნ. ტიხონოვმა, პ. ანტოკოლსკიმ, ნ. ზაბოლოცკიმ, ვ. გოლცევმა და სხვ. სერიოზული რუსთველოლოგიური ნარკვევების ავტორებია აკადემიკოსი იოსებ ორბელი და პოეტი-აკადემიკოსი მიკოლა ბაჟანი. შეუწელებული გატაცებით განაგრძობდა მუშაობას რუსთველოლოგიაში აკადემიკოსი ნიკო მარი.

საინტერესო საკვლევადიებო მუშაობა გაჩაღდა ლიტერატურის მეთოდოლოგიის, ლიტერატურის თეორიის, ესთეტიკისა და პოეტიკის საკითხებზე (გ. ჯიბლაძე, მ. დუდუჩავა, ა. კილაია, ნ. ქაქავაძე, ნ. ჭაში, ო. ევაძე, ალ. ჩაველიშვილი, ვ. კელიძე და სხვ.). გამოქვეყნდა ამ საკითხებისადმი მიძღვნილი რიგი წიგნი და კრებული. სოლიდური ნაშრომები დაიბეჭდა კერძოდ ლექსთმცოდნეობაზე (ს. გორგაძე, ა. გაწერელია, ა. ხინთიბიძე და სხვ.).

ქართული მასალების საფუძველზე საინტერესოდ დამუშავდა მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები (გ. გაჩეჩილაძე). გარმავდა კვლევა-ძიება ისეთ ტრადიციულ დარგებში, როგორიცაა ლიტერატურული ურთიერთობანი — ბერძნულ-ქართული და ქართულ-ბერძნული (კ. კეკელიძე, ნ. ყაუხჩიშვილი, შ. ნუსტუბიძე, პ. ბერაძე, ნ. კეკეაძე, ა. ურუშაძე, რ. მიმინოშვილა, ვ. ბაკაშვილი, ალ. გამყრელიძე, ე. ხინთიბიძე, ა. ალექსიძე, რ. გორდუნიანი და სხვ.), ქართულ-სომხური და სომხურ-ქართული (ლ. მელიქსეთ-ბეგი, ილ. აბულაძე, ბ. არველაძე, ე. ცაგარეიშვილი, ზ. ალექსიძე), სპარსულ-ქართული და ქართულ-სპარსული (იუსტ. აბულაძე, ი. მარი, ვლ. ფუფუჩიძე, დ. კობიძე, მ. თოდუა, კ. ფაღავა, ა. გვახარია, თ. კენელავა, მ. მაჰაქაშვილი, თ. გორელიშვილი და სხვ.). ძლიერ გაფართოვდა კვლევა-ძიება რუსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხებზე (ა. ჩხეიძე, ვ. შადური, ირ. ანდრონიკაშვილი, ვ. ნათაძე, ა. ნიკოლაძე, გ. ციციშვილი, ი. ბოგომოლოვი, თ. ბუაჩიძე, ნ. მახათაძე, შ. გვენეტაძე და სხვ.). საფუძველი ჩაეყარა ქართულ-უკრაინულ და უკრაინულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხების დამუშავებას (ლ. ასათიანი, ბ. ულენტი, ო. ბაქანიძე, დ. კოსარიკი, ი. ლუცენკო და სხვ.). საბჭოთა ქვეყნებთან და უცხოეთთან გაძლიერებულ ლიტერატურულ ურთიერთობათა შესწავლის მეცნიერულ ნიადაგზე დასაყენებლად რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში შეიქმნა სპეციალური განყოფილებანი (ხელმძღვანელები პროფ. გ. ციციშვილი და დოც. დ. ლაშქარაძე).

ძველთაგანვე დიდი ყურადღება ექცეოდა ჩვენში ქართული ხალხური სიტყვიერების მასალების შეკრებას, მაგრამ ქართული ფოლკლორისტიკა, როგორც მეცნიერება, საბჭოთა დროის პირმოა. მომზადდა, გაიწაფა და საქმეში ჩაება ფოლკლორისტთა ახალი კადრი, გამოქვეყნდა რიგი მნიშვნელოვანი ნაშრომი ვ. კოტეტიშვილისა, მ. ჩიქოვანისა, ქ. სიხარულიძისა, ელ. ვირსალაძისა, ალ. ლლონტისა, ი. მეგრელიძისა, თ. ოქროშიძისა, ე. არჩვანიძისა, ა. ცანავასი და სხვ.

უყურადღებოდ არ დარჩენილა ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურული კრიტიკის ისტორიის განვითარების საკითხები (შ. ნუცუბიძე, ს. ხუნდაძე, გ. ჭიბლაძე, გ. აბზიანიძე, დ. გამეზარდაშვილი, ჯ. ჭუმბურიძე, ს. ხუციშვილი და სხვ.).

ზოგი რამ გაკეთდა ქართული მწერლობის მსოფლიო ისტორიულ-კულტურული როლის გასარკვევადაც. შალვა ნუცუბიძემ წამოაყენა აღმოსავლური ჩუენსანსის საინტერესო თეორია, რომელმაც ცხოველი კამათი გამოიწვია ჩვენშიც და საზღვარგარეთაც. იმავე შ. ნუცუბიძემ და ბელგიელმა სწავლულმა ერნესტ ჰონიგმანმა საკმაოდ დამაჯერებლად დაასაბუთეს, რომ ე. წ. არეოპაგიტული წიგნების ავტორი უნდა ყოფილიყო V საუკუნის საზღვარგარეთელი ქართველი მოღვაწე პეტრე იბერიელი. კ. კეკელიძის რიგმა პუბლიკაციებმა გაამდიდრა მსოფლიო საქრისტიანო კულტურის ისტორიის საღარო. იური მარმა, ვლადიმერ ფუფურიძემ და დ. კობიძემ გამოიძიეს ქართულის წვლილი ირანულ და სპარსულენოვან სამყაროში.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ალექსანდრე ცაგარელი ამბობდა, რომ ქართული მწერლობის საკითხების დამუშავება მაშინ მხოლოდ პირველი დაგროვებისა და აღრიცხვის სტადიაში იმყოფებოდა, „რამდენადმე მეცნიერული იერის მქონე მიმოხილვა ქართული ლიტერატურის ისტორიისა ჯერ თითქმის შეუძლებელიაო“. მეცნიერი იმედს გამოთქვამდა, რომ დაადგებოდა დრო, როცა მისაზრებელი გახდებოდა „цельный, стройный и систематический обзор памятников грузинской письменности и литературы“.

1895—1907 წლების მანძილზე რუსულად გამოვიდა ალ. ხახანაშვილის „ნარკვევები ქართული სიტყვიერების ისტორიიდან“ ოთხ მოზრდილ ტომად. შემდეგ ავტორმა თავისი რუსული ნაშრომის საფუძველზე ქართულად დაამუშავა „ქართული სიტყვიერების ისტორია“ ორ წიგნად. ალ. ხახანაშვილის „ნარკვევებმა“ თავის დროზე დიდი როლი შეასრულა და დიდი სამსახურიც გაუწია მოსწავლე ახალგაზრდობას, მაგრამ მათ ბევრი რამ აკლდა სისრულისა და სისტემურობისაგან. ნარკვევებში მოიპოვება მძიმე ფაქტობრივი შეცდომებიც. სისრულის პრეტენზია არ ჰქონია კ. აბაშიძის დიდი ცოდნითა და გემოვნებით დაწერილ ორტომიან ნაშრომს „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“.

ალ. ხახანაშვილისა და კ. აბაშიძის ნარკვევებით ამოიწურებოდა რევოლუციამდელი განმაზოგადებელი ნაშრომები ახალი ქართული მწერლობის ისტორიაზე.

მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიის განმაზოგადებელ-შემამჯამებელი ნაშრომების შექმნისა და სასტემატიზირებული კურსებისა და სახელმძღვანელოების შედგენის რთული პრობლემაც საბჭოთა პერიოდში გადაიჭრა. ჯერ კიდევ 1923/1924 წლებში გამოქვეყნდა კ. კეკელიძის ძველი ქართული მწერლობის ისტორიის დიდი ორტომეული. ავტორის სიცოცხლეში



იგი შემდეგ სამეგრეო გამოცემა (უკანასკნელი გამოცემა დაიბეჭდა 1958—1960 წლებში). თითოეული ახალი გამოცემა წინანდელთან შედარებით გაზარდილია ფაქტობრივი მასალებით, დახვეწილია ენობრივ-სტილებრივად, უკეთ გამართულია ილუსტრაციების მიხედვით. შეიძლება ავტორს არ დაეთანხმონ კურსის აგების პრინციპებში, შეიძლება სადავოდ გახადონ ცალკეული საკითხების გაშუქება, მაგრამ სრულიად უცილობელია კ. კეკელიძის მონუმენტური კურსის ორიგინალობა, სისრულე და სხვა დიდი მეცნიერული ღირსებანი. კ. კეკელიძეს მოუხდა უზარმაზარი შრომის გაწევა, რომ წესრიგში მოეყვანა, შეემოწმებინა, გამოეკვლია, აეწონ-დაეწონა, განუზოგადებინა და დაესისტემებინა უამრავი ლიტერატურული მასალა და შეექმნა ისეთი ნაშრომი, რომელზედაც ოცნებობდა ალ. ცაგარელი («цельный, стройный и систематический обзор памятников грузинской письменности и литературы»).

კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ განსაკუთრებული ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა კარგად შეაფასეს საზღვარგარეთაც. ცნობილი ბელგიელი ქართველოლოგის პაულ პეტერსის სიტყვით, კ. კეკელიძის ვებებრთვლა ორტომეული მუშის ჩამოყალიბდა, როცა „ქართველი ხალხი შევიდა თავისი (ეროვნული) განვითარების ვადამწყვეტ ფაზაში“. პეტერსმა ხამამლა განაცხადა, რომ კ. კეკელიძის „ათას ორას გვერდიანი ქართული ლიტერატურის ისტორია არის დასაბუთება საქართველოს ინტელექტუალური ღირსებებისა და იმის უფლებებისა, რომ მან იცხოვროს თავისი საკუთარი ცხოვრებით“. „ღირსებანი ბრწყინვალეა და უფლება უცილობელიო“, — ასეცნობდა უცხოელი მკვლევარი.

კ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი ტომის საფუძველზე მიქელ თარხნიშვილმა და იულიუს ასფალგმა დაამუშავეს და გერმანულ ენაზე გამოაქვეყნეს რომში 1955 წელს „ქართული საეკლესიო ლიტერატურის ისტორია“ (მზადდება გამოსაცემად მეორე ტომიც. ამ ტომის მომზადება იკისრეს იარომირ იედლიჩკამ და იულ. ასფალგმა). თვითონ კ. კეკელიძემ კი თავისი დიდი შრომის მოკლე კონსპექტი გამოსცა რუსულ ენაზე («Кюнопективный курс истории древнегрузинской литературы», 1938).

1954 წელს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის ავტორობით გამოსცა ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი ტომი (ძველი ქართული მწერლობა). აქ უფრო შემკიდრობებულად და თანმიმდევრულად, ამასთან შედარებით ადვილად დასაძლვეი ენით წარმოდგენილია ძველი ქართული მწერლობის განვითარების რთული ისტორია მეხუთე საუკუნიდან მეცხრამეტემდის. თავის მხრივ ამ შრომის საფუძველზე შეიქმნა ძველი ქართული მწერლობის ისტორიის საუნივერსიტეტო კურსი, რომელიც 1969 წელს გამოქვეყნდა.

ძველი ქართული მწერლობის შესწავლის სარბიელზე კ. კეკელიძის მეთაურობით მოღვაწეობდნენ ილია აბულაძე, გ. ჯაკობია, ე. მეტრეველი, ს. ყუბანეიშვილი, გ. იმედაშვილი, ტ. რუხაძე, დ. კობიძე, ლ. მენაბდე, თ. ჭყონია, ი. ლოლაშვილი, ს. ცაიშვილი, დ. ბრეგაძე, რ. ბარამიძე, რ. მიმინოშვილი, ე. ბაკაშვილი, ნ. მახათაძე, ქ. სანიკიძე, გ. მიქაძე, შ. ონიანი, შ. ჩიჭავაძე, ლ. ძოწენიძე, ლ. ქუთათელაძე, მ. ქავთარია, თ. ბრეგაძე, ც. ქურციკიძე, პ. რაფაეა, ლ. ჭღამაია, ე. ხინთიბიძე, რ. სირაძე და ბევრი სხვა. თვითონ კ. კეკელიძის ცალკეული ნაშრომები თავმოყრილია მის ეტიუდებში — „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“. გამოქვეყნებულია ამ „ეტიუ-

დების“ ათი წიგნი (1936—1968). ამ სტრიქონების ავტორს ეკუთვნის „ნარკვევების“ ხუთი წიგნი (1940—1970), მონოგრაფიები შოთა რუსთაველზე (1958, 1966), სულხან-საბა ორბელიანზე (1959) და სხვ.

ძველი ქართული მწერლობის მეცნიერულა შესწავლის მხრივ, რასაკვირველია, დიდი ღვაწლი ძველი თაობის ისეთი მკვლევარებისა, როგორც იყვნენ ივანე ჭავჭავაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, იუსტინე აბულაძე, სერგი გორგაძე, პავლე ინგოროყვა, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი. XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნის, ე. წ. გარდამავალი ხანის, ქართული მწერლობის ისტორიის საკითხები განხილულია უმთავრესად ტ. რუხაძისა და გ. მიქაძის შრომებში.

XIX საუკუნის ლიტერატურის ისტორია მოამზადა სამ წიგნად და 1925—1927 წლებში ბეჭდურად გამოაქვეყნა ვ. კოტეტიშვილმა, სამ წიგნადვე გამოიცა ძ. ზახდუელის „ახალი ქართული ლიტერატურა“ (რამდენჯერმე დაიბეჭდა). მასვე ეკუთვნის «Очерки по истории грузинской литературы XIX века». XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის თავისებური, ორიგინალური კურსი შეადგინა გერონტი ქიქოძემ. სიძონ ხუნდაძის „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ (ორ წიგნად) და „ქართველი ინტელიგენციის პროფილი XIX საუკუნეში“ ფრიად საინტერესოა ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისითაც. თავის დროზე სახელმძღვანელოს როლს ასრულებდა თ. ბეჯიაშვილის სამტომეული „ქართული სიტყვიერების ისტორია“. დ. გამეზარდაშვილმა ორ წიგნად გამოაქვეყნა „ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, აგრეთვე «Стаповление критического реализма в грузинской литературе». აღსანიშნავია კ. კაპანელის „ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი“. გ. ჯიბლაძემ გამოსცა დიდი მონოგრაფია ილია ჭავჭავაძეზე, მანვე მიუძღვნა მონოგრაფიული ნარკვევი ნიკოლოზ ბარათაშვილს. იგი ავტორია სოლიდური წიგნისა «Романтики и реалисты в грузинской литературе XIX века» და მრავალრიცხოვანი წერილებისა ახალი და უახლესი პერიოდების ქართული მწერლობის საკითხებზე. ცალკე უნდა მოვიხსენიოთ გ. ჯიბლაძის „ესთეტიკური თეორიის საკითხები“ და „რუსთაველის ესთეტიკური სამყარო“. საყურადღებოა მონოგრაფიები პ. კეკელიძისა („აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები“), ა. ჭილაძის („გეორგი წერეთელი“), აღ. კალანდაძის („ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან“), კ. მეძველისი („თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციური მოღვაწეები“), ე. შალვაძის („კრიგოლ ორბელიანი“), ა. გაჩეჩილაძის ნარკვევები აკაკი წერეთელზე და სხვა. სპეციალური მონოგრაფიები მიუძღვნა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას (ს. დანელია, გრ. კიკნაძე, ა. გაწერელია, დ. რამიშვილი, დ. ბენაშვილი, ბ. დობოჯაძე). კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს გურამ ასათიანის მონოგრაფიული ნარკვევი „მერანი და მისი ავტორი“. ორჯერ გამოიცა პ. ინგოროყვას წიგნი ნ. ბარათაშვილზე. მკითხველი გვერდს ვერ აუვლის შ. რადიანის „XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურას“, ჟ. კუმბურძის „ქართული კრიტიკის ისტორიას“, ს. ხუციშვილისა და ა. მახარაძის ნარკვევებს XIX საუკუნის ქართული კრიტიკული აზროვნებისა და მწერლობის ისტორიის საკითხებზე და ბევრ სხვა ნაშრომს, რომელთა დასახელება დიდ ადგილს მოითხოვდა და, სამწუხაროდ, არ ხერხდება.

ბოლო დროს თბილისის უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის კათედრა შეუდგა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის საუნი-

ვერსიტეტო კურსის მომზადებას. ჭერჭერობით დასტამბულია ამ კურსის პირველი ტომი.

საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება საყურადღებო ნაშრომები (მონოგრაფიები, ნარკვევები, წერილები) ქართული საბჭოთა მწერლობის საკითხებზე. აქ იმოდენა ზღვაა მასალისა, რომ ძალზე გაჭირდება რისიმე ცალკე გამოყოფა. ჩვენ მხოლოდ იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ ქართული საბჭოთა მწერლობის მკვლევარ-კრიტიკოსთა უფროს და საშუალო თაობას — ბ. ბუაჩიძეს, ბ. ელენტს, ლ. ასათიანს, ალ. სულავას, ა. ვაწერელიას, დ. ბენაშვილს, გ. ჯიბლაძეს, შ. რადიანს, გ. ნატროშვილს, გ. ლომიძეს, გ. ციციშვილს, ლ. კალანდაძეს, ს. ქილაიას, გ. მერკვილაძეს, გ. მარგველაშვილს, გ. ასათიანს, გ. კახკავას, გ. გვერდწითელს, შ. ჩიჩუას, გრ. ხერხეულიძეს... გვერდში ამოუდგა ნიჟიერი ახალგაზრდობა, რომელიც მონდომებით ეხმარება თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობისა და კრიტიკის მძიმე ტვირთს (სამწუხაროდ, ბოლო დროს მოულოდნელად დავკარგეთ ამ თაობის ორი საუკეთესო წარმომადგენელი — ნოდარ ჩხეიძე და ფილიპე ბერიძე).

მაინც უნდა ითქვას, რომ ქართული საბჭოთა ლიტერატურა სისტემურად მიმოხილულია სერგი ქილაიას ნაშრომებში („მე-20 საუკუნის ქართული მწერლობა“ სამ წიგნად, «Очерки истории грузинской советской литературы»). პრობლემური სიმახვილით გამოირჩევა გიორგი ლომიძის შრომები. დიდად ფასეულია ბესარიონ ელენტის კრიტიკული წერილები.

ზოგიერთი საბჭოთა მკვლევარი-კრიტიკოსი თანაბარი ინტერესითა და წარმატებით იკვლევ-იძიებს როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე საბჭოთა მწერლობის აქტუალურ, საკვანძო საკითხებს. უწინარეს ყოვლისა, ასეთია აკაკი ვაწერელია, რომლის ნაშრომები ფართო მკითხველი საზოგადოების მოწონებას იმსახურებს. ლიტერატურათმცოდნეობის სფეროდან ღირსშესანიშნავი ნაშრომები გამოაქვეყნეს ჩვენმა ცნობილმა მწერლებმა კონსტანტინე გამსახურდიამ, კონსტანტინე ჭიჭინაძემ, იოსებ გრიშაშვილმა, გიორგი ლეონიძემ, ტიციან ტაბიძემ, შალვა აფხაიძემ, სიმონ ჩიქოვანამ, დემნა შენგელაიამ, ირაკლი აბაშიძემ, გრიგოლ აბაშიძემ, გიორგი შატბერაშვილმა, რევაზ ჭაფარიძემ...

მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ქართული მწერლობის ისტორიის მთლიანი, თანმიმდევრული, სისტემური, მეთოდოლოგიურად სწორი და, რამდენადაც მოხერხდება, სრული გაშუქება აქვს მიზნად დასახული რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის დიდ კოლექტივს, რომელიც ამზადებს ქართული ლიტერატურის ისტორიის ექვსტომეულს (საერთო მოცულობა 300 თაბახი). ამ ექვსტომეულის პირველი სამი ტომი უკვე გამოვიდა, იბეჭდება IV და V ტომები. მზადდება დასაბეჭდად VI ტომი, იგი მოიცავს საბჭოთა მწერლობის პერიოდს 1921 წლიდან დღემდე.

მთელი ქართული მწერლობის ერთიანი ისტორიის მოკლედ მიმოხილვის პირველ ცდას წარმოადგენს «История грузинской литературы», რომელიც 1958 წელს გამოქვეყნდა (ავტორები ალ. ბარამიძე, შ. რადიანი, ბ. ელენტი). დასასრულ ცალკე უნდა მოვიხსენიოთ საბჭოთა მრავალეროვანი ლიტერატურის ისტორია («История советской многонациональной литературы»). რომელსაც ექვს ტომად სცემს გორაკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ექვსტომეულის შედგენაში მონაწილეობა მიიღო რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა კოლექტივმა. ექვსტომეულის მთავარი რედაქტორებია გ. ლომიძე და ლ. ტიმო-

ფევი, მთავარი რედაქციის წევრია ბ. ჟენტი. 1970 წელს გამოქვეყნდა ექვსტომეულის პირველი ტომი (მოიცავს 1917—1931 წლებს). ტომის ქართული მონაკვეთი დაწერილია ბ. ჟენტის მიერ, იგი არის ტომის სარედაქციო კოლეგიის წევრიც. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის კოლექტივი მონაწილეობას ღებულობს აგრეთვე მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის ათტომეულის შედგენაში. ამ ათტომეულსაც გორკის სახელობის ინსტიტუტი ამზადებს.

რიგი განმაზოგადებელი ნაშრომი გამოქვეყნდა ფოლკლორის დარგში. ასეთებია, მაგალითად, მ. ჩიქოვანის „ქართულ ეპოსი“ ორ წიგნად, მისივე «Народный грузинский эпос о прикованном Амيرانе». და „ქართული სიტყვიერების ისტორია“, ქს. სიხარულიძის „ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება“, ე. ვირსალაძის — „ქართული სამონადირეო ეპოსი“, თ. ოქროშიძის — „ქართული ხალხური შრომის პოეზია“, ა. ცანავას — „ქართულ მუშათა რევოლუციური პოეზია“... სახელმძღვანელოდ არის განკუთვნილი რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის ფოლკლორისტთა კოლექტიური ნაშრომი „ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება“.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდში დაიწყო ჩვენში დასავლეთ ევროპის ლიტერატურის სერიოზული შესწავლა და ამის შედეგად საყურადღებო ნაშრომებიც გამოქვეყნდა (გრ. ხავთასისა, გივი გაჩეჩილაძისა, მ. კვესელავასი, ნ. კაკაბაძისა, ო. ჭინორიასი, ნ. ორლოვსკაასი, ნ. ყიასაშვილისა, შ. რევიშვილისა, ზ. ჭარხალაშვილისა, დ. ფანჩულიძისა, ვ. ქელიძისა და სხვ.). ქართულ ენაზე გამოვიდა ანტიკური (ბერძნულ-რომაული) და ბიზანტიური ლიტერატურის მალახზარისხოვანი სახელმძღვანელოები (გრ. წერეთლისა, სიმ. ყაუხჩიშვილისა). დ. კობიძემ შეადგინა და დაბეჭდა „სპარსული მწერლობის ისტორია“, მანვე შეადგინა სპარსული მწერლობის ქრესტომათია ორ ტომად.

თბილისის უნივერსიტეტის რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრის თაოსნობით (ვანო შადურისა და გიორგი ტალიაშვილის რედაქციით) მომზადდა რუსული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელო სამ ტომად (თბილისი, 1961—1963). თბილისის უნივერსიტეტშივე მომზადდა „ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია“ ლეონ მელიქსეთ-ბეგისა (თბილისი, 1941).

ასე გვეხატება ჩვენ ძალიან მოკლედ საბჭოთა პერიოდის ქართული ლიტერატურათმცოდნეობის მდგომარეობა. მიღწევები უდავოა, წარმატებები უცილობელი, მაგრამ, რასაკვირველია, მიღწეული და მოპოვებული სრულიადაც არ არის საკმარისი. მდიდარი ქართული მწერლობის ისტორიის ყოველმხრივი და ღრმად მეცნიერული შესწავლის საქმეს ჭერჭერობით მხოლოდ მყარი საფუძველი აქვს ჩაყრილი. გამოსაძიებელი, გამოსარკვევი და გამოსაკვლავი ბევრზე ბევრია. დასამალი არ არის, რომ ლიტერატურათმცოდნეობა საერთოდ, კერძოდ კი ლიტერატურული კრიტიკა, ფეხდაფეხ ვერ მიჰყვება ჩვენი ცხოვრების მაჩისცემას, მხარს ვერ უბამს მხატვრული მწერლობის წინსვლას. ლიტერატურათმცოდნეობა მოვალე რჩება სოციალისტური სამშობლოს წინაშე. ჩვენ საუკუოდ არ მიგვაჩნია, რომ იგი პირნათლად გადაიხდის ამ ვალს. ამის საწინდარია განვლილი წლების თვალსაჩინო მიღწევები, აწინდელი ვითარების ფხიზელი შეფასება და იმედის მომცემი ახალგაზრდა ძალების აქტიური ამოქმედება ჩვენი მეცნიერების სამოღვაწეო სარბიელზე.

## შოთა ძიძიგური

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

### ენათმეცნიერება საბჭოთა საქართველოში

ქართული ენათმეცნიერული აზროვნების ისტორიაში ახალი, უღარესად შინაარსიანი და ნაყოფიერი ხანა იწყება თბილისის უნივერსიტეტში, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ რესპუბლიკაში უმადლესი განათლებისა და, საერთოდ, ქართული მეცნიერების აყვავებისა და განვითარების უმძლავრეს კერად იქცა. თბილისის საენათმეცნიერო სკოლას უნივერსიტეტში ჩაეყარა საფუძველი, აქ გაიშალა ინტენსიური კვლევითი მუშაობა ახალი მეთოდების მომარჯვებით, აქ მომზადდა მეცნიერული ძალები, აქვე დამკვიდრდა შესანიშნავი ტრადიციები ქართველური და სხვა ენების შესწავლის დარგში, რამაც ხელი შეუწყო ახალი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების აღმოცენებას (მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, პედაგოგიური ინსტიტუტების საენათმეცნიერო კათედრები).

იმთავითვე უნივერსიტეტში წარმოდგენილი იყო ორი საენათმეცნიერო კათედრა — ზოგადი ენათმეცნიერებისა (გამგე პროფ. გ. ახვლედიანი) და ქართული ენისა (გამგე პროფ. ი. ყიფშიძე, 1919 წლიდან — პროფ. ა. შანიძე). ამ ორ კათედრას უხდებოდა კვლევა-ძიების მეთაურობა და სათანადო კადრების მომზადება ენათმეცნიერების შემდგომს დარგებში: ქართველური ენათმეცნიერება, არაბისტიკა, თურქოლოგია, სლავური ენათმეცნიერება, ინდოევროპული ენათმეცნიერება (ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკა, გუთური, სანსკრიტი, ძველი ირანული ენები, ოსური, ბერძნული).

თანდათან გაიზარდა საენათმეცნიერო კათედრათა რიცხვი. ამჟამად უნივერსიტეტში წარმოდგენილია რამდენიმე საენათმეცნიერო კათედრა: ძველი ქართული ენის კათედრა (გამგე პროფ. ა. შანიძე), ახალი ქართული ენის კათედრა (გამგე პროფ. შ. ძიძიგური), კავკასიური ენების კათედრა (გამგე პროფ. გ. როგავა), ზოგადი ენათმეცნიერების კათედრა (გამგე პროფ. გ. ახვლედიანი), რუსული ენის № 1, № 2 კათედრები (პროფესორები დ. მგელაძე, თ. მრეველიშვილი), გერმანული ენის კათედრა (გამგე პროფ. ნ. ქადაგიძე), ინგლისური ენის კათედრა (გამგე დოც. რ. გაჩეჩილაძე), ფრანგული ენის კათედრა (გამგე პროფ. ე. ხუხუნი), სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის კათედრა (გამგე პროფ. თ. გამყრელიძე).

საენათმეცნიერო დისციპლინები წარმოდგენილია აგრეთვე სხვა ფილოლოგიურ კათედრებზე: ესენია: სემიტოლოგიის კათედრა (გამგე პროფ. გ. წყნეთელი), ირანული ფილოლოგიის კათედრა (პროფ. დ. კობიძე), თურქულ ფილოლოგიის კათედრა (გამგე პროფ. ს. ჭიქია), არმენოლოგიის კათედრა (გამგე პროფ. ი. შილაკაძე). ქართული ენის კათედრები არსებობს პედაგოგიურ ინსტიტუტებშიც (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი, თელავი, გორი, ცხინ-

უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თავის დროზე საქართველოში ლინგვისტიკის განვითარების საქმეში „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების“ დაარსებას 1923 წელს (თავმჯდომარე გ. ახვლედიანი). საზოგადოებამ გააღრმავა ლინგვისტიკური კვლევა-ძიება და ფართო საზოგადოებაში გაიტანა თავისი მუშაობის შედეგები. გამოიცა კრებული „წელიწადული“ (1923—1924), რომელშიაც მოთავსებულია საპროგრამო წერილები როგორც ზოგადი ენათმეცნიერების პრინციპების შესახებ, ისე გათვალისწინებულია ქართველურ ენათა მეცნიერული შესწავლის ამოცანები და მოცემულია კვლევა-ძიების სათანადო ნიმუშები (ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ს. ჯანაშია).

ქართული ენათმეცნიერების განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის დაარსებამ (1936). ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში ჩამოყალიბებულ იქნა განყოფილებები: ქართველურ ენათა (გამგე პროფ. ა. შანიძე), ზოგადი ენათმეცნიერებისა და ექსპერიმენტული ფონეტიკისა (გამგე პროფ. გ. ახვლედიანი), მთის კავკასიურ ენათა (გამგე პროფ. არნ. ჩიქობავა), ახლო აღმოსავლეთის ენათა (გამგე პროფ. გ. წერეთელი), ლექსიკოლოგიისა (გამგე პროფ. ვ. თოფურია), სამეცნიერო ტერმინოლოგიისა (გამგე პროფ. ვუკ. ბერიძე). 1941 წელს დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომლის სისტემაში შევიდა ენის ინსტიტუტი. მისი დაარსებით საენათმეცნიერო მუშაობას კიდევ უფრო ფართო პერსპექტივები გადაეშალა ჩვენში.

„ქართულმა ენათმეცნიერებამ იმთავითვე გაითვალისწინა ძირითადი მიზნები, რომლებიც საფუძვლად ედება მთელს შემდგომ მუშაობას. სახელდობრ, უკრადლების ცენტრშია ქართული კულტურის გენეზისის მეცნიერული დადგენა, ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიული წარსულის გათვალისწინება უხსოვარი დროიდან, მისი ისტორიული ფესვებისა და შემდგომი განვითარების გზების გამოკვლევა. ამ მიზნის განხორციელებას ემსახურება მეცნიერების სხვადასხვა დარგი საქართველოში და მათ შორის ენათმეცნიერებაც. მართლაც, ამ მიზნის განხორციელება შეუძლებელი იყო და შეუძლებელია გარეშე ქართულის (და სხვა ქართველური ენების — მეგრულ-ჭანურისა და სვანურის) გენეზისის ან მათი სტრუქტურისა და ისტორიული განვითარების გაუთვალისწინებლად. თავის მხრივ ქართულისა და სხვა ქართველური ენების ისტორიული განვითარების უძველესი ეტაპების გათვალისწინება არ მოხერხდება, თუ მთის კავკასიურ ენათა ჩვენებანი არ იქნა ფართოდ გამოყენებული“ (გ. ახვლედიანი).

საგულისხმოა ივ. ჯავახიშვილის შემდეგი სიტყვები: „ცნობილია, რომ მსოფლიო მეცნიერება უაღრესად დაინტერესებულია ქართველური და კავკასიური ენების ბუნებითა და მათი სხვა ენებთან, მათ შორის ხალღურ, ხეთურ და სუმერულთანაც, ნათესაობის საკითხებით, მათი თავდაპირველი სამშობლოსა და მერმინდელი გადმოსახლების ისტორიით ისევე, როგორც საკვები მცენარეებისა და შინაური ცხოველების სადაურობისა და შერჩევის, დასასრულს, ლითონის კულტურის ისტორიის აღმოცენებითაც... სრულებით ბუნებრივია, რომ ზემოაღნიშნული საკითხებით... ქართველი მეცნიერებიც იყვნენ დაინტერესებულნი. მეტის თქმაც შეიძლება: ამ პრობლემების მეცნიერული შესწავლა ჩვენს უპირველეს მოვალეობასაც კი უნდა შეადგენდეს, რადგან ეს

ენათმეცნიერული საკითხები უშუალოდ ჩვენვე გვეხება, ხოლო კულტურული ისტორიის ზემოაღნიშნული ამოცანების გადასაჭრელადაც პირველხარისხოვანი მასალები ჩვენში უხვად მოიპოვება და შედარებით უფრო ადვილი მისაწვდომიც არის<sup>4</sup>.

საენათმეცნიერო კვლევა-ძიება საქართველოში წარიმართა ამ ასპექტებით: 1. ქართველურ ენათა სტრუქტურული აღნაგობის შესწავლა შედარებით ისტორიული თვალსაზრისით; 2. მთის კავკასიურ ენათა სტრუქტურის შესწავლა ქართველურ ენებთან გენეტური ურთიერთობის თვალსაზრისით; 3. ახლო აღმოსავლეთის ძველ და ახალ ენათა სტრუქტურის შესწავლა იბერიულ-კავკასიურ ენებთან ურთიერთობის თვალსაზრისით; 4. ქართველურ ენათა ლექსიკის შესწავლა; 6. ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამუშავება და დადგენა; 7. ზოგადი ენათმეცნიერების აქტუალურ პრობლემათა კვლევა (ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკის საკითხებითურთ), აგრეთვე ინდოევროპულ ენათა კვლევა-ძიება; 8. სკოლის, უმაღლეს სასწავლებელთა და სხვა კულტურული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების პრაქტიკულ-მეცნიერული მომსახურება.

გავეცნოთ საქართველოში ლინგვისტური აზროვნების განვითარებას ცალკეული დარგების მიხედვით.

### 1. ქართული ენის სტრუქტურა და ისტორია

პირველი საენათმეცნიერო მონოგრაფიული გამოკვლევა უნივერსიტეტში მიეძღვნა ქართული ზმნის პრეფიქსებს. ეს იყო ა. შანიძის „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ (1920), რომელშიც ქართული ზმნის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი შესწავლილია ისტორიულ ასპექტში და გათვალისწინებულია დიალექტების მონაცემებიც. „ეს თხზულება პირველი, მრავალი ძეგლის შესწავლაზე დამყარებული შრომაა, ქართული ზმნის ბუნებისა და აგებულების გამოსარკვევად გამოქვეყნებული... ამ ნაშრომში კვლევა-ძიების ისტორიული გზაა არჩეული, იგი ქართული სიტყვიერების ძეგლთა ენის შესწავლაზეა დამყარებული“ (ივ. ჭავჭავაძის შვილი). ამგვარი მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ქართული ენის კვლევამ უადრესად მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო: დამუშავდა მრავალი თემა, გამოქვეყნდა ბევრი მონოგრაფია, მიმოხილვა და საუნივერსიტეტო კურსები.

ე. წ. ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ნაშრომები, რომლებშიც წამოჭრილი და გადაწყვეტილია ქართული ზმნის უძველესი პრეფიქსების საკითხები, შესწავლილია მათი ფონეტიკური სახეები და მორფოლოგიური ფუნქცია. გაირკვა ტერმინ „ხანმეტის“ მნიშვნელობა. ანალოგიურად გაკეთდა ტერმინი „ჰაემეტი“ იმ ძეგლების აღმოჩენისთანავე, რომლებშიც სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამისა ზმნაში წარმოდგენილია ჰაეს სახით. წამოყენებულ იქნა ბ-ბ პრეფიქსთა ქრონოლოგიური თანმიმდევრობის ფორმულები: ბ-ბ-0 და ბ-ბ-0 (ივ. ჭავჭავაძის შვილი, ა. შანიძე, კ. კეკელიძე). მოგვიანებით გამოითქვა დებულება: ხ და ს პრეფიქსების ამოსავალია ხ პრეფიქსი, რომელსაც თავდაპირველად უნდა აღენიშნა ნიეთის გრამატიკული კლასი და შემდეგ დაჰკისრებოდა პირის ნიშნის ფუნქცია (არნ. ჩიქობავა).

შესწავლილ იქნა პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვებთან: ზუმჯობსს (ზუმჯობსს) ტიპის ფორმებზე დაკვირვებამ ნათელი გახადა ზმნის პირის ნიშნების ხმარების შესაძლებლობა სახელთანაც (მიმჯობესი, გიმჯობსი, ზუმჯობსი) და მათი ხ და ჰ პრეფიქსის იგივეობა ჰაქუსს/ზაქუსს ზმნის პრეფიქსებთან (ა. შანიძე).

ქართული ენის სტრუქტურის გამოკვლევის თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მანამდე უცნობი გრამატიკული კატეგორიების აღმოჩენას, დადგენასა და მათთან დაკავშირებული საკითხების გამოწვლილვით შესწავლას.

ჩერ კიდევ 1919 წელს გაიჩვენა ნასახელარი ზმნების სტრუქტურა, დადგინილ იქნა სახელთაგან ნაწარმოები ზმნების — განსაკუთრებით ვნებითი გვარის — ფორმები და ფუძეში მომხდარი ფონეტიკური ცვლილებები. შემდეგ გამოიყო მისი სახეები (დინამიკური და სტატიკური ვნებითი და სხვა). დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ზმნის შესწავლის დარგში გარდამავლობის ბუნების გარკვევას (ა. შანიძე).

ქართული ზმნის სტრუქტურის გამოკვლევის თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებო მონაპოვარია ქცევის კატეგორიის დადგენა და მისი სახეობათა დახასიათება. ხმოვანი პრეფიქსების ფუნქციის გარკვევამ ნათელი გახადა გამონახტვა კუთვნილებითი ურთიერთობისა სუბიექტსა და ობიექტს (ობიექტებს) შორის. თავდაპირველად გამოყოფილი იყო ზუთი ქცევა: საარვისო, სათავისო, სასხვისო, საზედაო, სათანაო. საბოლოოდ დარჩა სამი: საარვისო, სათავისო, სასხვისო.

1930 წელს დაიბეჭდა ა. შანიძის „ქართული გრამატიკა“ 1 „მორფოლოგია“, რომელიც წარმოადგენს ახალი ქართული ენის პირველ მეცნიერულ გრამატიკას. წიგნმა არსებითად განსაზღვრა ქართული ენის მეცნიერული შესწავლის შემდგომი კვლევა-ძიების გეზი და მეთოდოლოგიური საფუძვლები. უმაღლესმა აკადემიამ მიიღო ქართული ენის გრამატიკის პირველი სახელმძღვანელო. ამ შრომის საფუძველზე ძირითელი ცვლილებები განიცადა ქართული ენის სწავლების სისტემაში სკოლაშიც.

ა. შანიძის „ქართული გრამატიკის“ საფუძველზე დაიწერა ნორვეგიელი მეცნიერის ჰანს ფოგტის „ქართული ენის გრამატიკა“ (ფრანგულ ენაზე, 1936) და ბ. რუდენკოს „ქართული ენის გრამატიკა“ (რუსულ ენაზე, მოსკოვ-ლენინგრადი, 1940).

თანდათან ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა ქართული ენის პრობლემატიკა. ზედოზერ ქვეყნდება როგორც ა. შანიძის, ისე მისი მოწაფეების სპეციალური ნაშრომები, მონოგრაფიები, რომლებშიც აღქრული და დასაბუთებულია კარდინალური მნიშვნელობის პრობლემები.

ახალი ნაშრომები მიეძღვნა პირის ნიშნებს. გაიჩვენა მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი (ზ) ქართულ-ქართველურ ენებში, მისი ფონეტიკური სახე და ხმარება ზმნის მწკრივებში. პირისა და რიცხვის კატეგორიისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომში დადგინილ იქნა მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპები ქართული ზმნის უღლებაში. გამოთქმულა მოსაზრება, რომ გუ//გვ პრეფიქსი არ არის მრავლობითობის ან სხვა მნიშვნელობის ფორმანტი. მისი უძველესი სახე (უ//ვ) მიჩნეულია სუბიექტ-ობიექტის პირველი პირის გაუდიფერენცირებელ ნიშნად (არნ. ჩიქობავა).

შესწავლილ იქნა სტატიკურობის, გვარისა და გარდამავლობის, სტატიკურ ზმნათა უღლების ძირითად კანონზომიერებათა, მესამე ტიპის ვნებითის წარ-



მოების, „თბება“ ტიპის ზმნათა წარმოების, ენებითის ჩამოყალიბებისა და სხვა საკითხები.

1941 წელს წამოყენებულ იქნა თეორია გრამატიკული მწკრივის შესახებ (ა. შანიძე). ზმნის უღლებად ფორმათა მარაგიდან გამოიყოფა ჯგუფები, რომლებიც გარკვეული ნიშნის მიხედვით აერთიანებენ შიგ შერეულ ფორმებს. ამ ჯგუფებს საერთო სახელი არა აქვთ, მაგრამ თითოეულ მათგანს სახელს არქმევენ ერთი ან ორი მეერთიანებელი კატეგორიის მიხედვით. სათანადო ჯგუფებს დაერქვა მწკრივები. მწკრივის თეორია ცნობილი გახდა როგორც რუსულ, ისე უცხოურ საენათმეცნიერო ლიტერატურაში.

დამუშავებულია დროისა და კილოს წარმოების ისტორიის სპეციფიკური საკითხები. ასე, მაგალითად, შესწავლილია უწყვეტლის, I ბრძანებითისა და I კავშირებითის წარმოების თავისებურებანი ძველ ქართულში, მრავალგზისობის შემცველი მესამე სერიის ფორმების ხმარების ფაქტები ძველსავე ქართულში, ოდ სუფიქსის ხმარებასთან დაკავშირებული თავისებურებანი პირველი სერიის მწკრივთა წარმოებისას, მესამე სერიის ფორმები და სხვა. შესწავლილია აგრეთვე ძირეული და ნასახელარი ზმნები ძველ ქართულში, „აქუს“ ფუძის უცნობი ვარიანტი, პოტენციალის კატეგორია (არნ. ჩიქობავა). მონოგრაფიულად დამუშავდა ზმნის ძირითადი კატეგორიები ძველ ქართულში (ივ. ქავთარაძე). ძველ ქართულსავე ეხება ჭ. თევზაძის მონოგრაფია.

საგანგებო ნაშრომი მიეძღვნა ხოლმეობითს (პერმანსივის) ისტორიული ადგილის მიჩენას ქართული ზმნის უღლების სისტემაში. დასაბუთებულია, რომ ერგატიული კონსტრუქცია უძველესია გარდამავალი ზმნისათვის ქართულში (არნ. ჩიქობავა). მონოგრაფიული წესით შესწავლილია უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში (ლ. კიკნაძე). გამოვლენილია ზმნაში უძველესი აფიქსები, რომლებიც ისტორიულად ძირს შერწყმიან და დაუკარგავთ ფორმანტის ფუნქცია (ვ. თოფურია).

შესწავლილია აგრეთვე სახელთა ბრუნებისა და ბრუნვათა ისტორიული განვითარების საკითხები.

ცალკეული გამოკვლევები მიეძღვნა ისეთ პრობლემებს, როგორცაა წოდების ბრუნვის რაობა და წარმოება (ვ. თოფურია, ა. შანიძე), -დამ თანდებულის წარმოშობის ისტორია (არნ. ჩიქობავა), ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის დაბოლოებანი, მათი შედგენილობა და ისტორია, ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმანტთა ევოლუცია, ისტორიულად განსხვავებული მორფოლოგიური ტიპები ქართულ ბრუნვათა შორის, მრავლობითი რიცხვის სუფიქსთა გენეზისი ქართულში (გამოვლენილია სახელისა და ზმნის მრავლობითობის ფორმანტთა კავშირი), ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში და სხვა.

ვრცელი მონოგრაფია (ი. იმნაიშვილი) მიეძღვნა ბრუნების სისტემას ძველ ქართულში. ასევე მონოგრაფიულად შესწავლილია ზმნური ფუძეების სტრუქტურა (ფ. ერთელიშვილი). დაიბეჭდა წიგნები ნაცვალსახელის (ა. მარტიროსოვი), ზმნისწინების შესახებ (ი. ვეშაპიძე) და სხვ.

1953 წელს გამოქვეყნდა „ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია“ (ა. შანიძე), რომელშიც შექამებულია რამდენიმე ათეული წლის კვლევის შედეგები ქართული ენის მორფოლოგიის დარგში. აქ დახასიათებულია უმთავრესი ფონეტიკური მოვლენები, სახელები, ზმნები და უღებები. ნაშრომში ცენტრალური ადგილი უჭირავს ავტორისავე მიერ წარმოჩენილი და

დადგენილი წინათ უცნობი გრამატიკული კატეგორიების ანალიზს (როგორცაა კონტაქტი, მწკრივი და სხვა) ან წინათ ცნობილის დაზუსტებას (მაგ., ვნებითი გვარის ზმნებში გამოიყო ღინამიკური და სტატიკური ზმნები). ამას გარდა, გაირკვა ურთიერთობა მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებს შორის პირთა ურთიერთობის თვალსაზრისით, ასპექტის კატეგორიის გამოხატვის სისტემის შეცვლა ქართულში ისტორიულად და სხვა.

ქართული ენის სტრუქტურის ძირითადი საკითხები დალაგებულია ნაშრომში: „ქართული ენის ზოგადი დახასიათება“ (არნ. ჩიქობავა).

ქართული ენის აღნაგობის შესწავლამ წამოჭრა პრობლემა გრამატიკული კლას-კატეგორიების მორფოლოგიური გარჩევის შესახებ ქართულში ისტორიულად სახელისა და ზმნის კატეგორიების წარმოებაში (ი. ჭავჭავაძე, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა; არნ. ჩიქობავა, სახელისა და ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში).

ამავე პრობლემას ეხება სხვა მკვლევართა სპეციალური შრომებიც (ამ თვალსაზრისითაა, მაგალითად, შესწავლილი დ და რ თავსართიანი ზმნები).

გარდა მორფოლოგიისა, მუშავდებოდა სინტაქსის საკითხებიც. მარტივი წინადადების შედგენილობასა და მექანიზმს მიეძღვნა არნ. ჩიქობავას მონოგრაფია „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ (1928). ავტორის კონცეფცია ასეთია: ქართული ენის მარტივი წინადადების თავისებურება გამოიხატება პრედიკატისა და სუბიექტ-ობიექტის მართვაში, რასაც კოორდინაცია უნდა ეწოდოს, და იგი წარმოადგენს ზმნის პოლიპერსონალიზმის ანარეკლს. ზმნის ერთპირიანობა არ ქმნის ასეთ რთულ მექანიზმს.

გამოვლენილია მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში. ნაჩვენებია, რომ მარტივმა წინადადებამ განიცადა მნიშვნელოვანი ევოლუცია, რაც იმით გამოიხატება, რომ ზმნა შეუთანხმდა მრავლობით რიცხვში სახელობითსა და მიცემითში დასმულ სუბიექტსა და ობიექტს (არნ. ჩიქობავა).

მარტივი წინადადების შედგენილობას ძველ ქართულში მიეძღვნა მონოგრაფიული ნაშრომი (ა. კიზირია). შესწავლილია სინტაქსური ანალოგიის საკითხები (ვ. თოფურია), შედგენილი შემასმენელი (ი. იმნააშვილი) და სხვა.

ღაიწურა მონოგრაფია კავშირებისა და საკავშირებელი სიტყვების შესახებ, სადაც განილულია რთული წინადადების საკითხებიც (მ. ძიძიგური). რთული წინადადების გენეტური საკითხები გაშუქებულია წიგნში: „რთული წინადადება ძველ ქართულში“ (ფ. ერთელიშვილი). ქართული სინტაქსის ძირითადი საკითხები ჩამოყალიბებული და გაანალიზებულია სისტემატური კურსის სახით (ა. შანიძე).

მნიშვნელოვანი ნაშრომები მოგვეპოვება ლექსიკოლოგიისა და ფრაზეოლოგიის დარგებში (ბ. ფოჩხუა, ა. თაყაიშვილი, ა. ონიანი, ზ. ქუმბურიძე და სხვ.).

## 2. ქართული დიალექტოლოგია

მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული ქართული დიალექტოლოგიის დარგში.

იმთავითვე თბილისის უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრისა და ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების მიერ გაწოლილი საექსპედიციო მუშა-

ობის შედეგად დაგროვდა უღარესად საინტერესო დიალექტოლოგიური მასალები.

გამოქვეყნდა ხევსურული კილოს მასალები (ა. შანიძე), რამაც განსაზღვრა დიალექტოლოგიური ტექსტოლოგიის განვითარება საქართველოში და მკვიდრ ხიდაგზე დააყენა ქართული დიალექტოლოგიური დისციპლინა. გამოქვეყნდა ნაშრომები კახური (არნ. ჩიქობავა) და ქართლური მეტყველების (ვ. თოფურია) შესახებ (1925). მთის კილოების აქცენტუაციურ-არტიკულაციურ თავისებურებათა შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია არნ. ჩიქობავას „გრძელი ხმოვნები მთიულურში“ (1924); დაიბეჭდა მისივე „მთიულურის თავისებურებანი“ (1938). სინტაქსური ანალოგიის საკითხს დიალექტებში მიეძღვნა ვ. თოფურიას სპეციალური ნაშრომი (1923).

შესწავლილია სხვა „მთის კილოებიც“ (ე. გუგუშვილი, ო. ქაჩაია, ი. ქავთარაძე; ხევსურულსა და თუშურს მიეძღვნა ა. კინჭარაულის, თ. უთურგაიძის, ზ. ხუბუტიას მონოგრაფიული გამოკვლევები).

დიდძალი დიალექტოგრაფიული მასალების საფუძველზე დაიწერა ნაშრომები ქართლურის (გრ. იმნაიშვილი, ა. ლლონტი, ო. კახაძე, გ. შალამბერიძე), კახურის (ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი) შესახებ და გამოქვეყნდა ტექსტები.

გამოქვეყნებულია ფერეიდნელთა მეტყველების ტექსტები და სათანადო გამოკვლევები (არნ. ჩიქობავა, 1927).

შესწავლილია მესხურ-ჭავჭავური (შ. ძიძიგური, ე. დონდუა, ი. მაისურაძე, ა. მარტიროსოვი), ინგილოური (გრ. იმნაიშვილი, რ. ღამბაშიძე, ს. მენთეშაშვილი), იმერული (ვ. ფანჩიძე, შ. ძიძიგური, ე. ძოწენიძე, პ. გაჩეჩილაძე, პ. ჭაჩანიძე), ლეჩხუმური (მ. ჩიქოვანი, მ. ალავეძე, შ. ძიძიგური), რაჭული (შ. ძიძიგური, ვ. თოფურია), გურული (ს. ულენტი, პ. ჭაჩანიძე, ა. ლლონტი, ი. მეგრელიძე), აჭარული (მ. ხუბუა, ჯ. ნოლაიდელი, შ. ნიქარაძე, ე. ლომთათიძე), ყიზლარ-მოზდოკური (სტ. ჩხენკელი). გამოკვლევულია, რომ დასავლურ კილოებში პროგრესული ასიმილაცია თავისი გავრცელებით უთანასწორდება რეგრესულ ასიმილაციას, რითაც ერთგვარად დაზუსტდა სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილი დებულება ასიმილაციის ხასიათის შესახებ ქართულში (ბიძ. ფოჩხუა).

პირის ნიშნები კილოებში წარმოდგენილია ა. შანიძის ცნობილ გამოკვლევაში: „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ (1920).

ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები შესწავლილია ივ. ჭავჭავაძის, ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, თ. გონიაშვილის, ა. მარტიროსოვის, შ. ძიძიგურის ნაშრომებში.

გამოქვეყნებულია ქართული დიალექტების ქრესტომათიები (1956 — შ. ძიძიგური, ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ; 1961 — ე. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I).

ქართული დიალექტოლოგიის სპეციალური საკითხები აღძრულია წიგნში: „ძიძიგური ქართული დიალექტოლოგიიდან“ (შ. ძიძიგური).

გამოქვეყნებულია დიალექტოლოგიური ლექსიკონები.

## 3. ლექსიკოგრაფია, სამეცნიერო ბიბლიოლოგია

უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრამ ა. შანიძის ხელმძღვანელობით თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია ქართული ლექსიკონების დამუშავებას. დაიწყო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მასალების შეკრება. ამ მიზნით დამუშავდა ქართული ლიტერატურის მრავალი ძეგლი. 1936 წლიდან სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალში თავი მოიყარა განმარტებითი ლექსიკონის ძირითადმა მასალებმა და შედგენილ იქნა სიტყვანი. 1945 წ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის კომისია არნ. ჩიქობავას თავმჯდომარეობით. 1950 წელს გამოვიდა განმარტებითი ლექსიკონის პირველი ტომი (არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით). უკანასკნელი, მერვე ტომი, მკითხველმა საზოგადოებრიობამ მიიღო 1964 წელს.

ამრიგად, ჩვენ ხელთა გვაქვს ქართული ლექსიკოგრაფიის უძვირფასესი ანგლი — რვატომიანი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, ამსახველი ქართული ენის მდიდარი სიტყვობრივი ფონდისა.

უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრა ამუშავებს ძველი ქართული ენის ვრცელ ლექსიკონს (ა. შანიძის ხელმძღვანელობით).

გამოიცა ივ. იმნაიშვილის ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი (1948), ა. შანიძის მიერ დაარსებულ იქნა გამოცემათა სერია: „ძველი ქართული ენის ძეგლები“. ამასთანავე გამოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია ა. შანიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით (1956).

ძველი ქართული ენის ლექსიკონები ერთვის ძველ ქართულ ძეგლებს (ა. შანიძე, კ. კეკელიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ილ. აბულაძე, ი. იმნაიშვილი, ივ. ქავთარაძე, მ. ჭაბაშვილი), საერო და ახალი ლიტერატურის ძეგლთა გამოცემებს (ვ. თოფურია, გ. ჯაკობია, ნ. ბერძენიშვილი, ა. შანიძე, ი. გიგინეიშვილი, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, იუსტინე აბულაძე, მ. ალაკიძე, შ. ძიძიგური).

გამოცემულია თარგმნითი ლექსიკონები: ქართულ-რუსული, რუსულ-ქართული, ქართულ-გერმანული, გერმანულ-ქართული, ქართულ-ფრანგული, ფრანგულ-ქართული, ქართულ-ინგლისური, ინგლისურ-ქართული. დაიბეჭდა ნ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონი (რედ. ა. დლონტი). გამოსულია ამასთანავე ლათინურ-ქართული (ს. ყაუხჩიშვილი), არაბულ-ქართული (გ. წერეთელი) ლექსიკონები, ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმაოა ლექსიკონი (თ. სახოკია), უცხოურ სიტყვათა ლექსიკონები (ი. იმედაშვილი, გ. ახვლედიანი, მ. ჭაბაშვილი).

1938 წ. გამოქვეყნდა არნ. ჩიქობავას ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. ჩვენს დროშივე განხორციელდა სულხან-საბა ორბელიანის უკვდავი „სიტყვის კონის“ ახალი გამოცემები (ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, ს. იორდანიშვილი, ი. აბულაძე).

მოგვეპოვება ძველქართულ-რუსული ლექსიკონი (ს. სერებრიაკოვი).

საბჭოთა საქართველოში ფართოდ მუშავდება ლექსიკოლოგიის უაღრესად აქტუალური დარგი — ტერმინოლოგია.

ქართული საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უმაგალითო აღმავლობამ საესებით ბუნებრივია, დასვა საკითხი ქართული სამეცნიერო სპეციალური ტერმინოლოგიის შედგენისა და დახვეწისა.

ცხადია, სამეცნიერო ტერმინოლოგიას გამართვა და მეცნიერულ საფუძველზე დადგენა მოითხოვდა ენათმეცნიერების ჩარევასა და ხელმძღვანელობას. ამ დიდ ეროვნულ საქმეში ჩაებნენ სხვადასხვა დარგის ცნობილი სპეციალისტები (მათემატიკოსები, ასტრონომები, ფიზიკოსები, ინჟინრები, ქიმიკოსები, ექიმები, აგრონომები, ეკონომისტები, იურისტები, გეოლოგები და სხვა).

თავიდანვე საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატთან ჩამოყალიბდა „სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომიტეტი“ (თავმჯდომარეები — ივ. ჭავჭავაძე, კ. კეკელიძე), შემდეგში — სატერმინოლოგიო საბჭო (თავმჯდომარე ფ. მახარაძე, შემდეგ — ვუკ. ბერიძე), რომელმაც შეიმუშავა მეცნიერებისა და ტექნიკის დარგთა ტერმინოლოგიის პრინციპები. ჭერ კიდევ ოციან წლებში დადგინდა მათემატიკის, ფიზიკის, ლიტერატურისა და ენათმეცნიერების, საანგარიშო მეცნიერებათა, ბიბლიოთეკონომიის, ბიბლიოგრაფიისა და პოლიგრაფიული წარმოების ტერმინოლოგია, სააღმშენებლო ლექსიკონი და სხვა.

უფრო ფართოდ გაიშალა ტერმინოლოგიური ლიტერატურა მას შემდეგ, რაც ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში დაარსდა ტერმინოლოგიის განყოფილება (გამგე ვ. ბერიძე, შემდეგ — რ. ლამბაშიძე). მომზადდა 40-ზე მეტი დარგის ტერმინოლოგია.

#### 4. მებრულ-ჰანური და სპანური

მკვიდრ ნიადაგზე წარიმართა საბჭოთა საქართველოში ქართველური ენების — სვანურისა და მეგრულ-ქანურის შესწავლა.

დასაბუთდა ა. შანიძის მიერ წამოყენებული დებულება, რომ მეგრული და ქანური ერთურობის მიმართ დიალექტებია. დადგინდა გაერთიანებული სახელწოდება „ზანური“ (არნ. ჩიქობავა). ამასთანავე სამეცნიერო ლიტერატურაში შემოვიდა ტერმინი „კოლხური“ (ა. შანიძე).

გამოქვეყნდა ქანურის მასალები. 1929 წ. არნ. ჩიქობავამ გამოსცა „ქანური ტექსტები I“, 1936 წელს — „ქანური ტექსტები, II“ (წიგნში: „ქანურის გრამატიკული ანალიზი“). 1938 წ. გამოდის ს. ელენტი „ქანური ტექსტები“ და ი. ყიფშიძის მიერ თურქეთის ლაზისტანში შეკრებილი ტექსტები (არნ. ჩიქობავას რედაქციით), 1937 წელს — მ. ხუბუას „მეგრული ტექსტები“.

არნ. ჩიქობავამ ვრცელი მონოგრაფია მიუძღვნა ქანურს, სადაც მოცემულია ამ ქართველური ენის სტრუქტურის ფართო დახასიათება და სრული ეჭვნიუტანლობით დადგენილია ქანურისა და მეგრულის დიალექტური მიმართება. ნაშრომი გარკვეულ შემთხვევაში იძლევა შედარებითი გრამატიკის ელემენტებს.

ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე დაიწერა წიგნი „ქანურ-მეგრულის ფონეტიკა“ (ს. ელენტი).

ზანური ენის ცალკეულ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს ეხება არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, მ. ხუბუას, გ. როგავას, ქ. ლომთათიძის ნაშრომები.

სვანურის შესწავლის დარგში უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია ტექსტების გამოქვეყნება. გამოიცა ა. შანიძის, ვ. თოფურიასა და მ. გუჭუჩიანის „სვანური პოეზია“ (1938), ა. შანიძისა და ვ. თოფურიას „სვანური პროზაული ტექსტები“ (1939 — I ტომი), ვ. თოფურიას, მ. ქალდანისა და ა. დავითიანის მიერ — II ტომი 1957 წელს, ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის მიერ — 1967 წელს.

გამოკვლეულია სევანურის ისეთი მნიშვნელოვანი ფონეტიკური მოვლენა, როგორცაა უმლაუტი, რომელიც სევანურის დიალექტთა ერთ-ერთი საკვალი-ფიკაციო ნიშანია. უმლაუტის ბუნების გამორკვევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სევანური ენის ისტორიის შესასწავლად. ამ საკითხს მიეძღვნა ა. შანიძის ფუძემდებელი გამოკვლევა „უმლაუტი სევანურში“ (1925). შემდეგ გამოქვეყნდა ვ. თოფურიას გამოკვლევაც „კვლავ უმლაუტისათვის სევანურში“. 1969 წელს გამოვიდა ვრცელი მონოგრაფია „სევანური ენის ფონეტიკა“ (მ. ქალდანი), სადაც ფართოდ შესწავლილია უმლაუტის ხმარება სევანურში.

სევანური ზმნის სტრუქტურა მთელი სიღრმით შესწავლილია ვ. თოფურიას გზისგამკვლევ მონოგრაფიაში: „სევანური ენა, I, ზმნა“ (1931). მასში სისტემურად გადმოცემულია სევანური ზმნის მორფოლოგია სევანურის ოთხივე კლასის მონაცემების გათვალისწინებით. ცალკეული მოვლენები განხილულია ისტორიული და შედარებითი თვალსაზრისით.

შესწავლილია აგრეთვე სევანურის ბრუნების სისტემის რიგი საკითხები: საკუთარ სახელთა ბრუნება, სევანურ-ადილური ენობრივი შეხვედრები (ს. ჭანაშია).

მნიშვნელოვანი საკითხებია გადაწყვეტილი თ. შარაძენიძის სევანურ შტუდიებში. ცალკეული მოვლენები სევანურისა შესწავლილია აგრეთვე არნ. ჩიქობავას, კ. დონდუას, გ. მაჭავარიანის, მ. ქალდანის, თ. გამყრელიძის, ზ. კუმბურიძის ნაშრომებში.

სევანური ფონეტიკის საკითხები ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენებით შესწავლილია ს. ელენტის მონოგრაფიაში (1949).

ქართულურ ენათა შესწავლას საფუძვლად უდევს ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების მეთოდოლოგია.

ხანმეტ-ჰაემეტი ძეგლების აღმოჩენამ საგრძნობლად გააფართოვა ჩვენი ენების კვლევის ჰორიზონტი და ქართული ენის ისტორიული თვალსაზრისით შესწავლას მტკიცე საფუძველი შეუქმნა. ამ მხრივ, როგორც ზემოთაც აღინიშნა, საყურადღებოა ი. ჭავჭავიძის, ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას და სხვათა გამოკვლევები.

ქართული მორფოლოგიის ისტორიულ ასპექტში შესწავლის მშენებელი ნიმუშია ა. შანიძის ნაშრომი პრეფიქსების შესახებ, რომელმაც სათავე დაუდო ჩვენში კვლევის ახალ მეთოდებს.

ისტორიული თვალსაზრისით წარმოებულ კვლევა-ძიებას უნდა გამოიყვანებინა ქართული ენის სპეციფიკური ნიშნებიც, ყურადსაღებია ზოგადი ენათმეცნიერებისთვისაც. „ახალმა ლინგვისტურმა სინამდვილემ ახალი ცნებებიც დაბადა. ინდო-ევროპული ენათმეცნიერების მეთოდების უწყობანოდ მიღება ინდო-ევროპეისტიკის ცნებათა უკრიტიკოდ გადმონერგვას სრულიადაც არ ნიშნავს. ცნება სინამდვილის სქემაა. განსხვავებული სინამდვილე განსხვავებულ შინაარსს აძლევს ცნებას, ე. ი. ახალ ცნებას იძლევა, თუნდაც რომ მის აღსანიშნავად ძველი ტერმინი იყოს გამოყენებული“ (არნ. ჩიქობავა, 1923).

ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის შესწავლის დარგში მოგვეპოვება საყურადღებო გამოკვლევები: ვ. თოფურიას „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში“ (წერილების სერია), ს. ელენტის „ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა“, გ. როგავას „ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები“ (ფართოდ შესწავლილია ხმოვანთა ისტორიის საკითხები ქართველურ ენებში დიდძალი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე), თ. გამყრ-

ლიძის „სიბილანტა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის საკითხები“, გ. მაქავარიანის „საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა“, გ. წერეთლის „სონანტთა სისტემისა და აბლაუტის თეორიის გამო ქართველურ ენებში“ (მკვეთად არის დასმული საკითხი ქართველურ ენათა ფონეტიკის საფუძველზე კავკასიური და წინააზიური არეალური ლინგვისტიკის პრობლემების შესწავლისა შედარებით-ტიპოლოგიური თვალსაზრისით), თ. გამყრელიძე-გ. მაქავარიანის „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ (განხილულია შედარებით-ისტორიული საკითხები სტრუქტურული ანალიზის მეთოდების გამოყენებით. შედარებითი და შინაგანი რეკონსტრუქციის გზით აღდგენილია საერთო-ქართველური ენობრივი სისტემის ძირითადი სტრუქტურული მოდელები მათი დიაქრონიული ტრანსფორმაციები ქართველურ ენათა ფორმირებისა და ისტორიული განვითარების გზების გამოვლენით).

ფონეტიკური პროცესების საკითხს ქართველურ ენებში ეხება გ. კაჭარავას წერილების სერია, გამოქვეყნებული თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის შრომებში.

შედარებით-ისტორიული თვალსაზრისით შესწავლილია ზმნათა გარდამავლობა (ა. შანიძე), სიტყვათწარმოება (ვ. თოფურია), კუთვნილებითი პრეფიქსი „ი“, ზოგიერთი მწკრივი (გ. როგავა), მოთხრობითი ბრუნვა (არნ. ჩიქობავა), ძესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი (არნ. ჩიქობავა) და სხვა. გამყრელიძე-მაქავარიანის წიგნის შესახებ იხ. ზემოთ.

ქართველურ ენათა შედარებით-ისტორიული შესწავლის პლანში ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ივ. ჭავჭავაძის წიგნი „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (1937) და არნ. ჩიქობავას „ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“ (1938).

ქართველურ ენათა მორფოლოგიის საკვანძო პრობლემად აღიარებულ იქნა ე. წ. ერგატიული კონსტრუქცია. გამოკვლეულია ჰველი ქართულის ინდეფინიტური, ერგატიული, ნომინატიური და დატიური კონსტრუქციები. ზმნის ბუნების გარკვევამ დააყენა საკითხი ზმნის მიმართებისა სახელთან. სახელის ფუძის აგებულების განხილვამ ბუნებრივად გამოიწვია დეტერმინანტი სუფიქსებისა და გრამატიკულ კლასთა პრეფიქსების გამოყოფა (არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942; ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში).

##### 5. მწარღია ენა

ქართველი ენათმეცნიერები წარმატებით იკვლევენ მწერალთა ენასა და სტილს.

რუსთაველის ენის საკითხებს მიეძღვნა ბევრი ენათმეცნიერული გამოკვლევა.

ა. შანიძემ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის“, „მნათობის“; „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოაქვეყნა თავისი დაკვირვებები „ვეფხისტყაოსნის“ ენის ცალკეულ საკითხებზე. რუსთაველის საიუბილეო ღღებში მან გამოსცა წიგნი „ვეფხისტყაოსნის საკითხები“.

რუსთაველის ენის შესწავლას ამაგი დასდო ვუკ. ბერიძემ, რომლის გამოკვლევები თავმოყრილია წიგნში „რუსთაველოლოგიური შტუდიები“ (1961).

დიალექტიზმები რუსთაველის ენაში შესწავლილია არნ. ჩიქობავას მიერ („დიალექტიზმების საკითხისათვის ვეფხისტყაოსანში“, 1938). მასვე ეუთვნის

ნაშრომები: „ძველისა და ახალი ქართულის კომპონენტებისათვის ეფეხის-ტყაოსნის ენის მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სტრუქტურაში“ (1966), „პაშტაი სიტყვის მნიშვნელობისათვის ეფეხის-ტყაოსანში“ (1965).

სიტყვაწარმოება „ეფეხისტყაოსანში“ გაანალიზებულია ი. გიგინეიშვილის ბიერ (1944). ფრაზეოლოგია შეისწავლა შ. ლონტმა.

რუსთაველის ენის ცალკეული მხარეები გაშუქებულია სხვადასხვა ავტორის მიერ (ი. გიგინეიშვილი, მ. ალავეძე, ზ. ჭუმბურიძე, ე. დონდუა, ქ. ლომთათიძე, ა. ჰინქარაული, ე. ღანელია, შ. ძიძიგური და სხვა).

გამოქვეყნებულია სტატიები სხვა ქართველ კლასიკოსთა შესახებ, სახელდობრ შესწავლილია გ. მთაწმიდლის, საბა იზბელიანის, დ. გურამიშვილის, ნ. ბარათაშვილის, ა. ჭავჭავაძის, გ. ერისთავის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ა. ყაზბეგის და სხვა მწერალთა ენა (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ნ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი, გ. შალამბერიძე, რ. შამელაშვილი, ზ. ჭუმბურიძე, მ. ალავეძე, დ. გეწაძე, ე. ბაბუნაშვილი, ო. ურიდია, ი. ქავთარაძე, ე. კოშორიძე, შ. ძიძიგური). დიბეჭდა მონოგრაფიები ილიასა და ვაჟას ენის შესახებ (გ. შალამბერიძე, ი. იმნაიშვილი).

#### 6. სალიტერატურო ენის ნორმალიზაცია

ქართული სალიტერატურო ენის ერთიანი და მტკიცე ნორმების დადგენა და ენის სიწმინდის დაცვა ჩვენში სახელმწიფოებრივი ყურადღების საგანია. ლიტერატურული ნორმების უნიფიკაციის საკითხი პირველხარისხოვანი კულტურული მნიშვნელობის საქმედ არის აღიარებული.

1921 წელს გამოვიდა „სალიტერატურო ქართულისათვის. პროექტი ქართული ორთოგრაფიის სადავო საკითხების მოსაწესრიგებლად, შემუშავებული საორგანიზაციო კომისიისა და მიღებული სასწავლო კომიტეტის მიერ (მასალები კონფერენციისათვის)“. პროექტი შეიმუშავა კომისიამ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ა. შანიძე (თავმჯდომარე), ე. კეკელიძე, გ. ახვლედიანი, ვ. ბერიძე და ს. გორგაძე. მონაწილეობდა დ. უზნაძეც.

ამ წიგნში განხილულია პრაქტიკული საკითხები გრაფიკიდან, ფონეტიკიდან, მორფოლოგიიდან, სინტაქსიდან და ლექსიკიდან.

საბჭოთა საქართველოში სალიტერატურო ენის სადავო საკითხების მოსაგვარებლად წარმოებულ მუშაობას გეგმაშეწონილი ხასიათი მიეცა.

1925 წ. დაარსდა ცენტრალური სატერმინოლოგიო კომისია, რომელსაც სალიტერატურო ენის საცილობელი საკითხების მოგვარებაც დაევალა. 1932—1933 წლებში 10 ნაკვეთად გამოიცა ამ კომისიის მასალები.

შემდგომ საქართველოს სსრ განათლების კომიტეტთან ჩამოყალიბდა კომისია, რომელმაც გამოიმუშავა სადავო ნორმების მოწესრიგების პრინციპები და 1936 წ. გამოვიდა კიდევაც წიგნი: „სალიტერატურო ქართულის ნორმები, I“. აქ წარმოდგენილია დადგენილებანი ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, ს. ჯანაშიას, ს. ყაუხჩიშვილის, გ. ახვლედიანის, ს. იორდანიშვილის მიერ წიწვოდებული პროექტების მიხედვით.

ამ დადგენილებათა საფუძველზე დამუშავდა ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი (ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი, პირველი გამოცემა — 1941 წ., ბოლო გამოცემა — 1968 წ.).

1946—1948 წწ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებობდა სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისია (კომისიის



თავმჯდომარე იყო ს. ჯანაშია, მოადგილე ვ. თოფურია. ს. ჯანაშიას გარდაცვალების შემდეგ კომისიას თავმჯდომარეობდა ა. შანიძე).

შემდგომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ხელმძღვანელობით — შეიქმნა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია“ (შედიან ქართული მწერლობის, პრესის მუშაკთა, სამეცნიერო დაწესებულებათა და სხვა შესაბამის ორგანიზაციათა წარმომადგენლები და ენათმეცნიერები).

სახელმწიფო კომისიის მიერ დამტკიცებული ნორმები სავალდებულოდ ითვლება. კომისიის დანიშნულებაა. „გაუწიოს ხელმძღვანელობა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პროცესს იმ მხრივ, რომ ქართული სალიტერატურო ენა სრულად იყენებდეს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პროცესში შექმნილ საგანძურს, იყოს მაქსიმალურად მონოლითური, ჰემმარიტად ხალხური და ჭეროვნად მოემსახუროს ქართველ ხალხს, როგორც სოციალისტური კულტურის წინსვლის იარაღი“.

1963 წლიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება, რომელსაც დავალებული აქვს შეისწავლოს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პროცესში წარმოშობილი სადავო საკითხები და შეიმუშაოს ნორმათა პროექტები ამ საკითხთა მოსაგვარებლად გამგე ი. გიგინეიშვილი).

1970 წ. გამოვიდა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“ (პირველი კრებული), რომელიც მოიცავს ორთოგრაფიისა და მორფოლოგია-სინტაქსის, აგრეთვე უცხო ენებიდან სიტყვათა შეთვისების არაერთ საკითხს (სულ კრებულში წარმოდგენილია 40 სტატია).

გამოცემულია სახელმძღვანელო წიგნები ქართული მართლწერის საკითხებზე (ნ. ბასილაია, გ. შალამბერიძე).

ენის სიწმინდის საკითხებს მიეძღვნა მრავალი სტატია ჩვენს პრესაში (ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ვ. თოფურია, ი. იმნაიშვილი, შ. ძიძიგური და სხვა).

## 7. მთის კავკასიური ენები

მთის კავკასიური ენების შესწავლას ჩვენში ყურადღება მიექცა ჯერ კიდევ თბილისის უნივერსიტეტის პირველ დღეებში.

1924 წელს ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების „წელიწდეულში“ დასმულია საკითხი კავკასიურ ენათა მეცნიერული შესწავლის აუცილებლობაზე (არნ. ჩიქობავა). ამ საპროგრამო-ხასიათის წერილში საყურადღებო დებულებებია წამოყენებული პრინციპული ხასიათისა.

1933 წელს არნ. ჩიქობავას თაოსნობით უნივერსიტეტში შეიქმნა კავკასიურ ენათა კათედრა (გამგე არნ. ჩიქობავა 1960 წლამდე, შემდეგ — გ. როგავა). მალე ფილოლოგიის ფაკულტეტზე კავკასიურ ენათა განყოფილებაც ჩამოყალიბდა. 1936 წ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში შეიქმნა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება, სადაც გაიშალა ნაყოფაერი მუშაობა აფხაზურ-ადიღურ, ნახურ-ქისტურ და დაღესტნურ ენებზე.

დამუშავდა და გამოქვეყნდა ფაქტობრივი მასალის მოპოვებისა და ქართველური ენების მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისით შემდეგი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები: ქ. ლომ-

თათძე, — „აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი“ (1944), „აშხარულ დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის“ (1954). გ. როგავა და ზ. კერაშევა, ადიღური ენის გრამატიკა“ (1966), გ. როგავა „სახელის ფუძის სტრუქტურისა და გრამატიკული კლასების საკითხისათვის ადიღურ (ჩერქეზულ) ენებში“ (1956), არნ. ჩიქობავა და ი. ცერცვაძე, „უნძურ ენა“ (1962), დ. იზნაიშვილი, „დიღური ენა“ (1963), ზ. მაკომეძეკოვა, „ახვაზური ენა“ (1967), ალ. მაკომეტოვი, „კუბაჩური ენა“ (1963), მისივე, „თაბასარანული ენა“ (1966). დარგული ენის კვლევა უმთავრესად დაკავშირებულია მ. გაფრინდაშვილის სახელთან. გ. თოფურია, „ლუზგიური ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები“ (1959), ტ. გუდავა, „ანდიურ ენათა კონსონანტიზმი“ (1964), ნ. ანდლულაძე, „ზმნის უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი გრამატიკულ კლასებთან დაკავშირებით იბერიულ-კავკასიურ ენებში“ (1967), არნ. ჩიქობავა, „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“ (1965) და სხვა. არსებობს მონოგრაფიები უდიდური ენის შესახებ ვლ. ფანჩვიძისა და ე. ჭვირანიშვილისა (იბეკედება). სანუხურის შესახებ — ე. ლომთაძისა. წარმატებით იკვლევენ აფხაზურს აგრეთვე დ. გულიას სახ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში.

ივ. ჭავჭავაძის თაგის წიგნში „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ ასაბუთებს ქართველურ ენათა გენეზისურ კავშირს მთის კავკასიურ ენებთან.

მეცნიერებაში დამკვიდრდა ცნება „იბერიულ-კავკასიური ენებისა“.

„იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის საკითხი ამ ენათა მეცნიერული ისტორიის საკითხია: იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის საკითხი წინა აზრის ძველ ენებთან ურთიერთობის, აგრეთვე სათანადო ენათა მეცნიერული ისტორიის საკითხია“ (არნ. ჩიქობავა).

## 8. აღმოსავლური ენები

თბილისი აღმოსავლურ ენათა შესწავლის ერთ-ერთი ცენტრია. დავაწყობთ თურქოლოგიით.

1945 წელს უნივერსიტეტში დაარსდა თურქოლოგიის კათედრა (გამგე — ს. ჭიქია). წარმატებით იკვლევდა თურქულ და აზერბაიჯანულ ენათა დიალექტოლოგია, სტრუქტურა, თურქულ-ქართველურ ენათა ურთიერთობანი.

შესწავლილია აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის დმანისური კლასი, დადგენილია მისი ადგილი აზერბაიჯანულ დიალექტებს შორის. გამოვლენილია ზოგი ისეთი ენობრივი ფაქტი, რომლებიც მანამდე ცნობილი არ იყო (ე. ჭანგიძე). შესწავლილია აგრეთვე რიზესა და ტრაპეზუნდის თურქული მეტყველების ფონეტიკური სისტემა, დადგენილია ფონეტიკური კანონზომიერებანი და გამოვლენილია ქართველური ლექსიკური ერთეულები, რომლებიც აღმოსავლეთ ანატოლიის ზემოაღმოსავლურ მეტყველებაში იხმარება.

გამოქვეყნებულია შრომები წალკის თურქულენოვან ბერძენთა მეტყველებების შესახებ (ე. გულიაშვილი. ნ. ჭანაშია).

იკვლეოდა მესხეთის თურქულენოვანი ქართველების მეტყველება (ს. ჭიქია). ქართველების მიერ შეთვისებული თურქული მეტყველების შესწავლა

ეურადლებას იპყრობს როგორც თურქულას, ისე სუბსტრატი ენის — ქართულის ისტორიის საკითხების გასარკვევად.

წარმატებით იკვლევა თურქულ ენათა სტრუქტურის საკითხები (ნ. ჯანაშია).

გამოქვეყნდება ნაშრომები თურქულ-ქართველურ ენათა ურთიერთობის საკითხზე, რომლებშიც განხილულია თურქ და ქართველ ხალხთა ისტორიულ-კულტურული კონტაქტებით შეპირობებული თურქულ და ქართველურ ენათა ურთიერთმომქმედების შედეგები (ს. ჯიქია, ვ. ჯახვიძე, ც. აბულაძე, ნ. გურგენიძე, ვ. გულიაშვილი და სხვა).

ქართველი ირანისტების კვლევა-ძიებაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია ქართული და ირანული ენების ლექსიკური ურთიერთობის შესწავლას. შესწავლილია V—XVI საუკუნეთა ქართული ენობრივი ძეგლების ირანული ლექსიკა. დადასტურებულია, რომ ქართულ ენას შემოუნახავს ბევრი ისეთი ფორმა, რომელთა საშუალებითაც ხერხდება ძველ ირანულ ენებში ოდესღაც არსებული ფორმების აღდგენა: შემონახულია აგრეთვე ფალაური და კლასიკური სპარსულის ზოგი სიტყვის ისეთი მნიშვნელობანი, რომლებიც მათ დღეის წინათ დაუკარგავთ და მხოლოდ ქართულის საშუალებით ხერხდება მათი გამოცნობა. ირანულ-ქართული ლექსიკური ურთიერთობის კვლევის დარგში აღსანიშნავია მ. ანდრონიკაძევილის ფუნიდამენტური ნაშრომი.

დაიწერა სპარსული ენის გრამატიკა (იუსტ. აბულაძე). შესწავლილია სპარსული ენის ფონემების სისტემა, სპარსული ბგერები და ფონოლოგიის საკითხები (შ. გაფრინდაშვილი, ჯ. გიუნაშვილი).

ოსური ენის შესწავლის დარგში ფუძემდებლური ნაშრომები გამოაქვეყნა გ. ახვლედიანმა. ეს ნაშრომები თავმოყრილია წიგნში «Словник изречений по осетинскому языку». ოსურის კვლევა წარმატებით მიმდინარეობს სამხრეთ-ოსეთის კვლევით ინსტიტუტში.

საბჭოთა საქართველოში დიდ წარმატებებს მიაღწია სემიტოლოგიამ. კერძოდ — სემიტური ენების შესწავლამ. უნივერსიტეტში არსებობს სემიტოლოგიის კათედრა, რომელსაც ხელმძღვანელობს გ. წერეთელი. გარდა ამისა, სემიტური ენების შესწავლის ცენტრია, — ისევე როგორც სხვა აღმოსავლეთის ენებისა, — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი.

მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული არამესიტიაში მცხეთა-არმაზის არქეოლოგიური გათხრების შემდეგ, როდესაც აღმოჩნდა არმაზული წარწერები. ამ პრობლემას ეხება გ. წერეთლის ფუძემდებლური გამოკვლევა „არმაზის ბილინგვა“, რომელმაც ფართო გამოხმაურება პოვა სამეცნიერო წრეებში.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ორიგინალური არამეული ეპიგრაფიკული ძეგლების ანალიზმა დადასტურა მანამდე უცნობი თავისებური არამეული დამწერლობის არსებობა. იგი მეცნიერებაში შევიდა „არმაზული არამეულის“ სახელწოდებით (გ. წერეთელი). არმაზული ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის შედეგები განზოგადებულია მონივრაფიკებში: „არმაზის ბილინგვა“, „მითრიდატე მეფის ხანის არმაზული წარწერა“, „არმაზული დამწერლობა და ქართული ანბანის წარმოშობის პრობლემა“ (გ. წერეთელი).

არაბისტიკის დარგში კვლევა-ძიების საგანს წარმოადგენს კლასიკური არაბული ენის სტრუქტურა და თანამედროვე არაბული დიალექტები. ქართველ არაბისტთა სახელთან არის დაკავშირებული ჩრდილო-კავკასიური წარმოშო-

ბის არაბულენოვანი ძეგლების შესწავლა (გ. წერეთელი, თ. მარგველაშვილი). შესწავლილია არაბული წარმოშობის ნუმისმატიკური მასალა (გ. წერეთელი). ქართული არაბისტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა შუა აზიის არაბული დიალექტების შესწავლა (გ. წერეთელი). აკად. ე. კრაჩკოვსკის აღიარებით, ამ დიალექტების შესწავლა „მომსწავლებს ერთგვარ გადატრიალებას როგორც არაბულ დიალექტოლოგიაში, კერძოდ, ასევე არაბისტიკაში, საერთოდ“.

ინტენსიური მუშაობა წარმოებს ძველი არაბი ფილოლოგებისა და გრამატიკოსების მემკვიდრეობის შესასწავლად. გამოკვლეულია ალ-ფარისისა და ავიკენას ლინგვისტური ტრაქტატები (ელ. ახვლედიანი, ლ. მამულია).

რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა ძველი ებრაული ენის ისტორიული ფონეტიკისა და მორფოლოგიის საკითხებს (მ. შანიძე, კ. წერეთელი). ქართული ებრაისტიკის კვლევის სავანია ეპიგრაფიკული ებრაული ძეგლები, აღმოჩენილი საქართველოში (გ. წერეთელი, ნ. ბაბალიკაშვილი).

თბილისი ერთი იმ ცენტრთაგანია, სადაც ინტენსიურად იკვლევა არამეული (ასურული) დიალექტები. გამოქვეყნებულია სპეციალური ნაშრომები და გრაზმატიკული მიმოხილვა (კ. წერეთელი).

ინტენსიური კვლევა-ძიება წარმოებს სემიტურ ენათა შედარებითი შესწავლის თვალსაზრისით. ამ კვლევის შედეგები განზოგადებულია მონოგრაფიებში: „სქესისა და რიცხვის წარმოება სემიტურ ენებში“, „ბრუნების სისტემა სემიტურ ენებში“ და სხვა (ა. ლეკიაშვილი). ქართულ-სემიტური ენების ლექსიკურ კონტაქტებს ეხება გ. წერეთლის ნაშრომი „სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის“.

შესწავლილია საქართველოს მუზეუმში დაცული ურარტული ძეგლები. „სამაგიდო წიგნი“ (აკად. ი. მეშხინინოვი) — გ. წერეთლის მონოგრაფია „საქართველოს მუზეუმის ურარტული ძეგლები“ (1739) შეიცავს ძეგლთა პუბლიკაციას და გამოკვლევას ურარტული ენის სტრუქტურის საკითხთა შესახებ.

სავანებოდ იქნა შესწავლილი ურარტული ენის ზმნის სტრუქტურისა და უღვლილების სისტემის საკითხები. რის შედეგადაც ამ პრობლემამ ახლებური გაშუქება პოვა (გ. წერეთელი). გამოიცა აგრეთვე ურარტული ენის ლექსიკონი (ე. გვახარია).

მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული ხეთოლოგიაში. ახლებურადაა გაშუქებული ინდოევროპულ ენათა ისტორიის კარდინალური პრობლემა ლარინგალური თეორიის შესახებ (თ. გამყრელიძე).

შედგენილია ქრესტომათიები, ლექსიკონები, გრამატიკები: არაბულში (გ. წერეთელი, ა. ლეკიაშვილი), თანამედროვე ასურულ ენაში (კ. წერეთელი). ებრაულში (გ. წერეთელი), სპარსულში (დ. კობაძე). მათ იყენებენ ევროპის უნივერსიტეტებშიც.

მნიშვნელოვანი შედეგებია მოპოვებული არმენოლოგიის დარგში.

ჯერ კიდევ ახლად გახსნილ ქართულ უნივერსიტეტში ძველსომხურში ლექციების კურსის კითხვა დაიწყო ა. შანიძემ და მანვე აღზარდა ქართველი არმენისტები. თანდათანობით გაიზარდა სავნების რიცხვი და იკითხებოდა სომხური დიალექტოლოგია, სომხური ენის შესწავლის ისტორია, სომხური ენის შესავალი, ახალი სომხური და სხვა. 1922 წელს უნივერსიტეტში დაარსდა სომხური ენისა და ლიტერატურის კათედრა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ლ. მელექსეთ-ბეგი. იგი კითხულობდა სომხურ ენასა და სხვა არმენოლოგიურ დისციპლინებს.

ამჟამად უნივერსიტეტის არმენოლოგიის კათედრას განაგებს ივ. შილაკაძე. არმენოლოგიის კათედრის საკვლევადიებო მუშაობის ძირითადი პრობლემა თავიდანვე ქართულ-სომხური ისტორიულ-კულტურული და ენობრივი ურთიერთობაა.

ქართულ-სომხური ენობრივი ურთიერთობის საკითხების გარკვევას სპეციალური ნაშრომები მიუძღვნა ა. შანიძემ («Новый труд по армянской диалектологии», «Новый взгляд на природу спряжения новоармянского глагола» და სხვა). ა. შანიძე, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის ალბანოლოგიის შექმნაში, თავის ალბანოლოგიურ შტუდიებში დიდ ადგილს უთმობს სომხური ენათმეცნიერების მონაპოვარს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ილ. აბულაძის დეაწლო. მის მრავალრიცხოვან გამოკვლევებაში მოცემულია სომხურ-ქართული ენობრივი კონტაქტების ანალიზი. კაპიტალურ ნაშრომში «ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობანი» გაანალიზებულია სომხურიდან ნათარგმნი ძეგლების ლექსიკური თავისებურებანი.

სომხურ-ქართლის ურთიერთობის პრობლემებზე ნაყოფიერად მუშაობს ივ. შილაკაძე. მას აინტერესებს უფრო ამ ენების სტრუქტურული მსგავსებისა და განსხვავების დადგენა. ნაშრომებში „ზმნის მწკრივები სომხურ ენაში“, „ასპექტის კატეგორია სომხურში“, „ახალი სომხური ენის უღლების კატეგორიები“ ავტორი ცდილობს ა. შანიძის მწკრივის თეორიაზე დაყრდნობით შესწავლოს ახალი სომხური ენის ზმნის სტრუქტურა. ი. შილაკაძემ გამოაქვეყნა ძველი სომხური ენის გრამატიკა.

არმენოლოგიის დარგში დამსახურებისათვის ა. შანიძეს 1967 წ. მიანიჭეს სომხეთის სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

## 9. ინდოევროპული ენები

ინდოევროპული ენების შესწავლას ჩვენში საფუძველი ჩაუყარა გ. ახვლედიანმა. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა ახალი კარდები და დაიწერა მრავალი დისერტაცია.

იმთავითვე საკვლევადიებო მუშაობა წარიმართა ინდოევროპულ ენათა და ქართული ენის შეპირისპირებითი ანალიზის გზით. ამ ასპექტში მომზადდა არა ერთი და ორი სადისერტაციო ნაშრომი.

ამ თვალსაზრისით შეისწავლეს: რ. გაჩეჩილაძემ — კონტაქტის გამოხატვის საშუალებანი თანამედროვე ინგლისურ ენაში, ვ. ფურცელაძემ — სახელადი შემასმენელი თანამედროვე გერმანულ ენაში და მისი ეკვივალენტები ქართულში, ლ. გორგაძემ — შედგენილი სახელადი შემასმენელი თანამედროვე ინგლისურ ენაში და მისი ეკვივალენტები ქართულში, ლ. შადურმა — ფრანგულ და ქართულ ენებში დროის გარემოების გამოხატვა, გ. მუსხელიშვილმა — რთული სიტყვები ინგლისურ და ქართულ ენებში, გ. კანდელაკმა — მოდალური ზმნები ფრანგულში, თ. ზანდუკელმა — ქართული ენის მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ეკვივალენტები ინგლისურში, ა. ლაშქარაძემ — უკუქცევითი ზმნები გერმანულში, ე. ხუხუნომ — ზმნების გარდამავლობა და ვარდაუვალობა, კაუზატივი და სხვა კატეგორიები ფრანგულში ქართულთან შედარებით, ლ. გამსახურდიამ — ქართული და ინგლისური ენების ფონემები,

ქ. კანდელაკმა — ინგლისური მეტაფორული იდიომები და მათი ქართული ეკვივალენტები და სხვა.

ფუნქციური თვალსაზრისით განალიზებულია გერმანულ-ფრანგულ-ინგლისურის დროთა სისტემები, დადგენილია მათი სინტაქსური დონის კონსტრუქციათა ნიშნადობა, შესწავლილია კონვერსია როგორც სიტყვაწარმოების გრამატიკული საშუალება და სხვა. განხილულია აგრეთვე ენა როგორც პოეტური შესაძლებლობათა შემკველი სტატიკური სისტემა და ამ შესაძლებლობათა აქტუალიზაციის საშუალებანი მეტყველების წარმოშობის პროცესში. ენის — როგორც მეტყველების წარმოშობი მექანიზმის — პრინციპები და კანონზომიერებანი (მ. იანქოშვილი, ლ. გოგსაძე, ც. მათურელი, ნ. კემელაეა). მ. იანქოშვილი იკვლევს სინტაქსური დონის კონსტრუქტების აქტუალიზაციის პრობლემას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ მიზნით შეისწავლა მან ამერიკელი დესკრიპცივისტების შეხედულებანი და ნაიდას კონსტრუქციული ანალიზი.

გარკვეული შედეგებია მიღებული ფონეტიკის თეორიისა და ექსპერიმენტული ფონეტიკის დარგში (ლ. გამსახურდია, რ. მეგრელიშვილი, თ. ბაქრაძე, ი. ჯღენტო).

შეიქმნა „ფრანგული ენის სწავლების მეთოდის საფუძვლები“ (ი. კვაჭაძე). დაშუშავებულია ინგლისური ენის მეთოდის საკითხები (ი. გვარჯალაძე, თ. თუმბალიშვილი), ფრანგული ენის წინდებულთა სისტემის ათვისების მეთოდია (გ. მეგრელიძე), გერმანული გრამატიკის სწავლების რაციონალური გზები (თ. ქაჩაია), ქართულ სკოლაში გერმანული არსებითი სახელის სწავლების ფორმები (თ. სესიაშვილი). დამუშავდა ცალკეული საკითხები უცხოური ენების სწავლების ისტორიიდან (მ. გომართელი) და სხვა.

დაიწერა სახელმძღვანელოები (გ. ახვლედიანი, ნ. ქადაგიძე, ი. გვარჯალაძე, პ. იაშვილი და სხვა).

ს ლ ა ვ უ რ ი ე ნ ა თ მ ე ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს განვითარებას საქართველოში საფუძვლი ჩაუყარა გ. ახვლედიანმა.

1930 წელს უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრა, რომელსაც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ გ. ახვლედიანი, ს. დანელია და დ. მგელაძე. ამჟამად რუსული ენის № 1 კათედრის გამგეა დ. მგელაძე, № 2-ისა — თ. მრეელიშვილი. გ. ახვლედიანის, ს. ვაჩნაძისა და დ. მგელაძის მეკადინეობით გაიხსნა ასპირანტურა, რომელიც დღემდე ამზადებს რუსული ენის მკვლევართ.

ინტენსიური მეცნიერულ-მეთოდოლოგიური მუშაობა წარმოებს თბილისის ა. ჰუშინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენის კათედრაში.

ქართული რუსისტიკა გაამდიდრა მ. კანკავას სპეციალურმა ნაშრომებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ფუნდამენტური წიგნი „Древнъ как лексиконградъ“. აქვე აღსანიშნავია მისი მოკლე „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ და „ქართულ-რუსული ლექსიკონი“.

დიდი როლი შეასრულა საშუალო სკოლაში რუსული ენის სწავლების საქმეში დ. მგელაძისა და ვ. კანდელაკის მიერ 1932 წ. გამოქვეყნებულმა რუსული ენის გრამატიკის სახელმძღვანელომ. ამჟამად საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების არარუსული ჯგუფების სტუდენტთათვის განკუთვნილია თ. მგელაძის «Книга для чтения по русскому языку».

დ. მგელაძე ავტორია მრავალი ათეული შრომისა. აღსანიშნავია ნ. კოლესნიკოვის თანაავტორობით გამოსული მისი წიგნი „Слова топонимического происхождения (топонимы) в русском языке“.

ქართულ სკოლებში რუსული ენის სწავლების დარგში დიდი დამსახურება მიუძღვის ს. ვაჩნაძეს. ცნობილი მეთოდისტის ს. ფურცელაძის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ფუძემდებლური ნაშრომი.

რუსული ენათმეცნიერების ცალკეულ პრობლემებს მიეძღვნება მრავალი საინტერესო ნაშრომი, კერძოდ — ეტიმოლოგიის საკითხებს (დ. მგელაძე), ფონეტიკური სისტემის ანალიზს (ს. ვაჩნაძე, თ. ბელინსკაია), სინტაქსურ კონსტრუქციებს (დ. მგელაძე, თ. მრეველშვილი, ლ. ხატიაშვილი, დ. ჰანტურიშვილი, გ. გოლეთიანი, ნ. ებანოიძე), მხატვრული ენის თავისებურებებს (თ. მრეველშვილი, ვ. ჟიდკო, ა. ხიდგული, ნ. კოლესნიკოვი, მ. ჩნიკვაძე, ნ. ებანოიძე, ქ. გორგაძე), ფრაზეოლოგიის საკითხებს (ვ. ქედია), დემონიმიზაციის საკითხებს (ნ. კოლესნიკოვი), რუსული ენის ისტორიისა და სიტყვა-წარმოების საკითხებს (ე. კრემერი).

ა. ხიდგული, ვ. ჟიდკო და მ. მულეჩანინა წარმატებულ იკვლევენ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები რუსების მეტყველებას.

გ. ახვლედიანმა, ს. ფურცელაძემ, ს. ვაჩნაძემ, დ. მგელაძემ მნიშვნელოვანი ნაშრომები მიუძღვნეს რუსულ-ქართული ენების შეპირისპირებითს შესწავლას. ამ ბოლო დროს გამოვიდა გ. გოლეთიანის ვრცელი ნაშრომი „Сопоставительная грамматика русского и грузинского языков“. მნიშვნელოვანი ნაშრომებია გამოაქვეყნა დ. ჰანტურიშვილმა. დაიბეჭდა მონოგრაფიები: „Виды сложно-подчиненного предложения в языке Н. В. Гоголя“ (თ. მრეველშვილი), „Чередования в современном русском литературном языке“ (თ. ბელინსკაია), „Происхождение связи в русском языке“ (ლ. ხატიაშვილი) და სხვა.

გამოქვეყნებულია სახელმძღვანელოები და ქრესტომათიები (გ. გოლეთიანი, ნ. კოლესნიკოვი, ი. ცერცვაძე, გ. წიბახაშვილი). აღსანიშნავია გ. გოლეთიანის, ი. ცერცვაძისა და გ. წიბახაშვილის „Грамматика русского языка, ч. I. Фонетика, Морфология“ და გ. გოლეთიანის „Грамматика русского языка, ч. II, Синтаксис“.

#### 10. ზოგადი ენათმეცნიერება

1916—1919 წწ. გამოქვეყნდა უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის გამგის გ. ახვლედიანის „ენათმეცნიერებას შესავალი“ (სამ ნაკვეთად), რომელმაც სათავე დაუდო ჩვენში ენათმეცნიერების ზოგადი საკითხების კვლევა-ძიებას და ახალი კადრების მომზადებას ამ დარგში.

ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემათიკის გაგებისა და მისი დამუშავების მეთოდოლოგიის თვალსაზრისით დიდად მნიშვნელოვანია 1924 წელს „წელიწადულში“ გამოქვეყნებული „წინასიტყვაობა“ და „ზოგადი თვალსაზრისისათვის“ (არნ. ჩიქობავა). აქ ახლებურად არის დასმული ლინგვისტიკის მეთოდების ხასიათი, გარკვეულია საკვლევი სინამდვილის თავისებურებებთან დაკავშირებით მისი ამოცანები და მეცნიერების სხვა დარგებთან მიმართების საკითხები.

ლოგიკურისა და გრამატიკულის ცნებათა ურთიერთობის ანალიზი იმავე ავტორის მიერ მოცემულია ერთი კონკრეტული ენობრივი მოვლენის საფუძველზე („ყუ ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით“).

არნ. ჩიქობავას სადოქტორო დისერტაციაში („მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I“, 1928) მოცემულია კრიტიკული დაფასება ლოგიციზმის, ფსიქოლოგიზმისა და ფორმალიზმისა ენათმეცნიერებაში და დასაბუთებულია ლინგვისტური კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპები.

შეიქმნა ენათმეცნიერების პროპედევტიკასა და ზოგად ენათმეცნიერებაში ორიგინალური სახელმძღვანელოები, რომელთა ავტორია არნ. ჩიქობავა. „ზოგადი ენათმეცნიერების“ II ნაწილში დახასიათებულია მთავარი მიმდინარეობანი ენათმეცნიერებაში და მოცემულია მათი კრატეკული შეფასება.

ლინგვისტური მეთოდების სპეციალური ანალიზია მოცემული იმავე ავტორის შრომაში „გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები“.

არნ. ჩიქობავას ნაშრომებმა ხელი შეუწყვეს საქართველოში ენის თეორიის პრობლემების მკვიდრ ნიადაგზე დაყენების საქმეს.

ზოგადი ენათმეცნიერების თეორიულ პრობლემებს მიეძღვნება თ. შარაძენიძის ნაშრომები, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ ფუნდამენტური წიგნი „ენათა კლასიფიკაციის პრინციპები“ (1959), რომელიც წარმოადგენს პრობლემის გადაწყვეტის მნიშვნელოვან ცდას.

ენათა ნათესაობის პრობლემას მიეძღვნება გ. წერეთლის ნაშრომი («О языковом родстве и языковых союзах»), რომელშიც წამოყენებულია ახალი იდეები.

გ. ახვლედიანის „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლებში“ დასმული და გადაკრილია ზოგადი ფონეტიკისა და ფონოლოგიის აქტუალური საკითხები.

სინქრონიული და დიაქრონიული ლინგვისტიკის ურთიერთმიმართების საკითხი გაშუქებულია არნ. ჩიქობავას შრომებსა და თ. შარაძენიძის გამოკვლევაში „ისტორიული (დიაქრონიული) და სტატეკური (სინქრონიული) ენათმეცნიერებაში“. ამავე პრობლემას მიეძღვნა ვლ. ფანჩვიძის შრომა „ფ. დე სოსიურის მოძღვრება სინქრონიული და დიაქრონიული ლინგვისტიკის შესახებ“. ამავე ავტორს ეკუთვნის შრომა ფ. ენგელსის ენათმეცნიერული ნააზრების შესახებ.

გ. ახვლედიანის გამოკვლევაში „შენიშვნები ენის, როგორც სამეტყველო მოქმედების, საშემეცნებო ფუნქციის შესახებ“ ჰუმბოლდტის თეორიის შუქზე განხილულია ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართებას საკითხი.

ამავე პრობლემაზე მუშაობს გ. რამიშვილი, რომელმაც. გარდა საკვალეფიკაციო შრომისა, რამდენიმე სტატია გამოაქვეყნა ქართულ და მოსკოვურ სამეცნიერო გამოცემებში. მანვე ენის შინაფორმის პრობლემას მიუძღვნა სადოქტორო დისერტაცია, რომელიც წარმატებით იქნა დატული იენის ფრ. შილერის სახ. უნივერსიტეტში 1970 წ.

ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით საგულისხმოა ა. შანიძის გრამატიკული კონცეფცია, რომელიც განხილულია გ. მაჭავარიანის წერილში „ა. შანიძის გრამატიკული კონცეფციის ზოგიერთი საკითხი სტრუქტურული ლინგვისტიკის თვალსაზრისით“.



ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს თ. გამყრელიძისა და გ. მაქავარიანის წიგნი „სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“, რომელმაც სპეციალისტთა შორის ფართო გამოხმაურება პოვა.

ჩვენში შეისწავლება მათემატიკური ლინგვისტიკის საკითხებიც. 1961 წლიდან უნივერსიტეტში შეიქმნა სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის კათედრა, რომელსაც ხელმძღვანელობს თ. გამყრელიძე.

დაიწერა ნაშრომი „ვ. ი. ლენინი და ენათმეცნიერების საკითხები“ (რ. შაბელაშვილი).

#### 11. ზოგადი და ენათმეცნიერებულ ფონეტიკა

თბილისის უნივერსიტეტში იმთავითვე საფუძველი ჩაეყარა ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკის განვითარებას. შეიქმნა საუნივერსიტეტო ჯურსი და დაარსდა ექსპერიმენტული ფონეტიკის კაბინეტი და ლაბორატორია.

უნივერსიტეტის მოამბის პირველსავე ტომში (1919) გამოქვეყნდა როს. ყიფშიძის გამოკვლევა „ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში“, სადაც დიალექტებისა და სალიტერატურო ენის მასალებზე დადგენილია ამ ფონეტიკური მოვლენის კანონზომიერება.

1930 წ. გ. ახვლედიანმა დაადგინა აბრუპტივების არსებობის ფაქტი ქართულში და განსაზღვრა მათი არტიკულაციური თავისებურებანი. მანვე მოგვცა რბერიულ-კავკასიურ ენათათვის სპეციფიკურ თანხმოვანთა არტიკულაციურ და აქუსტიკურ თავისებურებათა დახასიათება.

ა. შანიძემ გაარკვია ხმოვანთა რედუქციის ბუნება და დაადგინა მისი გამოწვევი მიზეზები („წელიწადის ეტიმოლოგიასათვის“, 1923—24). ვ. თოფურიაშვილმა ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა რედუქციის პრობლემას ქართველურ ენებში.

ნაშრომში „მახვილის საკითხისათვის ქართველურ ენებში“ არნ. ჩიქობავამ მნიშვნელოვანი შედეგები მიიღო; გაიჩვენა არა მხოლოდ სიტყვის მახვილის ადგილი და ბუნება ძველ ქართულში, არამედ დადგენილია მისი როლიც ხმოვანთა რედუქციისა და ფუძეთა ისტორიაში. თანხმოვანთა შეერთების დადგენის პირველ ცდას ვხედავთ ვ. თოფურიას სტატიების სერიაში: „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში“.

გ. ახვლედიანმა გამოყო დეცესიური თანამიმდევრობების პარაზიულ ხშულთა და ხშულებისა და ნაპარალოვნების ორი სისტემა, დაადგინა დეცესიური თანამიმდევრობის ბუნებრიობა და ამასთან განსაზღვრა ენისათვის აქცესიური თანამიმდევრობის გადალახვის თითქმის ყველა ძირითადი ტიპი. ყელხშულ თანხმოვანთა არტიკულაციურ და აქუსტიკურ თავისებურებათა გათვალისწინებამ საშუალება მისცა გ. ახვლედიანს წარმოედგინა ქართული ენის პომორგანულ ხშულთა სამწვეროვანი, ხოლო ნაპარალოვანთა ორწვეროვანი კლასიფიკაცია.

გ. ახვლედიანის კვლევის შედეგები ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკის დარგში განზოგადებულაა ზოგადი ფონეტიკის ლექციების „ლათოგრაფიულ გამოცემაში“ (1930), ხოლო 1938 წ. გამოვიდა „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები“. ქართული და ზოგადი ფონეტიკის შესწავლის ახალი მიღწევის მაჩვენებელი იყო „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“ (1949). აქ დადგენილია ბევრი ფონეტიკური კანონზომიერება, გამოქვეყნებულია ექს-

პერიმენტული კვლევის მონაცემები. „ზოგადი ფონეტიკის შესავალში“ (1956) ზოგადი ფონეტიკის ძირითადი პრობლემების დიდი წილი დასმულია იბერიულ-კავკასიური ენების მასალაზე. გ. ახვლედიანმა შემოიღო და დაამკვიდრა რამდენიმე ახალი ფონეტიკური ტერმინი (ქართული და უცხოური).

ქართული ენის ბგერათა ექსპერიმენტული მეთოდებით შესწავლას მიჰქცნა ს. ელენტიის ნაშრომები (მიღებული შედეგები განზოგადებულია წიგნებში: „ქართული ენის ფონეტიკა“, 1956, „ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა“, 1960 და სხვა). მანვე გამოიკვლია ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა.

შესწავლილია ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საფუძველები (შ. ძიძიგური).

ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევის შედეგებია მიღებული აგრეთვე გ. დოლოძის, შ. შათირიშვილის, ლ. გამსახურდაას, ა. აღზაზიშვილის, ნ. ქუთელიას, თ. აბზიანიძის, თ. ციბაძის, თ. ბაქრაძის, ი. ელენტიის დისერტაციებში. შესწავლილია ქართული სასცენო მეტყველების ფონეტიკური საფუძველები (მ. მრველიშვილი).

გ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით საქართველოში ჩაისახა და განვითარდა ლოგოპედია: შეიქმნა ლოგოპედიური ლაბორატორია-ბაზები, მომზადდა სათანადო სპეციალისტები და გაიშალა თეორიული და პრაქტიკული მუშაობა ამ დარგში.

## 12. სახელმძღვანელოები, მეთოდოლოგიური ნაშრომები

ჩვენს უმაღლეს სკოლას აქვს ა. შანიძის ქართული ენის გრამატიკა, რომელშიც განზოგადებულია ავტორის მრავალწლიური კვლევა-ძიებების შედეგები (პირველი გამოცემა განხორციელდა 1930 წ., ხოლო 1953 წ. დაიბეჭდა „ქართული გრამატიკის საფუძველები“). აღსანიშნავია აგრეთვე ვ. თოფურიას ქართული ენის განაკვეთები (1932, 1933). სინტაქსის საკითხები დალაგებულია ლ. კვაჭაძის წიგნში „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“ (1966). ფონეტიკის სფეროში მოგვეპოვება გ. ახვლედიანის წიგნები („ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები“, 1938; „ზოგადი ფონეტიკა“, 1949; „ზოგადი ფონეტიკის შესავალი“, 1966). ენათმეცნიერების დარგში უმაღლესი სკოლისათვის განკუთვნილია არნ. ჩიქობავას სახელმძღვანელოები („ზოგადი ენათმეცნიერება. I. პროპედეტიკული ნაწილი“, 1935; II --- 1945).

1939 წლიდან გამოდის ა. შანიძის სასკოლო გრამატიკა (1964 წლიდან — ი. იმნაიშვილისა და ლ. კვაჭაძის თანავტორობით).

პედაგოგიური ტექნიკუმებისათვის დაიწერა ლ. კვაჭაძისა და შ. ძიძიგურის სახელმძღვანელოები ქართულ ენაში. დაბალ კლასებში იხმარება ვალ. რამიშვილის გრამატიკის სახელმძღვანელო.

სასკოლო მიზნებს ემსახურება არნ. ჩიქობავასა და ვ. თოფურიას წერილები. გამოქვეყნებული პედაგოგიურ ორგანოებში.

ქართული ენის მეთოდოლოგიის დარგში არსებობს მ. თალაკვაძის, ვალ. რამიშვილის, ლ. კვაჭაძის, შ. კეკელიას, გ. გაბედავას, მ. ჩინჩალაძისა და სხვათა ნაშრომები.

ლიანა ქნელაძე

მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრი საყელო“

(გამოცემიდან გამოცემაზე)

მწერლის შემოქმედებით პროცესის შესწავლისათვის ამოსავალს მისი ნაწარმოებების ხელნაწერები წარმოადგენს. ხელნაწერზე დაკვირვებისას თვალნათლად მოჩანს სირთულე და ევოლუცია მწერლის აზროვნებისა — მხატვრული ხერხებისა თუ ცალკეული დეტალის, ფაქტობრივი, ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალის შერჩევა, ენობრივ-სტილისტური დახვეწა, რაც ესოდენ აუცილებელია მწერლის ჩანაფიქრის ადეკვატური მხატვრული სახის შესაქმნელად, ნაწარმოებში მხატვრული სიმართლის მისაღწევად. მაგრამ შემოქმედება ყოველთვის არ სრულდება ხელნაწერის დამთავრებასთან და თუნდაც მის დასტამბევასთან ერთად. შემოქმედება ხშირად გრძელდება ნაწარმოების გამოცემიდან ყოველ ახალ გამოცემაზე. „არსენა მარაბდელი“<sup>1</sup> დასრულების შემდეგ მ. ჯავახიშვილი წერდა: „დღიანთა და თარგმანიც თოთხშეტ-თხუთმეტი თვის წინათ დავასრულე და მაინც ვერ ვისვენებ. შემოქმედება თავისთავად გრძელდება. იგი თანდათან ნელდება, მაგრამ ჯერ არ გათავებულა... ამ მხრივ ხელოვანი იმ ბერძნულ მითითურ არსებას ჰგავს, რომელმაც გრიგალი გამოიწვია და ვეღარ დააწყენარა“<sup>2</sup>.

1926 წელს ეურნალ „მნათობის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა მ. ჯავახიშვილის მოთხრობა „თეთრი საყელო“. მოთხრობის თემა — ცივილიზაციისა და პრიმიტივის დაპირისპირება — მწერლის ყურადღების საგანი გახდა მისი თანამედროვე ცხოვრების ერთი კონკრეტული (თუმცა არატიპური) ფაქტის გამო: ინტელიგენტთა ერთმა ჯგუფმა მიატოვა ქალაქი და მთას მიაშურა. ისინი მ. ჯავახიშვილსაც მოუწოდებდნენ ქალაქიდან, ცივილიზაციიდან განდგომას<sup>3</sup>. ამ ფაქტმა მწერალს მისი ახსნის ამოცანაც დაუყარა, რასაც იგი შეეცადა თავისი დროის სოციალურ-პოლიტიკური ძვრების გათვალისწინებით.

„თეთრი საყელო“ მწერლის სიცოცხლეში სამჯერ გამოიცა. ამ გამოცემებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მწერალი გამოცემიდან გამოცემაზე უბრალო სარედაქციო სამუშაოს კი არ ასრულებს, არამედ ფაქტიურად განაგრძობს რთულსა და საინტერესო შემოქმედებითს პროცესს, ნაწარმოების იდეურ-მხატვრული სრულყოფის მიზნით.

პირველ გამოცემაში ახალგაზრდა ინჟინერი ელიზბარი ტოვებს ქალაქს და სპილენძის მადნის ძებნის საბაბით მთაში მიემგზავრება. აქ იგი მოულოდნე-

1 მ. ჯავახიშვილი, როგორ ვემუშავ. თბ., ტ. VI, 1964, გვ. 399.

2 იხ. მ. ჯავახიშვილისა და ვალია ბახტაძის მიმოწერა „თეთრი საყელოს“ ირგვლივ, „მნათობი“, 1934, № 11—12, გვ. 203.

ლად ხედება ძველ მეგობარს მთიელ ჭურხას, რომელსაც ცივილიზაციის ყველა სიკეთე უგემნია და ბოლოს მაინც მთას, ჰიწას დაჰბრუნებია. ჭურხა ადვილად დაიყოლიებს მეგობარს და დატოვებს მთაში. ელიზბარი ახალ ცხოვრებას იწყებს. ჭერ ფიზიკურად იწრთობა, კაჟდება, კლავს კაცს ორთაბრძოლაში, იბრუნებს დაკარგულ რწმენას, იმსახურებს მთის ლალი შვილის — ხათუთას სიყვარულს და სწორედ ამ დროს დააეჭვებს თავისი გადაწყვეტილების (ქალაქიდან განდგომა) სისწორე. უფრო სწორად, მას სწყინდება ეს ეგზოტიკური გარემო, უმოქმედობა. „თეთრი საყულო“ ეძახის. ეს ძახილი იმდენად ძლიერია, რომ ელიზბარი სრულიად უმტკივნეულოდ ტოვებს იდეალურ, „მეფურ“ ცხოვრებას და ცოლ-შვილით უბრუნდება ქალაქს. უბრუნდება იმ რწმენით, რომ „ჩიშისა და ქართველობის შენახვა“ ცივილიზაციის პირობებშიც შესაძლებელია, მაგრამ ამისათვის საჭიროა ბრძოლა. „ბრძოლის ველი კი ქალაქშია და ომსაც იქ მოვიგებთ ან დავმარცხდებით“<sup>3</sup>.

როგორც ვხედავთ, ცივილიზაციისა და პრიმიტიული ყოფის დაპირისპირებისას მწერალი უპირატესობას ქალაქს ანიჭებს. მისი იდეური მიზანდასახულობა სავესებით ნათელია. მაგრამ თვითონ მ. ჭავჭავიძე ვერ დააკმაყოფილა ამ მოთხოვნის პირველმა გამოცემამ. აქ ფართოდ და იდეალურადაა წარმოდგენილი მთა, მთიელები, მაგრამ სრულიად არაფერია ნათქვამი ქალაქზე. არაა ნაჩვენები ელიზბარის ცხოვრება ქალაქში. რატომ „აბურთავე და ვამოვიგნა“ იგი ცხოვრებამ, მისი სოციალური წარმოშობა და ა. შ. ნაწარმოების გმირი ვერ გადმოგვეცემს დამაჭერებლად მწერლის ჩანაფიქრს. მისი მტკიცე გადაწყვეტილებანი მიატოვოს ჭერ ქალაქი. შემდეგ იდეალური ცხოვრება მთაში უფრო ინდივიდუალისტის ქირვეულობას წააგავს. ვიდრე ცხოვრების მიერ „ნაბურთალი“, არსებულ ყოფასთან შექიდებული ადამიანის ქცევას. ამიტომ, ნაწარმოების პროგრესული იდეა ლიტონ სიტყვად გაისმის მოთხოვნის ფინალში.

იმავე 1926 წელს მ. ჭავჭავიძე იღმა „თეთრი საყულო“ ცალკე წიგნად გამოსცა გადამუშავებული სახით. ახალ გამოცემაში მწერალმა ფართოდ ასახა ელიზბარის დროინდელი ქალაქი, განსაკუთრებით მისი უარყოფითი მხარეები. აქ მკაფიოდ გამოჩნდა მწერლის შემოქმედებითი ხერხი — „ზომიერა მხატვრული გადაჭარბება“, მოვლენების თვითნებური, მიზანდასახული გაშუქება. ამ გამოცემაში ელიზბარი გამოყვანილია უნებისყოფო ადამიანად, რომელსაც ჰყავს ყოვლად აუტანელი ცოლი, „ენაპრელი“, ქარაფშუტა ცუცქია. არა მარტო ხევისთავი, იმავე ეპოქის მკვიდრი, ან თუნდაც ეკა, სოფიო, პატარა დედაკაცი და სხვა რომელიმე სიმპათიური მანდილოლანის მ. ჭავჭავიძელის მიერ დასატულ ქალთაგან, არამედ სწორედ ცუცქია — ზერეღე „პოლიტკოდნით“ თავგამორტენილი, ენად გაკრეფილი დედაკაცი. ამ ქალმა საბოლოოდ დააძაბუნა ისედაც „ნაბურთალი“ ელიზბარი და იგი სწორედ აუტანელი ოჯახური პირობებისა და არა სპილენძის აღმოჩენის სურვილის გამო მიემგზავრება მთაში. ელიზბარის ოჯახური პირობები, კერძოდ კი ცუცქიას ტიპი. განპირობებულია მაშინდელი ქალაქის, ცივილიზაციის უარყოფითი გავლენით. მწერალი ცდილობს, რაც შეიძლება მუქ ფერებში წარმოგვიდგინოს ნაწარმოების გმირის გარემო, რათა შემდგომ ქალაქში მისი დაბრუნება ცივილიზაციის აუცილებლობით, გამარჯვებით აიხსნას. ახალ გამოცემაში მ. ჭავჭავიძე იღმა, ცუცქიას გარდა, მთელი გალერეა დახატა უარყოფითი ტიპებისა. იგი მიუთითებს, რომ

<sup>3</sup> მ. ჭავჭავიძე იღ. „თეთრი საყულო“, ე. „მნათობი“, 1926, № 1.

ქალაქი საესეა ამგვარი ადამიანებით, რომელთაც გადაგვარებისაკენ მიჰყავთ ქართველი ერი.

მეორე გამოცემაში, როგორც ვხედავთ, ფართოდაა წარმოდგენილი ქალაქური ყოფა, განსაკუთრებით მისი უარყოფითი მხარეები, რაც უპირისპირდება მთის იდეალურ ცხოვრებას. მწერალი ხაზგასმით გვიჩვენებს იმ გათიშვას, რომელიც ამ ორ ცხოვრებას შორის არსებობს, და მის უარყოფით გავლენას ორივე მხარისათვის. ელიზბარის დაბრუნება ქალაქში მარტო ცივილიზაციის გამარჯვებას კი არ მიუთითებს, არამედ ამ ორი გათიშული სამყაროს დაკავშირების იდეასაც ქადაგებს. ახლა რომანის ფინალი სავსებით დამაჭერებელი და რეალურია. კომპოზიციურმა გართულებამ ნაწარმოების მთავარი გმირი უფრო დინამიკური გახადა, მისი მოქმედებაც უფრო დასაბუთებული ჩანს.

მესამე, 1934 წლის გამოცემაში მწერალმა გმირის ქალაქიდან გაქცევას პოლიტიკური სარჩულიც დაუდო. მთისა და ქალაქის დაპირისპირება ფაქტიურად საბჭოთა წყობილებისა და ძველი ცხოვრების კონფლიქტის გამოხატულებად იქცა. ნაწარმოებში ასახული დროისათვის, საქართველოში, ცხადია, საბჭოთა ხელისუფლებაა დამყარებული, მაგრამ შალაღმთიან, მიუვალ რაიონებში, კერძოდ კი ხევსურეთში, ჯერ კიდევ მამაპაპური ადათ-წესების ხელშეუხებელი კულტია ვაბატონებული. ამიტომ თუ მწერალმა ადრეულ გამოცემებში ელიზბარის განდგომას ცივილიზაციის უარყოფითი შედეგებისადმი პროტესტი დაუდო მიზეზად, ახლა საგრძნობი გახდა, რომ ამ განდგომას უფრო კონკრეტული ფესვები უნდა ჰქონოდა. გმირი არა მხოლოდ ყოფაცხოვრებითს ვარემოს, არამედ საზოგადოებრივ წყობასაც იცვლის. მწერლის უბის წიგნაკში ჩნდება ჩანაწერი „ელიზბარი ქალაქში ან კატორღელია, ან ნაკატორღელი, დიპლომიანი ქართველი“. ე. ი. საზოგადოებრივი დამნაშავე: მართალია, ეს განსაზღვრება ნაწარმოებში არ არის გამოყენებული, მაგრამ ამით მინიშნებულია ელიზბარის სოციალური წარმომავლობა და პოლიტიკური განწყობილება. ელიზბარი საზოგადოდ ქალაქსა და ცივილიზაციას კი არა, არამედ სწორედ წითელ ქალაქს, საბჭოთა ქალაქს გაუბრძის. „წითელმა გრიგალმა“ მოსტაცა მას ყველაფერი „გამოშვიგა და ხანგადასულ ბოლოკიეთა ფულური ჰყო“. ელიზბარი ძველი ინტელიგენციის ის წარმომადგენელია, რომელიც ახალ ცხოვრებას ვერ შეეგუებოდა. იგი თითქოს ამ მხრივ იგივე თეიმურაზ ხევისთავია<sup>4</sup>, მაგრამ მისგან განსხვავებით უფრო ენერგიული და მიზანდასახული პიროვნებაა. მას ზიზღს ჰვერის აღნიშნული ვარემო, ცივილიზაციის ცალმხრივი განვითარების, ჯანსაღი ეროვნული ტრადიციების მოშლის შედეგები, მაგრამ არ შესწევს ძალი მასთან ბრძოლისა, არ ყოფნის რწმენა; მით უმეტეს, რომ ამ უბედურებას იგი ახალი საზოგადოებრივი წყობის შედეგად თვლის და როგორც ძველი ცხოვრების კაცი, ბოიკოტს უცხადებს და ტოვებს ქალაქს, მაგრამ გარკვეული მერყეობის შემდეგ აქტიურად ებმება ახალი ცხოვრების ფერხულში და სწორედ ამაში ენებარება მას მთა. მთის ხალხის გმირულ-რომანტიკულმა ყოფამ, მათმა ადამიანურმა სიწმინდემ და უბრალოებამ დააჩქარა ელიზბარის ახალ ადამიანად გარდაქმნა. იგი, აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას მოწყვეტილი, მთელი არსებით ეძლევა თვითანალიზს და სწორ გადაწყვეტილებამდე მიდის: ჭიში და ქართველობა ცივილიზაციის პირობებში უნდა იქნეს შენარჩუნებული. მწერალი ახალ გამოცემაში ისეთი დამაჭერებლობით გვიხატავს ელიზბარის ცხოვრებაში მომხდარ გარდატეხას, რომ მკითხველს

<sup>4</sup> შლრ. გ. ჯიბლაძე, კრიტიკული ეტუდები, ტ. 111, 1929, თბ., გვ. 336—337.

სჯერა მისი. სჯერა, რომ ეს ძველი დროის ინტელიგენტი, განსხვავებულ თეიმურაზ ხევისთავისაგან, თავის თავში იპოვის სასიცოცხლო ძალას და ახალ ცხოვრებას ტვირთად არ ჩამოეციდება.

ბოლო გამოცემაში კარგად გამოჩნდა მწერლის მისწრაფება, გააძლიეროს ნაწარმოები ფოლკლორული მასალით. აქ დამატებულია ბევრი ხალხური ლექსი თუ სიმღერა, ნაწევრებია არაერთი ადათ-წესი მოქმედებაში. წეს-ჩვეულებათაგან აღნიშნულ გამოცემაში დამატებულია სოსხლის აღების წესი (გვ. 224). მტრისათვის მარჯვენის მოკვეთის (გვ. 257), წაწლობის ადათის დამრღვევის დასჯის (გვ. 272) და სხვა წესები. უხვადაა დამატებული შელოცვები (ავი თვალისა, უემურის — გვ. 297—300), ხალხური დღესასწაულები და უქმეები: თემობა (გვ. 300), წელიწადწუხრა, კუმეტი, სულთ აკრეფა, მგელთ უქმი (გვ. 321), ხალხური ლექსები, რომლებიც ნახმარია სალმუნობის (შაპრობა) სახით<sup>5</sup>.

საინტერესო მუშაობაა ჩატარებული მწერლის მიერ: „თეთრი საყელოს“ გამოცემაში ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისითაც. ნაწარმოებში მთხრობელის ლიტერატურული ენის გვერდით გამოყენებულია დიალექტიზმები და არქაიზმები — ხევისურთა მეტყველება, ყარგონი და ბარბაროზები — ცუცქიას არეული რუსულ-ქართული. რამდენიმე ენობრივი ფენის გამოყენება კი არ ამძიმებს ნაწარმოებს, არამედ. პირიქით, სასურველ კოლორიტს ქმნის და მხატვრული სახის გახსნის ამოცანას ემსახურება. გამოცემაში ხშირია შემთხვევა, როცა მწერალი დიალექტურ ან არქაულ ფორმას ცვლის ლიტერატურულით და პირიქით, მაგ., ფხოველი შეცვლილია ფშაველით, მახალით — მოკალით, ღორბოტი — ბუკით, „ინ ორე ძობილო“ — „ინ ხარ ძობილო“. მაგრამ როცა მოქმედება ხევსურეთში ხდება, მაშინ მთხრობელის ტექსტშიც კი შეინიშნება ხევსურული ნოტები. მაგალითად: სკალენძი — რვალი, ურჯულო — დუსურბანი. გამოცემაში ზუსტდება ზოგიერთი ხევსურული სიტყვის შინაარსი. მაგ., კეკნაობა პირველ გამოცემაში ფარცაობას ნიშნავს, მეორე და მესამე გამოცემაში კი ვიწროვდება მისი მნიშვნელობა: კეკნაობა გაკაწერას ნიშნავს. ხევსურნი ფარცაობენ კეკნაობაზე, ე. ი. გაკაწერაზე. შესწორებულია ხელოვნური ქართული სიტყვები და გაუმართავი სიტყვათაყვანილობები. მაგ., როზოდა — ვაგონი, ლულიდან გამოსულმა ნაჩაფრალმა — ძილიდან გამოსულმა, ბოლის სვეტის თავს — ბოლის სვეტს. მეორე და მესამე გამოცემაში ამოღებულია ნაწარმოების გმირის ჭურხას შეუფარცხმყოფელი ეპითეტები (მგლური კბილები, დათუფრი ბაჯბაჯი), პორნოგრაფიული ადგილები.

ბოლო გამოცემას მხატვრულობასა და გამომსახველობას მატებს ასეთი შესწორებანი და დამატებანი: „ცხენები დაეძარით და პირი კავკასიონის თეთრი ქედებისაკენ ვიბრუნეთ“ — „ცხენები დაეძარით და პირი კავკასიონის თეთრი ნაბდებისაკენ ვიბრუნეთ“. „თეთრი მთებიდან ღამე ჩამოწვა“. აქ დამატებულია: „ღამე ჩამოწვა. მთის ღამე. შავი ხვევრიდით ბნელი და ყერცხლის კურცხლებით დაწინწყლული. თეთრი მთებიდან ცივი ნიავი გველამუნება. უღრანი ტყე ღელავს, უფსფუსებს და ღრმა ოხვრით ოხრავს“.

ეს შესწორებანი, რომელნიც შეიქმნა ერთი შეხედვით უმნიშვნელოდ მოგვეჩვენოს, მ. ჭავჭავაძისათვის ის აუცილებელი შტრიხებია, რომელთა გარეშეც მას სახე თუ სურათი სრულყოფილად არ მიაჩნია.

<sup>5</sup> გვერდება მითითებულია: მ. ჭავჭავაძის შვილი, თხზ., ტ. III, 1934.

გურამ შარაძე

ვეფხისტყაოსნის ფერატილისკული ხელნაწერის  
ზოგიერთი საკითხი\*

1. ხელნაწერის მოპოვება და მფლობელთა ისტორია

1880 წლის 15 ნოემბერს გაზეთ „დროებაში“ (№ 241) გამოქვეყნდა ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის<sup>1</sup> ინიციატორთა — რ. ერისთავის, ი. გოგებაშვილის, ი. მეუნარგიას განზრახვა პოემის ნაბეჭდი ტექსტის ხელნაწერებთან შეთანხმების საფუძველზე ვეფხისტყაოსნის ახალი რედაქციის დადგენის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, ისინი სთავაზობდნენ გრ. ორბელიანს, დ. ყიფიანს, გაბრიელ ეპისკოპოსს, ი. ჯავახიძეს, ა. წერეთელს, ვ. ორბელიანს, გ. წერეთელს, ს. მესხს, პ. უმიკაშვილს, ნ. დაღანს, დ. ერისთავს მონაწილეობა მიეღოთ ვეფხისტყაოსნის ახალი რედაქცია მუშაობაში. ხოლო საზოგადოებისგან ითხოვდნენ, რომ „ვისაც აქვს, დროებით გამოგზავნოთ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში“ (საცა უნდა მოხდეს ვეფხისტყაოსნის რედაქცია) ხელთნაწერი ვეფხისტყაოსანი, რომელიც შემდეგ შესწორებისა, დაუბრუნდება პატრონს უკლებლათ და ყოვლის მიზეზის გარეშე“<sup>2</sup>.

მეორე დღესვე „დროების“ რედაქციამ მხარი დაუჭირა ამ მოწოდებას: „აღტაცებული მივეგებებით ჩვენ ვეფხისტყაოსნის რედაქციის დაარსებას და სრული იმედი გვაქვს, რომ ყველა ქართველი, რომელსაც კი რითიმე დახმარება შეეძლება ამ რედაქციას დაეხმარება, ხელს მოუწყობს იმას და ამნაირად მძიმე ტვირთს შეუძსუბუქებს. ეს საზოგადო საქმეა და საზოგადო საქმეში ყველა ვალდებულია დაეხმაროს იმას, ვისაც ამ გური საქმე უკისრნია“<sup>3</sup>.

მიუხედავად ასეთი მოწოდებისა, ახალი რედაქციის პირველი სხდომის განკარგულებაში იმავე წლის 24 ნოემბერს მხოლოდ შვიდი თუ რვა ხელნაწერი აღმოჩენილა, დანარჩენის მეპატრონენი მას დროებით სათხოვნელადაც კი ვერ ელოდნენ. პ. უმიკაშვილის წინადადებით, კომისიამ ჩათვალა, რომ მის ხელთ არსებული ხელნაწერები ოდნავადაც არ იყო საქმარისი პოემის ტექსტზე მუშაობის დასაწყებად და დასახელებულ იქნა ის ცნარამეტი კაცი, რომლებთანაც ვეგულებოდათ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები<sup>4</sup>. ამიტომ სხდომის მონაწილეებმა მთავარ მიზნად დაისახეს მათი მოგროვება, რისთვისაც გამოიყენეს გრ. ორბელიანის ავტორიტეტი და მისი სახელით დაუწერიათ შემდეგი შინაარსის სპეციალური წერილი: „ქართულის გაზეთით მოხსენებული გეჟნებათ, რომ არის

\* ნაშრომი შესრულებულია ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის დაკვეთით.

<sup>1</sup> გამოცემა განხორციელდა 1888 წელს (იველისხმება გ. ქართველშვილის გამოცემა სპეციალთ ცნობილი ვეფხისტყაოსნის მე-9 გამოცემა, მ. ზინის ილუსტრაციებით).

<sup>2</sup> „დროება“, 1880, № 241, გვ. 1—2.

<sup>3</sup> „დროება“, 1880, 16 ნოემბერი, № 242.

<sup>4</sup> „დროება“, 1880, 27 ნოემბერი, № 250; 1931, № 31.

სურვილი შეთანხმდეს დაბეჭდილი ვეფხვისტყაოსანი სხვადასხვა ხელნაწერ ვეფხვისტყაოსნებთან. ამისთვის მოწვეულნი არიან ქართულის მკოდნე პირნი და აგრეთვე ყოველივე. ვისაც ექნება ხელნაწერი ვეფხვისტყაოსანი, ათხოვოს წიგნი ამ კეთილის საქმის მოსურნეთა.

მე თვით მივიღე მონაწილეობა ამ სასარგებლო საქმეში და უმორჩილესად გთხოვთ, თუ გჷონდესთ, ან თუ შოვნა შეგეძლოსთ, დროებით გამოგვიგზავნოთ ქვემოთ მოყვანილი ადრესით ხელნაწერი ვეფხვისტყაოსანი.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ შემდეგ შესწორებისა, თქვენი წიგნი უნაკლოთ მოგერთმევათ.

თქვენი გულითად პატივისმცემელი თავადი გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი .  
30 ნოემბერის, 1880 წ.

ადრესი: «Тифлис, в канцелярию Общества распространения грамотности на Соперной ул. № 41»<sup>5</sup>.

ახალმა ღონისძიებამ შედეგიც ახალი გამოაღო: 1880 წლის 9 დეკემბერს, გაზეთი „დროება“ იუწყებოდა: „ჩვენ მივიღეთ თ. გრ. დ. გურიელისაგან შენიღეგი შენიშვნა: „მე როგორც მახსოვს, ბიძაჩემს ქაიხოსრო გურიელს ჰქონდა დანაშთი მამიდაგან ერთი კარგი „ვეფხვის ტყაოსანი“ რუსთაველისა ხელნაწერი და შიგ გამოხატული მოკმედი პირებით, რომელნიც უნდა იყოს, ჩემის აზრით, პირველი ან სისწორით გადმოწერილი.“

დღეს ის, როგორც ვიცი, აქვს ჩემს ბიძაშვილს პელაგიას, ნესტორ წერეთლის მეუღლეს.

ამისათვის არ იქნება ურიგო, რომ ვეფხვისტყაოსნის რედაქციამ იმას მიმართოს თხოვნით, რომ გამოგზავნოს და იმეღია. უარს არ იტყვის“<sup>6</sup>.

გ. გურიელის ამ ბარათს „დროების“ რედაქცია ურთავდა ასეთ შენიშვნას:

„ამავე საგნის შესახებ ჩვენ მივიღეთ კიდევ შემდეგი წერილი თ. დ. წ.-საგან:

... იყვნენ ისეთი ხელნაწერი ვეფხვისტყაოსნები სრულის მხატვროვნებით, რომელიც ძრიელ გამოირჩევოდნენ და უკროს წონათ ფასდებოდნენ. ერთი ამისთანა ვეფხვისტყაოსანი ჰქონდა დიდ მეფე სოლომონს, რომელიც (ვეფხვისტყაოსანი) შემდეგ მეფის უძეოთ გარდაცვალებისა, ღარჩა მეფის ასულს დარეჯან ბატონიშვილს, რომელიც იყო დედა თ. ივანე აბაშიძისა.

1820 წელს, როდესაც ქუთათელი და გენათელი განდევნეს, დარეჯან ბატონიშვილი რუსეთში წაიყვანეს და ივანე აბაშიძე დაარბიეს, ეს წიგნიც დაიკარგა ისე, როგორც სხვა ძვირფასი სამკაული ოჯახისა და ყოველივე ხსენებულის აბაშიძისა. დღეს ეს ხსენებული ვეფხვისტყაოსანი უშოვია როგორღაც კნინა პელაგია წერეთლისას და დარწმუნებული ვართ, რომ კნინა დიდის კმაყოფილებით გათხოვებოს დასაბეჭდათ ამ თავის ვეფხვისტყაოსანს“<sup>7</sup>.

<sup>5</sup> სოლ. ცაიშვილი. ზოგიერთი ცნობა „ვეფხვისტყაოსნის“ მეორე რედაქციის შესახებ, ვერს. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1937, № 11--12, გვ. 126; იხ. აგრეთვე: „დროება“, 1880, № 266, 17 დეკემბერი.

<sup>6</sup> „დროება“, 1880, 9 დეკემბერი, № 259.

<sup>7</sup> „დროება“, 1880, 9 დეკემბერი, № 259. აქვე უნდა შეენიშნოს, რომ ჯერ კიდევ 1879 წლის 21 თებერვალს გაზ. „დროებაში“ (№ 38) დაბეჭდილი იყო ამ ხელნაწერის შესახებ ქუთათისიდან კოტორის ფსევდონიმით მიღებული ცნობა: „...ესლა მე გავიგე ნამდვილად, რომ კნინა პელაგია წერეთლისას აქვს ეს ძველი წიგნები. სხვათა შორის, ამ წიგნებში უჩვევია ერთი შესანიშნავი ეგზემპლარი „ვეფხვის ტყაოსნისა“. ეს უცედავ პოემა არის ხელნაწერი, სწელ პერგამენტზე, მრავალი სურათებით შეკაზმული: ხელნაწერი ძველის ძველია. ამბობენ რომ ახალ გამოცემულ „ვეფხვის ტყაოსანზე“ მომატებულიაო. ეს დასაყრებელი არის, რადგან ყოველი



არ გასულა დიდი ხანი, რომ მართლაც, „დროებაში“ ქუთაისიდან მიიღო ცნობა „... თ. პელაგია წერეთლისას თავისი ვეფხისტყაოსანი ბატ. დ. ი. ყუფიანისათვის მიუცია ამ უკვდავი პოემის რედაქციისათვის გარდასაცემად“. 1881 წლის 28 იანვრისათვის ხელნაწერი უკვე თბილისშია<sup>8</sup>.

1881 წლის 11 თებერვალს „დროებაში“ დაბეჭდილი იონა მეუნარგიას ანგარიშიდან უფრო დაწვრილებით ვტყობილობთ, რომ ვეფხისტყაოსნის წერეთლისეული ხელნაწერი თბილისში ჩამოუტანიათ და პოემის ტექსტის დამდგენი კომისიისათვის გადაუციათ. იონა მეუნარგია წერს: „დღეს ხელთა გვაქვს 22 ხელნაწერი: ელ. ქავთარაძის, დ. თუმანოვის, ალ. თუმანოვის, კონსტ. მამაცაშვილის, გ. მუხრანსკის, ზ. ჭიჭინაძის (3 ცალი), ალ. მელიქოვის, დ. ბაქრაძის, ეფრემ მარჯანიძის, ბეჟან წერეთლის მემკვიდრეთა, ნესტორ წერეთლის (იგულისხმება ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ხელნაწერი -- გ. შ.), ი. მერკვილაძის, ნ. კორინთელის, რ. ერისთავის, გ. თუმანოვის, ა. თუთაევის, პ. უმიკაშვილის, კეზელის და იონა მეუნარგიას (ნაბეჭდი ვეფხისტყაოსანი)“<sup>9</sup>.

აქვე არ შეიძლება უყურადღებოდ დაეტოვოთ ამ ხელნაწერთა იონა მეუნარგიასეული მეტად საინტერესო აღწერილობანი: „ამ წიგნთაგან უძველესი ეკზემპლარი არის ნ. კორინთელისა; ის ეკუთვნის 1646 წელს. შემდეგ მოდის თ. ბეჟან წერეთლის მემკვიდრეთა ეკზემპლარი 1671 წლისა; ამ დროისეე უნდა იყოს ბატ. კეზელის ვეფხისტყაოსანი. თ. ნესტორ წერეთლის ეკზემპლარი და მერკვილაძისა არიან მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში დაწერილი, როგორცა ჩანს ნაწერის ხასიათიდან (ხაზი ჩვენია. — გ. შ.). სხვა წიგნები არიან დაწერილნი იმ საუკუნის ბოლოს ან ამ საუკუნეში“<sup>10</sup>.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის ახალ რედაქციაზე მუშაობა ხელნაწერების გამოყენებით კომისიას 1882 წლის დასაწყისისათვის დაუმთავრებია<sup>11</sup>. პირობის თანახმად, პოემის ხელნაწერები და მათ შორის წერეთლისეულიც<sup>12</sup>, ალბათ, ამავე ხანებში დაუბრუნდებოდა კიდევ მფლობელებს. ამის შემდეგ, კარგა

მხრიდან გვესმის, რომ ესე შემოკლებით რათ ბეჭდავთ ვეფხვის ტყაოსანსაო. სურათები კი სუსტად არის ნახატი, მაგრამ რანაირც უნდა იყოს, ჩვენთვის ძვირფასი იქნება ეს სურათები; პირველად როგორც გამაძინებელი იმ ეპოქის ტანსაცმლისა და მეორედ, ნათლად დაგვაჩვენებს თუ რა მდგომარეობაში იყო იმ დროინდელი ჩვენი ხელოვნება (მხატვრობა).

მე მსურს თქვენი ვაზეთის საშუალებით, შევატყობინო კნუანა პელაგია წერეთლისას, თუ რა დიდ სიკეთეს იქმნის ის, რომ გადასცემდეს ამ წიგნს დასაბეჭდათ, მსურველები ბევრნი გამოჩნდებიან.

ეს წიგნი იქნება მგონია, პირველი სრული გამოცემა „ვეფხვის ტყაოსნისა“, მერმეთ სურათებით. სურათებს შეაკეთება და გაამშვენებენ მხატვარი უ. როინოვი, რომელიც დღისით საწილთი ეძებს ჩვენ ძველთაგან დანაშუენ სურათებს და მხატვრობას.

ამ წიგნის გამოცემით კნ. პელაგია მიიღებს უგულიოთადეს მადლიანს ქართული ლიტერატურის მოყვარულთაგან და ამ ლიტერატურის მოღვაწეთაგან...“

<sup>8</sup> „დროება“, 1880, 21 დეკემბერი, № 270; 1881, 28 იანვარი, № 20.

<sup>9</sup> ი. მეუნარგია, ვეფხისტყაოსანი (პირველი სხვაობა რედაქციისა, 6 თებერვალს), „დროება“, 1881, 11 თებერვალი, № 31, გვ. 3.

<sup>10</sup> იქვე.

<sup>11</sup> შდრ. „დროება“, 1882, № 12, პოემის ტექსტზე კომისიის მუშაობის შესახებ სოლ. ცაიშვილის ზემოთ დასახელებული შრომის გარდა იხ. ს. ყუბანეიშვილი. ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 88—115.

<sup>12</sup> წერეთლისეულს. ჩვენ ეუწოდებთ დღევანდელ S-5006 ხელნაწერს (ნესტორ და პელაგია წერეთლებისას), რადგან ბეჟან წერეთლისეული ხელნაწერს (H-757) დღეს ჩვეულებრივ აღმურაანთ გასაპარსეულს უწოდებენ (გადამწერის მიხედვით).

ხანს, „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერი ისევ იმერეთში, საჩხერეში ნესტორ წერეთლის მემკვიდრეთა ოჯახში ინახებოდა.

დაახლოებით 1907 წელს<sup>13</sup> ეს ხელნაწერი კვლავ გამოჩენილა თბილისში. ე. თაყაიშვილის „მოგონებების“ მიხედვით ჩვენ საშუალება გვეძლევა წარმოვადგინოთ ამ ხელნაწერის მოპოვების ისტორია: „ერთი ნესტორ წერეთელი იყო, საჩხერელი დიდი თავადი და იმას ცოლად ჰყავდა გურიელის ქალი, სახელად პელაგია. ნესტორი გარდაიცვალა და მისი ქონება — მათ შორის ერთი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი — მის ცოლ-შვილს და ნათესავებს დარჩა. ხელნაწერს თურმე ყდა ჰქონია გაფუჭებული და დედას უთხოვინა ვაჟიშვილებისათვის, გააკეთებინეთო. იმათაც წამოუღიათ თბილისში, ყდა მართლაც და კარგი გაუკეთებიათ, ხავერდისა. მაგრამ მერე — ჩვენებური, თავადიშვილური დაუდევრობით — ეტლში დარჩენიათ და დაუკარგავთ. მათ შემდეგ ის ეტლი უქირავებია ცნობილი ქართველი ვაჭრის ფორაქიშვილის ერთ ნოქარს. რომელსაც უპოვინა ეტლში ხელნაწერი და ძალზე გახარებია, „ახლა კი გავკეთდი კაციო!“ ფორაქიშვილს ეს ამბავი რომ გაუგია, ჩემთან გამოუგზავნია ნოქარი, წერა-კითხვის საზოგადოებისათვის შეიძენსო. მაგრამ მე შინ არ დაეხვდი. ის ნოქარიც ამდგარა და მიუტანია მეწარმე დავით სარაჯიშვილისათვის, რომელსაც სამი თუმანი მიუტანა ხელნაწერში. — ეს მაშინ, როდესაც იმ ხელნაწერში რამდენიმე ათეული საუცხოოვო მანიატურა იყო და თითო მათგანი გვიღირდა ას მანეთად! ცოტა ხანს შემდეგ დავით სარაჯიშვილმა მიმიწვია სადილად — ევირა დღე იყო, სტუმრები ჰყავდა. შევედი თუ არა, მომაგება ეს ხელნაწერი: „აი, საშენო, საშენო!“ დაეხვდე, მოკვიდე ხელი და ეუთხარი: „ამას თან წავიღებ და გულმოდგინედ შევისწავლი-მეთქი!“<sup>14</sup>

ე. თაყაიშვილს ხელნაწერი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმის საინვენტარო დავთარში გაუტარებია № 4758-ით. ხოლო თავისი „Описание“-ს მეორე ტომში, რომელიც მალე, 1908 წელს, გამოსცა, იგი საზოგადოებისათვის დავით სარაჯიშვილის შემოწირულებად გამოაცხადა<sup>15</sup>, რადგან მაშინ მისთვის უცნობი დარჩენილა ხელნაწერის ნამდვილი მფლობელის ვინაობა.

ე. თაყაიშვილი განაგრძობს: „ერთ დღეს მოვიდა ჩემთან ორი ტოლი, შესანიშნავი თვალტანადი, ჩოხა-ახალუხში გამოწეობილი ახალგაზრდა ეჟეკაცი. „ჩვენაო, ბატონო, ძმები წერეთლები ვართო — მეუბნება ერთი. — და თქვენთან საქმე გვაქვსო“... პელაგია წერეთლის გარდაცვალების შემდეგ მისი ქმრის ნესტორის ქონება რომ გავიყავით, „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენ გვევროო; დედამ გამოგვატანა თბილისში ყდის გასაკეთებლად, გავუკეთეთ, მაგრამ ეტლში დაგვრჩა და მას აქეთ დედაჩვენი აღარაა ჯავრიო, დაკარგული ჰგონიაო... თუ თქვენთანაა, გვათხოვეთ და გაძლევთ პატიოსან სიტყვას, ისევ დაგიბრუნებთ, ოღონდ დედას ვაჩვენოთ და დავარწმუნოთ, რომ არ დაკარგულაო“.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისა და ე. თაყაიშვილის ნებართვით, წერეთლებს ხელნაწერი დროებით საჩხერეში წაუღიათ.

<sup>13</sup> დაახლოებით, ვაშობთ, რადგან ამ ხელნაწერის აღწერილობა ე. თაყაიშვილმა 1908 წელს უკვე გამოაქვეყნა (Описание, т. II, вып. III, Тифлис, 1908, стр. 566—568), მაშინ-დაბე, 1907 წელზე ვერ ყოველ შემთხვევაში ეს ხელნაწერი მის ხელში ვერ მოხვდებოდა.

<sup>14</sup> ე. თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, I, თბ., 1956, გვ. 312—313.

<sup>15</sup> Е. Тақайшви́ли, Описание, II, 1908, стр. 566; იხ. აგრეთვე: ა. სტეფანისვილი, დავით სარაჯიშვილი, თბ., 1968, გვ. 31—32.

ეს უნდა მომხდარიყო 1909—10 წლებში. უკან დაბრუნება დაუგვიანებიათ. ამასობაში 1910 წელს ე. თაყაიშვილი თვითონ წასულა საჩხერეში არქეოლოგიურ გათხრებზე. აქ, ერთ საზოგადოებაში (ელისაბედ წერეთლის ოჯახში) იგი შემთხვევით შეხვედრია ხელნაწერის წამლებ ერთ-ერთ ძმათაგანს, რომლისთვისაც პირობა ჩამოურთმევია, რომ უახლოეს დროში ხელნაწერს თბილისში დააბრუნებდა.

მართლაც, 1911 წლის 7 მაისს „სახალხო გაზეთი“ (№ 297) იუწყებოდა: „დასურათებული ვეფხისტყაოსნის წერეთლებმა შესწირეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასო (სულ 77 სურათია)“. ამჟამად წერეთლების სახელით ხელნაწერი ხელახლა გაატარეს საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმის დავთარში № 5006-ით.

მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. გამოიჩქვია, რომ 1909—11 წლებში, ხელნაწერის წერეთლების ოჯახში ქონებისას, მეპატრონეს 10 მინიატურა ამოეჭრა და ვიღაც ვაჭრებისათვის 500 მანეთად მიეყიდნა. ამათ ხელიდან ისინი პარიზში სომეხ ანტიკვართან მოხვედრილა, რომელსაც ოლივერ და მარჯორ უორდროპებისათვის ოქსფორდში მათი შეძენა შეუთავაზებია.

უორდროპებს ეს ამბავი მაშინვე (დაახლოებით 1911 წლის ოქტომბერში) თბილისში ექვთიმე თაყაიშვილისათვის უცნობებიათ. ამ უკანასკნელის ენერგიული ზომების წყალობით, ხელნაწერის ნაკულა 10 მინიატურა იმ ხელზე მოვაჭრეებს ისევ თბილისში ჩამოუტანიათ და 250 მანეთად ისევ წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობას შეუძენია.

ამის შესახებ დაწერილებით ცნობებს ეპოულობთ ე. თაყაიშვილის „მოგონებებში“<sup>16</sup> და აგრეთვე, მის მიერ 1912 წლის 28 იანვარს წ.-კ. გ. საზოგადოების მაშინდელ თავმჯდომარის გ. ყაზბეგის სახელზე დაწერილ მოხსენებით ბარათში, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ<sup>17</sup>:

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების თავმჯდომარეს ბ-ნ გიორგი ნიკოლოზის ძეს ყაზბეგს ექვთიმე სიმონის ძის თაყაიშვილისაგან

როგორც მოგეხსენებათ, ერთი საუცხოვო სურათებიანი ხელნაწერი ვეფხისტყაოსნისა შემთხვევით შეიძინა განსვენებულმა დავით ზაქარაის ძე სარაჯიშვილმა. მე ეს ხელნაწერი შეძენის დღესვე გამოვართვი განსვენებულ სარაჯიშვილს, მოვიტანე წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავში და დ. ზ. სარაჯიშვილის შემოწირულად ჩავსწერე კატალოგში. შემდეგ როდესაც ხელნაწერს სხვა პატრონი აღმოუჩნდა, ფრიდონ წერეთელი, გამგეობამ ხელნაწერი დაუბრუნა ფრიდონ წერეთელს დროებით და პატროსანი სიტყვა ჩამოართვა, რომ ხელნაწერს წერეთელი ცოტა ხნის შემდეგ დაუბრუნებდა საზოგადოებას იმ პირობით, რომ შემოწირულება მისი სახელით მიეღო გამგეობას. გამგეობის მდივანი თქვენის მონდობილობით მე შემეკითხა, როგორ მოქცეულიყო გამგეობა, დაუბრუნებია თუ არა ხელნაწერი წერეთლისათვის. მაშინ მეც თანხმობა გამოვაცხადე ხელნაწერის დაბრუნებაზედ, რადგან თავადმა წერეთელმა მეც მომცა პატროსანი სიტყვა, რომ წიგნს მალე დაუბრუ-

16 ე. თაყაიშვილი, ჩვეული ნაშრომები, I, 1968, გვ. 315—318.

17 ამ დოკუმენტის შესახებ იხ.: საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ფონდის აღწერილობა, შ. ჩხეტიასა და ა. იოიძის რედაქციით, თბ., 1953, გვ. 137; ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, თბ., 1959, გვ. 310—311.

ნებდა საზოგადოებას. როდესაც ეს დაბრუნება დაგვიანდა, მე გავემგზავრე საჩხერეში, თავადი წერეთელი ვნახე და მან კვლავ (!) მომცა სიტყვა დიდ შეკრებულებაში საჩხერის საზოგადოებისა, რომ ხელთნაწერს ახლო ხანში წარმოუდგენდა საზოგადოებას. მართლაც თავადმა წერეთელმა ხელთნაწერი დაუბრუნა წერა-კითხვის საზოგადოებას და მიიღო ჯეროვანი მადლობა გამგობისაგან. მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როდესაც მე ამ სამიოდე თვის წინათ მივიღე წერილი ინგლისიდან ოლივერ ვარდროპისა, რომლითაც ის მატყობინებდა, რომ ერთი სომხის ანტიკვარი პარიიდან მას წინადადებას აძლევდა ეყიდა ვეფხისტყაოსნის სურათები. სურათები გასაშინჯავათ მოითხოვა პარიიდან ვარდროპმა და ჩემის თხოვნით გადააღებია ფოტოგრაფიული სურათები და მე გამომიგზავნა. როდესაც ფოტოგრაფიული სურათები მივიღე, დავრწმუნდი, რომ სურათები ამოღებულია იმ ხელთნაწერიდან, რომელიც წერეთელმა დაუბრუნა საზოგადოებას. სულ ამ ხელთნაწერიდან ამოუჭრიათ ათი სურათი, მათ შორის ცხრა საუკეთესო. ვარდროპმა ანტიკვარს აცნობა, რომ სურათები ამოღებულია წერეთლის ხელთნაწერიდან, რომელიც წერა-კითხვის საზოგადოებას ეკუთვნის და თუ ის იყიდის სურათებს მხოლოდ იმისთვის, რომ საზოგადოებას დაუბრუნოს. მაგრამ ფასში ვერ მოურიცდა გამყიდველს და სურათები ოქსფორდიდან უკან გაუგზავნა პარიიში პატრონს. მე ჩემის მხრით მივიღე ზომა, გავმართე მიწერ-მოწერა, რომ სურათები მოიტანონ (!) ტფილისში ჩვენთან, და ამ ერთი კვირის წინ მოვიდა ჩემთან შუა კაცი და მითხრა, სურათები და სურათის პატრონები ტფილისში არიანო. მთელი ერთი კვირა მოლაპარაკება გექონდა, პატრონები ჯერ დიდ ფასს თხოულობდნენ, შემდეგ ხუთასი მანათი(!) მოითხოვეს, რომელიც მათ მიუციათ წერეთლისათვის. მე გადაჭრით შეუთვალე, რომ 250 მანათის მეტი არც ღირს და არც საზოგადოებას შეუძლია მოგცეთ-მეტეი. როგორც იყო მოვარიგდით 250 მანეთზე(!), შუა კაცი კიდევ თვის გასამარჯელოს თხოულობს 10%. ეხლა გთხოვთ მოახდინოთ განკარგულება და ეს სურათები დაუყოვნებლივ შეიძინოთ, რომ სამუდამოთ არ დაგვეკარგოს. ამასთანავე უნდა მოგახსენოთ, რომ წერეთლისეული ვეფხისტყაოსანი დიდათ შესანიშნავია. ასეთი ღირსების სურათები არც ერთი სხვა ვეფხისტყაოსნის ხელთნაწერში არ მოიპოვება. ერთი სურათიც რომ აკლდეს ხელთნაწერს, ისიც დიდი დანაკლისი(!) იქნება და ათი საუკეთესო სურათის დაკარგვა სულ მნიშვნელობას დაუკარგავს ხელთნაწერს. წიგნი ამ სურათებით რამოდენიმე ათასი მანეთი ღირს. თვით წერეთელს, როგორც გამოირკვა, ამოჭრილი სურათების პატრონებმა მთელს წიგნსში ორი ათასი მანეთი შეაძლიეს. მხატვრები თითო სურათს ას ას მანეთს აფასებენ, სულ 80 სურათთა ხელთნაწერში, მაგრამ მეორე ნახევარში წიგნისა მხატვრობა უფრო მძარე ხელობის არის და მერმე უნდა იყოს მიმატებული. როდესაც მე იმედი დავკარგე სურათების დათმობის შესახებ, განვიზრახე მომეხერხებია, რომ კოპიები მაინც გადმომეღო და გამოირკვა, რომ მარტო ათი სურათის კოპიო, თუ კარგ მხატვარს მიეანდობდით, ორასი მანეთი დაჟდებოდა. ეხლა შემთხვევა გვაქვს თვით ორიგინალები დავიბრუნოთ 250 მანეთათ. ამიტომ ყოველად შეუძლებელია ამ სურათების ხელიდან გაშვება. მე ჩემის მხრით ყოველი საშუალება ვიხმარე, რომ სურათები მოეტანათ ტფილისში და ხუთასი მანეთის მაგიერ 250 მანეთს დავგვჩერებოდენ და ეხლა საქმის დაბოლოება თქვენზეა დამოკიდებული. ყოველს დაგვიანება ამ საქმეში გვაჯენებს, პატრონები გაპარვას აპირებენ ტფილისიდან, თუ მალე არ გათავდა საქმე, და შეიძლება ეს

ჩვენთვის ფრიად შესანიშნავი მინიატურები ვეფხისტყაოსნისა (!) სამუდამოდ დაგვეკარგება.

ბოლოს გთხოვთ, ამ ჩემ მოხსენებას ჟერ-ჟერობით კონფიდენციალური ხასიათი მისცეთ.

თქვენი მარადის ერთგული წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრი ე. თაყაიშვილი. 28 იანვარს 1912 წელს\*.

დოკუმენტს ახლავს გ. ნ. ყაზბეგის რეზოლუცია: „1/11-912. მოხსენდეს განგობას.


ჩემის აზრით ფრიად საჭირო არის ამ სურათების შექმნა და შეიძლება მიეცეთ 275 მანათი იმ თანხიდან, რომელიც არის მოხსენებული ხარჯთაღრიცხვაში 1911 წლისა (1 000 მან.).

გ. ყაზბეგი<sup>18</sup>.

როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, ხელნაწერის უკანასკნელი მფლობელი ფრიადი წერეთელი ყოფილა. ახლა საინტერესოა, ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, გამორკვეულ იქნეს ხელნაწერის მფლობელთა ისტორია.

ამაში პირველ ყოვლისა. გვშველის გაზ. „ღროებაში“ 1980 წლის 9 დეკემბერს გამოქვეყნებული გრიგოლ დავითის ძე გურიელისა და თ. დ. წ-ს ცნობები, რომლებიც ჩვენ უკვე ზემოთ მთლიანად მოვიყვანეთ.

გრ. გურიელის ცნობით, პელაგია წერეთლისას „ვეფხისტყაოსნის“ ეს ხელნაწერი მამამისისაგან — ქაიხოსრო გურიელისაგან — ჰქონდა მიღებული. გრიგოლ გურიელის ცნობა მით უფრო სარწმუნოა, რადგან იგი პელაგიას ღვიძლ ბიძაშვილად ეკუთვნოდა. საქმე ისაა, რომ გრიგოლის მამა — დავით გიორგის ძე გურიელი უმცროსი ძმა იყო ქაიხოსრო გიორგის ძე გურიელისა:



თ. დ. წ. გაკვირებული აღნიშნავს: ეს ხელნაწერი იმერეთის მეფის სოლომონ I დიდის კუთვნილება ყოფილა. მისი გარდაცვალების შემდეგ ხელნაწერს დაპატრონებია სოლომონ I-ის ასული დარეჯანი, დედა ივანე აბაშიძისა. 1820 წელს, როდესაც ქუთათელი და გენათელი განდევნეს, დარეჯან ბატონიშვილი რუსეთში წაიყვანეს და ივანე აბაშიძე დაარბიეს, ის წიგნიც დაიკარგაო. დღეს კი, ეს ვეფხისტყაოსანი როგორღაც კნინა პელაგია წერეთლისას უშოვნიაო.

ჩვენ ახლა საშუალება გვაქვს გავარკვიოთ, როგორ მოხდა პელაგია წერეთლის ხელში ერთ დროს სოლომონ დიდის ნაქონი ვეფხისტყაოსანი.

<sup>18</sup> საქართველოს ცენტრ. არქივი, ფ. 481, № 1229 (№ 3072), ფ. 17—18.

როგორც ცნობილია, 1819 წელს იმერეთში, ხოლო უფრო გვიან — 1820 წელს გურიასა და სამეგრელოშიაც მოხდა დიდი მღელვარებანი. მღელვარების მიზეზი გახდა საქართველოს მამინდელი ეგზარხოსის თეოფილაქტეს (რუსანოვი, ადრე — რიზანის ეპისკოპოსი) მიერ იმერეთის საეკლესიო ქონების აღწერა. ეს იყო პირველი ნაბიჯი აქაც ისეთივე საეკლესიო წესების დანამკვიდრებლად, როგორც თეოფილაქტეს წინამორბედმა ეგზარხოსმა ვარლამმა (ქსნის ერისთავმა) შემოიღო ქართლსა და კახეთში<sup>19</sup>.

1820 წლის 4 მარტს იმერეთის მმართველმა პუზირეცკიმ ქუთაისში შეიპყრო დონითოს ქუთათელი, ეფთვიმე გენათელი, ს. წულუკიძე, დ. მიქელაძე, დარეჯან ბატონიშვილი და რუსეთში გაგზავნა, ხოლო ივანე აბაშიძე (ქაიხოსრო აბაშიძისა და დარეჯან ბატონიშვილის ძე) აჯანყების ერთი მთავარი მეთაურთაგანი, ხელიდან გაუსხლტა<sup>20</sup>.

ლტოლვილმა ივანე აბაშიძემ თავი შეაფარა გურიას — ქაიხოსრო გურიელის ოჯახს ს. შემოქმედში<sup>21</sup>, რადგან ეს უკანასკნელი მას ცოლის ბიძად ერგებოდა (იხ. ჩვენ მიერ შედგენილი გურიელთა გენეალოგია). საფიქრებელია, რომ ივანე აბაშიძემ სწორედ მაშინ მიიტანა ქაიხოსრო გურიელის ოჯახში პაპის — სოლომონ პირველისეული ვეფხისტყაოსნის ძვირფასი ხელნაწერი.

როგორც საქართველოს ცენტრალური არქივის ერთი საბუთით ირკვევა, რუსეთის მმართველობას ვინმე Чилаев-ის საშუალებით უტოლია ქაიხოსრო გურიელთან მოლაპარაკება, რომ ივანე აბაშიძე მათთვის გადაეცა, რაც უშუალოდ დამთავრებულა<sup>22</sup>. რუსეთის ხელისუფლების თვალში ესეც უკვე საკმარისი იყო, ქაიხოსრო გურიელი რომ მოლატერდ ჩაეთვალიათ. ქაიხოსროს ერთმა თანამებრძოლმა გურულმა იმერეთის მმართველი პუზირეცკი მოკლა სოფ. შემოქმედის მისადგომებთან (1820 წ. 17 აპრილს), ხოლო თვითონ ქაიხოსრო სათავეში ჩაუდგა აჯანყებულებს. ივანე აბაშიძე კი ფარულად ისევ იმერეთში გადავიდა და ხანისწყლის ხეობაში გამაგრდა.

საბოლოოდ, ეელიამინოვის ჯარმა ქაიხოსრო გურიელი დაამარცხა (1820 წლის ივლისში), ხოლო გორჩაკოვმა კი ივანე აბაშიძე. ამის გამო ქაიხოსრო გურიელი და ივანე აბაშიძე ოსმალეთში გადაეპარდნენ<sup>23</sup>.

ასე რომ ივანე აბაშიძე, ალბათ, ქაიხოსრო გურიელის ოჯახში სოფ. შემოქმედში დატოვებდა თავის უძვირფასეს რელიქვიას — ვეფხისტყაოსნის პაპისეულ ხელნაწერს. აქედან კი ქაიხოსრო გურიელის ასული პელაგია მზითვად წაიღებდა მას თავისი მეუღლის ნესტორ წერეთლის ოჯახში, საჩხერაში.

ს. ყუბანეიშვილი წერს: „... ეს ხელნაწერი ქაიხოსრო გურიელმა მზითვად

<sup>19</sup> Акты, VI, ч. I, Тиф., 1874, стр. III; М. А. Полиевктов, Архивное дело о восстании в Имеретии, Гурии и Мингрелии в 1819—1829 годах, „სისტორიო მოამბე“, წ. II, 1924, გვ. 199.

<sup>20</sup> ამ საკითხის შესახებ ამომწურავი ბიბლიოგრაფია იხ. დ. გორდეევის შრომაში: Материалы к исследованию хонских древностей, „სისტორიო მოამბე“, წ. I, 1924, გვ. 193. იხ. აგრეთვე: ი. ქვიციანი. დარეჯან ბატონიშვილის სახლი ქუთაისში. „სისტორიო მოამბე“, წ. I, გვ. 227. И. Джавахов, Полн. и соц. движение в Грузии в XIX в. СПб., 1906; ს. ქაკაბაძე, საქართველოს მოკლე ისტორია, ტფ., 1920, გვ. 183 და შემდ.

<sup>21</sup> ს. ქაკაბაძე, დასახ. შრომა, გვ. 184; ა. კიკეიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1964, გვ. 112—113.

<sup>22</sup> М. А. Полиевктов, დასახ. შრომა, გვ. 208.

<sup>23</sup> ს. ქაკაბაძე, დასახ. შრომა, გვ. 184; ს. კიკეიძე, დასახ. შრომა, გვ. 113.

გაატანა თავის ქალს პელაგიას, რომელიც გათხოვდა საჩხერეში ნესტორ წერეთელზე<sup>24</sup>.

მაგრამ ქაიხოსრო გურიელი ამ ხელნაწერს თვითონ ვერ გაატანდა მზითვად თავის ასულს ორი მიზეზის გამო: როგორც ეს ჩვენ სხვაგან გვექნება გამოჩვენებული, პელაგია გურიელი ნესტორ წერეთელზე 1845 წლის შემდეგ გათხოვდა. მამამისი ქაიხოსრო კი 1820 წლიდან ოსმალეთში იყო გადახვეწილი და, რაც მთავარია, 1829 წელს უკვე გარდაცვლილა. ქაიხოსრო, გურიელი ოსმალეთში გარდაცვლილა 1829 წლის 25 სექტემბერს და დაუსაფლავებიათ ჩარჩაბაში (სამსუნიდან აღმოსავლეთით 40 ვერსის სიშორეზე) ფერისცვალების ბერძნული ეკლესიის ეზოში<sup>25</sup>.

მოყვანილი საბუთების მიხედვით, ამ ხელნაწერის მფლობელთა გენეალოგია შემდეგნაირად წარმოგვიდგება: სოლომონ I დიდი → დარეჯან სოლომონის ასული + ქაიხოსრო აბაშიძე → ივანე აბაშიძე → ქაიხოსრო გურიელი → პელაგია ქაიხოსროს ასული გურიელი + ნესტორ წერეთელი → გიგო წერეთელი\* → ფრიდონ წერეთელი → დავით სარაჯიშვილი.

აქ წამოიჭრება ასეთი კითხვა: სოლომონ I დიდი იმერთა მეფე (1751—1784) ხელნაწერის მომგებია, პირველი მფლობელია თუ მასზე ადრინდელ მფლობელზე ცნობას ჩვენამდე აღარ მოუღწევია?

ამ კითხვაზე რაიმე კონკრეტული პასუხის გაცემა ახლა ძნელია, მაგრამ ზოგადად, თუ გავითვალისწინებთ ბოლო დროს ხელნაწერის გადაწერის თარიღად მე-18 ს-ის პირველი ნახევრის მიჩნევის შესაძლებლობას, როგორც ამას ს. ცაიშვილი გვთავაზობს, ადვილი შესაძლებელია, მის პირველ მფლობელად სოლომონ პირველის გამოცხადება და, ამგვარად, ვეფხისტყაოსნის წერეთლისეული ხელნაწერის სამეფო კარის ხელნაწერთა რიგში მოქცევა.

## 2. ხელნაწერის დათარიღება და რედაქციული თავისებურება

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა და ამ შემთხვევაში წერეთლისეული (S—5006) ხელნაწერის რედაქციული თავისებურებებს საკითხი არსებითად უკავშირდება პოემის ვახტანგისეული გამოცემისა (1712 წ.) და მისი რაობის პრობლემას.

ამ საკითხთა მეცნიერულ კვლევას, როგორც ცნობილია, საფუძველი ე. თაყაიშვილმა ჩაუყარა. ამ საუკუნის პირველ ათეულ წლებში მან შეისწავლა და აღწერა ვეფხისტყაოსნის 22 ხელნაწერი (ამთგან S ფონდისა — 17: №№ 4732, 1586, 2686, 2781. 1515. 3442, 305, 3430, 3441, 2315, 1727, 4527, 1418, 3077, 4499, 2829, 4758=5006; A ფონდისა — 2: №№ 363, 530; H ფონდისა — 3: №№ 599, 75754)<sup>26</sup>.

ალ. ბარამიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ხელნაწერებისა და ვახტანგისეული გამოცემის შეპირისპირებამ ე. თაყაიშვილი დაარწმუნა, რომ ვახტანგისეული გამოცემა პოემა მე-17 საუკუნის დანართებისაგან და ისე დაუბეჭდავს“<sup>27</sup>,

<sup>24</sup> ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის სტრუქტურული წვდვინილება. თბ. 1959, გვ. 307.

<sup>25</sup> უტრ. „ეკალი“. 1856, № 15. გვ. 248—249.

<sup>26</sup> ს. ყუბანეიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 307. ოლნდ. რა წყაროს საფუძველზე იღვკა შეკლევარი ასეთ სხებდებში ცნობას, რომ ხელნაწერის უკანასკნელი მფლობელი ფრიდონ წერეთლის მამა გიგო წერეთელი იყო, ჩვენთვის უცნობაა.

<sup>27</sup> Е. Такайшвили, Описание, II, Тифлис, 1908, стр. 554—582.

<sup>28</sup> ალ. ბარამიძე, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი; ნარკვევები, IV, თბ., 1964, გვ. 7.

ე. თაყაიშვილი წერდა: „Этот замечательный деятель на поприще грузинской науки и литературы [Вахтанг VI] сумел очистить Вепхис-ткаусян от тех наслоений, которые образовались в нем в XVII в.“<sup>28</sup> მაშასადამე, ე. თაყაიშვილის მტკიცებით, პოემის პირველ-ნაბეჭდ ვახტანგისეულ გამოცემას კრიტიკული ხასიათი ჰქონია. ამ მიმართულებით საყურადღებოა ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ხელნაწერის (S—5006) თაყაიშვილისეული დათარიღება და შიგ დატული პოემის ტექსტის რაობა: „...Писец не указани, даты нет, но судя по бумаге, рисункам и тексту, рукопись несомненно XVII века и скорее второй половины, чем первой. Текст обычный для рукописей XVII века, т. е. испещрен вставками и добавлениями Нанучи Цицишвили. Добавления начинаются с 417 страницы. На 477 странице приведено четверостишие, указывающее, что продолжение Вепхис-ткаусян не принадлежит ни Шота Руставели ни Саргису Тmogвели:

ეს ამბავი დარჩომოდა სარგის ლექსთა შექმნობლად,  
აკრეთ თმოგვი თმოგველთაგან შესაეღოთურთ დარჩა იბლად,  
ესე სიტყვა მოახსენეს, ვინ ჩანს გმირთა რაზმთა მწეობლად,  
და მიბრახანო ლექსად თქვიო, მკვერ ქართულად, დაუშრობლად.

...В добавлениях мы встречаем лишние две главы, которых нет в других списках, а именно второе завещание Тариеля и второе завещание Автандила. В первом 34 строфы, во втором 27“<sup>29</sup>.

ასე რომ, თაყაიშვილისეული დათარიღებით (მე-17 ს.) ხელნაწერი მოექცა ვახტანგამდელ ნუსხათა შორის, ამიტომ რედაქციული თავისებურებების მიხედვითაც იგი, ბუნებრივია, ვახტანგის გამოცემას მოკლე, კრიტიკული რედაქციისაგან განსხვავებით, ვრცელი რედაქციის ტიპად იქნა დახასიათებული.

ამის შემდეგ (1913 წ.) გამოქვეყნდა დავით კარიჭაშვილის ნარკვევი: „ვეფხისტყაოსნის შედგენილობა“<sup>30</sup>, რომელშიაც მან ორი ასეთი კითხვა დასვა: „1. როგორი უნდა ყოფილიყო ის დედანი, რომელიც ვახტანგ მეფემ დააბეჭდვინა თვისსა სტამბაშიდ 1712 წელს და 2. შეიტანა თუ არა მან რაიმე შესწორება და ცვლილება დედანთან შედარებით თავის გამოცემაში“. პირველი კითხვის პასუხად დ. კარიჭაშვილი ფიქრობდა, რომ ვახტანგი თავისი გამოცემის დედნად ისეთ ხელნაწერს აირჩევდა, რომელიც საუკეთესოდ იქნებოდა მიჩნეული, ხოლო „მეორე კითხვაზე უნდა გადაკრით უარყოფითი პასუხი მივსცეთ“. დ. კარიჭაშვილი წერდა: „თუ რაიმე აკლია ვახტანგის გამოცემას მეჩვიდმეტე საუკუნის ხელნაწერთან შედარებით, ეს იმის ბრალია, რომ ეს მეტო რამ არ იყო ვახტანგის დედანში და მისი აზრით, არც შეადგენდა ვეფხისტყაოსნის ნაწილს“.

როგორც ვხედავთ, დ. კარიჭაშვილი აქ დაუპირისპირდა ე. თაყაიშვილის თვალსაზრისს: ვახტანგის გამოცემა თურმე პოემის ტექსტის მოკლე ტიპის კრიტიკული რედაქცია კი არ ყოფილა, როგორც ამას ე. თაყაიშვილი ფიქრობდა, არამედ ვეფხისტყაოსნის რომელიღაც საუკეთესო ხელნაწერ-დედნის უცვლელი გამეორება.

ამ დებულების საილუსტრაციოდ დ. კარიჭაშვილი იმოწმებდა სწორედ წერეთლისეულ (S—5006) ნუსხას: „... რომ ვახტანგის დედნისთანა ხელნაწერ-

<sup>28</sup> Е. Т а х а и ш в и л и, დასახ. ნაშრ., გვ. 591.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 566—68.

<sup>30</sup> ეურნ. „განათლება“, 1913, VI, გვ. 412—424.



რები მეჩვიდმეტე საუკუნეში სხვებიც ყოფილა, ამისი დამამტკიცებელი საბუთი ჩვენ მოგვეპოვება.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავის ხელნაწერი № 5006, რომელიც ყოველის ნიშნებით მეჩვიდმეტე საუკუნისაა და ვახტანგის გამოცემის ტექსტიდან თავიდან ბოლომდე განსხვავებულის ტექსტის მქონებელია, როგორც ეტყობა, გადაწერილია იმნაირის შედგენილობის დედნითგან, როგორიც ყოფილა ვახტანგის დედანი, ისე რომ ბოლოში, რაც ამ დედანს ჰქვია სხვა ხელნაწერებთან შედარებით, სხვა შედგენილობის დედნითგან გადაწერიათ.

იმ ტაეპისთვის, რომელიც წ. კ. გ. ს. ხელნაწერში 1554-ეა, გადამწერს მიუყოლებია 1555-ე ტაეპი. ამ ტაეპისა დაუწერია სტრიქონ-ნახევარი და უცებ ნახევარს სიტყვაზე გაჩერებულა. შეუწყვეტია რა ეს ტაეპი, გადამწერს დაუწყია და განუგრძობა წერა იმ ტაეპებისა, რომლებიც ვახტანგის გამოცემებში არ მოიპოვებია და შეადგენენ მეჩვიდმეტე საუკუნის ხელნაწერებში 1554 ტაეპის შემდეგ მოთავსებულს დამატებებს“ (გვ. 416).

მამასადამე, დ. კარიკაშვილმაც ე. თაყაიშვილის კვალობაზე ხელნაწერი მე-17 საუკუნით დაათარიდა, ოღონდ, ე. თაყაიშვილისაგან განსხვავებით, ვახტანგის გამოცემა რომელიღაც ძველი ხელნაწერ-დედნის უცვლელ გამეორებად გამოაცხადა, რის საილუსტრაციოდაც მოიხმო ჩვენი ხელნაწერი (S—5006), რომლის გარკვეულ მონაკვეთში ასახული ყოფილა ვახტანგის გამოცემის დედნის ტექსტი.

დ. კარიკაშვილის ამ დებულების უკიდურეს განვითარებას ეპოულობთ ჩვენ პ. ინგოროყვასთან (და მანამდე იუსტ. აბულაძესთანაც)<sup>31</sup>.

პ. ინგოროყვას კატეგორიული მტკიცებით, „ტექსტის შესწავლიდან უცილობლად მტკიცდება, რომ ვახტანგს არავითარი შესწორება არ შეუტანია ვეფხისტყაოსნის დედანში და მას უცვლელად დაუბეჭდავს რომელიღაც ძველი ხელნაწერი“, რომ „ვახტანგისეული დედანი დღევანდელის სახით უკვე ჩამოყალიბებული ყოფილა მე-XIV საუკუნის ნახევარში“<sup>32</sup>. დ. კარიკაშვილის მსგავსად, პ. ინგოროყვაც ამ თვალსაზრისის სასარგებლოდ დიდ ანგარიშს უწევს S—5006-ის იმ მონაკვეთს<sup>33</sup>, რომელზედაც ზემოთ ვკვინდა საუბარი.

1937 წელს აკაკი შანიძემ განახორციელა ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქციის აღდგენილი გამოცემა<sup>34</sup>, სადაც გამოარკვია, რომ ვახტანგს „თარგმანში“ განუმარტავს რიგი ისეთი სიტყვა და სტროფი, რომელთაც მისი საბუნლით გამოცემულ ტექსტში ვერ ეპოულობთ და რომლებიც შემონახულია ვრცელი რედაქციის ხელნაწერებში, ამის გამო იგი დაასკვნია: „ვახტანგის მონოგრაფიის გულდასმით შესწავლა ექვს არ სტოვებს, რომ მას ხელთ ჰქონია ვრცელი რედაქციის ხელნაწერი და ამ ვრცელ ვეფხისტყაოსანს უწერდა

31 იუსტ. აბულაძე, ვეფხისტყაოსნის 1914 წლის გამოცემისათვის დართული გამოკლევა, გვ. VI, XIII; მისივე, ვახტანგ VI გამოცემული ვეფხისტყაოსნის რედაქცია, „განათლება“, 1917, № 4—5, გვ. 262—278; ცალკე წიგნად დაბეჭდა 1920 წელს. უკანასკნელად შევიდა ი. შეგვარელიძის მიერ შედგენილ კრებულში: იუბიტინე აბულაძე, რუსთაველოლოგიური ნაშრომები, თბ., 1967, გვ. 70—89.

32 პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, ტფილისი, 1926, გვ. 13, 42.

33 იქვე, გვ. 13.

34 შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, ტფილისი, 1937.

იგი თარგმანს ანუ ახსნა-განმარტებას. ისიც ირკვევა, რომ ვახტანგს (ან მის კომისიას) საბოლოოდ სხვა რედაქცია შეუმუშავებია და დაუბეჭდაც“ (გვ. 391).

ა. შანიძის გამოკვლევის შემდეგ უკვე საეჭვო აღარ ხდებოდა ვახტანგის გამოცემის ხასიათის გათვალისწინება. მაგრამ, ალ. ბარამიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დიდ დაბრკოლებად რჩებოდა U (S—5006. — გ. შ.) ხელნაწერის მონაცემი, გამოდიოდა, რომ ამ ხელნაწერის გადამწერს ხელთ უნდა ჰქონოდა ვახტანგისეული გამოცემის მსგავსი დედანი. ამავე დროს ყველა მკვლევარი ხელნაწერს მე-17 საუკუნით ათარიღებდა. მაშასადამე, თითქოს დასტურდებოდა მე-17 საუკუნეში ვახტანგის გამოცემის მსგავსი ვეფხისტყაოსნის მოკლე რედაქციული ტექსტის არსებობა“<sup>35</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ კ. კეკელიძემ საბოლოოდ გარკვეულად ჩათვალა ვახტანგისეული გამოცემა არის თავისებური კრიტიკული რედაქცია, ესე იგი — შეგნებული შემოკლება ხელნაწერებში დაცული ვრცელი დამატებიანი და ჩამატებიანი, ტექსტისა; და თუ დღესაც ვინმე სხვაფრივ ფიქრობს, ის, „...უცილობლობს ვითა ჭორიო“<sup>36</sup>, იძულებულია ანგარიში გაუწიოს S—5006 ხელნაწერს და აცხადებს: ვეფხისტყაოსნის მოკლე რედაქციის „ტრადიცია რომ არსებობდა ჭერ კიდევ 1712 წლის რედაქციის შექმნამდე, ადასტურებს ყოფ. წერა-კითხვის საზოგადოების ხელნაწერი № 5006, რომელიც მე-17 საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნის. ამ ხელნაწერში „ავთანდილისა და თინათინის ქორწილს“ უშუალოდ მოსდევს ის სტროფი, რომელსაც ჩვენ ვხედავთ ამ ამბის შემდეგ 1712 წლის გამოცემაში... ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ მასაც (ე. ი. ვადამწერს) თავდაპირველად პოემის დაბოლოება იმავე ტრადიციის მიხედვით უნდოდა, რომლითაც ხელმძღვანელობდა 1712 წლის გამოცემის რედაქტორი, მაგრამ მერე გადაუფიქრია და მოუტია ვრცელი, დამატებიანი რედაქცია“<sup>37</sup>.

ამიტომ იყო, რომ პ. ინგოროყვამ კვლავ S—5006 ხელნაწერის მოშველიებით სცადა თავისი ძველი შეხედულების განმტკიცება. ვეფხისტყაოსნის 1953 წლის გამოცემაში იგი წერდა: „საბოლოოდ უქუსაგდება ის ყოველად უსაბუთო, უცნაური მტკიცება, ვითომც ვახტანგს ნებისმიერად, ხელოვნურად შეემოკლებინოს ვეფხისტყაოსნის ტექსტი, ისე რომ მას არ ჰქონოდაც დოკუმენტური საფუძველი, ხელნაწერი დედნის სახით“<sup>38</sup>. ამის საბუთად ადრე ასეთი მსჯელობაა გაშლილი: „აღვნიშნავთ აქ მხოლოდ ერთს დოკუმენტალური ხასიათის ჩვენებას, საიდანაც დასტურდება, რომ XVII საუკუნეში (ე. ი. ვახტანგის გამოცემის უწინარეს) არსებული ისეთი ტიპის მოკლე რედაქცია ვეფხისტყაოსნისა, რომელსაც წარმოგვიდგენს ვახტანგისეული გამოცემა, და რომელშიაც არ ყოფილა შეტანილი ვეფხისტყაოსნის ის ვრცელი დამატებანი, „ბოლოს შეთავება“ (ე. ი. ინდო-ხატაელთა ამბავი და მისი მომდევნო ტექსტები), რომლებიც წარმოდგენილია XVI—XVII საუკუნეა ხელნაწერების განვრცობილს რედაქციაში. ამ ჩვენებას იძლევა ვეფხისტყაოსნის XVII საუკუნის ხელნაწერი S—5006.

35 ალ. ბარამიძე, დასახ. შრომა, გვ. 13.

36 კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიის საკითხები, თსუ შრომები, ტ. X, 1939; დაბეჭდილია მისივე „იტორიულში“, ტ. IV, 1957, გვ. 16.

37 კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიის საკითხები, თავი: ვეფხისტყაოსნის დაბოლოებისათვის, თსუ შრომები, ტ. X, 1939, გვ. 111.

38 შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, პირველი ინგოროყვის რედაქციითა და შენიშვნებით, თბილისი, 1953, გვ. 509.

ამ ხელნაწერის გადამწერს სახელმძღვანელოდ ორი დედანი ჰქონია: ერთი ბოკლე რედაქციისა (ვახტანგისეული ტიპისა) და მეორე ვრცელი რედაქციისა (XVI—XVII საუკუნეთა ხელნაწერების ტიპისა)“ (გვ. 508). ხელნაწერის ტექსტობრივი ანალიზის საფუძველზე მკვლევარი დაასკვნია, რომ ამის მიხედვით „დასტურდება ვახტანგისეული დედნის მსგავსი ბოკლე რედაქციის ხელნაწერის არსებობა“ (გვ. 509).

გადაკარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ა. შანიძის გამოკვლევის დამაჯერებელ და სარწმუნო შედეგებს ერთგვარად უხერხულ მდგომარეობას უქმნიდა S—5006 ხელნაწერი, რომელიც „ბოლო დრომდის არ ყოფილა შესწავლილი საჭირო სიღრმითა და სისრულით. ამ მხრივ დიდ: სამუშაო შესასრულა და U ხელნაწერი დაწვრილებით შეისწავლა სარგის ცაიშვილმა“<sup>39</sup>.

S—5006 ხელნაწერის შესახებ ს. ცაიშვილმა თავისი დასკვნები პირველად 1955 წელს გამოაქვეყნა<sup>40</sup>. ს. ცაიშვილის დაკვირვებით, „ვახტანგისეულ გამოცემასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით ეს ხელნაწერი ორ ნაწილად წარმოგვიდგება: პირველი ნაწილია პოემის დასაწყისი იმ თავამდე, სადაც გადმოცემულია ავთანდილის ფრიდონთან მისვლა და ბოლო თავები (ინდო-ხატა-ელთა ამბიდან ვრცელ დამატებათა ჩათვლით); მეორე ნაწილი — პოემის შუა წელია, დაახლოებით 600-მდე სტროფი (ავთანდილის ფრიდონთან წასვლიდან მოკიდებული ვახტანგისეულის ჩქმჲ — 1568 სტროფამდე, ე. ი. სადაც გადმოცემულია გმირთა ინდოეთში გამგზავრება“ (გვ. 321): „ამ ხელნაწერის შუა ნაწილი ზუსტად ემთხვევა ვახტანგისეულ ტექსტს. ცნობილია, რომ მე-17 საუკუნის არც ერთი ხელნაწერი ამ მონაკვეთში არ ემთხვევა ვახტანგის გამოცემას. 5006 ხელნაწერი კი მოცულობის მხრივ გამოცემის იგივეობას წარმოადგენს. მაგალითად, ცნობილი სტროფი: „ფრიდონ წაჰყვა, განაღამცა ვავლეს ველი დიდსა ხანსა“ (1514 საიუბ.), რომლის ამოვარდნა ვახტანგთან ხარვეზს აჩენს, ამ ხელნაწერშიც არ არის. არ არსებობს მე-17 საუკუნის ისეთი ხელნაწერი, რომელიც მიჰყვებოდეს ვახტანგისეული გამოცემის დასათაურებას, რაც, საფიქრებელია, თვით რედაქტორის მიერ უნდა იყოს გაკეთებული. ამ შემთხვევაშია უსტი შეხვედრათა ამ ხელნაწერის მონაკვეთსა და 1712 წლის გამოცემას შორის.

ასეთივე მდგომარეობაა წაკითხვებში: ვახტანგისეული გამოცემის ყველა სწორი თუ არასწორი წაკითხვიდან ყველა ასევე მეორდება ამ ნაწილში. ვახტანგის გამოცემის კორექტურული შეცდომებიც მეორდება S—5006-შიაც... უოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ S—5006 ხელნაწერის ეს მონაკვეთი წარმოადგენს ვახტანგისეული გამოცემის პირს“ (გვ. 322).

ჩამოთვლილ საბუთთა საფუძველზე ს. ცაიშვილი დაასკვნია: „S—5006 ხელნაწერის ჩამოყალიბება ასე წარმოგვიდგება: გადამწერს პოემის გადმოღება დაუწყია რომელიღაც მე-17 საუკუნის ხელნაწერიდან, შემდეგ კი ხელში ჩაეარდნია ვახტანგის გამოცემა და ამ გამოცემის მიხედვით გაუგრძელებია გა-

<sup>39</sup> ალ. ბარამიძე, დასახ. შრომა, გვ. 15.

<sup>40</sup> ს. ცაიშვილი, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის საკითხისათვის. „ლიტერატურული მიზანი“, IX, 1955, გვ. 320—324. იხ. აგრეთვე: ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, თბ., 1957; ვეფხისტყაოსნის რედაქციები და პოემის ზოგიერთი ტექსტულური საკითხი. კ. ვეკელიძის დაბადების 80 წლისთავის საიუბილეო კრებული, 1959, გვ. 379—87; ვეფხისტყაოსნის ვრცელი რედაქციები, „ლიტერატურული მიზანი“, XIII, გვ. 239—71; ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, თბ., 1963.

დაწერა (შპდ სტროფიდან). მაგრამ როცა გადაწერმა ბოლო თავებში ვახტანგის გამოცემის ხარვეზიანობა შეიცნო, მიუტოვებია (ჩფმწ) ბექლური გამოცემა (რის კვალიც კარგად ჩანს ხელნაწერში) და კვლავ ვრცელი ტიპის ხელნაწერით გაუგრძელებია მუშაობა“ (გვ. 323). „S ფონდის 5006 ხელნაწერი წარმოადგენს ვახტანგ VI გამოცემისა და მე-17 საუკუნის რომელიღაც ხელნაწერის პირს და გადაწერილია მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში და არა მე-17 საუკუნეში, კერძოდ ვახტანგის გამოცემის უწინარეს, როგორც ეს ზემოთდასახელებულ მკვლევართ მიაჩნიათ. აქედან კი ბუნებრივად გამომდინარეობს მეორე დასკვნაც: რომ ის ერთადერთი მოსაზრებაც, რომელიც ექვს ქვეშ აყენებდა ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეულ გამოცემის კრიტიკულობას. უარყოფილ უნდა იქნეს“ (გვ. 324).

მართლაც, S—5006 ხელნაწერის შუა ნაწილი რომ უსათუოდ ვახტანგისგანაა გადაწერილი, ხოლო გაგრძელება — მე-17 საუკუნის ვრცელი რედაქციული ტიპის ხელნაწერიდან, ამას ამტკიცებს კიდევ შემდეგი გარემოება: სტროფი „ტარიელს და ცოლს მისსა...“ (ჩფმწ ვახტ.) ორჯერაა ხელნაწერში — ზირველად ნაკლულად და მეორედ სრულად:

- I. „... და ცოლსა მისსა მიხედა მათი საწადელი  
შვილი ტახტი სა...“ (ფ. 243r)
- II. „ტარიელს და ცოლსა მისსა მიხედა მათი საწადელი  
შვილი ტახტი საქლმწიფო საშეხელი გაუცდელი  
მათ პატიყთა დააიწყებებს ლხინი ესე აწინდელი  
ყოლა ლხინთა ვერ იამებს კაცი ჰირთა გარდუხდელი. (ფ. 250v).

აქ საინტერესო ისაა, რომ ნაკლულ ტექსტში „მიხედა“ ფორმა გვაქვს (ისევე როგორც ვახტანგთან, იხ. ჩფმწ), ხოლო სრულში „მიხედა“ (ისე როგორც მე-17 ს-ის ხელნაწერებში). ამას გარდა, ნაკლულ ტექსტში „ტარიელს“ არ წერია (არც წაშლილია!). ეს იმით აიხსნება, რომ ხელნაწერში დასაწყის სიტყვებს ჩვეულებრივ სინგურით ჩაწერდნენ ხოლმე ტექსტის მთლიანად შავი გელნით გადაწერის შემდეგ. ხოლო რახან გადაწერმა უკვე იცოდა, რომ ეს სტროფი მას გაგრძელებაში ჰქონდა სრულად გადაწერილი ვრცელი ტიპის ხელნაწერიდან, ამიტომ ვახტანგისაგან გადმოწერილ ვარიანტში იგი აღარ წეავსო.

ახლა იზადება ასეთი კითხვა: რამ გამოიწვია S—5006 ხელნაწერის მაინც-დამაინც შუა წელის ვახტანგისეული გამოცემის მიხედვით შევსება, თუ დასაწყისი და ბოლო ნაწილი მე-17 საუკუნის ვრცელი რედაქციული ტიპის ხელნაწერიდანაა გადმოწერილი; თუ მაინცდამაინც, თავიდან ბოლომდე გადმოწერათ ვახტანგის ტექსტი და იგი ბოლოში შეეკსოთ იმ ახალი სიუჟეტური გაგრძელებებით, რაც ვახტანგის გამოცემაში არ იყო წარმოდგენილი. რაღა შუა წელში სარგებლობს ვახტანგის გამოცემით S—5006-ის გადაწერა?

ამ კითხვისათვის დამაკმაყოფილებელი პასუხი ჭერჯერობით არავის გაუცია. ვფიქრობთ, ამაში ჩვენ უნდა დაგვეხმაროს ხელნაწერში ჩართული მინიატურები და საერთოდ, ხელნაწერის დასურათების საკითხის გამორკვევა.

(წარმოდგინა საქართველოს მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ)

## გაღონა ნიშარაძე

## ახალი ცნობები ამბროსი ნიშარაძის გიორგაფიიდან

ამბროსი ნეკრესელი მე-18 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-19 საუკუნის დასაწყისის ცნობილი მწერალია. მის შესახებ ჭერ კიდევ გასულ საუკუნეში დაინტერესებულა მოწინავე ქართველი საზოგადოება. 1881 წელს ალექსანდრე ეპისკოპოსს გამოუტია ამბ. ნეკრესელის ჰომილიათა კრებული, რომელიც მისი შემოქმედების მცირე ნაწილს შეიცავს. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დატულია ამბ. ნეკრესელის ხელნაწერები, რომლებიც ფეოდალური ხანის მწერლობის საყურადღებო საკითხებს ეხებიან.

ამბროსი ნეკრესელის შემოქმედებიდან ყველაზე უფრო საყურადღებოა მისი ჰომილიები, რომლებიც მას წარმოუთქვამს თავისი მოღვაწეობის სხვადასხვა დროს. იგი დიდხანს მოღვაწეობდა წილენისა და მანგლისის კათედრებზე. დღემდე ცნობილი მასალებით ამბ. ნეკრესელის წილენლობა ცნობილი იყო 1778 წლის 9 აპრილიდან<sup>1</sup>, მაგრამ ახლად გამოვლინებული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ მას წილენლობა მიუღია უფრო ადრე. მის მიერ გადაწერილ ერთ-ერთ ხელნაწერს (Q—845) დართული აქვს შემდეგი ანდერძი: „არაგვზე და შემდგომად წილენს, ყოვლითურთ ვერანასა და უშენსა ადგილსა, დაესდგე ორსა წელსა შინსა შინა მხოლობით და შემდგომად შემოვიკრიბენ ყმანი მემკვიდრენი და ხიზანნი და მივეც აქაც თავსა ჩემსა დიდი შრომა, უფალმან უწყის შეძლებისა ჩემისა უმეტესი რომელ არ ვიქადი დაღათუ რიცხვით 40 წელი ვინ მდგარიყო, ესოდენსა შრომას იგიცა ვერ ძალიდებდა და მე ორსავე ადგილსა შინა სამწყსოსა და საყმოსა ვიყავ წელი 15 და შემდგომად რასამე მიზეზით განვერი, ავიღე ჯელ და წარმოველ ქალაქად. მიბოძეს მანგლულობა, დაეყავ (ა) წელი და შემდგომად მიბოძეს ნეკრესლობა თვესა ოქტომბერსა, წელსა 1793, ქორონიკონს უჰა და ამიერითგან ნება უფლისა იყავნ“.

გამოდის, რომ ამბ. ნეკრესელს მთიულეთისთვის თავი დაუწებებია 1793 წლის ოქტომბერში, მანგლისში კი ყოფილა 1793 წლის ოქტომბრამდე. მაშასადამე, მანგლულობა დაუწყია 1792 წლის მეორე ნახევარში. დაახლოებით ოქტომბრის თვეში. როდის წამოვიდა წილენიდან, სათანადო ცნობების უქონლობის გამო ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა არ ხერხდება. ერთი კი ცხადია, 1792 წლის 16 თებერვალს ის კიდევ წილენში ყოფილა, რადგან ამ დღეს (16. II) ერეკლე მეფეს წყალობის ოქმი გაუგზავნია ამბროსისათვის წილენ-

<sup>1</sup> ს. ო. ყუბანეიშვილი, ამბროსი ნეკრესელი, „ლიტერატურული ძეგლები“, III, 33. 230. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, A—1631.

ში<sup>2</sup> და თან ქალაქს დაუბარებია<sup>3</sup>. ერეკლესა და ამბროსის შორის მიწერ-მოწერას, წილნიდან წამოსვლას, ქალაქში ჩასვლას და შემდეგ მანგლელად დანიშნვას რამდენიმე თვე მაინც დასჭირდებოდა. ასე რომ, მანგლელობის დაწყებასა ვარაუდობელია, 1792 წლის სექტემბერ-ოქტომბრიდან. მანგლელობამდე, ანდერძის მიხედვით, ამბროსის 15 წელი უმოღვაწეობა წილკანში, ე. ი. 1777-დან და არა 1778 წლიდან, როგორც ერთ დოკუმენტშია (A—1631) აღნიშნული. ამ თარიღს ადასტურებს ამბროსის გადაწერილი კრებული A—317, სადაც 1777 წ. 5 აგვისტოს ის თავის თავს წილკნელს უწოდებს: „აღწერე წილკნელმან, განრა პირველ იკორთისა არქიმანდრიტმან უღირსმან ამვროსიმ პალატსა სავატრიარხოსა, თვეს აგვისტოსა ე. წელსა 1777“ (გვ. 43). ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ 1777 წლის 25 იანვრისა და 4 აპრილის სიგელ-გუჯრებში ამბროსის ეწოდება ზაქარია მღვდელი, დეკანოზის შვილი<sup>4</sup>. მაშასადამე, ამბროსის ბერად აღკვეცა და წილკნელად დანიშვნა უნდა ვივარაუდოთ 1777 წლის 4 აპრილსა და 5 აგვისტოს შორის.

ამავე ხელნაწერს (A—317) მე-15 გვერდზე აქვს ასეთი მინაწერი: „უღირსი ესე წილკნელი ვიქმენ მანგლელი 179: წელსა და კუალად უღირსი ესე მყვეს ნეკრესლად წელსა 1793 და ამიერიდან ნება უფლისა იყავნ“. ეს მინაწერი გვიანდელია. როგორც ჩანს, ამბროსის ზუსტად არ ახსოვდა როდის დაიწყო მანგლელობა, ამიტომ თარიღის დასაზუსტებელი ადგილი ღიად დაუტოვებია და ასე დარჩენილა სამუდამოდ.

ზემოთ აღნიშნული დოკუმენტებით (Q—845 და A—317) ამბროსი ნეკრესლად დანიშნულა 1793 წლის მიწურულში. სავარაუდოა, რომ იგი მთიულეთს იმ წუთში არ მიატოვებდა, საქმეების მოსაწესრიგებლად, ალბათ, დარჩებოდა, თუ მეტი არა, წლის ბოლომდე მაინც.

ვოლკონსკის ცნობით, ამბ. ნეკრესელს მთიულეთში გაუტარებია 18 წელი<sup>5</sup>, მაგრამ ეს თარიღი სწორი არ უნდა იყოს. როგორც აღვნიშნეთ, ამბროსი მთაში მოღვაწეობდა 1777 წლის 5 აგვისტოდან 1793 წლის ბოლომდე — 16 წელი და რამდენიმე თვე. ამ თარიღს ადასტურებს ამბ. ნეკრესელის ავტობიოგრაფიული ცნობაც (Q—845), რომლის მიხედვით მას მთიულეთში გაუტარებია 16 წელი: 15 წელი იკორთასა და წილკანში, ერთი კი მანგლისში.

1793 წლის მიწურულიდან ამბროსი უკვე ნეკრესელია<sup>6</sup>. მას თავის სავანედ შილდის ციხე აუჩრჩევია; სადაც 1794 წლის 2 დეკემბერს დამკვიდრებულა. ამბროსი თავის თავს ხან ეპისკოპოსს უწოდებს, ხან მიტროპოლიტს<sup>7</sup>. მისი მიტროპოლიტობა სავარაუდოა არა 1806 წლიდან, როგორც ამას ღიმ. ჭანაშვილი ფიქრობდა, არამედ ნეკრესლად დანიშვნიდან, რადგან ნეკრესში სამიტროპოლიტო კათედრა 1740 წლიდან არსებობდა. ამ წელს თეიმურაზ მეფისა და დედოფლის თხოვნით დომენტი კათალიკოსმა ნეკრესის საეპისკოპოსო

<sup>2</sup> ს. ო. ყუბანეიშვილი, ამბროსი ნეკრესელი, „ლიტერატურული ძიებანი“, III, 231.

<sup>3</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, A—1631.

<sup>4</sup> ს. ო. ყუბანეიშვილი, ამბროსი ნეკრესელი, „ლიტერატურული ძიებანი“, III, 230.

<sup>5</sup> А К Т Ы, II, 33. 324.

<sup>6</sup> და არა 1781 წლიდან, როგორც ღიმ. ჭანაშვილს ევონა. და არც 1789 წლიდან, როგორც ა. კვეციანი ფიქრობდა.

<sup>7</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, H—1334, ამბ. ნეკრესელის წერილი იმპერატორისადმი.

სამიტროპოლიტოდ გადააკეთა<sup>8</sup>. 1801 წელს ანტონ კათალიკოსის მიერ შედგენილ ქართლ-კახეთის ეპარქიის პირადი შემადგენლობის სიაში ამბროსი ნეკრესის მიტროპოლიტად არის დასახელებული<sup>9</sup>.

ნეკრესში გაუტარებია ამბროსის თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები. აი რას წერს დიმიტრი ჯანაშვილი ამბროსის ნეკრესში მოღვაწეობის შესახებ: „იმას უნდა დაეცვა ჩვენი ერობა გალექებისაგან და ქრისტიანობა მუსულმანობისაგან თავის მკვერამეტყველებით, ცოდნითა, გამოცდილებითა და მხნეობითა. მისი მხურვალე სიყვარული სარწმუნოებისა, ქართველი ხალხისა და სურვილი ქვეყნის უვნებლად დაციესა იმედს აძლევს მეფესა და კათალიკოზს, რომ ის მხნედ იმოქმედებს სამშობლოს კეთილდღეობისა და უვნებლობისათვის“. ამბროსი ენერგიულად იბრძოდა ხალხში ცრურწმენისა და მავნე ჩვევების აღმოფხვრისა და ახალი თაობის წესიერად აღზრდისათვის. ნეკრესლობის პერიოდში ამბ. ნეკრესელის ლიტერატურული მოღვაწეობის ყველაზე ნაყოფიერი ხანაა. აქ წარმოითქვა და დაიწერა მისი შესანიშნავი პოეზიების დიდი ნაწილი.

ამბროსის ცნობით, ნეკრესში მას დაუყვია 18 წელი. ამის შესახებ ამბროსის საბას ლექსიკონისათვის (H—1116) შემდეგი ცნობა დაურთავს: „გლოცავ მამანო და ძმანო ცოდვილი მოხსენებასა ჩემსა წილკნელ-მანგლულ ყოფილი. იმ წელსა ნეკრესელი, ამვროსი. წელსა ჩვიგ, აგვისტოს მ<sup>1</sup>“. მაშასადამე, თუ ნეკრესში ამბროსის ფაქტიური მოღვაწეობა 1794 წელს დაიწყო და 1812 წელს კი შეწყდა (ამ წელს ნეკრესის ეპარქია გაუქმდა), გამოდის, რომ იქ მას მართლა 18 წელი გაუტარებია.

ზემოდ დასახელებული (H—1116) მინაწერიდან ვგებულობთ, თუ რა ღვაწლი დაუდგია ამბროსის შილდის ეკლესიისათვის, რომელიც მას ლექებისაგან დარბეული და გაძარცვული დახვედრია. ამასთან ერთად ანდერძში ჩამოთვლილია ის წიგნები, ხატები და ეკლესიისათვის საჭირო სხვა ნივთები, რომლებიც ამბროსის საკუთარი სახსრებით უყიდია და ეკლესიისათვის შეუწირავს. თვით იმ დღეს (1813 წ. 8 აგვისტო), როცა აღნიშნული ანდერძი იწერებოდა, ამბროსის შილდის ეკლესიისათვის საბას ლექსიკონი მიუტრფევია. ანდერძში ჩანს ამბროსის მწუხარება, რაც ნეკრესის ეპარქიის გაუქმებითა და მისი განთავისუფლებით არის გამოწვეული. ეტყობა, განთავისუფლების შემდეგ ამბროსი ისევ იქ დარჩენილა და შილდის ეკლესია უყურადღებოდ არ მიუტოვებია.

მაშასადამე, ოფიციალურად ამბ. ნეკრესელი ნეკრესში მოღვაწეობდა 1794—1812 წლებში. მაგრამ ფაქტიურად იგი ნეკრესის ეპარქიის გაუქმების შემდეგაც იქ დარჩენილა როგორც მზრუნველი და მეთურვე.

ჩვენს ხელთაა ერთი მეტად საინტერესო დოკუმენტი — ამბ. ნეკრესელის წერილი ალექსანდრე იმპერატორისადმი, სადაც ამბროსი სწერს: „ამისთვის ვითხოვ თქვენის მოწყალებისაგან, რომ ეკლესიისა ჩვენისა მეფეთაგან დამტკიცებული წიგნი თქვენც დაამტკიცოთ, ვინათგან ყოველივე ეკლესიითა მამული და ყმა კელმწიფთისა არს და სხვათაგან არავისი საცალობელი. ამისთვის ჩვენისა ეკლესიისა ყმა და ერთგული მღვდელნი<sup>10</sup> და მე უძღლურებისა და მო-

<sup>8</sup> ს. ო. ყუბანეიშვილი, ამბროსი ნეკრესელი, „ლიტერატურული ბიბლიოთეკა“, ტ. III, გვ. 235; Д. Пурцеладзе, Грузинск е церковные гуджари: გვ. 39; თ. ჟორდანიას. ქართლ-კახეთის ეკლესიის და მონასტრების ისტორიული საბუთები. გვ. 255.

<sup>9</sup> А к т м I, გვ. 531.

ხუცების გამო ვერ გაიხელ, ნუ გამიწყრებით და ვითხოვ ყოვლად წმიდისა სულისაგან თქვენს მშვიდობით დაფარვას. ყმა და ერთგული ეკლესიისა ჩვენისა დაბალი მიტროპოლიტი ნეკრესელი ამვროსი. აპრილის 10, წელს 1807“.

ჩვენამდე ამ წერილის შეგმა ცალმა მოაღწია. არ ვიცი, ამბროსიმ გაგზავნა თუ არა იგი. არც ის ვიცი, მიიღო თუ არა წერილი ადრესატმა, მაგრამ ერთი კი ცხადია — ამბროსი ეკლესიის თავდადებული მზრუნველი ყოფილა. 1807 წელს ის საკმაოდ ხანდაზმული იქნებოდა, მაგრამ მაინც ეკლესიის კეთილდღეობისათვის თავს არ ზოგავდა. ახალა, რუსული მმართველობის შემოღებამ, ალბათ მის სამწყსოში რაიმე გაუგებრობა შეიტანა. შეიძლება, მას, უკვე მოხუცს, საეკლესიო ყმა და მამულებს ეცილებოდნენ და ამიტომ თხოვდა იმპერატორს ეკლესიის წიგნის დამტკიცებას. ამ თხოვნას სარჩულად იმას უღებდა, რომ „ყოველივე ეკლესიითა მამული და ყმა კელმწიფისა არს და სხვათაგან არავისი საცილობელი“.

ამბ. ნეკრესელი 1728 წელს დაბადებულა<sup>10</sup>. გარდაცვალების თარიღის დასადგენად პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება. სიმართლეს მოკლებულია პლატონ იოსელიანის გადმოცემა, თითქოს ამბროსი 1796 წელს გარდაცვლილი იყოს<sup>11</sup>, რადგან დღეს ჩვენს ხელთაა ამბროსის უამრავი ავტოგრაფი, რომლებიც 1796 წლის შემდეგაა დაწერილი და ამ წლის შემდეგდროინდელ ისტორიულ ფაქტებს ეხება. ამბროსი არც 1803 წელს გარდაცვლილა, როგორც ამას დიმიტრი ჯანაშვილი ამბობს, რადგან 1812 წელს, როდესაც ცარიზმმა ნეკრესის ეპარქია გააუქმა, ამბროსი კიდევ ცოცხალი იყო. ნეკრესის ეპარქიის გაუქმებას ის გულდამშვიდებით ვერ შეხვდებოდა, ამიტომაც ამბობს თავის თავზე „მოხუცსა აღეშურნენ ვიეთნიმე უცებნი და წამოვიდა თვისად ქორონიკონს ფ [1812] აპრილის იდ [14]“. საეკვოა თბილისში დაბრუნებულ ამბროსის რაიმე თანამდებობა სქეროდა. მას უკვე ასაკი და ფიზიკური მდგომარეობა აღარ აძლევდა ამის საშუალებას.

დღემდე ამბ. ნეკრესელზე 1812 წ. შემდეგი დოკუმენტები არ იყო ცნობილი. ამიტომ იგი 1812 წლის ახლო ხანებში გარდაცვლილად მიაჩნდათ, მაგრამ ამჟამად ჩვენს ხელთაა ზემოთ ნახსენები საბას ლექსიკონის ანდერძი, რომლითაც 1813 წელს ამბროსი ისევ შილდამში ჩანს და შილის ეკლესიას მზრუნველობს. ამას გარდა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია S-4970 ხელნაწერი „ქადაგება წმიდა გიორგიზე“, რომელიც გადაწერალია გრიგოლ დიაკონის მიერ. ხელნაწერს ბოლოს დართული აქვს ანდერძი: „აღწერე და ვისაჲე უღირსმა ეპისკოპოსმან ნეკრესელმა წელსა ჩყიე. დაიწერა ეს წერილი ივნისს გ. ქორონიკონს ფგ“. ცოტა ქვემოთ კი ვკითხულობთ გადაწერის ანდერძს: „დაწერე ეს წერილი მე უღირსმა მღვდლის შვილმა გრიგოლ დიაკანმა“. ამის ქვემოთ ხეუული მთავრული ასოებით გამოყვანილია თერთმეტჯერ „ამვროსი“ და ერთხელ „გრიგოლი“. მაშასადამე, 1815 წლის 3 ივნისს ამბროსი ცოცხალი ჩანს და ქადაგებაც წარმოუთქვამს, ხოლო მოხუცებულობის გამო თვალდაკლებულს ჩაწერა ვეღარ მოუხერხებია და ეს საქმე გრიგოლ დიაკონისთვის მიუხდვია.

<sup>10</sup> სოლ. ყუბანეიშვილი, ამბროსი ნეკრესელი, „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. III, გვ. 231.

<sup>11</sup> П. Иоселиани, Гора св. Давида или описание древнего города Т. флиса, гв. 166.



აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დასახელებულ ანდერძში ერთი თარიღი „წელსა უეე, აგვისტოსა კდ“, რომელიც „ჩყიე“-ს უძღვის, გადაშლილია. მაშასადამე, ჭერ დაუწერიათ 1807 წელი, გადაუშლიათ და შემდეგ 1815 წელი დაუწერიათ. ეს ფაქტი ასე შეიძლება აიხსნას: ამბროსის აღნიშნული ქადაგება პირველად 1807 წელს ექნებოდა ნათქვამი, 1815 წელს ახალი ველარ შეუთხზავს და ისევ ძველი გაუმეორებია. ამ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ ამბროსიმ გრიგოლ დიაკონს გადასაწერად თავისი ქადაგების ძველი ხელნაწერი გადასცა. გადამწერს ტექსტთან ერთად უცვლელად გადაუტანა ავტორის ძველი ანდერძი და მექანიკურად ძველი თარიღიც გადაუწერია, მაგრამ შეცდომას იქვე მიმხვდარა, გადაუშლია და ქადაგების ბოლო წარმოთქმის ნამდვილი დრო 1815 წ. მიუწერია. ქადაგება გადაწერილია 1815 წ. 3 ივნისს, ხოლო წარმოთქმის თვე და რიცხვი აღნიშნული არ არის. მაგრამ, ცხადია, გადაწერის წინა დღეები უნდა ვივარაუდოთ.

ამბ. ნეკრესელი 1815 წლის 3 ივნისს ღრმა მოხუცი 87 წლის იქნებოდა და საფიქრებელია, რომ შემდეგ დიდხანს აღარ უცხოვრია. 1815 წლის შემდეგ დროინდელ დოკუმენტებში მისი სახელი აღარ ჩანს.

პლ. იოსელიანის სიტყვით ამბროსი ნეკრესელი დასაფლავებული ყოფილა სიონის ტაძარში.

იოანე ბატონიშვილის ცნობით ამბ. ნეკრესელი იყო კარგი მუსიკოსი და მგალობელი. მართლაც, ის ორიგინალური ჰიმნების ავტორია და გადამწერი სხვათა საგალობლებისა<sup>12</sup>. ზოგჯერ ამბროსის გადაწერილ საგალობელთა კრებულებში გვხვდება სანოტო ნიშნები.

A—317-ში შეუტანია რუსული წირვის საგალობელი და რუსული ნოტი.

ამბ. ნეკრესელის შემოქმედება მდიდარია ორიგინალური ჰომილიებით. ამ ჰომილიათაგან ბევრი ერთსა და იმავე საკითხზეა დაწერილი. ერთი რომელიმე წმინდანის დღესასწაულზე ქადაგებას რამდენჯერმე წერდა და შემდეგ სხვებს ურჩევდა: ეს სჯობს ან ის, ეს მოკლეა, ის ვრცელია და ეს იქადაგო და სხვა. კრებული S—1168 საესვა ასეთი მინაწერებით: „წითელ პარასკევის დღეს ეს ექადაგე, ამაზედ ეს მეორე უფრო გრძელი იყო და ის ამიტომ არ ვიქადაგე და ამ ქადაგების კიდევ სხვა არის და ის უფრო ცოტად შემოკლებულია და ახლა ის იქადაგე“ (გვ. 32).

ამავე ხელნაწერში მოიპოვება ასეთი მინაწერი: „ხარებობის ქადაგება ქუთათლის ტიმოთესაგან ვიშოვნე“. ცხადია, ეს ტიმოთე გაბაშვილია. ე. ი. ამბროსი არა მარტო თვითონ უგზავნიდა სხვა ეკლესია-მონასტრებსა და სასულიერო პირებს თავის ჰომილიებს, არამედ თვითონაც სარგებლობდა სხვა ცნობილ მქადაგებელთა შემოქმედებით.

ამბროსი ნეკრესელი თავის ჰომილიებს უფრო იმ ეკლესია-მონასტრებს უგზავნიდა, რომლის სახელობის წმინდანზეც იყო დაწერილი. აი, რას წერს „აღდგომის ქადაგების“ ანდერძში: „ჩემს სამწყსოს ეკლესიებში თავისის წმინდისა თვითო ქადაგება მიღეწია, ერთი პირა ამისი მათიკაშვილის ეკლესიაში დავსდევ, აღდგომის ეკლესია არის. წელსა 1797“<sup>13</sup>. ხშირად თვით მსმენელები იწერდნენ ამბროსის ჰომილიებს. ჩვენამდე მოღწეულია ამბროსის ქა-

<sup>12</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q—808, ღვთისმშობლის საგალობლები; Q—845, საგალობელთა კრებული; A—338, ღვთისმშობლის ძილისპირნი, საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 1446, № 201.

<sup>13</sup> ამბროსი ნეკრესელი, ქადაგებანი, გვ. 34.

დაგება „სწავლა გამოკრებილი“ (H—447), რომელიც 1201 წელს გადაწერილია ნეკრესის დიაკონის მოსეს მიერ.

ალბათ, ჰომილიების ნუსხების სიმრავლემ განაპირობა არა მარტო ის, რომ ამბროსის სახელი და შემოქმედება მის სიცოცხლეშივე პოპულარული გახდა, არამედ ისიც, რომ ამბროსი ნეკრესელის შემოქმედების დიდმა ნაწილმა დაუზიანებლად მოაღწია ჩვენამდე.

ამბროსი ნეკრესელი, როგორც პოეტი, სიცოცხლეშივე იქნა აღიარებული. მაგ., კრებულში, სადაც ნიკოლოზ თბილელისა და ანტონ I-ის შრომებია მოთავსებული, შეუტანიათ ამბროსი ნეკრესელის ლექსები: „ანნა დედოფალზე“, „იესე წილენელსა“ და „აბიბო ნეკრესელზე“<sup>14</sup>.

ამბროსი საქართველოს მოწინავე საზოგადოებაში ტრიალებდა. იგი სამეფო კართან დაახლოებული პირი იყო, მიღებული ერეკლე მეფისა და ბატონიშვილების მიერ. ეს ჩანს მისი ლექსებიდან, რომლებიც ამბროსის მეფე ერეკლესათვის, ანტონ II-ისა და ლევან და ვახტანგ ბატონიშვილებისათვის მიუძღვნია.

ამბროსის ხელნაწერებში გვხვდება გვიანდელი მინაწერები ვახტანგ ბატონიშვილისა, დავით ბატონიშვილისა და სხვ., რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამბროსის გადაწერილი წიგნები სამეფო კარზე ტრიალებდა და უმაღლესი არისტოკრატიისათვის იქმნებოდა. მაგ., ამბროსის მიერ გადაწერილი იოანე ოქროპირის „მათეს სახარების თარგმანება“ (H—1341) 1809 წლის მაისში შიო მღვიმის მონასტრისათვის შეუწირავს დავით ბატონიშვილს.

ამბ. ნეკრესელი მრავალმხრივი მოღვაწეა და საქიროა მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მონოგრაფიულად შესწავლა.

<sup>14</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, H—983.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა)

გაია რაჟავა

### იგავის, ხატისა და ქერაის ცნებებისათვის იოანე პეტრიწის „განმარტებუში“

ძველი ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასადგენი და გამოსაკვლევია.

რამდენიმე ცნება, რომელიც იოანე პეტრიწის ფილოსოფიური ლექსიკიდან საგანგებო ყურადღებას იქცევს, არის: იგავი, ხატი, ქერპი. უაღრესად თავისებურია ამ ტერმინთა გააზრების ხასიათი პეტრიწის ფილოსოფიაში. უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელობათა ეს თავისებურებანი ქართულ მწერლობაში ჯერჯერობით მხოლოდ იოანე პეტრიწის მოძღვრებაში გამოვლინდა.

ცნებების თავისებური შინაარსი განპირობებულია სამყაროს იმ იერარქიული წყობით, რაც ნეოპლატონიზმმა მოხაზა და იოანე პეტრიწმა ქართულ ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო აზროვნებას მიუსადაგა. მაგრამ ნეოპლატონიზმამდე ბევრად ადრე, ჯერ კიდევ პლატონთან, ჩამოყალიბდა ცნებათა ეს ფილოსოფიური სემანტიკა. ოღონდ საკითხავია, როგორ შეათანხმა ქართველმა ფილოსოფოსმა ემანაციის პრინციპს მათი გააზრება?

იგავი ხშირად ხმარებულია ძველ ქართულ მწერლობაში. ბიბლიიდან მოყოლებული, ორიგინალურსა და ნათარგმნ ძეგლებში, ყველგან დასტურდება ეს სიტყვა. იგავს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს ქართულში. ორი მათგანი მითითებული აქვთ ქართველ ლექსიკოგრაფებს.

„— იგავი ესე არს სიტყვით მაგალითი, გინა საჩვენებელი, გინა მოსანიშნავი“, — ასე აქვს განმარტებული იგავი სულხან-საბა ორბელიანს<sup>1</sup>. დავით ჩუბინაშვილი იგავს განმარტავს, როგორც ანდაზას. მაგალითს<sup>2</sup>.

ამრიგად, იგავის ერთი მნიშვნელობაა: მაგალითი, ნიმუში, ე. ი. რაღაცის მისანიშნი. ქართული ლიტერატურული ძეგლები ძალზე ხშირად ადასტურებენ ამ მნიშვნელობას: „მრავალთა მიერ იგავთა და მაგალითთა ძეშლთაგან მწერალთა პრომეელთასა მოღებულთა განმარტებული“ (S—251, შენ. 254,16). „მისცნე... იგავად და საძულველად და საწყველად ყოველსა ადგილსა (იერემია, 24, 9) და სხვ.

ასებობს იგავის სხვა მნიშვნელობაც: ეს არის სახე. იგავი და სახე ხშირად გამოიყენება ერთმანეთის სინონიმად. „გიორგი მთაწმინდლის ცხოვრებაში“ ნათქვამია: „არღარა სახით და იგავით ჰმსახურებს ზეცისათა მათ“ (342,48). „სახე და იგავ ექმნა ყოველთა, რომელთა სოფელი დაუტევიან“ (მამათა სწავლანი, 195,5). „ესეოდენთა იგავთა და სახეთა წინადაუღებდა“ (დავით

1 სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, წიგნი 1, თბ., 1966.

2 დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, ს. — პეტერბურგი, 1887.

აღმაშენებლის ისტორიკოსი, 357,8). S—3359 ხელნაწერის შენიშვნაში პირდაპირ მითითებულია: „იგავნი, რომელ არიან სახისმეტყველებანი“. „იგავთა რათმე და სახისმეტყველებათა მიერ რეცა პატიოსანი რათმე გულისკმის-ყოფაჲ თვისაგან გონებისა კელ-ყვეს შემოღებად წერილთა ზედა“ (ექუსთა დღეთაჲ, 104,25). „პატივ სცემს... ვარსკულავსა ბრწყინვალესა, აღმოსრულსა იგავად საღმრთოჲსა განკაცებისა“ (დასდებელნი ყოვლ. წმ., ძველი ქართული სასულიერო პოეზია, 250,84).

იგავისა და სახის, ისევე როგორც მაგალითის სემანტიკურ სინონიმობას ქმნის თითოეულ მათგანში არსებული ნიუანსი მსგავსებისა. სახე რაიმეს არეკლავა, რაიმეს გამოსახულებაა. ასევე იგავშიც ხაზი ესმება ამ მიმსგავსებას. ამდენად, იგავს აქვს მსგავსების მნიშვნელობაც. მართლაც, იოანე პეტრიწის შრომებში იგავის მნიშვნელობით და შესატყვისად იხმარება მიმსგავსება.

იგავის კიდევ ერთი მნიშვნელობა არსებობს. ესაა: დაფარული აზრი, რომელიც განმარტებას თხოულობს. იგავის ეს მნიშვნელობა ახლოს არის იგავი-მაგალითის მნიშვნელობასთან. სულხან-საბა ორბელიანის განმარტება — „სიტყვით მაგალითი... გინა მოსანიშნავეი“ — გულისხმობს იგავის ქვეშ დაფარული აზრის არსებობას, რომელიც რაღაცაზე მიუთითებს. იგავი-დაფარული აზრი — ეს მნიშვნელობა ქარბად დასტურდება ძეგლებში. „იგავნი დაფარულნი გამოცხადდეს ქეშმარიტად“ (დასდებელნი ნათლისღებ., II, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, 217,136). „პირისპირ ვეტყოდი მას ცხადად და არა იგავით“ (ექუსთა დღეთაჲ, 2,19). „ხოლო აღდო პირი თვისი... და დაჰქსნიდა ყოველთა იგავთა და საცთურთა მათთა“ (კიენი I, 291,38). „იგავად იტყვს მაცხოვარი, არა ცხადად, რამეთუ თვისისა მამისასა, ვითარცა კაცი-სა ვისსამე იტყვს“ (იოანე ბოლნელის ქადაგებანი, 33,10). „პლატონ გარდათარგმნნა სიტყუანი მიფარულად-რე და იგავოანად ქმნითა მოთხრობისაჲსა“ (სტონოგრაფი გიორგი მონაზონისაჲ, 37,1).

იგავის ამ მნიშვნელობას უკავშირდება მისი სხვა მნიშვნელობაც, როგორცაა: იგავი ანუ მოკლე ალეგორიული მოთხრობა, რამე რჩევა-დამრიგებლური სენტენციით დამთავრებული. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში იგავის ეს მნიშვნელობაა განმარტებული: „1. მოკლე ალეგორიული მოთხრობა, რომელიც ჩვეულებრივ ზნეობრივ-დამრიგებლური დასკვნით მთავრდება, 2. გადატ. დაფარული აზრი ზღაპრისა, სიტყვისა“.

ასეთი შინაარსით იგავის ტოლფარდია არაკი.

პირიგად, იგავის შემდეგი მნიშვნელობები დადასტურდა: 1. მაგალითი, 2. სახე, 3. მსგავსება, გამოსახულება, 4. დაფარული აზრი, რომელიც განმარტებას თხოულობს, რაიმეს მისანიშნად თქმული, 5. მოკლე ალეგორიული მოთხრობა<sup>3</sup>.

ქართულში იგავი შესატყვისია ბერძნული *παρὰδῆγμα*-სი. ძველ ბერძნულში *παρὰδῆγμα*-ს შემდეგი მნიშვნელობა აქვს: 1. ნიმუში, მოდელი, 2. მა-

<sup>3</sup> იგავის ამ მნიშვნელობებს მსგავსი შესატყვისი აქვთ სომხურშიც. იოანე პეტრიწის „განმარტებათა“ სომხურ თარგმანში იგავი ზოგან თარგმნილია, როგორც *սառակ* — არაკი, ზოგან *იქისակ* — მგლითი, ზოგან კი *ყარყაყარ* — ფარული აზრი.

გალითი, 3. თვალნათლივი მტკიცება, 4. ჭკუის სასწავლო ნიმუში, 5. მსგავსება, 6. იმსგავსება<sup>4</sup>.

ბერძნულიდან ნათარგმნ ტექსტებში გამოვლინდა, რომ *παρὰ* — *παρα* — ს შესატყვისად ყველაზე ხშირად გვაქვს: იგავი და სახე. იოანე პეტრიწთან დადასტურდა მიმსგავსებაც.

*Παρα* — *παρα* — ს სინონიმებად ბერძნულში ჩვეულებრივია *παρὰ* — *παρα* და *σμίξιον*. ეს უკანასკნელი ქართულში იმავე შესატყვისობით არის გადმოსული, როგორც *παρα* — *παρα*. ესენია: 1. სახე, 2. მაგალითი, 3. იგავი, 4. სასწავლო, 5. ნიმი. ბოლო ორი მნიშვნელობა: სასწავლო და ნიმი ჩვეულებრივ მიღებული ნიშანის ტოლფარდია<sup>5</sup>.

ამრიგად, ქართულში იგავის მნიშვნელობა არის: სახე, მიმსგავსება, ნიშანი. საერთო, რაც მათ აერთიანებთ, არის: რაღაცის სახე, რაღაცის გამოსახულება.

როგორი გააზრება აქვს იგავის ცნებას იოანე პეტრიწის ფილოსოფიაში?

სამყაროს იმ იერარქიულ წყობაში, სადაც არსებათა და მოვლენათა განფენა მსგავსებისა და უმსგავსობის პრინციპით არის განპირობებული, იგავის ცნება სხვა ცნებებთან კომპლექსში იძენს ღირებულებას. ესენია: ხ ა ტ ი, ხ ა ტ ი ს ხ ა ტ ი, კ ე რ პ ი<sup>6</sup>.

სამყაროს განფენილობა ისეთია, რომ ყოველ შემდგომზე ანუ სიმრავლეზე მალა არის უპირველესი, ზესთ ერთი. ყოველი სიმრავლე ეზიარების ერთსა. „განმარტებათა“ პირველ სამ თავში პეტრიწი ბრწყინვალედ ასაბუთებს სხვადასხვა სახის ერთის არსებობას. უპირველესია ზესთ ერთი, ანუ თვითერთი, მარტივი, უზადო და დასაბამი ყოვლისა. „ბუნებრთსა ერთსა და რომელი იყოს თვითერთ, არარაჲ არს უპირველეს“ (შრომები, II, 13, 19).

არსებობს ნაწილთაგან შედგენილი ერთიც და ქმნული ერთი, რომელნიც თავისი კატეგორიის სიმრავლეს აერთიანებს და ერთიცა არს და არა ერთიც. ერთია, რადგან იგი მოვლენათა სიმრავლეს აერთებს გვარისა და თვითებათა საფუძველზე ერთსადმი ტრფიალების, მსგავსების ძალით; არა ერთია, რადგან ნაწილთაგან არის შეერთებული. გავიხსენოთ პეტრიწის მიერ საილუსტრაციოდ მოხმობილი მაგალითები: ცხოველი და ცხოველება, ცა და მისი ნაწილი (II, 21, 6), გონება და მისი ნაწილი (II, 21, 26).

ზესთმდებარე თვითერთი „მისთვის“ ყოველივეს თავის კეთილობასა და ერთებრივ ნათელს. ხოლო სირათ წყობა ისეთია, რომ „ერთი ერთთა წარმოსთხზავს და გონება — გონებათა და სული — სულთა და ბუნება — ბუნებათა და სხეული ცისა — სხეულთა“. მოვლენათა ამ დადმაველ კებზე „მითესულ არიან თესლნი მის ერთთა მზისა და მხედისანი და იგი მინათესი და მინაბრწყენი არს მიზეზ თითოეულისა არსებისა (II, 49, 11—12).

ზესთ ერთის ნათელის ემანაცია იერარქიის ყოველ საფეხურზე თანაბარი ძალისა და ბრწყინვალეობისა როდია. რაც უფრო ახლოა პირველ ერთთან მოვ-

<sup>4</sup> Древнегреческо-русский словарь, И. Х. Дворецкий, М., 1958.

<sup>5</sup> ბერძნულ-ქართული შესატყვისობებისათვის ვისარგებლეთ ბიზანტიურ-ქართული სალექსიკონო მასლით, რომელიც აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტშია დაცული.

<sup>6</sup> იოანე პეტრიწის მოძღვრებაში თავისებურად არის გააზრებული გვარისა და სახის ცნებანი, რასაც სპეციალური და საგანგებო შესწავლა სჭარდება და რაც მომავლისთვის გვაქვს განზრახული.

ლენა, ე. ი. რაც უფრო მაღალ საფეხურზეა, მით უფრო უძლიერესია იგი და „უერთსგუარეს“ ანუ მსგავსი ერთისა, ხოლო დაშორებული „უმრუმეა და ბინდის გუარ“.

ნეოპლატონური სუბორდინაციის პრინციპი არსთა განფენისა სამი სახეობით განისაზღვრება. იგავის, ხატისა და სხვა ცნებების პეტრიწისეული გაგების დასადგენად აუცილებელია გაირკვეს, როგორ აქვს გააზრებული პეტრიწს დაქვემდებარების ეს პრინციპი.

ამ საკითხს ავტორი არაერთგზის განიხილავს სხვადასხვა დებულებასთან დაკავშირებით. სირათ განლაგებაში მოვლენათა საფეხურები, მიზეზისა და მიზეზოანის ანუ მიზეზ-შედეგის მიმართება ისეთია, რომ სამი ძირითადი პრინციპი გამოიყოფა: 1. ყოველი მიზეზოანი ანუ ყოველი შედეგი თავის მიზეზშია მიზეზობით. ეს არის კატეტიან — *αὐτὸ ἐστὶν* 2. ყოველი მიზეზოანი თავის თავშია მყოფობით — *κατὰ τὸν ἑαυτὸν* 3. ყოველი მიზეზოანი თავის შემდგომშია თანმიცემით — *κατὰ μετέπειτα* — *αὐτὸ ἐστὶν*.

პირველი პრინციპის ქვეშ პეტრიწი გულისხმობს მიზეზ-შედეგის ისეთ მიმართებას, რომ ყოველი შედეგი თავის მიზეზშია, როგორც იგივეობა თავის განურწყველ თვითებათა შორის. ამ იგივეობას კი, როგორც ცნობილია, მსგავსება განაპირობებს. ყოველი მიზეზოანის დასაბამი მიზეზშია ისე, რომ თვით პირველ მიზეზს არა ევენება რა, იგი ზესთა ძეს ყოველ მიზეზოანზე განუძრავლებულად და განუწყვალებულად.

მეორე პრინციპია მიზეზოანის თავის თავში არსებობა მყოფობით. ყოველი მიზეზოანი მიზეზისგან იღებს დასაბამს, იგი გასხუადდება, ე. ი. სხუად იქცევა და იქნება თავისი მიზეზის მიმართ შემდგომი და წარმონაარსი. ეს გასხუადება ხდება განმსგავსების საფუძველზე. რაც უფრო მოქმედებს განმსგავსების ძალი, მით უფრო შორდება მიზეზოანი თავის მიზეზს.

კატეტიანსა და კატაპარქისინში ჩააქსოვა პეტრიწმა არსთა აგებულების ორი მიზეზი. ესაა: მსგავსება და უმსგავსობა. მსგავსება აერთებს მიზეზოანს მიზეზთან, ხოლო უმსგავსობა აშორებს და ამრავლებს მიზეზოანთ მიზეზისაგან. პეტრიწის სიტყვებით: „მსგავსებაა იპყრობს მიზეზოანსა მიზეზსა შორის და ათუბებს თვისა წყაროსა შორის, ხოლო უმსგავსობა ასხუადებს მიზეზოანსა და განუყოფს თუბებათა მიზეზისა და მიზეზოანისათა“ (II, 80, 23—26).

მესამე პრინციპია კატამეფექსინ — თანმიქონებით ანუ თანმიცემით. როგორც უწოდებს მას ავტორი. ყოველი მიზეზოანი თავის მიზეზსა და თავის თავში ყოფნასთან ერთად, სხვა შემდგომს მისცემს თავის თვითებათ.

ერთგან პეტრიწს ამ სამი პრინციპის დასაბუთება ნამდვილ მყოფის ანუ პირველი არსების ცნებაზე აქვს გააზრებული. როცა ნამდვილი მყოფი მიუწყვდომელ ერთსა შორის შეიმეცნება მიზეზებით, მაშინ იგი უმაღლესია არსების ბუნებაზე და განიცდება როგორც ზესთა არსი და ერთებრივი. როცა თავის თავშია მყოფობით, იგი თავისი ბუნების საფერია და პირველი არსებაა, ხოლო როცა უდარეს მოვლენებშია, როგორც სხვა არსებობა მიზეზი, მაშინ თავის ბუნებაზე უდარესია (II, 130, 27—131,2).

ამჟამად სამყაროს წყობაში გამოკვეთილი დაქვემდებარების პრინციპი. „საკრველი და აღმყვანებელი“ შემდგომთა პირველ მიზეზისადმი არის სიყვარული, ტრფიალება. სიყვარულის საფუძველზე ხდება „წარმოშობა“ და „უეუნ-ქცევა“ მოვლენებისა პირველ საწყისისადმი, მაგრამ ეს წარმოშობა და უეუნ-

ქცევა თანაბრად როდი მოქმედებს იერარქიის თითოეულ საფეხურზე. იგი განსხვავებული ძალისა და მოქმედებისაა უმაღლესიდან უდაბლესისაკენ და, პირიქით, უდაბლესიდან უმაღლესისაკენ სწრაფვის პროცესში. დაქვემდებარების ასეთი პრინციპია ჩაქსოვილი იგავისა და ხატის ცნებაში იოანე პეტრიწის მიერ.

თითოეულ ამ ცნებათაგანს ახასიათებს ორმაგი სიმბოლური გამოხატულება. ისინი რამდენადმე ერთმანეთის ეკვივალენტურია. იგავი განაპირობებს ხატის ცნებას. იგავი მიუთითებს ხატზე და, პირიქით, ხატი/იგავზე. ეს არის სიმბოლიზმის პრინციპი, რომელიც, როგორც ვნახაეთ, ჰქრავს იგავსა და ხატს ერთ შემეცნებით კომპლექსად.

იგავისა და ხატის მნიშვნელობაში საერთოა ის, რომ ორივე არის სახე, ნიშანი. ამით არის განპირობებული მათი პარალელური ხმარება: იგავი და სახე, ხატი და სახე.

ამ ორ ცნებას შორის ნიჟანსურ სიახლოვესთან ერთად სხვაობაც დაჩნდება, თუ მათ წარმოშობისა და უკუქცევის ინერციით აგებულ სისტემაში განვიხილავთ მსგავსებისა და განმსგავსების მეთოდთან დაკავშირებით.

პეტრიწის შემეცნებითი კონცეფცია ისეთია, რომ იგავი გააზრებულია როგორც ნიშანი ანუ პირველ სახე უმაღლესი მოვლენისა უდაბლესში, ხოლო ხატი კი, პირიქით, უდაბლესში არის უმაღლესის არეკლვა. სირათა კიბეზე ზემოთა საფეხურებზე მყოფნი უფრო სრულყოფილნი არიან და მათ იგავად შეიმეცნებს ფილოსოფოსი, ქვედა საფეხურებზე მყოფნი ნაკლებად სრულყოფილია და მათ ხატს უწოდებს, ხოლო უფრო დაბალ საფეხურზე მყოფნი — ხატის ხატია. ასე ჩნდება ხაზი: იგავი—ხატი—ხატის ხატი ანუ ერთიანის განფენა სიმრავლეში და სიმრავლის გაერთიანება ერთში.

დამავლობისა და აღმავლობის გზაზე იგავი მოდელია, პირველ სახეა, რასაც უდაბლესი ეზიარება, ხოლო ხატი სახეა, მაგალითია ამ უმაღლესისა. სირათა განლაგებაში, სადაც იერარქია ასეთი სტრუქტურით წარმოგვიდგება: ერთი—გონება—სული—ბუნება, სხეული, გონება და გონიერნი ხატია ერთისა და იგავია სული, ბუნება სხეულისათვის, სული და სულიერნი ხატია გონებისა და იგავია ბუნება სხეულისათვის და ა. შ. იოანე პეტრიწის მთელ შრომაში მკვეთრად გამოყოფილია და დასაბუთებული ეს მეთოდი სამყაროს სისტემისა.

კრონოს, დია, რეა — სამ გონიერ არსზე როცა მსჯელობს წარმომარტებელ მიზეზთან დაკავშირებით, პეტრიწი შენიშნავს: „ესენი სამნი გონიერსა აღმკულსა შორის გამოჩნდეს დასასრულთა ყოველთა გონებათა და გონიერთასა, ხატად და ხატის ხატად ნამდვლ მყოფისა, რომელ არს უძრავი და მიუღრეკელი იგავი შემდგომთა და ხატი ყოველთა ზესთ მექონისა ერთისაჲ“ (II, 70, 32—71, 1). ე. ი. კრონოს, დია და რეა გონების გვარში იმყოფებიან ყოველგვარი ინტელიგიბილურის ბოლოს და ისინი ხატი და ხატის ხატია ნამდვილმყოფისა, რომელიც არის პირველი გონება და მათზე უმაღლესი. თვით ნამდვილ მყოფი კი, თავისთავად იგავია შემდგომთათვის, მაგრამ ამავე დროს იგი ხატიცაა ზესთ ერთისა. ეს შესანიშნავად ჩანს „განმარტებათა“ სხვა ადგილიდან: ნამდვილ მყოფი პირველი მყოფობაა. იგი მიზეზია სხვა მყოფთა. ნამდვილ მყოფი „წარმოდგა პირველად მყოფად და მიზეზად ყოველთა მყოფთად, ვითარცა ხატი პირველისა მის ერთისაჲ, რომელი შეადგა მან უთქუმან და ზესთამან ყოველთამან და დადვა ხატად თვსდა და იგავად ყოველთა მყოფთად“ (II, 148, 3—7).

ერთგან პეტრიწი იძლევა იგავის, ხატის და ხატის ხატის ცნებათა კლასიკურ განმარტებას საუკუნოვან და ეამიერის მოძღვრებასთან დაკავშირებით. ყოველი არსება ან საუკუნოვან არის, ე. ი. მარადიულობას განეკუთვნება, ან ეამიერია, ე. ი. დროით არის განსაზღვრული. სამარადიყო არსებანი, რომელნიც ელემენტებისაგან არ შედგება და დამოუკიდებელი ყოფიერება აქვს, უცვლელია და დროის კატეგორიას არ ექვემდებარება; ხოლო დროის კატეგორიას განეკუთვნება და ცვალებადია ყოველი ნივთიერი, ელემენტებისაგან შემდგარი.

საუკუნოვან შორის იგივეობის, მსგავრობის პრინციპი მოქმედებს, ხოლო ეამიერთა შორის — დინებისა და ცვლილების. საუკუნოვან შორის მარადიულობაა, იქ არ არსებობს „გარდასული, აწი და მომავალი“, ხოლო ეამიერთა შორის მხოლოდ ბაქვა და ასახვის, არეკვლის აქტი მიმდინარეობს.

როგორც ვხედავთ, აქ თავს იჩენს მსგავსებისა და განმსგავსების, იგივეობისა და განსხვავების მეთოდი. მარადიულთა შორის მსგავსება და იგივეობაა და ამით ისინი უფრო უახლოვდებიან ყოვლის დასაბამ ერთს, ხოლო ეამიერთა შორის განმსგავსებაა, ცვალებაა და ისინი შესაბამისად დაშორებული არიან უმაღლეს ერთს. „აქა (ეამიერთა შორის. — მ. რ.) ბაქვაა ოდენ და მსგავსებაა და ხატ-ქმნაა. ხოლო მუნ იგივეობაა, თვთობაა, იგავობაა. რამეთუ ხატნი ყოველნი იგავთანია ხატ, ვითარცა იტყვის პლატონ. არამედ მუნაა აღმკული ყოველი დაიპყრეს იგავთა და იგავის — იგავთა, ხოლო აქაა ესე ნახიბლი დიოქსი ხატთა და ხატის — ხატთა“ (II, 108, 20—25).

სადაც იგივეობა და ერთისადმი ტრფობით განპირობებულ მსგავსება უფრო ძლიერია, ის საუკუნოვანსა და იგავია, ხოლო სადაც მხოლოდ არეკვლაა, ასახვაა მარადიულისა, ის ხატია. უფრო დაბლა კი ხატის ხატია. იგავი იდეალურ სამყაროს განეკუთვნება. იგი კოსმიური მოდელია, რომელიც თვით მოიცავს თავისი არსებობის პრინციპებს და არ არის „მოქმედი“ სხვისა. ხოლო ხატი და ხატის ხატი ცვალებადი ანალოგიაა ზეარსებული პირველ სახე-იგავისა.

ასეთ კომპლექსში უფრო ზუსტდება ხატის ცნებაც. აქაც და სხვაგანაც ხატი გააზრებულია ისე, რომ ის არის რაღაცის ასახვა, ანალოგია. საერთოდ, ხატის მნიშვნელობა არის სახე, გამოსახულება, ფორმა, მსგავსება, გარეგნობაც კი. ძირითადი, რაც მოიცავს სხვა მნიშვნელობათ, არის: სახე, ანარეკლი, ანალოგია<sup>7</sup>.

ასეთი გაგებით უნდა მივიღოთ რიცხვის ერთის ხატად გამოქაადება პეტრიწის მიერ. „რიცხუთაცა შორის ჰპოო ხატი და მსგავსებაა ერთისა“ (II, 20, 16). რიცხვი, ისევე როგორც ყოველი არსი, ანალოგიაა, ასახვაა ერთისა. ერთსაშორისი რიცხვი არის „იგავებრივი“, რადგან მასში იგივეობაა, მსგავსებაა ერთთან, „ათის ქუეშენი მხოლონი“, ე. ი. ათში შემავალი ერთეულები. ხატოვნებითი რიცხვია, ხოლო „ათის გარეგანი რიცხუნი“ — ხატის ხატია (II, 20, 17—20). აქაც ნათელია ხარისხებრივი განლაგება მოდელისა, ხატისა და აჩრდილ-ანარეკლისა.

<sup>7</sup> რამდენადმე მოულოდნელია ხატის ის ინტერპრეტაცია. რომელიც მოცემულია აქაღ. შ. ნუცუმბის მიერ იოანე პეტრიწის გნოსეოლოგიაში ჭკრტითი მეთოდის დასაბუთების მიზნით. ლოგიკური გუარისა და ხელეითი ფერას დაპირისპირება, ამ უქანასწელის პროორიტეტის აღიარება პეტრიწის შემეცნების მეთოდად და ამასთან კავშირში ხატის სემანტიკური გააზრება დაზუსტებას მოითხოვს.



„ხატნი ყოველნი იგავთანია ხატ!“. ხატისა და იგავის ასეთი ფილოსოფიური გააზრების წყაროდ ქართველი ფილოსოფოსი პლატონს აცხადებს<sup>8</sup>. და მართლაც, პლატონის ფილოსოფიის დუალიზმი — იმატერიალური და მატერიალური სამყაროს მოძღვრება — იძლევა გასაღებს ჩვენთვის საინტერესო ტერმინების გააზრებისათვის.

უხილავ იდეათა სამყაროსთან ხილული, მატერიალური სამყაროს მიმართება განაპირობებს იდეებთან მოვლენების ხარისხობრივ დამოკიდებულებას. ვითარცა იმატერიალური სახე და არსებანი, იდეები წარმოადგენს პროტოტიპს (παρᾶδειγμα), რომელთა არასრულყოფილ, მსგავს, მაგრამ არა იგივეობრივ ხატს (εἰκόνα) წარმოადგენს ნივთიერი სხეულები<sup>9</sup>.

ტერმინს იგავი პლატონი წმირად მიმართავს ფილოსოფიური მნიშვნელობის გარეშე. იგავი უბრალოდ ნიშნავს მაგალითს, შედარებას განმარტების მიზნით. მაგრამ, პლატონის ფილოსოფიაში დაედო საფუძველი იგავის იმ მნიშვნელობასაც, როცა იგი ნიშნავს მოდელს, პირველ სახეს და ატარებს გარკვეულ ფილოსოფიურ-გნოსეოლოგიურ შინაარსს. იგავი ნიშნავს იდეა-მოდელს, რომელიც მარადიულია და არის ამავე დროს კეშმარტება<sup>10</sup>.

იგავი იდეათა სამყაროს განეკუთვნება, ხატი — მისი ანალოგიაა.

პლატონის ეს სისტემა სამყაროს თავისებურ იერარქიულ წყობად ჩამოაყალიბა ნეოპლატონიზმმა და იგავისა და ხატის ცნებამაც კონკრეტული შინაარსი შეიძინა ქართველი ფილოსოფოსის მოძღვრებაში, კერძოდ გათვალისწინებულ იქნა საფეხურებრივი ინსტანციების არსებობა. მიზეზსა და წარმოშობილთა შორის ისეთი დაღმავალი პროცესია, როგორც „იგავთაგან ხატთა და ხატის ხატთა და ვიდრე აქა განნაკუთვებელსა არსებისადმი ჰპოვნე კერპნი და კერპის კერპნი“ (II, 55, 15—16).

აქ კიდევ სხვა ტერმინები იჩენს თავს: კერპი და კერპის კერპი. ჩვეულებრივი გაგება კერპისა არის სახე, გამოხატულება. კონკრეტული შინაარსით კერპი იხმარება წარმართული რელიგიური გაგებით: ხის ან რაიმე ლითონის გამოსახულება წარმართული ღვთაებისა.

იოანე პეტრიწის კერპს სპეციფიკური შინაარსი აქვს. კერპი არის სახე, მაგრამ მხოლოდ მატერიალური სამყაროსა და მისი მოვლენების აღმნიშვნელი. კერპი იერარქიის უდაბლეს საფეხურზე მყოფი ანალოგიაა და მისგან წარმოქმნილი ცნებები: კერპოვნება, გაკერპოვნებული მხოლოდ და მხოლოდ ამ უდაბლეს არსებათათვის არის მისადაგებული. კერპის სინონიმად ზოგან აჩრილიც არის გამოყენებული.

ყოველი შედეგი თავის მიზეზს უბრუნდება; ყოველი მეტრფე უკუ ილტვის პირველ სიყვარულისადმი ანუ სატრფოსადმი; იგი ესწრაფვის პირველ კეთილობას, „თუთ მას და თვისა კეთილობასა, ანუ ხატსა კეთილობისასა ანუ კერპსა და აჩრილსა კეთილობისასა“ (II, 33, 23—25). აქედან ის აზრი გამოდის, რომ ჭერ თვით კეთილობაა. შემდეგ თვისი კეთილობა, შემდეგ ხატი კე-

<sup>8</sup> იგავის სიმბოლოდ, პირველ სახედ წარმოსახვა დიონისე არეოპაგელთანაც დატურდება ნეოპლატონიზმში. იგავი სიმბოლოს, პირველ სახას მნიშვნელობას ატარებს იერარქიის პრინციპზე განლაგებული სამყაროს სტრუქტურის შესაბამისად, მაგრამ მას არა აქვს ისეთი მოდელის ხასიათი, როგორც ეს ნათლად გამოკვეთილია იოანე პეტრიწის მიერ. იხ. ჰეტრე იბერიელი (დიონისე არეოპაგელი), შრომები, თბ., 1961, გვ. 38, 16; 64; 33; 72, 6.

<sup>9</sup> В. Виндельбанд, Платон, СПб., 1904, стр. 87.

<sup>10</sup> А. Ф. Лосев, История античной эстетики, II, М., 1969, стр. 554.

თილობისა და ბოლოს კერპი ანუ აჩრდილი კეთილობისა. კერპი ანუ აჩრდილი ხარისხობრივად ყველაზე დაბალი ანალოგიაა რეალობისა. როცა უზენაესი ერთი მყოფთა სიმრავლეს წარმოაარსებს, „მისდავე საბაძავად ყოველნივე ხატნი და ხატის ხატნი, ვიდრე გაკერპოვნებულისა არსებიადმი“ (II, 66,32).

ხატიც და კერპიც ანალოგიაა რეალობისა, მაგრამ ხატი იმატერიალური სამყაროს ფენომენია, ხოლო კერპი — მატერიალურისა. ყოველივე ბაძავს თავის წარმომავენებელ მიზეზს, მაგრამ „რომელიმე უსხეულოდ და ზესთ წმიდად, ხოლო რომელიმე გასხეულებულად და გაკერპოვნებულად“ (II, 71,23).

საინტერესოა დაპირისპირება „ხატოვნებისა“ და „კერპოვნებისა“ მყოფობით, ცხოვლობით და სიტყვიერებით ძალაზე მსჯელობისას. ყოველი შედეგე უეუიქცევა თავისი მიზეზისადმი ანუ მხილოდ არსებით ან ცხოვლობით, ანუ სულიერებით ან სიტყვიერებით, ე. ი. ცნობიერებით. მხოლოდ არსებითი უკუ-ქცევა ხდება უსულოთა შორის, სიტყვიერებით უკუქცევა ვონით სამყაროს განეკუთვნება. ხოლო ყოველი ცხოვლობითი ძალი ანუ სულიერი უკუიქცევა თავისი სულიერებით, მაგრამ ისე, რომ წარმოაჩენს მსგავსს ერთის ხატად. როგორც უზენაესი ერთი არაობისგან ქმნის და წარმოაჩენს არსებებს, ისევე ცხოვლობითი ძალი. მაგრამ წარმოჩენის ამ ორ აქტს შორის დიდი სხვაობაა. იქ წარმოჩენა ხდება „ზესთ დაზესთაებულად, ხოლო აქა ანუ ხატოვნებით, ვითარ სამარადისოთა ზედა, ანუ კერპოვნებით, ვითარ მოკუდაეთა ზედა. ხატოვნებით და მარადობით, ვითარ მზესა და სხუთა ვარსკვლავთა ზედა... ხოლო ჩუენ-შორისი ესე კერპი და აჩრდილის დასახვითი ცხოვლობაჲ“ (II, 93, 7—16).

ამკარაა, რომ პეტრიწის ხატი მარადისობის კატეგორიის აღმნიშვნელია, ხოლო კერპი — არამარადისობის: მოკუდაეთა და სხეულთა.

როგორც ირკვევა, ტერმინები: იგავი, ხატი, ხატის ხატი, კერპი, მათი ჩეუ-ულბერივი გაგების გარდა, გარკვეულად სპეციფიკურ შინაარსს იძენს იოანე პეტრიწის მოძღვრებაში. ეს ტერმინები წარმოგვიდგება ერთი გარკვეული ფილოსოფიური ცნების ექვივალენტებად. ეს ცნებაა: სახე, იგავი, ხატი, ხატის ხატი, კერპი — ყველა სახეა, მაგრამ თითოეულ მათგანს თავისი კონკრეტული მნიშვნელობა აქვს.

იგავი სახეა, მაგრამ იგი არის პირველ სახე, სიმბოლო, მოდელი უდაბლეს რეალობათა უმაღლესში.

ხატი უმაღლესის სახეა უფრო დაბალში, ხატის ხატი და კერპი კი სახეა უდაბლეს არსებებში.

ასე იმიჯნება მარადიული და დროის კატეგორიის მქონე არსებები, იდეალური და მატერიალური სამყარო. ასე შეუთანხმა ქართველმა ფილოსოფოსმა პროკლეს ტრიადოლოგიურ სისტემას ერთისა და იმავე ცნების სხვადასხვა ნიუანსით მოდიფიცირებული მნიშვნელობა.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა)

ლალი ბერძენიშვილი

ფოლკლორული ჩანაწერები „აკაკის კრებულში“

დიდმა ქართველმა მწერალმა აკაკი წერეთელმა ქართული კულტურის ისტორიას განსაკუთრებული ამაგი დასდო საკუთარი ორგანოს დაარსებით. „აკაკის კრებულის“ დაარსება სამამულო საქმე იყო. აკაკი წერეთელმა, როგორც ცნობილია, თავისი საკუთარი ორგანო ძირითადად ეროვნული საუნჯის პუბლიკაციის დიდი მნიშვნელობის საქმეს ამსახურა. ეროვნული ზეპირსიტყვიერების გამოსამზეფურებლად მგოსანმა „აკაკის კრებულის“ ირგვლივ ბევრი ქართველი ინტელიგენტი დააზმა.

„აკაკის კრებულის“ ერთი აქტიური თანამშრომელი იყო ზეპირსიტყვიერების მოამაგე სოსიკო მერკვილაძე. ს. მერკვილაძემ პოეტური ფოლკლორის მრავალი ნიმუში გადაარჩინა დავიწყებას და გამოიტანა მზის სინათლეზე. ცნობილია მისი პუბლიკაციები: „ხალხური ზღაპრები“ კიკნა წიგნების სახით, რომელიც იბეჭდებოდა ქუთაისში კილაძისა და ხელაძის სტამბაში 900-იან წლებში; ეპიკური ციკლის თქმულებანი, მათ შორის „ხალხური ვეფხისტყაოსანი“, გამოქვეყნებული 1905 წ. და მრავალი სხვა.

ჩვენ ახლა არ ვიძლევიტ ს. მერკვილაძის ფოლკლორისტული მუშაობის სრულ დახასიათებას, აღენიშნავეტ მხოლოდ მის როლსა და ადგილს „აკაკის კრებულში“. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ეს როლი და ადგილი ს. მერკვილაძისა საქმაოდ დიდი და მნიშვნელოვანია. მისი ყოველმხრივი დახასიათება მეტნაკლებად მოიცავს ქართული ზეპირსიტყვიერების საკვანძო საკითხებს.

სოსიკო მერკვილაძე „აკაკის კრებულის“ დაარსების პირველ წლიდანვე იწყებს თანამშრომლობას ამ ეურნალში. მის ფურცლებზეა გამოქვეყნებული ს. მერკვილაძის ჩაწერილი სხვადასხვა ეანრის ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, სულ 1114 ტექსტი: სხვადასხვა ეანრისა და ხასიათის ლექსები — 241; ანდაზები — 650; გამოცანები — 219; ზღაპარი — 1; ეპიკური ციკლის თქმულება „ხალხური ვეფხისტყაოსანი — 1; მოგონება — 1; ზმა — 1.

ს. მერკვილაძის შეკრებილი მასალა „აკაკის კრებულის“ თითქმის ყველა ნომერში იბეჭდებოდა<sup>1</sup>. ამ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მასალის შესწავლისას პირველ რიგში კლასიფიკაციის საკითხი ისმის. არის თუ არა დამაკმაყოფილებელი კლასიფიკაციის ის პრინციპი, რომელსაც ზეპირსიტყვიერების გამოქვეყნებისას „აკაკის კრებული“ იცავს.

<sup>1</sup> „აკაკის კრებული“, 1897, III—IV; 1898, V, VI, VII, IX, X, XII; 1899, II, VIII, XII; 1900, I.

ძირითადად ს. მერკვილაძე ქანრობრივ პრინციპს იცავს. მას ცალკე აქვს გამოქვეყნებული სატრფიალო ლექსები<sup>2</sup>, შრომის სიმღერები, რასაც ის მუშურ ლექსებს უწოდებს<sup>3</sup>, ლექსები<sup>4</sup>, ანდაზები<sup>5</sup>. გამოცანები<sup>6</sup>.

ზოგჯერ ტექსტების შესრულების ხასიათია მიღებული მხედველობაში: მაგ.: მესტიურული და სალალბო ლექსები, რაც ეურნალში ასეა დასათაურებული: „მესტიურული საჯიბრო“, შეიცავს სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის ლექსებს. თუმც ამ ჩვეულებაში წარმოდგენილ ყველა ტექსტს ახასიათებს იუმორი და შეიძლება ერთგვარად ეს ამართლებს მათ ერთად წარმოდგენას<sup>7</sup>. ზოგ შემთხვევაში კი ერთად არის წარმოდგენილი სხვადასხვა ხასიათის ლექსები, როგორცაა: საგმირო, საისტორიო, შრომის, სამონადირეო, საყოფიერო, ფილოსოფიური, თქმულებანი, გამოცანები, სხვადასხვა ხასიათის აფორიზმები და სხვა<sup>8</sup>.

გამონაკლისს წარმოადგენს, და მოწონებას იმსახურებას, ის, რომ ერთ შემთხვევაში ცალკეა წარმოდგენილი ერთი მთქმელის რეპერტუარი.

ს. მერკვილაძის შეკრებილი მასალები ჩაწერილია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში<sup>9</sup>. სამწუხაროდ, ტექსტების პასპორტიზაცია ყოველთვის სრული არ არის. ზოგჯერ აღნიშნულია მხოლოდ მთქმელი. არის შემთხვევები, როდესაც ტექსტების სადაურობის დასადგენად დიალექტის ცოდნაა საჭირო. ტექსტების სადაურობის გასარკვეველ გვეხმარება აგრეთვე მათში დაცული რეალიები. შეიძლება ამის მიზეზი შეკრებილი მასალების სიმრავლე იყოს ან კიდევ ის გარემოება, რომ ეურნალი ფართო მკითხველი მასისათვის იყო განკუთვნილი. ტექსტების პასპორტიზაციის თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ იგი მთლიანად არ პასუხობს აკაკი წერეთლის ინსტრუქციას. მაგრამ, ასეა თუ ისე, არც ერთ შემთხვევაში ეს იმას არ ნიშნავს, რომ ს. მერკვილაძეს ბევრი ძვირფასი მასალა არ ჰქონდეს მოცემული „აკაკის კრებულში“. მარტო ის რად ღირს, რომ მან შემოგვინახა სახელი და რეპერტუარი ხალხური პოეზიის შესანიშნავი მთქმელის გრიგოლ მერკვილაძისა.

თუ რა მნიშვნელობა აქვს ს. მერკვილაძის მიერ შეკრებილსა და „აკაკის კრებულში“ გამოქვეყნებულ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს ფოლკლორისა და ფოლკლორისტიკის ისტორიისათვის, ამას მასალათა ქანრობრივი დახასიათება-მიმოხილვა გვიჩვენებს. ვერ ვიტყვი, რომ მასალათა ამგვარად დალაგებისას ყველაფერი რიგზე იყოს. არაიშვიათად ცალკე ქანრად წარმოდგენილ განყოფილებაში შერეულია სხვა მეორე ქანრის მასალები. მაგალითად, შრომის სიმღერებში წარმოდგენილია საყოფიერო ლექსები<sup>10</sup> ან სადღეგრძელოს ტექსტი<sup>11</sup>. აქვეა აგრეთვე ფილოსოფიური სასიმღერო ტაეპი: „ჩავკარდი საკონებელსა, ვითა კამბეჩი მორევსა“<sup>12</sup>; ან კიდევ იუმორული სიმღერა: „აკი გიოხა-

2 იქვე, 1897, IV, განყოფ. III, გვ. 1.

3 იქვე, გვ. 33.

4 იქვე.

5 იქვე, 1898, IX, განყოფ. III, გვ. 1—31.

6 იქვე, გვ. 1—35.

7 იქვე, 1897, IV, განყოფ. III, გვ. 38.

8 „აკაკის კრებულში“, 1898, V, VI, VII; 1899, II, VIII; 1900, I.

9 შ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956, გვ. 205.

10 „აკაკის კრებულში“, 1897, IV, განყოფ. III, გვ. 33.

11 იქვე, გვ. 36.

12 იქვე, გვ. 38.

რი ძიაო“<sup>13</sup> და სხვა. სატრფიალო ლირიკის ნიმუშებში, წარმოდგენილია აქაული ლექსი ამსახველი წარსული ძნელბედობისა: „წყალსა ნაფოტი მოჰქონდა“<sup>14</sup>.

ანდაზები დალაგებული არის ანბანთა რიგის მიხედვით. მაგრამ, როგორც ამას შენიშნავს რეცენზენტი ს. მერკვილაძის მიერ ცალკე წიგნად გამოსული ამ ჟანრის მასალების გამო, ეს პრინციპი მხოლოდ პირველი ანბანითაა გატარებული<sup>15</sup>.

სრულიად გაუმართლებლად მიგვაჩნია გამოცანების დალაგება ანბანთა რიგით. ყოველგვარი კლასიფიკაცია მაშინ არის გამართლებული, როდესაც ის აადვილებს მასალის ათვისებას. გამოცანის დალაგებისას თემატიკური პრინციპი არის ერთ-ერთი სწორი პრინციპი.

პროზაული ჟანრის ნაწარმოებები ს. მერკვილაძის მიერ შეკრებილ მასალაში ნაკლებად გვხვდება. მრავალრიცხოვანი ტექსტიდან, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მხოლოდ ერთი ზღაპარია წარმოდგენილი, სათაურით „ოქრუა“<sup>16</sup>. ეს ზღაპარი მან შემდეგ ცალკე გამოსცა კიკნა წიგნის სახით<sup>17</sup>.

ეპიკური ციკლის თქმულებიდან მის მიერ შეკრებილ მასალაში არის ხალხური ეფთხისტყაოსანი<sup>18</sup>, რომელიც აგრეთვე ცალკე წიგნად<sup>19</sup> გამოსცა. ამ შემთხვევაში იშვიათ გამოჩაყლისთან გვაქვს საქმე იმ მხრივ, რომ დასახელებულია მთქმელი ჯოგოლა არაბული, ჩაწერის ადგილი — სოფ. ჩრდილი (ხევსურეთი). ს. მერკვილაძე ეპიკური ციკლის თქმულებას შეცდომით უწოდებს ზღაპარს.

„აკაიის კრებულში“ გამოქვეყნებული ს. მერკვილაძის შეკრებილი მდიდარი მასალის მიმოხილვა ჟანრობრივად შემდეგი თვალსაზრისით გვინტერესებს: ა) არის თუ არა ამ მასალაში ისეთი რამ, რასაც მნიშვნელობა აქვს ცალკე ჟანრთა თუ ნაწარმოებთა წარმოშობის, ისტორიის, ხასიათის, შინაარსისა და ფორმის შესწავლისათვის; ბ) შეიცავს თუ არა ეს ნაწარმოებნი ისეთ ნიშნებს, რაც სხვაგან არ გვხვდება, მაგრამ ამავე დროს ნამდვილი ხალხური კი არის; გ) რა მნიშვნელობა აქვს ამ მასალას ქართული ფოლკლორისტიკის თვალსაზრისით.

ამჟამად ს. მერკვილაძის შეკრებილი მასალიდან ჩვენ ვიფარგლებით „აკაიის კრებულში“ გამოქვეყნებული საგმირო და საისტორიო ნაწარმოებებით. ზიზიოვიხილავთ აგრეთვე „აკაიის კრებულში“ გამოქვეყნებულ ს. მერკვილაძის მიერ გამოვლენილ ერთი მთქმელის — გრიგოლ მერკვილაძის რეპერტუარს.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთი ნათელი გამოხატულება იყო „აკაიის კრებულის“ ფურცლებზე საგმირო და საისტორიო ღრმად პატრიოტული ლექსების, გადმოცემებისა და თქმულებათა გამოქვეყნება. ამგვარ ნაწარმოებთა შეკრებაში მცირე როლია ს. მერკვილაძის როლი. ს. მერკვილაძის ჩანაწერით გაისმა „აკაიის კრებულის“ ფურცლებიდან საბრძოლო ელენია, პატრიოტული სიმღერა:

13 ი ქ ვ ე.

14 ი ქ ვ ე, გვ. 9.

15 „მ ო ა მ ბ ე“, 1898, № 8, განყოფ. II, გვ. 75—76.

16 „აკაიის კრებულში“, 1898, XII, განყოფ. III, გვ. 17.

17 ს. მერკვილაძის მიერ შეკრებილი და გამოცემული ხალხური ზღაპრები, ქუთაისი, 1902.

18 „აკაიის კრებულში“, 1897, III, განყოფ. III, გვ. 33.

19 „ზღაპრათ ხალხური ეფთხისტყაოსანი“, 1905.

მამულო შენთვის მოკვდები,  
შენთვის ჩაიცივამ შავსაო,  
შენ შაპოგწირავ სიცოცხლეს,  
ამოგველები თავსაო<sup>20</sup>.

ს. მერკვილაძის შეკრებილ მასალაში საგმირო და საინტორიო ლექსებს რაოდენობითა და ტექსტების ღირსებით თვალსაჩინო ადგილი უკავია. ეს იყო ერთგვარი გამოძახილი აკაკის მგზნებარე მოწოდებაზე, რათა დაეცვათ ჩვენი ქვეყნის წარსულის ამსახველი ზეპირსიტყვიერება. მასალების დალაგებისას იგუბნობა ტენდენცია ქანრობრივი პრინციპის დაცვისა, აგრეთვე მისწრაფება ერთგვარი ხასიათისა და შინაარსის ლექსების თანმიმდევრულად წარმოდგენისა. ეს პრინციპი მთლიანად მინც არ არის დაცული.

ს. მერკვილაძის შეკრებილ საგმირო პოეზიაში არის სხვადასხვა ქანრის მასალები. აქ არის ელეგიის, აფორიზმის, სასიმღერო ტაეპის, ბალადისა და სხვათა საინტერესო ნიმუშები. „აკაკის კრებულში“ გამოაქვეყნა ს. მერკვილაძემ მშვენიერი საგმირო აფორიზმები. აქ დაიბეჭდა სიმღერები რკინის გულიან ვაჟკაცებზე. ს. მერკვილაძის ჩანაწერია საინტერესო ვარიანტი გავრცელებული აფორიზმისა: „ვაჟკაცსა გული რკინისა“<sup>21</sup>.

ს. მერკვილაძის ჩანაწერებშია ნაკლებცნობილი, სავაჟკაცო კოდექსის გამოხატველი აფორიზმები და სასიმღერო ტაეპები. მათ შორის:

თემის გამტეხსა ვაჟკაცსა  
ნუ დაეუვა ჰირიო,  
შეურტებეს ყველგან უღვაში  
და გაუშავდეს პირიო!<sup>22</sup>

ასევე ნაკლებ არის ცნობილი სასიმღერო ტაეპი, დიდებული ჰიმნი მეგობრობისა: „ძმაო, მაგ შენსა მომკვლელსა“<sup>23</sup>.

ს. მერკვილაძემ ჩაწერა და გამოაქვეყნა საგმირო იდეალზე აგებული, ლაჩრობისა და სიმბდალის გამეციხველი, ჩვენი აზრით, ნაკლებცნობილი სასიმღერო ტაეპი:

ამილახვრიანთ ბიქს გაუხარ,  
შენ, ქალაუნა ფხვენელო,  
მტერს ვერ დაუხვდი გულადათ,  
შენ, გუარის შემარცხენელო!<sup>24</sup>

საინტერესოა კონკრეტულ ამბებთან დაკავშირებული საგმირო ლექსები. აქ არის წარსული ღუბჭირი ყოფის — უცხო ტომთაგან ტყვეების გარეყვის ამსახველი ლექსი:

უნდა წაიღე, გავთარღე, შენ შენანები, მამულო, აოხრებულო მტრისაგან, შვილთაგან დაობლებულო იარე, ბიჭო, წაიღეთ, გზა შეუკრათ ჩვენი მტრისაო!	ჩამოიღიან თარეშნი ურჯულო სხვათა მტრისაო! ხელთა უჭირავთ თოფები, თოფები ხვარასნისაო. დავაყრეუნიოთ ტყვეები, მადლიც მოგვხვდება ღეთისაო <sup>25</sup> .
---	---

20 „აკაკის კრებულში“, 1898, VII, განყოფ. III, გვ. 15.

21 იქვე.

22 „აკაკის კრებულში“, 1898, V, განყოფ. III, გვ. 11.

23 იქვე, 1898, VII, განყოფ. III, გვ. 15.

24 იქვე.

25 იქვე, გვ. 14.

ჩვენი აზრით, აქ ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ლექსი უნდა იყოს შეერთებული. ეს კონტრამინაცია კი არაა, ჩამწერის შეცდომა უნდა იყოს. პირველი ოთხი და დანარჩენი რვა სტრიქონი სხვადასხვა განწყობილებას გამოხატავს. პირველი ოთხი სტრიქონი სასოწარკვეთილების მაჩვენებელია, დანარჩენ რვა სტრიქონს კი მეტროლი განწყობილება ახასიათებს. ზეპირსიტყვიერების ისტორიისათვის ისიც საინტერესოა, რომ ბოლო სტრიქონებს მოეპოვება ვარიანტი ოთხსტრიქონიანი სასიმღერო ტაეპის სახით:

იარე. ბიჭო, წაიღეთ,  
გზა შეეკრათ ჩვენი მტრისაო,  
ტყვეები დაეაყრევინოთ,  
მადლი გვეყოფა სხვისაო<sup>26</sup>.

ამგვარი მაგალითები საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სასიმღერო ტაეპები, არა იშვიათ შემთხვევაში, ვრცელი ლექსების ფრაგმენტებია.

ჩვენი ქვეყნის მძიმე წარსულის ამსახველია კონკრეტულ ამბავზე აგებული, სილაჩრის დამგმობი ლექსი „ეპი, სესია, სესია“<sup>27</sup>.

საინტერესოდ მიგვაჩნია, და ნაკლებცნობილი უნდა იყოს, შინაურა შუღლის ამსახველი ლექსი „ჩვენი და თქვენი ბიჭობა უნდა გამოჩნდეს დღესაო“<sup>28</sup>. ს. მერკვილაძემ გამოაქვეყნა საკმაოდ სრულყოფილი ვარიანტი ქართული ვაჟკაცის გმირობაზე პირველი პირით ნათქვამი დინამიკური ლექსისა: „ემგის მთა გადმოვიარე“<sup>29</sup>.

საინტერესო და ვრცელი ვარიანტი გამოაქვეყნა ს. მერკვილაძემ ლეკიანობის ამსახველი ლექსისა გმირ გოგია ბარხუდაშვილზე<sup>30</sup>. საყურადღებოა „აკაკის კრებულში“ მის მიერ გამოქვეყნებული საგმირო-სამონადირეო ლექსების „ჩვენ შეიღთა ძმათა“ და „ავდექ და წაველ ტყეშია“ ვარიანტები<sup>31</sup>.

აქვეა საგმირო ქების ანუ შესხმის ორი კარგი ნიმუში. ერთმა მათგანმა ჩვენი ყურადღება მიიქცია კარგი შინაარსითა და თავისებური ფორმით. გმირის იდეალი ამ ლექსში სიზმრის ფორმითაა გადმოცემული:

წუხელ ენახ სიზმარი  
შენი ვაჟიკაობისა:  
ალის ახალუბი გეცეა,  
შიგნით მოვი პერანგისა,  
ლაშაბთ ცხენზე იყელი,  
მუხლი გქონდა შევარდნისა,  
ოთუი გევიდა სიათა,

ტური ქონდა ზორანისა,  
სანადიროთ გასულიყავ,  
მტრები გეხოცა ქართლისა.  
საუდარში შიბანდებოდი,  
მთებმა დაიწყეს ზიზინი  
მალაშა ღმერთმა გვიჩვენოს  
შენი წითელი გვირგვინი<sup>32</sup>.

მეორე ნიმუშს შესხმისა სათაურად აქვს „იმერული სიმღერა“. ჩვენი აზრით, იგი უფრო წარმოსათქმელი ტექსტია — სადღეგრძელოს ერთი საინტე-

<sup>26</sup> ქართული ხალხური საგმირო აფორიზმები. კაი ყმა, თბ., 1963, გვ. 25.

<sup>27</sup> „აკაკის კრებულში“, 1898, VII, განყოფ. III, გვ. 15—16.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 16.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 18.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 19.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 17, 20.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 21.

რესო ნიმუში. იგი საუკეთესოდ ასახავს ქართველი ხალხის იდეალს გმირობისა, რომ ვაჟკაცის დამამშვენებელი ფიზიკური და სულიერი სილამაზის პარმონიული შეხამებაა. ტექსტი მოგვეყავს მთლიანად:

ნეტა რა დედამ გაგზარდა  
ეგეთი მშვენიერიო?  
ზრდილი, ქველ-გმირი, მამაცი,  
ბრძენი და გონიერიო!  
გიხდება პტველი მხარ-ბეჭი,  
წერილი, წერწებთა წელიო,  
ტურფა სახეზე თვალ-წარბი,  
შავი უღვაში, წვერიო,  
მომძისთვის თავის გაწირვა,  
საქირნახელო დღენიო,

იარაღთ ჩაკიულობა,  
ცქეტი, მტრინაჲი ცენიო,  
გული ამაჲი, ფოლადი,  
მკლავი მტრებისა მსერელიო!  
ქვეუნი ორგულისდამსწელიო,  
ხარ მათი სისხლის მსმელიო!  
ნეტა რა დედამ გაგზარდა  
ეგეთი მშვენიერიო?  
მოყვარე ღმერთმა გიოცხლოს  
და გაგიწყვიტოს მტერიო!<sup>33</sup>

ს. მერკვილაძის შეკრებილ საგმირო პოეზიის ნიმუშებში ყურადღებას, იქცევს ვარიანტი ბალადისა „შემომეყარა ყიფჩალი“. რაკი ეს ტექსტი მნიშვნელოვანია ბალადის ისტორიისათვის, მოგვეყავს მთლიანად:

შეიყარენით ძობილნი  
სამზღვარს მუხრანის გზისასა,  
პური მთხოვა და ვაჭამე,  
ეურჩევი თათუხისასა,  
ბორკი მთხოვა და ვაჭამე  
ეურჩევი ხოხობისასა,  
ღვინო მთხოვა და ვასმეველი  
ეურჩევი ბადაგისასა.  
ცოლი მთხოვა და ვერ მივეც —  
მიმეყანდა სიღდრისასა.  
ან კი ცოლს როგორ მიეცემდა  
შვილსა გაზდილსა სხვისასა.  
ხელი მოჰხვია, აკოცა,  
მოზღინა ნაწნავს თმისასა.  
შესტირა საბარალო ქალმა:

„ეაი ცოლს ცუდის ყმისასა“.  
მეც გულმა ველარ გამოძლო  
მოეზიდნე ვადას ხმლისასა,  
უქალე იმან დამასწრო  
ელვასა გვანდა ცისასა,  
მაგრამ დაუცდა მუხანათს.  
ვენაცვლე მადლსა ღმთისასა,  
ახლა მე შემოუქვნივე,  
ვენდვე მადლს ლაშრის ქერისასა,  
გაჰკერი ცხენი და კაცი  
წვერიც მომიხვდა ქვიშასა.  
არ იუა ღირსი, მოშორდა  
ცქერას ნათელის მზისასა,  
ცოლი სიღდრსა მიეგვარე, —  
ის კი იქა სჯამს ქვიშასა!<sup>34</sup>

ეს ტექსტი, სამწუხაროდ, არ გაუთვალისწინებიათ ამ ბალადის მკვლევარებს. 1899 წელს გამოქვეყნებული ვარიანტის მთქმელმა არ იცის ცნება ყიფჩალისა. ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ სტრიქონებმა, რომელიც ქართლში, სოფ. სასხორში ჩაწერილ ვარიანტშიც არის და რომელიც ამ ტექსტის ჩამწერის შემოქმედებდად მიჩნეიეს. ეს სტრიქონებია: შვილსა გაზრდილსა სხვისასა; მოზღინა ნაწნავს თმისასა; მოეზიდნე ვადას ხმლისასა; ვენდვე მადლს ლაშრის ქერისასა.

გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს ეს სტრიქონები იყოს მხოლოდ ერთადერთ, სოფ. სასხორში ჩაწერილ ტექსტში. იქვე კატეგორიულად არის ნათქვამი, თითქოს «სასხორულ ტექსტში „ლაშარის ჯვარი“ შეტანილია ამ ვარიანტის შემქმხელისა თუ გამლამაზებლის მიერ“. ლექსის მუხლის სიყალბის დასამტკიცებლად მიჩნეულია ქართულისათვის არაბუნებრივი ფორმა „ლაშრის“<sup>35</sup>. ს. მერკვილაძის მიერ ჩაწერილი ვარიანტი ბალადისა ერთი წაქითხვით ხსნის

33 „აკაკის კრებული“, 1898, VII, განყოფ. III, გვ. 22.

34 „აკაკის კრებული“, 1899, XII, განყოფ. II, გვ. 152.

35 გ. შატბერაშვილი, ნათქვამი, თბ., 1959, გვ. 41—46.



ბაღდებს სასხორული ვარიანტის ჩამწერსა და გამომქვეყნებელს<sup>36</sup>. „აკაკის კრებულში“ გამოქვეყნებული, შედარებით ადრე ჩაწერილი ვარიანტი იმითაა საგულისხმო, რომ დასასრული ტექსტისა ქართული ხასიათის შესატყვისა — „ქალი წავიდა სხვისასა“ ბოლო სტრიქონია ალექსანდრე გომიაშვილის რაქუნ გვეტაძის შედგენილ კრებულში შეტანილი ტექსტისა<sup>37</sup>.

ამგვარი დასასრული ბალადისა არ გამოხატავს ქართველი ხალხის იდეებს, მაგრამ ზეპირსიტყვიერებაში არააშეიათია ამბის სხვადასხვაგვარად გაღვივების მაგალითები. რაც შეეხება ტექსტის სადაურობას, სამწუხაროდ, მერკვილაძეს არ აქვს აღნიშნული ჩაწერის ადგილი. ჩვენ ახლა გვეძნებება გვეგორიულად თქმა იმისა, ტექსტი ბარშია ჩაწერილი თუ მთაში. ერთი კი ვერაა, აღმოსავლეთ საქართველოშია მოპოვებული.

ასეთივე საინტერესო სურათს იძლევა ს. მერკვილაძის მიერ შეკრებილი „აკაკის კრებულში“ გამოქვეყნებული საისტორიო ლექსები: საისტორიო ლექსი, როგორც ვნახავთ, გრიგოლ მერკვილაძის რეპერტუარშიც არის. საისტორიო სიტყვიერების დარგიდან ს. მერკვილაძის შეკრებილ მასალებში საკითხი რაოდენობით არის ერეკლე მეორის ციკლის ლექსები. აქ არის პოპულარული ოთხსტრიქონიანი ლექსი გამომხატველი ეროვნული გმირის მამაცობით ხალხის აღტაცებისა:

ჩენი ბატონი ერეკლე  
ერთი პატარა კახა,  
ფრანგულზე ხელი გაიკრა,  
ქარი შეიღ პირად დახაჰა.

ეს ტექსტი მთლიანად ემთხვევა ქართული ზეპირსიტყვიერების ცნობილი მაგის ანუსია კარგარეთელის (ფსევდონიმი — ვაჭირელი ქალი) ვარიანტს<sup>38</sup>. ეს ვარიანტებში, როგორც ცნობილია, ერეკლე ხელის გაკვრით ჯაქვს ან რკინის პერანგს გახვეს<sup>40</sup>.

ს. მერკვილაძის შეკრებილ მასალებში ერეკლე მეორის ციკლიდან არის ვარიანტი ლექსისა „რაჯაბარი შეიკაზმა“, რომელიც ასახავს რეაქციონერი ერიოდალების ბრძოლას საქართველოს გაერთიანების პოლიტიკის წინააღმდეგ. ლექსის ერთ-ერთი ადრესატია სამეფო ტახტის პრეტენდენტი, ვახტანგ მის ძმისწული, გამაჰმადიანებული ძმა ანტონ კათოლიკოსისა — აბდულაგაგი. ლექსის ერთი ვარიანტის გამო ქსენია სიხარულიძე წერს: „ლექსში საკითხის ხერხით არის ვადმოცემული აბდულა ბეგის დამარცხება ქართველთა უშპრის მიერ 1748 წელს“<sup>41</sup>. ამ ლექსში რაჯაბარი ან რაჯაბა (ლექთა ბელადი) მსენიება, სხვა ვარიანტებში კი ლექსის ადრესატია აბდულა, პამპაული ან პამპაულია.

ს. მერკვილაძის ვარიანტით უკუქცეული მტრის მარშრუტი უფრო ვრცელია, იგი განჯასა და დაღესტანს წვდება. სხვა ვარიანტებით ეს მარშრუტი კო-

36 ე. კ. ბ. ბ. შ. ე. ლ. ი. ლ., ხალხური პოეზია, თბ., 1934, გვ. 74.

37 ხალხური პოეზია, თბ., 1950, გვ. 64.

38 „აკაკის კრებულში“, 1898, VII, განყოფ. 111, გვ. 13.

39 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, II, ტექსტების მოშლადება, რედაქცია, მთავალი და შენიშვნები ქსენია სიხარულიძისა, თბ., 1964, გვ. 220.

40 იქვე, გვ. 220—221.

41 იქვე, გვ. 240.

ჯორსა და მონასტრებს არ გადაცდება<sup>42</sup>. ამდენად, ს. მერკვილაძის ჩაწერილ საშობაოდ გამართულ ტექსტს მოცულობითა (იგი 18 სტრიქონიანია, სხვა ვარიანტები კი 14 ან 16-სტრიქონიანია) და მოქმედების არის თვალსაზრისით ერთგვარი სიახლე შეაქვს ამ ლექსის ვარიანტებში.

ს. მერკვილაძის მასალაში არის ვარიანტი ერეკლე მეორის ციკლის დასისა, რომელიც ასახავს 1751 წელს ქართველი ხალხის ბრძოლას ქარ-ბელაქნისა და შაქ-შირვანის ხანის აჯი-ჩალაბის წინააღმდეგ<sup>43</sup>. ამ ომში აჯი-ჩალაბის ცხენების შედეგად ქართველებმა მარცხი განიცადეს<sup>44</sup>. ამ ამბავზე აგებული ლექსისა და თქმულების მიხედვით, ბრძოლაში ერეკლეს ცხენი მოუკლეს. საფრთხეში მყოფი ერეკლე იხსნა გმირმა დათუნამ. ეს გმირი იხსენიება ბოსიტაშვილსა და ქვეპირიშვილადაც<sup>45</sup>. ს. მერკვილაძის ჩაწერილი ვარიანტი კი თავისებურად იგი მტერზე გამარჯვების ამსახველი სტრიქონებით მთავრდება:

ბოსიტაშვილი დათუნი  
ციო ჩამოხული ჟვარია,  
ცხენი მიარაჟა ბატონსა  
ხელში უბოძა ფარია.  
მტერს ისე შემოუჭროლეს,  
როგორც გრიგალი ქარია,  
დასკუივლა ქართველმა ქარმა,  
მტერსა აკვეცნეს თმანია,  
გაბეგრეს დაღესტანიცა,  
წელთა ჩამოხსნეს ხრმალია.

ლექსის ამგვარი დასასრული მეტად საინტერესოა. საფიქრებელია, ქართველი ხალხის დამახასიათებელი მომავალი გამარჯვების ურყევი რწმენა გამომხატველი იყოს. მაგრამ უფრო მეტი საფუძველი გვაქვს ამ სტრიქონებში 1752 წლის ამბის ასახვა დაეცინახოთ. კერძოდ ის, რომ აზნა-ხანის დამარცხებამდე ქართველები ერეკლეს ხელმძღვანელობით დაქირავებული ჩერქეზებთან და მთიულებით ეკვეთნენ მტერს, ყაზახ-შამშადილუს საზღვარზე მიეწივნენ დაამარცხნეს იგი<sup>46</sup>. შეიძლება ამით აიხსნას ისიც, რომ ლექსის იმ ვარიანტებში რომელსაც ამგვარი დასასრული აქვს, ბრძოლის მარშრუტი ვრცელია.

ს. მერკვილაძის მასალებშია ჩვენი ქვეყნის მძიმე წარსულის ამსახველი ლექსი. იგი მტერთაგან დატყვევებულის მიმართვად ერეკლეს ვაჟის, მამობით განთქმული ლევან ბატონიშვილისადმი<sup>47</sup>. ამ ტექსტის მიხედვით ტყვებიძია და არა ქალი, როგორც ეს სხვა — 1937 წელს სოფ. ბარაღეთში ჩაწერილ ვარიანტშია<sup>48</sup>. ს. მერკვილაძის ვარიანტში განსხვავებულია მეშვიდე სტრიქონი. ზევიდან: იგი ასე იკითხება: „ღამით ღინჯილით ვყევარო“. მეორე

42 იქვე, გვ. 240—242.

43 „აკაკის კრებული“, 1899, VIII, განყოფ. II, გვ. 33.

44 ლ. ბერძენიშვილი, ი. ჭავჭავიძევილი, ს. ჭანაშია, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1946, გვ. 377.

45 „ივერია“, 1890, № 525.

46 ლ. ბერძენიშვილი, ი. ჭავჭავიძევილი, ს. ჭანაშია, საქართველოს ისტორია, I, 1946, გვ. 377—379.

47 „აკაკის კრებული“, 1898, VII, განყოფ. III, გვ. 16.

48 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, II, გვ. 87.

ვარიანტიში ვკითხულობთ: „ღამე ოთახში ცეცეარო“<sup>49</sup>. საინტერესოა, რომ ამ ლექსის 12-სტრიქონიან ვარიანტს ერეკლეს თანამედროვე გმირი ქალის — თამარ ვაშლოვანელის სახელს უკავშირებენ<sup>50</sup>.

ერეკლე მეორის ციკლიდან ს. მერკვილაძის მასალებში არის ვარიანტი ერეკლეს გარდაცვალებაზე შექმნილი გავრცელებული ლექსისა, მაგრამ მას ტექსტის ისტორიისათვის საკურო მნიშვნელოვანი თავისებურება არ ახასიათებს.

„აკაიის კრებულში“ გამოაქვეყნა ს. მერკვილაძემ ვარიანტი ლექსისა გენერალ პაულე ციციანოვზე<sup>51</sup>. ციციანოვი ცდილობდა რუსული მმართველობა ქართული ყოფისათვის შეეგუებინა<sup>52</sup>. ს. მერკვილაძემ ჩაწერა და გამოაქვეყნა შამილის შემოსევაზე შექმნილი გავრცელებული ლექსის საკმაოდ სრულყოფილი ვარიანტი<sup>53</sup>.

საყურადღებოდ მიგვაჩნია და მთლიანად მოგვეყვას „აკაიის კრებულში“ გამოქვეყნებული საისტორიო ლექსი:

ყარა აზრემისა ფაშასა  
შემოუთელია მუქარა.  
წავიდეთ, ბიჭო საომრად,  
არეინ დაბრუნდეთ უკანა!  
ასე ჩაეჩხვით თათრები  
როგორც რა მომკილი ყანა!<sup>54</sup>

ეს ლექსი, ჩვენი აზრით, 1877—78 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის გამოძახილი უნდა იყოს.

ს. მერკვილაძემ „აკაიის კრებულში“ გამოაქვეყნა საისტორიო პროზის ნიმუშიც — „ასთორმეტი წლის მოხუცი“<sup>55</sup>. ეს არის მოგონება სოფელ წირქვალში (სათაბაგროში) მცხოვრები აკაიის მამის როსტომ წერეთლის ყმა გლეხის გრიგოლ სვიმონის ძე კენჭოშვილისა. მოხუცი გლეხი იგონებს საქართველოს შეერთებას რუსეთთან, ბატონყმობის მძიმე უღელს, შამილის ბრძოლას, მოძღვარებული ლეიანობის ეპიზოდებს. მისი ნაამბობიდან საინტერესოა ამბავი ლექთა თავდასხმისა და მშრომელი ხალხის მტრისაგან თავდაცვის საშუალებანი.

გრიგოლ კენჭოშვილი მოგონებას ასე ამთავრებს: „მახსოვს კარგა ციციონის შემოსვლაც. როცა ვარანცოვი მობრძანდა, მაშინ ჩემ ბატონს თავად როსტომ წერეთელს (აკაიის მამას) ვახლდი“.

ასთორმეტი წლის გლეხის ნაამბობს მნიშვნელობა აქვს წარსულში ქართველი ხალხის მოუსვენარი ცხოვრების გასათვალისწინებლად. ამ მოგონებას ძნიშვნელობა აქვს აგრეთვე საისტორიო ნაწარმოებთა, კერძოდ გადმოცემათა და თქმულებათა გენეზისის საკითხისათვის.

„აკაიის კრებულში“ გამოქვეყნებულ სხვა მასალასთან ერთად ეს მოგო-

<sup>49</sup> იქვე.

<sup>50</sup> ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1934, გვ. 374—375.

<sup>51</sup> „აკაიის კრებულში“, 1898, VII, განყ. III, გვ. 25.

<sup>52</sup> ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა და სხვ. საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 399—400.

<sup>53</sup> „აკაიის კრებულში“, 1898, VII, განყოფ. III, გვ. 20.

<sup>54</sup> იქვე, გვ. 18.

<sup>55</sup> „აკაიის კრებულში“, 1898, XII, განყოფ. III, გვ. 60.

ნებაც განხორციელება აკაკის მოწოდებისა, რათა შეეკრიბათ და შეესწავლათ ერის ცხოვრება, მისი აწმყო და წარსული.

ასეთი ხასიათისაა ზოგადად ს. მერკვილადის შეკრებილი და „აკაკის კრებულში“ გამოქვეყნებული ნიმუშები საგმირო და საისტორიო სიტყვიერებისა. ზოგადად ვამბობთ იმიტომ, რომ ჩვენ არ გვიცდია ყოველმხრივი ანალიზი ამ საინტერესო მასალისა. ჩვენი ცდა იქითკენ იყო მიმართული, გვეჩვენებინა ამ მასალების ადგილი ქართულ პოეტურ ფოლკლორსა და ფოლკლორისტიკაში.

ს. მერკვილადემ, როგორც ითქვა, გამოავლინა საინტერესო მთქმელი გრიგოლ მერკვილადე. შორაპნის მაზრის სოფ. ჰალატყის მცხოვრებ ამ მთქმელისაგან ს. მერკვილადეს ჩაუწერია სხვადასხვა ეანრისა და ხასიათის ლექსები, სულ ოცდაათამდე ტექსტი<sup>56</sup>.

გრ. მერკვილადის რეპერტუარში არის საგმირო და საისტორიო პოეზიის საინტერესო ნიმუშები, საყოფიერო, ფილოსოფიური ლირიკის ნიმუშები. მის რეპერტუარშია აგრეთვე სასულიერო პოეზიაც. „აკაკის კრებულში“ მოთავსებული მასალების მიხედვითაც შეიძლება ითქვას, რომ გრ. მერკვილადე ხალხური პოეზიის კარგი მცოდნე და ნიჭიერი შემსრულებელი ყოფილა. მისგან ჩაწერილი ყველა ტექსტი შინაარსისა და ფორმის მხრივ სრულყოფილია.

თუ რა მნიშვნელობა აქვს გრ. მერკვილადისაგან ჩაწერილ ხალხური პოეზიის ნიმუშებს, ამას გვიჩვენებს მათი შედარება სხვა ჩანაწერებთან და პუბლიკაციებთან.

გრ. მერკვილადეს, როგორც საინტერესო მთქმელს, წარმოგვიდგენს ვარიანტი ლექსისა, რომლის აღრესატია სოლომონ პირველის უმცროსი ძმა, მამაცობით განთქმული არჩილი, რომლისთვისაც „გივი“ შეურქმევიათ. გრ. მერკვილადისაგან ჩაწერილი არის არჩილზე შექმნილი ლექსის 76-სტრიქონიანი, საკმაოდ გამართული ვარიანტი<sup>57</sup>. არგვეთაში ჩაწერილი ამ ლექსის ვარიანტი კი 64 სტრიქონია<sup>58</sup>, სევასტი გაჩეჩილადის მიერ ჩაწერილი ვარიანტი — 48 სტრიქონია<sup>59</sup>, პეტრე უმიკაშვილის კოლექციიდან ხონში ილარიონ ჭონიაშვილის მიერ ჩაწერილი ვარიანტი 49 სტრიქონია<sup>60</sup>. მთავარი ის არის, როგორც ზემოთ ითქვა, რომ გრ. მერკვილადის ვარიანტი უფრო გამართულია.

იმის ნათელსაყოფად, თუ რა მნიშვნელობა აქვს ს. მერკვილადის მიერ მოპოვებულ მასალებს, კერძოდ მის მიერ აღმოჩენილი მთქმელის — გრიგოლ მერკვილადის რეპერტუარს, რამდენიმე ნიმუშზე შევჩერდებით.

ზემოხსენებული ლექსი სხვა ვარიანტებს ჯობია არა მხოლოდ სტრიქონთა რაოდენობით, არამედ პოეტურობითაც. იგი ამკლავნებს მთქმელის საკმაო ოსტატობას. სანიმუშოდ ავიღოთ ლექსის ის ეპიზოდი, რომელიც გადმოცემულია არჩილის ცხენის (ლექსის მიხედვით ბერი კვიცი) პირით:

<sup>56</sup> „აკაკის კრებულში“, 1898, VII, განყოფ. III, გვ. 23—34.

<sup>57</sup> იქვე.

<sup>58</sup> იქვე, 1899, II, განყოფ. II, გვ. 41.

<sup>59</sup> ხალხური სიტყვიერება, II, ეჭვთ. თაყაიშვილის რედაქციით, გვ. 6—7.

<sup>60</sup> პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, თბ., 1937, გვ. 115.

ბერმა კვიცა თქვა საბრალომ:  
 „რა იმედს მუუბნებოდი?  
 აღმართში ვიყავ მერანი,  
 დაღმართში — დავგოგდებოდი,  
 აბი ზარბაზნის სროლაზე  
 მე გეტყვი, შეგიფრთხებოდი!  
 სადაც თოფის სროლა იყო,  
 მე შენი შიშით ვქრებოდი,  
 ათას მხარ თხრილზე მიგეგდე,  
 რწყილივით გაგიხტებოდი,  
 სიბ ქვაზე გექენებოდი.

შუბივით დავმეგრდებოდი,  
 ჩირგვინარში გექენებოდი,  
 ხეს წვერზე მოვევლებოდი,  
 თუნდ რომ ავად ვყოფილიყავ,  
 გვერდზე არ დავიწვევებოდი,  
 გინდ ზეცას ატოლიყავი,  
 მე იქაც წამოგყვებოდი,  
 თავ მოძულეობით ქვესკნელში  
 შენზე წინ ჩავეკრდებოდი,  
 სადაც ბრძოლის ველი იყო, —  
 სულ წინ მე გაგიძლებოდი...“<sup>61</sup>

ლ. ქონიაშვილისა და სევასტი გაჩეჩილაძის მიერ ჩაწერილ ვარიანტებში ეს ეპიზოდი, გარდა იმისა, რომ მოკლეა, მხატვრულადაც ჩამოუყვარდება გრ. მერკვილაძის ვარიანტს. აღსანიშნავია, რომ პოეტურად გამართულია აგრეთვე ს. მერკვილაძის მიერ მოპოვებული ამ ლექსის მეორე ვარიანტი, სათაურით „არჩილ-გიეი“<sup>62</sup>, ჩაწერილი სოფ. არგვეთაში.

მოყვანილი ნიმუშები ცხადყოფენ გრიგოლ მერკვილაძის, როგორც მთქმელის, ოსტატობას. გრ. მერკვილაძეს, როგორც ოსტატ მთქმელს, წარმოგვიდგენს აგრეთვე მეორე, 24-სტრიქონიანი საისტორიო ლექსის „ხახულმა ჭარი შეჰყარა“<sup>63</sup> შედარება მის აგრეთვე იმერულ, ივ. ბერიკაშვილის თქმით სოფ. ქუვიში ჩაწერილ 10-სტრიქონიან ვარიანტთან<sup>64</sup>.

ეს ლექსი, როგორც აღნიშნული აქვს ქს. სიხარულიძეს, უნდა ასახავდეს სოლომონ მეორის მეფობისას „ზურაბ წერეთლის ელჩების შედეგად საქართველოში რუსის ჭარის შემოყვანას“<sup>65</sup>. გრ. მერკვილაძის ვარიანტი ამ შემთხვევაში მარტო სტრიქონთა რაოდენობით კი არ აღემატება ივ. ბერიკაშვილის ვარიანტს, არამედ შინაარსითა და ფორმითაც. მასში წინა პლანზეა სამშობლოს სიყვარულის გრძნობა. აღსანიშნავია ისიც, რომ გრ. მერკვილაძისათვის დამახასიათებელია დიდაქტიკა, ოღონდ არა მშრალი, მოსაწყენი, არამედ მიმზიდველი. გრ. მერკვილაძის რეპერტუარში არის ლექსები, რომელთაც სხვა ჩანაწერებით არ ვიცნობთ. ასეთია, მაგალითად, ჩვენი ქვეყნის მძიმე წარსულის ამსახველი ლექსი:

საკაშეთი რომ აიღეს, —  
 იყო ორშაბათ დიღაო,  
 ქალები ბევრი წაასხეს  
 მარიამი და თინაო.

ახალიხეს რომ გაიღენ,  
 მტრის სარდლებს ჩაეძინაო,  
 ტყვესა კაცია გმირიძეს  
 უღვაშში ჩაეძინაო:

61 „აკაკის კრებული“, 1898, VII, განყოფ. III, გვ. 24—25.

62 „აკაკის კრებული“, 1899, II, განყოფ. II, გვ. 41—42.

63 „აკაკის კრებული“, 1898, VII, განყოფ. III, გვ. 28.

64 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, II, გვ. 147—148.

65 იქვე, გვ. 351.

ზიგოფ-მოგლიჯა ჭაქვები,  
 ყველა ტყვეს მოელხინაო,  
 მისცეინდენ მტრების იარაღს

ერიში მიიტანაო,  
 თითო მოქნევით სამ-სამსა  
 ეუწავდა როგორც ჩალაო...<sup>66</sup>

ლექსი საინტერესოა, როგორც ითქვა, წარსული ბედუქუღმართობის ასახვის თვალსაზრისით. ს. მერკვილაძემ ამ ლექსის ჩაწერით დაეიწყებას გადაარჩინა მამაცი კაცია გმირიძის სახელი.

გრ. მერკვილაძის რეპერტუარისათვის დამახასიათებელია ტრადიციული გამოთქმების ჩართვა ლექსებში. ამ გამოთქმებს გარკვეული ფუნქცია აქვს-რიათ. ისინი ლექსებს აძლევენ ფილოსოფიურ სიღრმესა და მიმზიდველ ფორმას. ამის ერთი ნიმუშია ლექსი:

ცა მტკავლით, ცილით ქვეყანა  
 ნახეთ, თუ გაიზომება?  
 ზღვა თუ აირწყვის პეშვითა,  
 ცანიცა განიწონება...<sup>67</sup>

ესა და სხვა ამგვარი ლექსები გვაფიქრებინებს, რომ გრ. მერკვილაძე მხოლოდ მთქმელი, ე. ი. ტრადიციულ ნაწარმოებთა შემსრულებელი კი არ იყო, არამედ ავტორ-მთქმელიც.

გრ. მერკვილაძის რეპერტუარში საგმირო ლექსებს წამყვანი ადგილი უკავია. აქ არის საინტერესო ვარიანტები ცნობილი საგმირო აფორიზმებისა და სასიმღერო ტაეპებისა. თუ შედარებით ვრცელ ლექსებს, როგორც საისტორიო ლექსების შედარებისას ვნახეთ, მთქმელი თავისუფლად ეკიდება, შეაქვს მასში უდავოდ თავისი ახალი სტრიქონები, ამას ვერ ვიტყვით სასიმღერო ტაეპებსა და აფორიზმებზე. საერთოდ გრ. მერკვილაძის ვარიანტი ტოლს არ უდებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის პოეზიას. სანიმუშოდ ერთ მაგალითზე შევჩერდებით:

კაცი დიდნი ლიახვისა,  
 თოფები აქეთ ჩაზმახისა,  
 მტერსა მტრულად დახედებან,  
 მოყეთეში ნახვენ ლხინსა!<sup>68</sup>

კაცი დიდი ლიახვისა,  
 თოფები აქესთ ზორასნისა,  
 მტერს მტრულად დაუხედებან,  
 მოყვარეში ნახვენ ლხინსა.

(გრ. მერკვილაძე)

ჩვენი აზრით, გრ. მერკვილაძის რეპერტუარში ეს და სხვა ამგვარი ნიმუშები აღმოსავლეთ საქართველოდან არის შესული. მცირე განსხვავებანი ტექსტებში აღმოსავლური და დასავლური დიალექტებისა და კილოს მაჩვენებელია.

ზოგი ლექსი გრ. მერკვილაძის რეპერტუარიდან, საფიქრებელია, ს. მერკვილაძის ჩანაწერით შემორჩა ქართულ ხალხურ სიტყვიერებას. ამის ნიმუშად მიგვაჩნია სეაყეკო კოდქის გამომხატველი მშვენიერი ლექსი:

<sup>66</sup> „აკაკის კრებული“, 1898, VII, გვ. 27.

<sup>67</sup> იქვე.

<sup>68</sup> ქართული ხალხური საგმირო აფორიზმები, კიი ყმა, ქს. სიხარულიძის შედგენილი, თბ., 1963, გვ. 32.

ვაჯკასა ქალაჩუნასა  
ქალი სჯობია თმინი:  
მტერსა ვერ უზამს მტრობასა,  
მძას-ძმობას ვაგლახიანი,  
გონჯათ იქნება ყველასთან  
თაჲ-ცხვირ-პირ ტალახიანი<sup>69</sup>.

ეს ლექსი თავისი მორალური მრწამსით, ამაღლებული იდეით გვაგონებს ქუჩისტყაოსნის 799-ე სტროფს:

რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის მხმეველსა,  
შედრეკილ-შეშინებულსა და სიკვდილისა მექველსა!  
კაცი წაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეველსა?  
სჯობს სახელისა მოხვეჯა ყოველსამოსახვეველსა!

ჩვენ არ ვამტკიცებთ ამ შემთხვევაში ხალხური ლექსისა და რუსთველის სტროფის გენეტიკურ კავშირს. ხაზს ვუსვამთ მხოლოდ იდეურ მსგავსებას, რის პარალელ მიგვაჩინია საუკუნეთა მანძილზე შემუშავებული ქართველი ხალხის იდეალი გმირობისა. ჩვენ არ ვიცნობთ გრ. მერკვილაძისაგან ჩაწერილი ლექსის სხვა ვარიანტს. იქნებ ეს ლექსი თვით ამ ნიჭიერ მოლექსეს ეკუთვნის. ეს ასეა, მაშინ იგი შთაგონებულია ვეფხისტყაოსნის მოყვანილი სტროფით: „ვიღვე ქართული საეყვაცო კოდექსით. ამგვარი ვარაუდის საფუძველს იძლევა აგრეთვე გრ. მერკვილაძისაგან ჩაწერილი მეორე ლექსიც. იგი საგმირო ჭსმის ტიპური ნიმუშია:

პოი, შენ კი გენაცვალე,  
შენი ბასრი ხანჯალ-ხმლისა!  
წერ-ულვაში ამოგვლია,  
ჭერ არა ხარ ოცა წლისა!  
გიყვარს სამშობლოს მოყვრები,  
გამწყვეტი ხარ მისი მტრისა!<sup>70</sup>

გრ. მერკვილაძის შემოქმედება უნდა იყოს ოთხსტრიქონიანი ლექსი, ნიმუში ნებუჭი იუმორისა:

შენ კი ბიჭს გეძახიან,  
მე მეძახიან ლაჩარსა,  
შენ გავიძებხი სარდლათა,  
ჩვენ უკან ვიწყებთ ჩანჩალსა!<sup>71</sup>

გრ. მერკვილაძის რეპერტუარშია ათამდე აფორიზმი. აქედან, ჩვენი აზრით, მეტი წილი, პირველად „აქაკის კრებულში“ გამოქვეყნდა. მათ შორის ძალიან მორალის მქადაგებელი აფორიზმების ნაწილი, საფიქრებელია, შექმნილია თვით ამ ოსტატ მთქმელის მიერ.

<sup>69</sup> „აქაკის კრებულში“, 1898, VII, განყოფ. III, გვ. 30. აქედან გადაბეჭდილია: „ხალხური სიბრძნე“, IV, თბ., 1965, გვ. 100. „ხალხური სიბრძნე“ დართული შენიშვნების ნიშნით, თითქოს ტექსტი აქაი წერეთელს ჩაუწერია, არ არას სწორი.

<sup>70</sup> „აქაკის კრებულში“, 1898, VII, განყოფ. III, გვ. 29.

<sup>71</sup> იქვე.

მთლიანად გრიგოლ მერკვილაძის რეპერტუარი სოსიკო მერკვილაძის ფოლკლორული ძიების მშვენიერი ფურცელია. ჩვენ არ ვიცით, ამოსწურა თუ არა ს. მერკვილაძემ ამ საინტერესო მოღვაწის რეპერტუარი. ვფიქრობთ, - არა. არც ის ვიცით, როგორ ასრულებდა გრ. მერკვილაძე ლექსებს: მუსიკალურ საკრავზე დამღეროდა თუ სიმღერის გარეშე წარმოთქვამდა. ჩვენს ხელ- არსებული მასალები გვაფიქრებინებს, რომ გრ. მერკვილაძეს წერა-კითხუ- ნდა სკოდნოდა. ახლა ძნელია მისი შემოქმედების წყაროების დადგენა. ვჭ- თი რამ კი გადაჭრით შეიძლება ითქვას, იგი თითქმის თანაბრად ფლობს რო- გორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს რეპერტუარს. ამის მაჩუ- ნებელია საისტორიო ლექსი „გამარჯვებულსა ციციანს“, საგმირო აფორიზმ- ბი „გაუკაცს არ გამოადგება“, „ღმერთო, ნუ შეჰყრი ვაქაცსა“ და სხვა- რომელთა გავრცელების არე აღმოსავლეთ საქართველოა.

დასასრულ, ხაზი გვინდა გავუსვათ იმას, რომ სოსიკო მერკვილაძემ გრ- გოლ მერკვილაძის სახით ქართველ მთქმელთა გალერეაში შემოიყვანა მეტ- საინტერესო მთქმელი, ჩვენი რწმენით, ავტორ-მთქმელიც.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებ-  
აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართუ-  
ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა)



არაბული ლექსის სტრუქტურის საკითხები

1. XX ს. არაბულმა პოეზიამ განიცადა მეტად მნიშვნელოვანი თვისებრივი გარდაქმნები. თემატურ-სიუჟეტური სქემების შეცვლასთან ერთად შეიმჩნევა აქტიური ბრძოლის პროცესი ლექსის ისეთი ახალი ფორმების შესაქმნელად. რომლებსაც უნდა ჰქონოდათ ახალი შინაარსის გამომხატველი გარკვეული სიგნალების ფუნქცია. ამ ასპექტში განვითარება ორი გზით წარიმართა. ერთი მხრივ — მეტრისა და რითმის უარყოფა, რას შედეგადაც 20-იანი წლებისათვის საბოლოოდ ჩამოყალიბდა არაბული პოეზიისათვის სრულიად ახალი ორი მოვლენა: თეთრი ლექსი და, საერთოდ, თავისუფალი ლექსი (განსაკუთრებული წვლილი ამ საქმეში შეიტანეს ეგვიპტურმა პოეზიამ, არაბ პოეტთა ამერიკულმა ემიგრაციამ და აგრეთვე ერაყმა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის ნაწარმოებთა ანალოზისას ხშირად ძნელდება ზღვარის დადება პროზასა და ლექსს შორის!) მეორე მხრივ — ტრადიციული არაბული ვერსიფიკაციის კანონების უარყოფა, რის შედეგადაც თავდაპირველად მივიღეთ კლასიკური ლექსის რამდენიმე სახეცვლილება, რომელმაც გარდამავალი საფეხურის როლი შეასრულა ამ პროცესის დასრულების საქმეში — ძველი 'არუდისაგან ტრანსფორმირებული ახალი სისტემის ე. წ. აშ-ში'რ ალ-ჰურრის (الشعر الحر) ჩამოყალიბებაში. ეს სისტემა შეიქმნა 40-იან წლებში ერაყში და მალე გავრცელდა მთელ არაბულ სამყაროში.

2. ევროპული სამეცნიერო ლიტერატურა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დროინდელ არაბულ პოეზიას ნაკლებად იცნობს. ა. არბერის 1950 წ. გამოცემულ ანთოლოგიაში<sup>1</sup>, რომელიც მოიცავს მთელ არაბულ პოეტურ სამყაროს ჩრდილო- და სამხრეთამერიკული ემიგრაციის ჩათვლით, ერაყულ პოეზიას საერთოდ ეთმობა მცირე ადგილი (თუმცა ამ ქვეყნის განსაკუთრებული ადგილი თანამედროვე არაბული პოეზიის განვითარების საქმეში იღივს ხანია აღიარებულია მეცნიერებაში): წარმოდგენილია 3 ლექსი (ორი — არ-რუსაჰმსა და ერთი — ან-ნაჰაჰმსა) და უყურადღებოდაა მიტოვებული ისეთი გამორჩენილი პოეტები, როგორცაა: აზ-ზაჰაჰე, ალ-ჟაჰაჰირი და სხვ. ასეთ ვითარებაში გასაგებია, რომ ავტორის ყურადღების მიღმა დარჩა იმდროინდელ ერაყელ პოეტთა სრულიად ახალგაზრდა თაობა — აშ-ში'რ ალ-ჰურრის ბელადები.

აშ-ში'რ ალ-ჰურრის პრობლემა ჯერონად არაა განხილული არაბულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც; გამოთქმულია ცალკეული მოსაზრებები, რომლებიც ხშირად სერიოზული მეცნიერული ანალიზის შედეგს არ წარმოადგე

<sup>1</sup> შტრ. Edward Stankiewicz. Linguistics and the study of poetic language „Styl in language“ ed. by Thomas A. Sebeok, New York, 1960. p 77.

<sup>2</sup> Modern Arabic poetry. An anthology with English verse translations by Arthu J. Arberry. London, 1950.

<sup>3</sup> იხ. И. Ю. Крачковский, Избранные сочинения. т. 3, стр. 67, 73.

ნენ. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს ერაყელი მკვლევარი და პოეტი-ქალი ნაზიქ ალ-მალა'იქა, — აშ-ში'რ ალ-ჰურრის ერთ-ერთი პიონერი, — რომელმაც 1952 წ. საფუძველი ჩაუყარა პრობლემის სისტემატურ შესწავლას. მან ამ საკითხთან დაკავშირებით გამოაქვეყნა ცალკეული სტატიები (ეურნალებში „ალ-ნაღბ“ და „ალ-ადბე“), რომლებიც საფუძვლად დაედო მის მონოგრაფიას „თანამედროვე პოეზიის პრობლემები“<sup>4</sup>. ეს წიგნი ჭერჭერობით ერთადერთი საფუძვლიანი გამოკვლევაა აშ-ში'რ ალ-ჰურრის შესახებ.

3. ტერმინი აშ-ში'რ ალ-ჰურრ (სიტყვასიტყვით „თავისუფალი ლექსი“) დიდი ხანია ცნობილია XX ს. არაბული ლიტერატურათმცოდნეობისათვის. თავდაპირველად მას ჰქონდა იგივე მნიშვნელობა, რაც ზოგად ტერმინს free verse და უპირისპირდებოდა ტერმინს აშ-ში'რ ალ-მურსალ — الشعر المرسل (blank verse)<sup>5</sup>. შემდეგში ამავე სიტყვით აღნიშნებოდა ლექსის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც ხასიათდება რამდენიმე ზომის გამოყენებით (ამ შემთხვევაში იგი დაახლოებით უდრიდა ტერმინს mixed verse); იგი შექმნა ეგვიპტურმა ლიტერატურულმა საზოგადოებამ „აბოლო“ დოქტორ აბუ შანს (1892—1955 წწ.) მეთაურობით. და ბოლოს, იგი აღნიშნავს ახალ ლექსთწყობას, რომელიც შეიქმნა ერაყში. ტერმინის პოპულარობით გამოწვეული უხერხულობა დიდი ხანია აღნიშნულია არაბთა მიერ. თვით ნაზიქ ალ-მალა'იქა, რომელიც ამ ტერმინის ერთ-ერთი ავტორია, აღიარებს, რომ თავის დროზე არაფერი იცოდა აბუ შანს აშ-ში'რ ალ-ჰურრის შესახებ<sup>6</sup>. დღეს ეს ტერმინი იხმარება ერაყში შექმნილი ახალი ლექსთწყობის მნიშვნელობით; ამრიგად, მისმა ამ მნიშვნელობამ თანდათანობით განდევნა გამოთქმის დანარჩენი სემანტიკური მხარეები.

ამ სახელწოდებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი. საქმე ეხება ტერმინის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით გამოწვეულ ასოციაციებს, რამაც თავის დროზე აშ-ში'რ ალ-ჰურრს ბევრი მოწინააღმდეგე გაუჩინა (როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოთქმა ნიშნავს თავისუფალ, მეტრისა და რითმის არმქონე, ლექსს). საქმე იმაშია, რომ XX ს. არაბული პოეზიის წარმომადგენელ ნოვატორ-პოეტთა და თეორეტიკოსთა აბსოლუტური უმრავლესობა გამოხატავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას, ერთი მხრივ, ტრადიციული ვერსიფიკაციის, ხოლო, მეორე მხრივ, საერთოდ მეტრიკის მიმართ. განსაკუთრებულ აქტივობას ამ საკითხში ავლენდა ამერიკელი ემიგრაცია მინა'რლ ნუ'აშმეს მეთაურობით. ამ უკანასკნელმა 1923 წ. გამოაქვეყნა სპეციალური სტატია, რომელშიც თავს დაესხა ალ-ხაღლსა და მის მიერ ავებულ სისტემას, ამ სისტემას დააბრალა არაბული პოეზიის დაკნინება, გამოაცხადა იგი არაბული პროზის ფაქტიური არარსებობის მიზეზად<sup>7</sup>. ეგვიპტეში ანალოგიური მიმართულების ერთ-ერთი ბელადი ალ-'აკკადი<sup>8</sup> ტრადიციონალისტ და ნოვატორ პოეტთა დახასიათებისას შემდეგ ტერმინოლოგიას მიმართავს: العروضيون

<sup>4</sup> نازك الملائكة، قضايا الشعر المعاصر، بيروت 1962 I გამოცემა; II გამოცემა: 1966 بغداد، III გამოცემა: 1967 بيروت

<sup>5</sup> შტრ. 22 ص القاهرة 1958

<sup>6</sup> نازك الملائكة، محاضرات عن شعر علي محمود طه، القاهرة 1966، ص 11، 187

<sup>7</sup> ميخائيل نعيمة، الفريال، بيروت 1964، ص 126 — 125

<sup>8</sup> საზოგადოება აღ-დრეწნის ერთ-ერთი დამაარსებელი.

ტრადიციული ვერსიფიკაციის მიმდევრები“, غير العرويين „ამ ვერსიფიკაციის უკუმგდებნი“<sup>9</sup> (სხვაგვარად ამ დაპირისპირებას შეიძლება მიენიჭოს შემდეგი მნიშვნელობაც: საერთოდ მეტრისა და რითმის მომხრენი და მათი მოწინააღმდეგენი). რაც შეეხება აშ-ში'რ ალ-ჰურრის წარმოქმდგენლებს, ისინი თავიანთ წინამორბედთაგან განსხვავებით ყოველთვის გამოირჩეოდნენ როგორც კლასიკური არაბული, ისე, საერთოდ, მეტრიკისადმი უდიდესი ყურადღებით. მათ ხშირად აღუნიშნავთ, რომ ახალი ლექსიწყობა არის განვითარება ტრადიციული ვერსიფიკაციისა, რომ ორივე სისტემა — ძველი და ახალი — ხასიათდება საერთო კანონებით, რომელთა დარღვევას ისინი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებენ<sup>10</sup>. ამ მხრივ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ახალი ლექსთწყობის მიმდევრები წინააღმდეგნი არიან კლასიკურ სალექსო ფორმებს ეწოდოს აშ-ში'რ ათ-თაკლიდი (الشعر التقليدي), რადგანაც ამ ტერმინს ახლავს გარდასულის, დრომოქმულის“ სემანტიკური ნიუანსი; მათი ღრმა რწმენით (რაც მათ პოეტურ პრაქტიკაშიც რეალიზდება) ძველ ფორმებს ახლის გვერდით თანაარსებობის სრული უფლება აქვს.

ამ ასპექტში ტერმინი აშ-ში'რ ალ-ჰურრ მოუხერხებელი ჩანს და სავესებით გასაგებია, რომ ხშირად, განსაკუთრებით პირველ ხანებში, წარმოიშვა გაუგებრობანი და კრიტიკა როგორც ლიტერატურათა, ისე მკითხველთა მხრივ.

4. აშ-ში'რ ალ-ჰურრის ჩასახვის წელი და ადგილი (1947 წ., ერაყი) შეიძლება დადგენილად მივიჩნიოთ; რაც შეეხება მისი შექმნის ზუსტ თარიღსა და პირველდამწყების ვინაობას, ამასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. აშ-ში'რ ალ-ჰურრის ავტორად ზოგი არაბი მკვლევარი ნაზიქ ალ-მალა'იქას ასახელებს, ზოგი კი ბადრ შაქირ ას-საჰაბას (1926—1964 წწ.). ორთვე პოეტი თანამედროვე საერთო-არაბული პოეზიის აღიარებული ლიდერია: ას-საჰაბა ავტორია 7 დივანისა (პირველი გამოიცა 1947 წელს, ხოლო ბოლო — 1965 წ., მისი გარდაცვალების შემდეგ), ალ-მალა'იქა — სამის (მეოთხე — მომზადებულია დასაბეჭდად)<sup>11</sup>.

ალ-მალა'იქას პირველი ლექსი, დაწერილი აშ-ში'რ ალ-ჰურრის კანონებით (ზომა — ტრანსფორმირებული მუთადარიქი), შეიქმნა 1947 წ. 27 ოქტომბერს და დაიბეჭდა ლიბანური ეჟურნალის ალ-ურუბას 1 დეკემბრის ნომერში (ლექსის სათაურია „ქოლერა“)<sup>12</sup>. იმავე წლის დეკემბრის მეორე ნახევარში ბლადრში გამოვიდა ას-საჰაბას პირველი დივანი, რომელშიც მოთავსებული იყო ლექსი „იყო სიყვარული?“. აგრეთვე აშ-ში'რ ალ-ჰურრის კანონებით შესრულებული (ზომა — ტრანსფორმირებული რამალი)<sup>13</sup>. ლექსის დაწერის თარიღად გამოცხადებული იყო 1946 წლის 29 ნოემბერი<sup>14</sup>.

გარდა ზემოთ მოყვანილი მოსაზრებებისა არსებობს მესამე აზრიც, რომლის მიხედვითაც აშ-ში'რ ალ-ჰურრის შემქმნელად ორივე პოეტია აღიარებუ-

<sup>9</sup> ١٠. ص ١٩٣٧، القاهرة، الماضى، الجليل فى بناتهم فى الجليل الماضى، القاهرة، ١٩٣٧، ص ١٠.

<sup>10</sup> ٨٠. ص ٧٤، ٧٣، نازك الملائكة، قضايا، ص ٧٣، ٧٤.

<sup>11</sup> ბიო-ბიბლიოგრაფიული ცნობები ამოღებულია წიგნებიდან: يوسف عز الدين، شعراء العراق فى القرن العشرين، بغداد، ١٩٦٩، ص ٢٩٦—٣٠١؛ سعدون رئيس، الأدباء العراقيون المعاصرون وأنتاجهم، بغداد، ١٩٦٥، ص ٢٠—١٩.

<sup>12</sup> نازك الملائكة، قضايا، ص ٢٣.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 24.

<sup>14</sup> იხ. კრებული ازهار واساطير II გამოცემა, გვ. 141.

ლი<sup>15</sup>. ფაქტი ერთია: ალ-მალა'იქაცა და ას-საჰაბიცი ერთმანეთისაგან დამო-  
უკიდებლად მივიდნენ ერთსა და იმავე იდეამდე.

5. წარმოვადგენთ ორივე ლექსის ნიმუშს:

„ქოლერა“ ნაზიქ ალ-მალა'იქასი (დასაწყისი, სტრ. 1—13):

سكن الليل  
أصغ الى وقع صدى الآنات  
في عمق الظلعة تحت الصمت على الاموات  
صرخات تملو تضطرب  
حزن يتدقق يلتهب  
يتعثر فيه صدى الاهات  
في كل فواد غليان  
في الكوخ الساكن أحزان  
في كل مكان روح تصرخ في الظلمات  
في كل مكان يبكي صوت  
هذا ما قد مزقه الموت  
الموت الموت الموت

يا حزنَ النيل الصارخ مما فعل الموت  
„იყო სიყვარული?“ ბადრ შაქირ ას-საჰაბისა (დასასრული, სტრ. 22—23)

احسد الضوء الطروبا  
موشكا مما يلقى أن يدوبا  
في رباط اوسع الشمر التمانا  
السماة البكر من الوان آنا و آنا  
لا ينيل الطرف الا ارجوانا  
ليت قلبي لمحة من ذلك الضوء السجين  
أهو حب كل هذا ؟ خيريني

ერთი შეხედვითაც იგრძნობა განსხვავება ამ ორ ნიმუშსა და ტრადიციულ  
არაბულ კასიდას შორის (თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ლექსთ-  
წყობის დამახასიათებელი ნიშნები ამ ლექსებში, — განსაკუთრებით ას-საჰაბი-  
სას, — მთელი სიმკვეთრით ჯერ არ აჩანსაიანებთ).

პირველ ლექსში გამოყენებულია ერთადერთი ტერფი fa'ilun, რაც მას მუ-  
 ადნარქთან აახლოებს (როგორც ცნობილია, ტრადიციული მუთადნარქის ანუ  
 აბაბის კანონიერი ფორმაა fa'ilun fa'ilun fa'ilun fa'ilun ბეითის მანძილზე  
 ირჯერ გამეორებით). გვაქვს ამ ტერფის ყველა შესაძლებელი ვარიანტი:  
 fa'ilun, fa'ilun და fa'lun; გვხვდება 2 დარბი: fa'lun და fa'ilun. მეო-  
 უ ლექსში გამოყენებულია ტერფი fa'ilatun, რის გამოც იგი რამალს უახ-  
 ლოვდება (ტრადიციული რამალის სქემაა fa'ilatun fa'ilatun fa'ilatun);  
 აღებულია ამ ტერფის მხოლოდ ორი ვარიანტი: fa'ilatun და fa'ilatun;  
 ვარბად გამოყენებულია fa'ilatun და მხოლოდ ერთხელ — fa'ilatun  
 (ქ-12 სტრიქონი). იმ ნიშანთაგან, რომლებიც ამ ლექსებს განასხვავებს კლასი-  
 კური ნიმუშებისაგან, აღვნიშნავთ ორს: ა) უარყოფა ბეითის იდეისა, რომე-  
 ლიც მდგომარეობს სალექსო სტრიქონის ორ ტოლ ნაწილად დაყოფაში ისე, რომ  
 პირველი ნაწილის ბოლო ტერფსა და მეორე ნაწილის შესაბამის ტერფს აქვს  
 განსხვავებული თვისებები; ბ) კლასიკური ლექსისაგან განსხვავებით სტრიქონთა  
 ფიქსირებული და თანაბარი სიგრძეების არარსებობა. ალ-მალა'იქას ლექსში  
 ტერფთა რაოდენობა თითოეულ სტრიქონში (პირველიდან ორმოცდამეოთხე-  
 ტემდე ჩათვლით) შემდეგია: 2, 4, 6, 4, 4, 4, 4, 6, 4, 4, 3, 6, 2, 4, 6, 4,  
 4, 4, 4, 6, 4, 4, 3, 6, 2, 4, 6, 4, 4, 4, 4, 6, 4, 4, 3, 6, 2, 4, 6, 4, 4, 4,  
 4, 4, 6, 4, 4, 3, 6; ას-საჰაბის ლექსში კი (სტრიქონთა რაოდენობა უდრის  
 მს-ს): 3, 3, 3, 4, 4, 3, 3, 4, 3, 3, 4, 3, 2, 4, 4, 3, 4, 3, 3, 4, 3, 2, 3, 3, 4,  
 3, 4, 3.

საინტერესოა, რომ ორსავე ლექსს აქვს ისეთი გარეგნული მახასიათებ-  
 ელები, რომლებიც რეგულარულად მეორდება მთელი ლექსის მანძილზე; ამ  
 ნიშანთა არსებობა შეპირობებულია იმით, რომ განხილული ლექსები პირველ  
 ნიმუშებს წარმოადგენენ და მათ ავტორებს შემოაქვთ სიახლე წინასწარ მოფიქ-  
 რებული სქემის მიხედვით. ას-საჰაბის ლექსი შედგება 4 ტოლი ნაწილისა-  
 გან — თითოეულში 7-7 სტრიქონია. ალ-მალა'იქას ლექსშიც გამოიყოფა ერთ-  
 ნაწილის ტოლი 4 ნაწილი, თითოეული 13-13 სტრიქონისაგან შემდგარი. რა-  
 ვად ამ ლექსის სტრიქონთა სიგრძეების ზემოთ მოტანილი ზიიდან ჩანს, ერთ-  
 ნაწილის ტოლია თითოეული ნაწილის შესაბამისი სტრიქონებიც (ყოველი პირ-  
 ველი სტრიქონი 2 ტერფიანია, ყოველი მეორე — 4 ტერფიანი, მესამე — 6  
 ტერფიანი და ა. შ.) შემდეგი სქემის მიხედვით: 2, 4, 6, 4, 4, 4, 4, 6, 4, 4,  
 4, 6. თითქმის მთლიანად ერთ წესს ემორჩილება ამ ლექსის გართმევა: თი-  
 თოეულ ნაწილში ცალკე დგას პირველი სტრიქონი, ერთმანეთს ერთმება მეო-  
 რე, მესამე, მეექვსე, მეცხრე სტრიქონები (გამონაკლისია IV ნაწილის პირვე-  
 ლი სტრიქონი, რომელიც ერთმება მეორე სტრიქონს), მეოთხე-მეხუთე სტრი-  
 ქონები, მეშვიდე-მერვე სტრიქონები, მეათე-მეთერთმეტე-მეთორმეტე-მეცა-  
 ტეტე სტრიქონები. გართმევის საერთო სქემა ასეთია: a b b c c b d d b b b b /  
 i f f g f i h f i b b b b / i k k i i k g g k b b b b / l l l m m l c c l b b b b / . (ას-  
 საჰაბის ლექსის გართმევის სქემა ასეთია: a a a b b a a / c c c d d c c / c c c  
 e e / f f a d d g g).

იმისათვის, რომ უფრო სრულად აღვწეროთ არაბული ლექსთწყობის ეს  
 სხეობა, საჭიროა გამოინახოს და დახასიათებულ იქნეს სისტემა-ეტალონი,  
 რომელსაც ტიპოლოგიურად შევუდარებთ ჩვენთვის საინტერესო სისტემას.

ასეთ ეტალონად უნდა ავიღოთ ძველი არაბული ლექსიწყობა, რომლის საფუძველზე აღმოცენდა ახალი. ჩვენი აზრით, ასეთი შედარების შედეგები გარკვეულ დახმარებას გაგიწევს ძველი სისტემის გაგებაშიც.

6. კლასიკური არაბული ვერსიფიკაცია არაბისტიკის საკმაოდ დამუშავებული დარგია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენამდე არ მოუღწევია ამ დარგის შემქმნელის ალ-ხალისის (გარდ. დაახლ. 790 წ.) შრომებს, მისი სისტემის საფუძველები შემონახულია უფრო გვიანდელი ავტორების — იბნ კაჰსანის, იბნ ჯინნის, ათ-თიბრუნის, აზ-ზამახშარის, იბნ მალიქის და სხვათა ნაშრომებში.

როგორც ცნობილია, არაბთა მიერ აგებული სისტემა ხასიათდება შემდეგი ნიშნებით<sup>16</sup>:

სისტემა აღწერილია გრაფიკულ დონეზე; გამოყოფილია ორი უმცირესი ერთეული: ე. წ. მოძრავი თანხმოვანი (حرف متحرك) ანუ თანხმოვანი ასო + ხმოვანი ასო და ე. წ. უძრავი თანხმოვანი (حرف ساكن) ანუ თანხმოვანი უხმოვნოდ. უმცირეს რიტმულ კომპონენტებს წარმოადგენს არა ეს ერთეულები, არამედ ალ-ხალისის მიერ გამოყოფილი შემდეგი ორი წყვილი: 1. ორი ე. წ. საბაბი (მხ. سبب, მრ. أسباب), თითოეული შემდგარი ორ-ორი თანხმოვანისაგან: ა) საბაბ ხაფიფი (سبب خفيف), რომელიც უდრის ორ თანხმოვანს; აქედან პირველი მოძრავია, მეორე — უძრავი, მაგ., قَدْ ბ) საბაბ საკილი (سبب ساكن), სადაც ორივე თანხმოვანი მოძრავია,

მაგ., كَيْ; 2. ორი ვათადი (მხ. وتد მრ. اوتاد), თითოეული — სამთანხმოვნიანი: ა) ვათად მაჯმუ'ი (وتد مجموع), რომელშიც პირველი ორი თანხმოვანი მოძრავია, მესამე — უძრავი, მაგ., قَدْ; ბ) ვათად მაფრუკი (وتد مفروق); პირველი და მე-სამე თანხმოვანი მოძრავია, ხოლო მეორე — უძრავი, მაგ., وَتْ.

ამ სეგმენტთა სხვადასხვა წესით შეერთებით მიიღება 8 არაბული ტერფი (მხ. جزء მრ. اجزاء). მათ აღსანიშნავად გამოყენებულია მწემომწერი სიტყვები არაბული f'1 ძირიდან: fa'ṣlun, fa'ṣlun, mafā'ilun, mustafā'ilun, fa'ṣlātun, maf'ṣlātun, muṣā'alatun, mutafā'ilun. ამ ტერფების განსაზღვრული კომბინაციები წარმოადგენენ 16 არაბულ სალექსო ზომას, რომლებიც ალ-ხალისმა გააერთიანა 5 წრეში (მხ. دائرة, მრ. دوائر); წრეებში ზომები ისეა განლაგებული, რომ თითოეული ზომის წაკითხვა მისი შემადგენელი ტერფების სხვადასხვა სეგმენტებიდან გვიძლევს ამავე წრის სხვა ზომებს. მაგალითად, III წრეში ma-დან წაკითხვით მიიღება ჰაზაჟი, ამავე ტერფის (mafā'ilun) -i- სეგმენტთან წაკითხვის შედეგად — რაჟაზი, ხოლო -lun-იდან — რამალი.

არაბული სტრიქონი — ბეითი შედგება ორი მკვეთრად გამოხატული ნახევრისაგან; მათთვის იხმარება ტერმინები მისრა'ი (მხ. مصراع, მრ. مصارع) ან შატრი (მხ. شطر, მრ. اشطر). პირველი შატრის ბოლო ტერფს ეწოდება 'არჰლი, ხოლო მეორის ბოლო ტერფს — დარბი (عروض 'ضرب); სხვა ტერფებისათვის იხმარება ტერმინი ჰაშვი (حشو).

მაგრამ სისტემა ამით არ ამოიწურება. საქმე ისაა, რომ არც ერთი ზომის თითქმის არასდროს არ გვხვდება თავისი ზემოთ მოყვანილი სქემის სახით.

<sup>16</sup> ამ სისტემის აღწერა იხ. მაგ., G. Weil, 'Arūd. The Encyclopaedia of Islam, volume I, London, 1960, p. 667—672.

წრეები წარმოადგენენ იდეალურ სისტემას, რომლისგანაც გარკვეული გადახრების საშუალებით მიიღება რეალური, პოეტთა მიერ ხმარებული ზომები. შესაბამისად, გვაქვს ორი ტერმინი: ერთი — ბაჰრი (მხ. بحر მრ. بحور) — იდეალური ფორმებისათვის იხმარება, ხოლო მეორე — ვაზნი (მხ. وزن მრ. اوزان) — რეალური ზომებისათვის.

ყველაზე მარტივ გადახრას წარმოადგენს ზომის შეკვეცა ტერფების ხარჯზე. გვაქვს 3 ვარიანტი ამგვარი გადახრისა: ა) ბეითის ორივე შატრს აკლია თითო ტერფი (დაახლოებით ბრაქიკატალუკტიკური ტიპის სტრიქონი); ამ შემთხვევაში ზომა იქნება შაჯზუ' (مجزوء); ბ) ბეითის მთელი ნახევარი მოკვეცილია; ვიღებთ მაშტურ (مشطور) სტრიქონს; გ) სტრიქონი დაყვანილია თავისი ნორმალური ზომის ერთ მესამედამდე, — მანჰჰქ (منحوخ) სტრიქონი.

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია სხვა ტიპის გადახრები, რამდენადაც ისინი გავლენას ახდენენ ზომათა რიტმულ სტრუქტურაზე. ეს გადახრები იყოფა ორ კატეგორიად, იმისდა მიხედვით პაშე ტერფებს ეხება, თუ არაქდსა და დარბს. ამის შესაბამისად გვაქვს ორი ტერმინი ზიჰაჰაჰათი (زحافات) და 'ილალი (علل). კოდექსი ამ გადახრათა წესებისა საკმაოდ დიდი. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ კანონს. საბაბ ხაჰმეჰზე მოქმედი ზიჰაჰაჰათის სახეობას წარმოადგენს ხაზნი (خزني), იგი კვეცს მეორე თანხმოვანს ტერფში mustaf'ilun, რის შედეგადაც ვიღებთ mutaf'ilun-ს. გადახრათა წესების მოქმედების შედეგად 8 ძირითადი ტერფის ნაცვლად ვიღებთ 37 ვარიანტს. მაგალითად, ტაენილის დარბს ∪ — — — (სიმატივისა და თვალსაჩინოებისათვის აქ და ქვემოთ ტერფების აღსანიშნავად უფრო ხშირად ვიძლევიტ არა არაბულ მნიშვნელებს, არამედ გრძელ და მოკლე მარცვალთა სიმბოლოებს) აქვს კიდევ ორი სახე: ∪ — ∪ — და ∪ — —. სხვა სიტყვებით, გვაქვს სამი სხვადასხვა ტაენილი. სულ 16 არაბული ზომა გვხვდება 67 ვარიანტის სახით, თუ მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ ძირითად ცვლილებებს.

ასეთია მოკლედ არსი არაბთა მიერ აღწერილი სისტემისა. შემდეგში ევროპულმა არაბისტიკამ სცადა გაეცა პასუხი მთავარ კითხვაზე: რაზეა დამყარებული არაბული ვერსიფიკაცია — მარცვალთა სიგრძე-სიმოკლის მონაცვლეობაზე (კვანტიტატიური სისტემა), თუ მახვილზე (კვალიტატიური სისტემა). პირველა მოსაზრება, რომელიც მომდინარეობს ვ. ფრეიატაგიდან<sup>17</sup> და რომელიც უკანასკნელ დროს გაიმეორა ა. ბლოხმა<sup>18</sup>, ხშირ შემთხვევაში ბერძნული მეტრიკის გაკლენას განიცდის და, გარდა ამისა, ერთი მხრივ ემყარება რა არაბული ენის თვისებებს, მეორე მხრივ ნაკლებ ყურადღებას აქცევს არაბული მეტრიკის მონაცემებს. მეორე მოსაზრებას, რომლის მინიშნებები შეიძლება ვპოვოთ პ. ევალდთან<sup>19</sup> და უფრო გვიან მ. პარტმანთან<sup>20</sup>, არ გააჩნია ჩამოყალიბებული სახე და ხშირად წარმოადგენს კომპრომისული თვალსაზრისის არჩევას. საერთოდ, ლიტერატურაში (პოეტიკური ლექსიკონები, ზოგადი ხასიათის შრომები<sup>21</sup>) აღიარებულია პირველი მოსაზრება.

17 W. Freytag. Darstellung der arabischen Verskunst, Bonn, 1830.

18 A. Bloch. Vers und Sprache in Altarabischen, Basle, 1946.

19 H. Ewald. De metris carminum arabicorum libri. Braunschweig, 1825.

20 M. Hartmann. Das arabische Strophengedicht. Weimar, 1897.

21 იხ. მ.გ. И. Ю. Крачковский, Избр. соч., т. II, стр. 249.

მაგრამ საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად არ შეიძლება ჩაითვალოს. კანტიტატურ თეორიას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. ჭერ კიდევ გასულ საუკუნეში მეტად ორიგინალური თვალსაზრისი გამოიმუშავა ფრანგმა ორიენტალისტმა სტ. გიურამა<sup>22</sup>. მან აღწერა არაბული ლექსთწყობის სისტემა მუსიკალური ტერმინებით, ტერფის ნაცვლად გამოჰყო ტაქტი, ძირითად ერთეულად დაადგინა მახვილი (ტაქტების უმრავლესობისათვის ვარაუდობდა ორ მახვილს) და შემოიტანა პაუზის ცნება, რომელიც მისი თეორიისათვის აუცილებელი იყო. მაგრამ მთელი სისტემის ახსნა ამ თეორიამ ვერ შეძლო; საკმარისია გავიხსენოთ, რომ მის მიხედვით ტერფთა სიიდან ამოვარდა *maf'ūlān* ტერფი და ამის გამო უარყოფილ იქნა მთელი მეოთხე წრე. ამ თეორიას ჰყავდა მიმდევარი რუსეთშიც დ. გინცბურგის სახით<sup>23</sup>.

უქანასკნელი და მეტად საინტერესო თეორია ეკუთვნის გ. ვაილს<sup>24</sup>. ეს თეორია გამოირჩევა არაბთა მიერ შექმნილ სისტემაში ღრმად ჩაწვდომით. გ. ვაილის ნააზრევის არსს წარმოადგენს შემდეგი: 1. ალ-ხალისის მიერ წრეებში ზომათა ტერფების ისეთი წესით განლაგება, რომ ყველა მათი მოძრავი და უძრავი თანხმოვანი ერთმანეთს თანხედება, რაღაცაზე უნდა მიგვანიშნებდეს; თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ტერფთა აღსანიშნავად იგი ხმარობს ისეთ სიტყვებს, რომლებიც მართლაც გვხვდება ენაში (ხოლო ენაში სხვადასხვა სეგმენტის ერთ სიტყვად გამაერთიანებელ ფაქტორს წარმოადგენს მახვილი), უნდა დავეუშვათ, რომ ყოველივე ზემოთქმულის მიზანი იყო მახვილის ფიქსაცია; 2. ამის სასარგებლოდ მეტყველებს ტერფების ალ-ხალისისეული დაშლა: კვლავ მოცემულია რეალური სიტყვები, ამათგან არც ერთ საბაბს არ გააჩნია მახვილი ენაშიც, სამაგიეროდ ორივე ვათადს აქვს იგი ( ◡ ◡ და ◡ ◡ ). ვათადები წარმოადგენენ თითოეული ტერფის რიტმულ არსს და მათ მიხედვით გვაქვს ან აღმაველი ან დაღმაველი რიტმი; 3. რვიდან 4 ტერფი ცალსახად იშლება: *fa'ū—lun* ( ◡ ◡ — ), *mafā—'i—lun* ( ◡ ◡ — — ), *mufā-'ala-tun* ( ◡ ◡ ◡ — ), *maf-'ū-lātu* ( — — ◡ ◡ ). რადგანაც ყოველ ტერფს უნდა გააჩნდეს თავისი ვათადი, დაშლის სხვანაირი გზა არ არსებობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ზემოთ ჩამოთვალულ ტერფებში ფაქსირებულაა მახვილის ადგილი (შესაბამისად — იმ ზომებშიც, რომლებშიც მონაწილეობენ ეს ტერფები). დანარჩენი ტერფებისათვის აპრიორი არსებობს სეგმენტარების ორი გზა: *fa-'ilun* ( — ◡ ◡ ), *mus-taf-'ilun* ( — — ◡ ◡ ), *fā-'ilā-tun* ( — ◡ ◡ — ), *muta-fā-'ilun* ( ◡ ◡ — ◡ ◡ ), ან : *fā'i-lun* ( ◡ ◡ — ), *mus-taf'i-lun* ( — ◡ ◡ — ) *fā'i-lā-tun* ( ◡ ◡ — — ), *muta-fā'i-lun* ( ◡ ◡ ◡ ◡ — ); სხვა სიტყვებით, მახვილი თითოეულ ამ ტერფში შეიძლება მოდიოდეს ან ერთ გარკვეულ ან მეორე მარცვალზე (შესაბამისად, უნდა გვეჩინდეს ბუნდოვანი ზომებაც). ამის საფუძველზე გ. ვაილმა აღმოაჩინა შემდეგი: ყოველი წრის პირველი ზომა შედგება მხოლოდ და მხოლოდ ისეთი ტერფებისაგან, რომელთა დაშლის, და შესაბამისად—მახვილის გამოყოფის, ერთადერთი გზა არსებობს; შემდეგ მოდის ისეთი ზომები, რომელთა ტერფების დაშლა ორნაირად შეიძლება. ამგვარად, წრეების შექმნის მიზეზი ასეთი იყო:

<sup>22</sup> St. Gu y a r d, Theorie nouvelle de la metrique Arabe. Journal Asiatique, Paris, 1876, serie 7, volume 7, p. 413—580, volume 8, p. 101—252.

<sup>23</sup> Д. Г. Гинцбург, Основы арабского стихосложения, I—VI, СПб., 1892.

<sup>24</sup> G. Weil, Grundriss und System der altarabischen Metren, Weisbaden, 1958, 2-ის ივე, A. ოფ. El. vol. I, London, 1960, p. 667—676.



პირველი ზომის მიხედვით დადგინდება დანარჩენთა მახვილები, რადგანაც ყველა ზომათა ვათადები ერთმანეთქვეშა განლაგებული. მაგალითად:

მუთაკარიბი |fa'ṣ-lun fa'ṣ-lun fa'ṣ-lun fa'ṣ-lun|

მუთაღარიბი |ilun| fā- ilun fā-'ilun fā-'ilun fā

ნეთადარიბის ტერფი მხოლოდ და მხოლოდ ასეთ სახეს იღებს —  $\cup \cup \cup$  4. გამოხატვის შეადგენს IV წრე. მისი პირველი ზომა არ შეიცავს ტერფებს, რომლებიც ერთი გზით დაიშლება: გარდა ამისა, მხოლოდ ამ წრეში გვხვდება ტერფი ma'f'ūlātu (— —  $\cup \cup$ ), რომელსაც აქვს დაღმავალი რიტმი, ეს ტერფი იზმარება მხოლოდ რომელიმე სხვა ტერფის მეზობლობაში და ამგვარად ვიღებთ შერეულ რიტმს — აღმავალსა და დაღმავალს. როგორც ვხედავთ. თეორიის სუსტ ნაწილს კვლავ IV წრე წარმოადგენს; 5. საბოლოოდ გ. ვაილი ასკვნის, რომ რიტმული ღერძის — ვათადის (რომელსაც გააჩნია მახვილი) გარშემო გუფდება მარცვლები, რომლებიც ერთ შემთხვევაში შეიძლება მოკლენი იყვნენ, მეორეში — გრძელი. აქედან ერთი ნაბიჯი იყო საბოლოო დასკვნის გასაკეთებლად მახვილის სასარგებლოდ, მაგრამ გ. ვაილი ასე ამთავრებს თავის მსჯელობას: ბერძნული მეტრიკის მსგავსად არაბულს გააჩნია კვანტიტატურა სასიათი, მაგრამ, ამავე მეტრიკისაგან განსხვავებით, არაბულ ლექსში ვარიონა გრძელი და მოკლე მარცვლებისა იმდენად დიდია, რომ მხოლოდ მარცვალთა ოდენობა რიტმისათვის არ კმარა — გვაქვს მახვილიც, როგორც რიტმის ერთ-ერთი წარმომქმნელი ერთეული. ორივე ეს ფაქტორი თავისი განუყოფელი და უცვლელი ერთიანობით ქმნის ლექსის რიტმულ არსს.

რა კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს არაბულ ლექსთწყობას?

ერთი შეხედვით, ყველაზე მარტივია კვანტიტატური ახსნა. ამ შემთხვევაში შეიძლებოდა ერთეულზედ აგველო გრძელი და მოკლე მარცვალი, ხოლო მ ტერფისაგან შემდგარი სია გავგეხილა როგორც სისტემა, გარკვეული წესების დადებით მიღებული რაღაც ისეთი სრული სისტემიდან, რომლის ტერფთა რაოდენობა უდრის  $2^3 + 2^4 + 2^5$ . შეიძლებოდა საქმის გამარტივება: ტერფებში  $\cup \cup \cup \cup$  — და  $\cup \cup \cup$  —  $\cup \cup$  ორი მეზობელი მოკლე მარცვალი გავგეხილა ერთ გრძელ მარცვლად, მაშინ ისინი დაემთხვეოდნენ  $\cup \cup \cup \cup$  — და  $\cup \cup \cup \cup$  ტერფებს (ყველა სხვა ვარიანტი ტერფებისა  $\cup \cup \cup \cup \cup$  — და  $\cup \cup \cup \cup \cup$  მართლაც ემთხვევა ტერფების  $\cup \cup \cup \cup$  — და  $\cup \cup \cup \cup$  ყველა ვარიანტს) და შედეგად — სრული სისტემა, რომლიდანაც მიღებულია ჩვენი სისტემა, იქნებოდა  $2^3 + 2^4$ , ხოლო წესი, რომლის გამოყენებითაც მიიღება ეს სისტემა, იქნებოდა ერთი: ტერფი არ უნდა შედგებოდეს მხოლოდ ერთი და იმავე სიგრძის მარცვლებისაგან და თითოეული ტერფის შემადგენლობაში მოკლე მარცვლის შესულა არ უნდა აღემატებოდეს 1-ს. ამ წესით მართლაც მიიღება უკლებლივ 16-ვე არაბული ტერფი.

თუ განვიხილავდით არა 8 ტერფს (და მათგან შემდგარ 16 ზომას), არამედ ყველა 38 ვარიანტს (და მათგან შემდგარ 67 ზომას), მაშინ შესაბამისი სრული სისტემა სხვა რაოდენობის ელემენტებისაგან იქნებოდა შემდგარი, ხოლო გრძელ და მოკლე მარცვალთა ტერფებში განაწილების შეზღუდვის წესები სხვა სახეს მიიღებდა. მაგრამ ტერფთა და ზომათა ყველა ვარიანტის დონეზე განხილვისას საკითხი გრძელი და მოკლე მარცვლების მონაცემობით არ წყდება. ამ შემთხვევაში აშკარად შეინიშნება არა ცალკეული ტერფები მარ-



მით დაწერილ ლექსში გვხვდება სრულიად სხვა ზომის ტერფი.<sup>27</sup> მაგრამ ამ შემთხვევაში უფრადლება არ ექცევა ვრძელი და მოკლე მარცვლების მონაცვლობას, — მთავარია მახვილი, რომელიც ლექსის საერთო ყალიბის მიხედვით ყველგან („უცნაურად“ ხმარებულ ტერფებშიც) ერთსა და იმავე ადგილზე იქნება.

საყურადღებოა კიდევ ერთი ფაქტი. არაბული მეტრიკა ათვისა ზოგიერთმა სხვა ენამაც. ამ ენათა შორის ვხედავთ თურქულსაც, მაგრამ როგორც ცნობილია, ხმოვანთა დაპირისპირება სიგრძე-სიმოკლის მიხედვით თურქულს არ ახასიათებს. ამავე ასპექტში განსაკუთრებით საინტერესოა ერთი ფაქტი, რომელსაც მიაკვლია აკად. გ. წერეთელმა<sup>28</sup>. მან გააანალიზა კლასიკური არაბული ლექსის შემდეგი ნიმუში:

لم يبق صاف ولا مصاف . ولا معين ولا معين  
و في المساوى بدا التساوى . فلا امين فلا تميم

მას შემდეგ, რაც უარყოფილ იქნა ამ ლექსის ტრადიციული წაკითხვა შეკვეცილი ბასნტის კანონების შესაბამისად და მოცემულ იქნა ახლებური სკანდირება მუსთაფა-ილმთუნ მუსთაფა-ილმთუნ სქემის მიხედვით. აღმოჩნდა, რომ ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტი რიტმულად აბსოლუტურად იდენტურია ქართული კლასიკური ლექსის შემდეგი ნიმუშისა: „ბრჩანონ სამალად, ართუ სამალად: ელი ამო სით, ეს რომ არა მით? მასთანა შო რად-ართუა შორად! — ელია-მოსით, ეს რომ- არამით“.

აკად. გ. წერეთლის აღმოჩენა ფრიად სერიოზული არგუმენტიცაა ზემოთ მოყვანილი მსჯელობისა არაბული ლექსთწყობის კვალიტატური ხასიათის შესახებ, ვინაიდან შეუძლებელია სხვადასხვა ენის ორი პოეტური ტექსტის რიტმული იდენტურობა ლექსთწყობის ორი აბსოლუტურად განსხვავებული სისტემის არსებობის პირობებში. რადგანაც ქართული კლასიკური ლექსი სილაბურ-ტონურია, როგორც საბოლოოდ დაამტკიცა პროფ. აკ. გაწერელიამ<sup>29</sup>. უნდა ვივარაუდოთ, რომ ზემოთ მოტანილ არაბულ ნიმუშშიც ხმოვანთა ოდენობა არ თამაშობდა როლს.

აკად. გ. წერეთლის ანალიზის შედეგად საფუძველი ეცლება არაბული ლექსთწყობის კვანტიტატურად კვალიფიკაციის კიდევ ერთ ფაქტორს, რადგანაც ამ ანალიზის შედეგების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტერფი არაბული ლექსთწყობისათვის პირობითი ცნებაა და ლექსის რიტმის მომწესრიგებელ ფაქტორად გვევლინება სტრიქონი; ეს კი კვანტიტატური სისტემებისათვის არაა დამახასიათებელი<sup>30</sup>.

ჩვენი ინტერპრეტაციის სასარგებლოდ მეტყველებს ალ-ხალმლის ნაზრევის გაანალიზებაც. მართალია, მისთვის უცნობი იყო მარცვლის ცნება, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი იცნობდა ჰარფ მუსთაჰარრიქს. რომელიც გრაფიკის ენაზე

<sup>27</sup> -ხ. მ. გ. The Divans of the six ancient Arabic poets, ed. by W. Allwardt. London. 1870. p. 115; В. Ф. Гипраг, В. Р. Розен. Араб.кая хрестоматия, СПб., 1876. с. р. 526.

<sup>28</sup> გ. წერეთელი, სემიტური ენები და მათი მნაშენელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის. თბუ სამეცნიერო სესიის მოხსენებათა კრებული, № 1. 1947.

გვ. 44—45.

<sup>29</sup> აკ. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, თბ., 1953.

<sup>30</sup> იქვე. 33. 14—15.

მოკლე მარცვალს უდრის, და ۴ و ۵ ტიპის სეგმენტს (საბაბ ხაფიჩი), რომელიც გრძელი მარცვლის ეკვივალენტურია. რატომ არ აღწერა მან სისტემა ამ ერთეულების საშუალებით? უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ გზით მიღებულა ინტერპრეტაცია მას არ მიაჩნდა არაბული ლექსის დამახასიათებელი თვისების გამოხატველად. რას იძლეოდა ეს გზა? სისტემის ტერფთა დონეზე ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ შემთხვევაში ურთადერთი ტერფის — — ۱ ۲ (mafi'isātu) წყალობით დაბრკოლება ექმნება მახვილის, როგორც რიტმის საფუძვლის, გამოყოფას, რადგანაც გვაქვს ტერფი — ۱ ۲ — (fi'ilātun), რომელშიც მახვილი აგრეთვე მესამე მარცვალზე მოდის. ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, ხედავდა რა მახვილში ძირითად მეტრულ ერთეულს, ალ-ხალმლმა შეგნებულად გამოპოო ორი მახვილიანი სეგმენტი ۱ ۲ და ۱ ۲, რათა სისტემაში მოეყვანა მის მიერ შექმნილი თეორია. (უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღნიშნული დაბრკოლება არსებობს მხოლოდ ტერფთა დონეზე ანალიზისას; სტრიქონთა დონეზე აღმოჩნდება, რომ არ არსებობს მხოლოდ mafi'isātu ტერფისაგან შემდგარი ზომა, რომელიც დაემთხვევა მახვილთა განაწილების მხრივ რამალს).

რაც შეეხება საკუთრივ mafi'isātu ტერფს, იგი ყოველთვის იწვევდა ორიენტალისტთა ეჭვს. უპირველეს ყოვლისა, თვალში საცემი იყო ის ფაქტი, რომ 7 არაბულ ტერფს შეესაბამება 7 ზომა, რომელიც მხოლოდ ერთ-ერთი ამ ტერფის გამოკრებითაა შექმნილი; მხოლოდ მერვე ტერფს — mafi'isātu არ გააჩნია ასეთი შესაბამისი ზომა (როგორც ზემოთ დავინახეთ, ამისი ერთადერთი მიზეზი უნდა იყოს ის, რომ ლექსში ძირითადი რიტმული ერთეული მახვილია: წინააღმდეგ შემთხვევაში, სრულიად დასაშვებია mafi'isātu ტერფის გამოკრებით შექმნილი ზომა, რადგანაც ერთადერთი, რითაც ასეთი ზომა დაემთხვევა უკვე არსებულ სხვა ზომას — რამალს, არის მახვილთა განაწილება). გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ამ ტერფის მონაწილეობით შედგენილი ზომები ნაკლებ პოპულარულია პოეტთა შორის<sup>31</sup>. რაც შეეხება სარბს, მისი ყველაზე გავრცელებული ვარიანტი ამ ტერფის ადგილზე გვიჩვენებს სხვა ტერფს — fi'ilun<sup>32</sup>. გარდა ამისა, საინტერესოა, რომ თუ ჩამოვაცილებთ ზომების სიას ამ ტერფის შემცველ ზომებს, აღმოჩნდება, რომ სისტემა აღიწერება სრულიად მარტივად გინდ მარცვალთა. გინდ ალ-ხალმლისეულ ერთეულებში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მაგალითად, ყველა ტერფი (და არა მხოლოდ ოთხი) დაიშლება მხოლოდ ვათად მაჰმუ'ად და საბაბებად. შედეგად, ყველგან თვალსაჩინოდ გამოჩნდება მახვილის ადგილი და აღარ იქნება საჭირო წრებში ზომების ერთი გარკვეული თანმიმდევრობით განლაგება, რისი მიზნის შესახებაც ლაპარაკობდა გ. ვაილი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ვათად მაჰრუკიცა და ზომების განლაგების სპეციალური წესიც mafi'isātu ტერფისთვისაა შექმნილი.

ზემოთქმულის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არაბული ლექსთწყობის სისტემა შედგება ორი ფენისაგან, რომელთაგან ერთ-ერთი შესაძლოა

<sup>31</sup> И. Ю. Крачковский. Абу-л-Фарадж ал-Бава Дамаский, Петроград, 1914. стр. 108; G. Weil, 'Aḡūd, p. 676.

<sup>32</sup> იხ., მაგ., The Divans of the six ancient Arabic poets, ed. by W. Ahlwardt. London. 1870. მასში მოტანილია. სარბით დაწერილი 9 ლექსი (5 ნაწყვეტი) და არც ერთში არ გვხვდება mafi'isātu.



როგორც ეხედავთ. შენარჩუნებულია), და *المحور الممزوجة*, შემდგარი ერთი განმეორებადი ტერფისაგან პლიუს ბოლო განსხვავებული ტერფი (სარწი, ეპიორი.. ზომათა სქემებისათვის ალ-მალა'იქა ხმარობს ტრადიციულ აღნიშვნებს. მაგალითად, რაჯაზი -- *مستفان مستفان مستفان*, მაგრამ ამგვარად აღნიშვნისას ფიქსირებულია სტრიქონის ერთი განსაზღვრული სიგრძე. რაც, როგორც ითქვა. აშ-ში'რ ალ-ჰურრის არ ახასიათებს. ამიტომ მიზანშეწონილია ტაბულა შემდეგი სახით იქნეს წარმოდგენილი:

წამილი	mutafā'ilun	...	mutafā'ilun
რამალი	fā'ilātun	...	fā'ilātun
პაზაჯი	mafā'ilun	...	mafā'ilun
რაჯაზი	mustaf'ilun	...	mustaf'ilun
მუთაჟრაბი	fā'isun	...	fā'isun
მუთადრაჟი	fā'ilun	...	fā'ilun
სარწი	mustaf'ilun	...	mustaf'ilun fā'ilun
ეპიორი	mufā'alatun	...	mufā'alatun fā'isun

ამ ტაბულაშიც საჭიროა გარკვეული კორექტივის შეტანა

როდესაც დეტალურად ვაანალიზებთ აშ-ში'რ ალ-ჰურრის მიმდევართა პრაქტიკას, აღმოჩნდება, რომ ზომების ზემოთ მოყვანილ სიას აკლია პოეტთა მიერ ხმარებული რამდენიმე ზომა, სახელდობრ-ტრადიციული პირველი წრის წარმომადგენლები. საკმარისია დავასახელოთ ისეთი ავტორიტეტი, როგორიცაა ას-საჰაბი. მაგალითისათვის მოვიყვანთ ნაწყვეტს მისი ლექსიდან *رسالة*:

جاءت لمرتجفٍ

على السرير وراء الليل يُحضرُ

لو لا هواك وبقيا فيه من أسف

أن لم يرق هواه منك فهو على الشطين ينتظرُ

سفينة يتشقى ظمأها النهرُ

فيما الشفاء هو الريان و القدرُ

فيها المعنى

لكان مما عراه الداء ينتحر

جاءت تحدثنى عنى

როგორც ეხედავთ, აშ-ში'რ ალ-ჰურრის წესებით შესრულებული ბასმ-ტია. ანალოგიური მაგალითები ბევრია ას-საჰაბბთანაც და სხვა პოეტებთანაც. ეს ნიმუშები ცნობილია ალ-მალა'იქასთვისაც<sup>33</sup>. მას ასეთი ზომები პრინციპულად არ სურს შიიზმის აშ-ში'რ ალ-ჰურრის სრულფულეობიან წარმომადგენლებად. მაგრამ ჯერ ერთი, არსებობს ფაქტები, მეორეც, თუ დავუკვირდებით ღველ პირველ წრეს, ირკვევა, რომ მისი ზომები არ ეწინააღმდეგება აშ-ში'რ

ალ-ჰურრის კანონის (უნდა აღებულ და გამეორებულ იქნეს ერთი ტერფი) მოქმედებას: ტერფის მაგივრად ამავე კანონის ფარგლებში იმოქმედებს ორი ტერფისაგან შემდგარი სეგმენტი (ბასნტისთვის, მაგალითად, *mustaf'ilun fā'ilun*). საბოლოოდ, ჩვენი აზრით, აშ-ში'რ ალ-ჰურრის სქემას უნდა დავამატოთ 3 ზომის<sup>34</sup>:

ტაველი	<i>fā'ṣun mafā'ilun</i>	<i>fā'ṣun mafā'ilun</i>
ბასნტი	<i>mustaf'ilun fā'ilun ...</i>	<i>mustaf'ilun fā'ilun</i>
*მადრიდი	<i>fā'ilāṭun fā'ilun</i>	<i>fā'ilāṭun fā'ilun</i> <sup>35</sup> .

(ამ ზომების, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ზომის, ხმარებისას გვხვდება სტრიქონები, რომლებიც ერთი ტერფისაგან შედგება. საერთოდ, შესაძლებელია ისეთი ტერფების გამოჩენა ამ და სხვა პოზიციაში, რომლებაც კლასიკურ სიბეჭეში არასდროს არ გვხვდება. ამგვარ და ზოგიერთ სხვა ლეტალურ საკითხებს ამ სტატიაში არ ვეხებით)<sup>36</sup>.

მას შემდეგ, რაც ზომათა სიას განავრცობთ სამი ზომით, აღმოჩნდება, რომ ზემოთ მოყვანილი კანონის მოქმედების შედეგად აშ-ში'რ ალ-ჰურრში დაქტიურად უარყოფილია კლასიკური სისტემის IV წრის წარმომადგენლები, ამ წრისა, რომელშიც გამოყენებულია ტერფი, *maf'īlāṭu* (სარბ'ისთვის აღებულია *fā'ilun* -იანი ვარიანტი). ამ წრის 5 ზომისათვის შეუძლებელია ერთგვაროვანი განმეორებადი სეგმენტის გამოყოფა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი აზრით, აშ-ში'რ ალ-ჰურრის სისტემის წარმოქმნაში მოქმედებდა რაღაც გარკვეული მექანიზმი, რომელმაც მოხსნა ძველი კვალიტატური სისტემის აღწერის სირთულე ანუ დაამთავრა ამ სისტემის უნიფიკაციის პროცესი.

ამ აზრის დამადასტურებელია აშ-ში'რ ალ-ჰურრის ბოლო ტერფის -- ზარბის ანალიზიც. კლასიკურ ლექსში დარბი წარმოდგენილი უნდა იყოს ტერფის ერთი და იმავე ვარიანტი. ალ-მალა'იქას აზრით, ახალ ლექსშიც მოქმედებს იგივე კანონი, რომლის დაცვასაც იგი მოითხოვს<sup>37</sup>. მაგრამ საწინააღმდეგოს გვიჩვენებს პრაქტიკა. დავიწყეთ თვით ალ-მალა'იქადან. ანალიზი გვიჩვენებს, რომ მისი ლექსების ერთ ნაწილს აქვს არა ერთი უცვლელი, არამედ სხვადასხვა ტერფი დარბის პოზიციაში. ასეა პირველ ლექსში „ქოლერა“ (აქ ორი დარ-

<sup>34</sup> ალ-მალა'იქს ტ-ბულაში საჭიროა სხვა კორექტივების შეტანა. მაგ., ენჭარის თვის არ-სტობს სხვა სქემაც: *mu'fā'ilāṭun...* *mu fā'ilun*. იგი გვხვდება, მაგალითად, ას-ს-ფაზის ლექსში *ألفوا انجورى*.

<sup>35</sup> მადრიდთან ერთგვარად იმატება და სძელია, რომ ჩვენ მიერ განსაზღვრულად არჩეულ სტრუქტურებში (ას-საფაზის და ალ-მალა'იქას დევანები) ეს ზომა რც ერთხელ არ წევხვედრია, წერამ თორიულად ამ ზომის გამოყენებას ტ-ენლისა და ბ-სნტის გვერდით არეთიარი დ-ბრყო-ლები არ აწესს.

<sup>36</sup> ასეთი საკითხებიდან განსაკუთრებით საინტერესოა ერთი ლექსის ფარგლებში ორი სა-ლექსო ფორმის--ტრ-და-უალლი და ახალი--მორიგეობითი გამოყენებას საკითხი. მაგვრია, მაგ-ლთა:ლ, ას-საფაზის ცდა ლექსში *أقبل، الليل*. საინტერესოა, რომ ეს ავტორის უცანასკნელი უსწორებელი ნაწარმოებია.

ბია — — და — —). ასევე ზოგიერთ დანარჩენ ლექსში. მაგალითისათვის ავიღოთ ლექსი *كبرياء* მასში დარბის პოზიციაში წარმოდგენილია შემდეგი ვარიანტები: — —, — —, — —, — —, — —. იგაკე მდგომარეობა უფრო თანამიმდევრული სახით გვხვდება ბადრ შაქირ ას-საჰაბთან: მისი ნებისმიერი ლექსი რამდენიმე ტერფს გვიჩვენებს დარბისათვის. ზოგიერთი სხვა პოეტის — სა'დინ უსუფი, ჯურჯ დანიში — მსგავსი მაგალითები თვითონ ალ-ჰალა'იქს მოჰყავს<sup>38</sup>. ამგვარად, აშ-ში'რ ალ-ჰურრში აღარ გვაქვს კლასიკური დარბი ანუ ის ერთადერთი ტერფი, რომელიც მთელი ლექსის მანძილზე ინარჩუნებს გრძელ და მოკლე მარცვალთა განაწილების ერთსა და იმავე პრინციპს. როგორც ვხედავთ, უნიფიკაციის მოვლენა მახვილის სასარგებლოდ ამ შემთხვევაშიც დასტურდება.

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ:

აშ-ში'რ ალ-ჰურრი წარმოადგენს ტრადიციული არაბული ვერსიფიკაციის განვითარებას. მის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდა ფაქტორი, რომელმაც მოხსნა ძველი კვალიტატური სისტემის აღწერის ზოგიერთი სირთულე. ეს იძლევა საშუალებას სისტემა აღწერილ იქნეს მარცვლის ცნების გამოყენებით: ყოველ ტერფში გვაქვს ერთი მახვილიანი მარცვალი, რომლის გვერდით განლაგებულია უმახვილო მარცვლები. სინტაგმატურ პლანში ეს გვაძლევს სტრიქონს, რომელშიც ერთმანეთისაგან გარკვეულ მანძილზე განლაგებულია მახვილიანი მარცვლები, ხოლო მათ შორის მოთავსებულია გარკვეული (ხშირად არათანაბარი) რაოდენობა უმახვილო მარცვლებისა. ლექსის თვალსაზრისით ნეიტრალიზებულია მარცვალთა სიგრძე-სიმოკლის მხრივ დაპირისპირება, რადგანაც ლექსის ფარგლებში შესაძლებელია მათი ნებისმიერი კომბინაცია (ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთი ზომით დაწერილ ლექსში გვხვდება ტერფები, რომლებიც გარეგნულად, — გრძელი და მოკლე მარცვლების განაწილებით, — სხვა ზომის ტერფებს ემთხვევა). ერთადერთი, რაც მუდმივი იქნება ყველა სტრიქონისათვის, არის მახვილიანი მარცვლის ადგილი და ორ (ან მეტ) მახვილიან მარცვალს შორის მანძილი. სხვადასხვა ზომის ლექსებს შორის განსხვავებას სწორედ ეს ადგილები და მანძილები ქმნიან, რადგანაც ბევრ შემთხვევაში გრძელი და მოკლე მარცვლების განაწილება თანხვედნილია. რიტმის მომწესრიგებელ ფაქტორს წარმოადგენს არა ტერფი, არამედ სტრიქონი (ამაზე ხშირად პირდაპირ მიგვანიშნებს ისეთი გარეგნული მახასიათებელი, როგორიცაა რითმა, რომელიც ხლეჩს ტრადიციულად დადგენილ ტერფებს<sup>39</sup>. გარდა ამისა, საინტერესოა, რომ ას-საჰაბი თავისი ერთ-ერთი ლექსის *القن والمجرة* 27-ე სტრიქონს ჰყოფს 2 გრაფიკულ სტრიქონად ისე, რომ *mufā'altun* ტერფის ბოლო სეგმენტი -*tun* იწყებს მეორე სტრიქონს).

<sup>38</sup> ი. ქეე.

<sup>39</sup> მსგავსი მოვლენა, როგორც ზემოთ ენახეთ, დასტურდება კლასიკურ ლექსშიც. იგი გვხვდება აშ-ში'რ ალ-ჰურრის მდელ ახალ არაბულ პოეზიაშიც. იხ. მაგ., ჯებრან ქებრანის ლექსი *يا نفس*.



## აკაკი შანიძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

მამასახლისი XI საუკუნის საქართველოში<sup>1</sup>

## 1

„მამასახლისი“ რთული სიტყვაა და ნიშნავს სახლის პაპს. „სახლი“ ძველად, დაახლოებით ორი ათასი წლის წინათ, ნიშნავდა მთელი საგვარეულოს სამფლობელო მამულს. გვარში უფროსი იყო მამასახლისი, რომლის შესახებ საკმაოდ უწერია ივანე ჭავჭავიძემ<sup>2</sup>, რომელიც, სხვათა შორის, ამბობს: I საუკუნეში ჩვენი წელთაღრიცხვით „იბერიის ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი საგვარეულო წესწყობილებაზე ყოფილა დამყარებული. ამ დროს, როცა რომაელებმა ჩვენ სამშობლოს თავისი მძლავრი კლანუები ჩაუჭირეს, მიწის კერძო საკუთრება არ არსებობდა თურმე და მთელი უძრავი ქონება მთელ საგვარეულოს ეკუთვნოდა. ამ ქონებას თითოეული გვარისშვილი ან სახლობა კი არ უვლიდა. არამედ მთელი უძრავი ქონების ერთად-ერთ გამგედ და მეურნედ გვარის უფროსი ითვლებოდა, რომელიც მამასახლისად იწოდებოდა. გვარი და საგვარეულო წყობილება მაშინდელი ცხოვრების დედა-ბოძი იყო... იბერიის უზენაესი მმართველობის უფლება ერთ საგვარეულოს ეკუთვნოდა. ამ საგვარეულოს უფროსი წევრა, მაშასადამე, მამასახლისი, იმავე დროს ქვეყნის მეუფედ ითვლებოდა“<sup>3</sup> და სხვა.

მცხეთა დედაქალაქი იყო მაშინდელი საქართველოსი („ქართლისა“), ამიტომ მცხეთის მამასახლისი საქართველოს უზენაესი გამგებელი იყო.

ეესტათი მცხეთელის მარტივობის წიგნში მოთხრობილია, რომ, როცა სპარსეთის ხელისუფლების წარმომადგენელი საქართველოში მარზაპანი არიანდ გუშნასპი სამეფო კარზე გაიწვიეს (ქალაქ კტეზიფონში, ტიგრისზე ანუ დიჯლაზე, ხოსრო I-ის ანუშარვანის დროს, 531—579), „ვითარ წარემართებლო მარზაპანი იგი მეფისა მის, შეკრბეს ქართლისა მთავარი, მარზაპანისა მის ჯმნად მოვიდეს. რაჟამს აღმჭედრდებოდა მარზაპანი იგი, აღდგეს მთავარი ქართლისანი, და სამოელ ქართლისა კათალიკოზი, და გრიგოლ ქარღლისა მამასახლისი, და არშუშა ქართლისა პიტიახში და სხუანი სეფეწუღნი“ და მარზაპანს სთხოვეს, გაეთაიუსუფლებინა საპყრობილიდან ეესტათი და მისი ამხანაგები, რომლებმაც მოგობა უარყვეს და ქრისტიანობა მიიღეს. მარზაპანმა მათი თხოვნა დააკმაყოფილა“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად 19, 12. 1970 წ. თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის XIV სამეცნიერო სესიაზე. რომელიც მიუძღვნა საქართველოს სსრ-ისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის დაარსების 50-ე წლისთავს.

<sup>2</sup> Государственный список древней Грузии и древней Армении, т. I. СПб., 1906. (Тр. кн. VIII).

<sup>3</sup> ი. ჭავჭავიძე ილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, 1951, გვ. 167—168: „სახლის“ მნიშვნელობის შესახებ ნახეთ კიდევ მისივე. „ქართული სამართლის ისტორია“, წ. II, წიგ. II, 1929, გვ. 9—10.

<sup>4</sup> მარტყოფილება და მოთმინება წმიდისა ეესტათი მცხეთელისა: ძველი ქართული ავიოგრაფული ლიტერატურის ძეგლები, I, ილია აბულაძის რედაქციით, 1963, გვ. 33—34.

ამ ნაწყვეტში დასახელებულია ეკლესიის სათავეში მდგომი სამოელ ქართლისა კათალიკოზი. საერო ხელისუფლების სათავეში მდგომი გრიგოლ ქართლისა მამასახლისი, არშუშა ქართლისა პიტიახში და „სხუანი სეფეწულნი“. თუ აქ პირველად კათალიკოზია მოხსენიებული და მერმე მამასახლისი, ეს, ალბათ, იმის გამო. რომ მარტვილობის ავტორი სასულიერო პირი იყო.

კ. კეკელიძის თანახმად, ევსტათი მცხეთელის მარტვილობა „დაწერილა უნდა იყოს VI საუკუნის მეორე ნახევარს, არა უგვიანეს ამ საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისისა“<sup>5</sup>. ამ დროისთვის „მამასახლისის“ მნიშვნელობის ზედმიწევნით დადგენა ევსტათი მცხეთელის მარტვილობიდან მოყვანილი მცირე ნაწყვეტის მიხედვით ერთობ ძნელაა, მაგრამ ის კი უუპეველა, რომ აქ დასახელებული გრიგოლი იყო ქართლის ხელისუფლების სათავეში მდგომი პირი, უპირველესი მთავარი, რომელიც სპარსეთს ემორჩილებოდა მარზაპანის მეშვეობით. სპარსეთის მარზაპანს ჩაყენებული ჰყავდა ქალაქებში მეციხოვნე ჯარები, რომელთაც სათავეში ედგათ უიხისთავები. კერძოდ, მცხეთის უიხისთავი იყო უსტამ. რომელმაც ევსტათი და სხვანი შეაპყრობინა ქრისტიანობის მიღების გამო და ტფილისს წარგზავნა მარზაპანთან.

„მამასახლისი“ ტერმინმა ამ დროიდან მოყოლებული ჩვენს დრომდე დიდი ცვლილება განიცადა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებრს შემდეგ სულ გადაეარდა მისი ხსენება, როგორც გარკვეული თანამდებობის მქონე კაცის აღმნიშვნელი სიტყვისა.

ამ წერილის მიზანია, გაირკვეს, რამდენადაც შესაძლებელია, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ტერმინს XI საუკუნეში.

## 2

XI საუკუნეში „მამასახლისი“, პირველ ყოვლისა, ნიშნავდა მონასტრის გამგეს. რომელსაც აგრეთვე მამა და წინამძღუარი ეწოდებოდა<sup>6</sup>. ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით უფრო ადრეც გვხვდება. დავიძიოწმით გრ. ხანძთელის „ცხოვრება“. გრიგოლი ეუბნება ბასილის: „ბასილი, შენ მოკლედ ხანძთას მამასახლისად დასდებდი“ (გვ. 33 ნ. მარის გამოცემით) ამ წინადადებაში „მამასახლისი“ ნიშნავს მონასტრის გამგეს, წინამძღვარს.

წინამძღვრის მნიშვნელობით „მამასახლისი“ გვხვდება აგრეთვე ათონის ქართველთა მონასტრის პირველი ხანების ისტორიაში, რომელიც გიორგი მთაწმიდლის კალამს ეკუთვნის. იქ ნათქვამია, რომ პირველი წინამძღვარი იოვანე რომ ავად გახდა და „გეგულეობდა აღსრულებაჲ“. მომდევნო წინამძღვრად თავისი ძე ეფთვიმი დანიშნა, რომლის შემდგომ უნდა ყოფილიყო გიორგი. მათივე ნათესავი. ხოლო გიორგის უბრძანა, რომ მან თავის მხრით, „სხუაჲ დაუტეოს წინამძღუარი, რომელი იპოოს სიტყვით და საქმით სხუათა უმჯობესი ძმათა შორის. და ესრეთ განაწესა, რაჲთა თვთოეული მამასახლისი. შემდგომად თვისა აღსრულებისა, სხუასა დაუტეებდეს წინამძღუარსა, ღირსსა და სათნოსა“<sup>7</sup>. აქ „მამასახლისი“ და „წინამძღუარი“ სინონიმებია.

<sup>5</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 485.

<sup>6</sup> ი. ჭავჭავაძის შვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, 1929, 33 და შემდგომი.

<sup>7</sup> გ. მთაწმიდელი, ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმისი. გამოსაცემად დაამზადა ი. ჭავჭავაძის შვილმა: ძველი ქართული ენის ძეგლები, 3, 1946, მუხლი 39. ნახე აგრეთვე ი. ჭავჭავაძის შვილის ქართ. სამართლის ისტორია. წ. II, ნაკვ. II, 1929, გვ. 43.

„სინა-რაითის მამათა მოსრეის“ ამბავში, რომელიც 864 წლის მრავალთავე წინათ მოთავსებული, მოთხრობილია, რომ აბაშნი თავს დაესხნენ რაითის მონასტერს, შეიპყრეს ერთი მონაზონთაგანი, სახელით იერემია, და უბრძანეს: „გვჩუენე ჩუენ მამასახლისი“. იერემიამ უპასუხა: „არა გიჩუენო თქუენ მამასახლისი ჩუენი“. „ხოლო მამასახლისი უღვა გვერდით მისა“<sup>9</sup>.

წინამძღვრის მნიშვნელობით იხმარება „მამასახლისი“ აგრეთვე პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონში, რომელიც შედგენილია 1083 წელს: „ვერ-არს. რამთა იყოს რიცხვ ზოგად ცხორებულთა მათ მამათა ორმოცდაათამდინ. თუნიერ მამასახლისისა“ (6,7), „ვაფუცებ მამასახლისთა, რომელნი ყოფად არიან მონასტერსა ჩუენსა“ (36,6) და სხვ.<sup>9</sup>

## 3

„მამასახლისი“ ტერმინს სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა XI საუკუნეში. როგორც ეს ჩანს, პირველ ყოვლისა, იმავე პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ერთი ადგილიდან, სადაც საუბარია გადასახადებზე. ამ მონასტრის დამაარსებელმა გრიგოლ ბაქურიანის-ძემ, რომელიც საბერძნეთის დანაწლეთის დიდი ღმრისტიკოსი<sup>10</sup> (ე. ი. ამირსპასალარი, მთავარსარდალი) იყო. იწება, რომ მისი მონასტერი<sup>11</sup> „იყოს თავისუფალ ყოვლითურთ, აზნაურ და თვთველმწიფე, თვთველდებელ და დაუმონებელ და რასავე ხარკსა ქუეშე შეუერდომელ: სამეფოსა და საპატრიარქოსა. სამეტროპოლიტოსა და საეპისკოპოსოსა და სამამასახლისოსა ყოველსა“ (3,1). მამასახლამე, გრიგოლ ამირსპასალარს ქართველთათვის დაარსებული მონასტერი გაუთავისუფლებია ყოველგვარი გადასახადისაგან. აქ ჩამოთვლილ „ხარკთაგან“, ე. ი. გადასახადთაგან. რომელთაც საზოგადოდ საბერძნეთის მონასტრები უთუოდ იხდიდნენ. გასაგებია ოთხი: საეპისკოპოსო (ე. ი. სამეფო). საპატრიარქო, სამიტროპოლიტი და საეპისკოპოსო. მაგრამ რაღა, მეხუთე ხარკი, რომელიც „სამამასახლისოს“ სახელით არის სხსენებული ტიპიკონში? იგი, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა ყოფილიყო გადასახადი თვით მონასტრის სათავეში მდგომი პირის სასარგებლოდ, ე. ი. წინამძღვრისა, რომელსაც მამასახლისი ეწოდებოდა და რომლისთვისაც იმავე ტიპიკონის მე-9 თავის მიხედვით განსაზღვრული იყო წლიური სარგო (9 დრამის რაოდენობით (9,2). ამ საგადასახადო ტერმინის მნიშვნელობის დასადგენად გეშველის ბერძნული ტექსტის სათანადო ადგილი. რომელიც, ნართალია, სიტყვა-სიტყვით არ ემთხვევა ქართულს, მაგრამ აზრი იგივეა, რაც ქართულში. მოვიყვანოთ შესაძარებლად ეს ადგილი ს. ყაუხჩიშვილის თარგმანის მიხედვით.

„ჩუენ აგრეთვე განვსაზღვრეთ, რომ... (მონასტერი) არის თვთველდებელი. თავისთავად მქონებელი თავისთავზე ბატონობისა, რომელიც არ ექვემდებ-

<sup>9</sup> სინური მრავალთავე 864 წლისა. 1959, გვ. 275.

<sup>9</sup> ამ დეგლის ქართული ტექსტი პირველად გამოცა მ. თარხნიშვილმა 1954 წელს (CSGO. I. 143) და იქედან გადაბეჭდა ი. დოლიძემ: ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 35—105. მზადდება ახალი გამოცემა. ტიპიკონი დამოწმებულია თავებისა და მუხლების მიხედვით.

<sup>10</sup> ბერძნულად „დიმესტიკოსი“ ითქმოლა.

<sup>11</sup> ეს მონასტერი ახლაც არსებობს და ბაჩკოვოს სახელით არის ცნობილი. იგი მდებარეობს ტელავარეთში, პლოვიდიდან (ძველი ფილიპოლიდან) 30-იღვე კმ-ის პანძილზე როდოპის ქედში. ბელგარეთი მაშინ საბერძნეთის ფარგლებში შედიოდა. ისე როგორც ტაო, საიდანაც გრიგოლ ბაქურიანის-ძე იყო.

ბარება არავითარი სახის გადასახადს: არც სამეფოს, არც საპატრიარქოს. არც რომელიმე ლეთისმოყვარე მიტროპოლიტისას ან ეპისკოპოსისას. ან სხვა რომელიმე საეკლესიო ან სამთავრო პირისას, ან რომელიმე ჩვენი შინაური ნათესავისას“. სამთავრო პირი (ἡγευαυαὸν παρῶααον) ხომ მთავარია (ἀρχαυα) რადგახაც აქ ხარკზე ანუ გადასახადზეა საუბარი, რომელიც ბერძნულად εἰσπαρξῆξ სიტყვით არის გადმოცემული, გამოდის, რომ მთავრის ხარკი არის εἰσπαρξῆξ ἀρχαυαυαῖξ, რომელიც უდრის ქართული ტექსტის „სამამასახლისო სარკს“. მაშასადამე, ამ ადგილის მიხედვით მამასახლისი ყოფილა „არხონტი“.

მეორე მხრით, ქართული ტექსტის, „ერისთავთა მთავარი“ (10,2) არის ბერძნული ტექსტის ἀρχαυα ἄαυ ἀρχῶααυ, ისევე როგორც „ერისთავთა ერისთავი“ (21,10). თუ ამასთანავე გავითვალისწინებთ აგრეთვე, რომ სხვაგან იმავე ენგლში (24,1) ბერძნული „არხონტის“ ბაღლად სხვა ქართული სიტყვაც არის ნახმარი („რომელმან კელით წერილი იცოდის და შვიგნობრობასა იქმოდის და თავადხა თანა მიივლინებოდის εἰσῆαα ἡγευαυααα ἄαυ παρξῆξ ἄαα ἄαα ἄαααα; ἀρχῶααα; εἰσῶααεἰσῶαα), გამოდის, რომ ვარკვეულ შემთხვევაში მთავარი, ერისთავი და თავადი სინონიმები ყოფილა და ბერძნულ „არხონტის“ შესატყვისი, ისე როგორც მამასახლისი. მაშასადამე, „სამამასახლისო ხარკი“ ყოფილა გადასახადი მთავრის (ერისთავის, თავადის) სასარგებლოდ.

„არხონტის“ მნიშვნელობა ბიზანტიის სახელმწიფოში ცვალებადი იყო<sup>12</sup>. ვასილი II-ისაგან დაპყრობილ ბულგარეთში არხონტი მხარის, ოლქის მმართველი იყო, ჩვეულებრივ ბერძენი. ბულგარელს შეიძლებოდა არხონტობა მიეღო მცირე საადმინისტრაციო ერთეულში<sup>13</sup>. ვინც უნდა ყოფილიყო არხონტი და რარიგი მხარის გამგეც უნდა ყოფილიყო იგი, ყოველ შემთხვევაში იცნაერო ხელისუფლების წარმომადგებელი. მხარის მმართველი იყო. ამიტომ პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონში დასახელებული გადასახადი, რომელიც ქართული ტექსტით არის „სამამასახლისო ხარკი“, ისე უნდა გავიგოთ, რომ იგი იყო გადასახადი ადგილობრივი ხელისუფლების სათავეში მდგომი პირის სასარგებლოდ, რომელსაც ამ მხარეში ბერძნულად „არხონტი“. ხოლო ქართულად „მამასახლისი“ ეწოდებოდა.

თუმცა ბერძნული „არხონტის“ ბაღლად იმავე პეტრიწონის ტიპიკონში სხვა ტერმინებიც არის ნახმარი (ერისთავი, მთავარი, თავადი), მაგრამ, თუ გადასახადს „სამამასახლისო“ უწოდეს (და არა საერისთავო, სამთავრო ან სათავადო), ეს იმიტომ, რომ საამისოდ შეურჩევით საქართველოში ხმარებულ ჩვეულებრივი ტერმინი.

აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ მონასტრებს საბერძნეთში სდებია ხუთსახის გადასახადი ანუ ხარკი, რომელთაგანაც ორი საეროა: სამეფო და საარხონტო (ანუ სამამასახლისო), სამი კი — სასულიერო: საპატრიარქო, სამიტროპოლიტო და საეპისკოპოსო. ბერძენთა პატრიარქს კონსტანტინოპოლში ეპყრა საყდარი; უახლოესი მიტროპოლიტი ფილიპოპოლში იქდა<sup>14</sup>, ხოლო ეპისკოპოსი რომელიმე ახლო მდებარე ქალაქის არქიელი უნდა ყოფილიყო.

<sup>12</sup> Г. Г. Липатови, Болгар. п. и В. зап. и п XI—XII вв., 1960, с.р. 278—281.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 255.

<sup>14</sup> ფილიპოპოლის მიტროპოლიტი გრიგოლ ბაქურაინის-ძეს ისე სძულება, რომ მისი მკვლევარს კი არ უნებებია თავის დაარსებულ მონასტერში.

„სამამასახლისო“: როგორც გარკვეული ხარკის აღმნიშვნელი ტერმინი, ეხებდება აგრეთვე ერთს XI საუკუნისავე ძეგლში, რომელიც წარმოადგენს სიგელს ბაგრატ IV-ისას (1027—1072) და ცოტა უფრო ადრინდელია, ვიდრე ეტრიწონის ტიპიონი: ბაგრატის სიგელი 1050—65 წლებში; უნდა იყოს დაწერილი. ეს ძეგლი რამდენჯერმე არის გამოცემული და რუსულადაც თარგმნილი.

ა) გამოცემანი:

Д. З. Бакрадзе, Статьи по истории и древностям Грузии, Приложение к IV-му тому Записок ИАН № 1. СПб., 1887. 20—22.

თ. ვორდანიძე, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა. 1896, გვ. 8—9.

ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, II, 1909, გვ. 1—5; ლიოზგრაფიული გამოცემა: პალეოგრაფიული აღბოძი. დამატება „საქ. სიძველენის“ II ტომისა. რე. I, ტფილისი, 1929.

ა. შანიძე, ქველი ქართლის ქრესტომათია. 1935, გვ. 93—94.

ი. დოლიძე, საქართველოს სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 8—9.

ბ) რუსული თარგმანი:

Д. П. Пурцеладзе, Грузинские церковные гуджари (грамоты). Тифлис, 1881. стр. 120—121.

Д. З. Бакрадзе, Статьи по истории Грузии (6. ზემოთ).

М. Г. Джапашвили, Царьша Тамара, Тифлис, 1910. стр. 60—81.

გ) გამოცემა:

Д. З. Бакрадзе, Статьи по истории Грузии (6. ზემოთ).

ივ. ჭავჭავაძე, ქართული სამართლის ისტორია, წ. II. ნაწ. II, 1929. გვ. 186.

ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1952.

მისივე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბ., 1963, გვ. 7—30.

ამ სიგელის მიხედვით ბაგრატ მეფემ ქუთათისში თავის დარბაზის კარზე, გარჩია ორი მონასტრის სარჩელი მამულების შესახებ, — ოპიზისა და მიჯნა-ბროსის, — დააკმაყოფილა მიჯნაბროსელები და მიუსჯა მათ, რა ადგილებსაც ჩემებდნენ. ხოლო ოპიზართა შესახებ<sup>15</sup> ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: „და ამისდა ნაცვლად: რამთამცა ოპიზარნი გულსავე ვყვენ, სალოცველად სულისა ჩემისა თავსავე ჩემსა დავათმინე: ავიღე სამამასახლისოთსა სამსახურე-ბელისა ჩუენისაგან ბარევიანი სოფელი და მივეცე ოპიზართა სატრაპეზოდ და გარდავსწყუიდე მათ შორის საზიდი და სარჩელი“.

დ. ფერეცლაძემ ეს ადგილი ასე თარგმნა რუსულად: Взамен этого, чтобы успокоить опизцев, мы отдали им на содержание (сатрапезод—на стол) селение Баревани, доходами с которого пользовался наш мамасакхлис (управляющий—старшина) Так мы решили спор и иск их (გვ. 121).

იგივეა გამოთარგმნილი მ. ჭანაშვილის თარგმანშიც (გვ. 81), ოღონდ იქ გამოტოვებულია ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები (სატრაპეზოდ — на стол) და სიტყვა управляющий.

დ. ბაქრაძემ ეს ნაწყვეტი ასე თარგმნა: но чтобы и Опизарцев удовлетворить, в молении за душу мою, я отказался от своей доли (тогда ჩემსა დავათმინე), ибо взяв за службу нам мамасакхлиса деревню Баревани, отдал ее Опизарцам в корм-

<sup>15</sup> „ოპიზარი“ კოლხური (ე. ი. მეგრულ-ლაზური), ფორმია და ნიშნავს ოპიზელს. ასეთი-ვე ოლთისარი, მტკეთარი, კყონდარი და მისთ.

ლენი (სატრაპეზოდ) и так: м образом покончил спор и тяжбу (სახლი და სარჩელი). გუჯუბარი, როგორ ესმოდა დ. ბაქრაძეს за службу нам мамасахлисა. მე კი ეს დგოლი მე ვთარგმნი: А взамен этого, для того, чтобы и опизцы были довольны мной, для мсления моеи души я уступил из своего-же<sup>16</sup>: снял с нашего мамасахлисского служения село Барван и дал опизцам на пропитание (სატრაპეზოდ) и тем я покончил с предметом ссоры и жалобы между н м.<sup>17</sup>

ამ სივლის მიხედვით გამოდის, რომ ბარევანი სოფელი შედიოდა იმ სოფელთა რიცხვში, რომელთაც სამამასახლისო სამსახურებელი ემართათ. ეს სამსახურებელი მამასახლისისთვის იყო დანიშნული და განკუთვნილი. რადგანაც ამ კუთხეში მამასახლისად ბაგრატ მეფე ითვლებოდა, როგორც ეს ი. ჭავჭავაძის ძეგლებში აღნიშნა. სამეფო ხარკი მას უეჭველია საქართველოს სხვა კუთხეებიდანაც მოუდიოდა და ამავე ტაოდანაც, მაგრამ აქ, ტაოში, ის განსაკუთრებული უფლებით სარგებლობდა, რადგანაც აქ მას მამული ჰქონდა და სამამასახლისოც ერგებოდა.

ი. ჭავჭავაძის თანახმად, „სახლი სახელმწიფოა“, ანუ „სამეფო სახლი“ შედგებოდა მეფისა, დედოფლისა, მათი შვილებისაგან. რომელთაც „უფლისწულები“ ეწოდებოდათ. და სხვა ნათესაებისაგან. მათი ზოგადი სახელი იყო „სახლულები“. და ვითარცა სამეფო სახლის უფროსი მე-11 საუკუნეშიც „მამასახლისად“ ითვლებოდა, და როგორც მის შვილებს, „უკლისწულებს“ შეიძლებოდა თავიანთი სამფლობელო, „საუფლისწულო“ ჰქონოდათ, რომელსაც შემდეგში „საუფლისწულები“ (ეფებისტყაოსანში) ეწოდებოდა, ისევე მეფე-მამასახლისს თავისი საკუთარი „სამამასახლისო სამსახურებელი“ ჰქონია. რომელიც უძრავის ქონებისაგან შედგებოდა. ბაგრატ IV ოპიზის სიგელში ამბობს: „ავიღე სამამასახლისოჲსა სამსახურებელისა ჩუენისაგან ზარევეანი სოფელი და მივეცე ოპიზართა“<sup>18</sup>.

ს. ჭანაშიას თანახმად, „ტაძრების მამულს გარდა, სათემო მიწებიდან გამოყოფილი არის ზოლმე აგრეთვე გეარის, თემის, საერო (როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო), სამოხელეო დაწესებულებათა საჭიროებათათვისაც სათანადო მიწის ნაკვეთები. ბაგრატ IV ოპიზის მონასტერის სწირაჲს სოფელს და ამბობს:... „თავსავე ჩემსა დავათმინე: ავიღე სამამასახლისოჲსა სამსახურებელისა ჩუენისაგან სოფელი ბარევეანი და მივეცე ოპიზართა“, ე. ი. მე თვითონ მივეცი, ჩემი სამამასახლისო სამსახურებელიდან სოფელი შევსწირეო. რა თქმა უნდა, ეს მიწის მფლობელობა სულ სხვა, ახალ ნიადგზე იყო წარმოშობილი, მაგრამ თავისთავად ტერმინი ძველია და უღალად მიუთითებს იმაზე. რომ გეაროვნულ საზოგადოებაში არსებობდა გარკვეული მიწის ფონდი, რომელიც მამასახლისის სამსახურის ასანაზღაურებლად იყო თემის მიერ გამოყოფილი<sup>19</sup>.

ამავე „სამამასახლისო სამსახურებელის“ შესახებ გ. მელიქიშვილი იმეორებს ს. ჭანაშიას აზრს და ამბობს: «В грамоте Баграта IV (XI в.) Опизскому монастырю говорится о пожертвовании царем монастырю деревни из

<sup>16</sup> В оригинале თავსავე ჩემსა დავათმინე „т заставил себя-же уступить“. დე:ფინე-ფორმა მედიатного контакта от немедлатного дэ:უმე „я уступил“.

<sup>17</sup> А. Шанидзе. Великий доместик Запада Григорий Бакуринис-дзе и грузинский монас. ырь. о:новалии им в Болгарии“. Тбилиси. 1970. ს:р. 36.

<sup>18</sup> ი. ჭავჭავაძის ძეგლი, ქართული სამართლის ისტორია, წ. 11, ნაკვ. 11. 1929, გვ. 186.

<sup>19</sup> საქართველოს ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე: ი. ჭანაშიას შრომები. 1. 1949. გვ. 169.

своего „самамасახლისо самсахурებელი“ (т. е. из земельного фонда, именуемого „за службу (в качестве) мамасახლისи“. Не входя в рассмотрение, того, в какую именно эпоху должен был возникнуть этот термин — в первоначально-общинную или позже, можно думать, что в раннерабовладельческой Картли он (если только был в употреблении), по-видимому, обозначал земельный участок, выделяемый за службу представителю царской администрации (в эту эпоху таковым нам представляется, в частности, „самасახლისи“), а также, может быть, главе сельской или семейной общины<sup>21</sup>.

უნდა შევნიშნოთ, რომ „სამამასახლისო სამსახურებელი“ არის არა „მიწის ნაკვეთი“, არამედ ის, რაც მამასახლისის მამულზე მსხდომ გლეხებს ჰქონდათ დაკისრებული: მოსავლის მოყვანა, აღება, მიწიღვა და, ალბათ, ზოგი რამ სხვა. კაცმა რომ თქვას, ამას გ. მელიქიშვილიც გულისხმობს: „термин, в то — же время, мог обозначать и круг обязанностей (повинностей), выполняемых в пользу мамасახლისи“. აი სწორედ ეს არის „სამსახურებელი“ და არა „მიწის ნაკვეთი“ (участок земли), რაშიც ეჭვი შეპარვია პროფ. ი. სურგულაძესაც, რომელიც სპეციალურად იკვლევს საქართველოს სახელმწიფო სამართლის საკითხებს.

საქართველოს მეფეს რომ მამული ჰქონდა ტაოში, ამის შესახებ ცნობა მოიპოვება დავით დიდის ისტორიაში. ბაგრატ IV-ის მემკვიდრე იყო მისი ძე გიორგი, რომელიც საქართველოს სამეფო ტახტზე მამის სიკვდილის შემდეგ (1072) ავიდა. ამ მეფის შესახებ ისტორიკოსი ამბობს: „და წარვიდა მეფე გიორგი (იგულისხმება: სამშვილდით) მამულსა თვისსა ტაოს და მოვიდა ბანას. მუნ მოვიდა წინაშე მათსა ზორავეარი აღმოსავალისა გრიგოლ ბაკურიანის-ძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისნი და კარხუ-ქალაქი და კარი და დიდად განიხარეს და განისუენეს. და მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანაჲ და განიყარნეს. ხოლო მეფემან გიორგი დაუტევნა კარს აზნაურხი შავშნი და წარმოვიდა შინა“<sup>22</sup>. მაშასადამე, გიორგი მეფეს მამული ჰქონებია ტაოში, სახელდობრ მისი მამული ყოფილა ბანა და აქ მიუღია საბერძნეთის სპასალარი გრიგოლ ბაკურიანის-ძე, წარმოშობით ტაოელი, უთუოდ იგიც ბაგრატიონთა გვარისა, რომელსაც, თანახმად ერთი ოქრობეჭდისა, რომელიც მას კეისრისაგან ჰქონდა ბოძებული, ტაოშიც ჰქონდა მამული. რომ გაყრილან გიორგი მეფე და აღმოსავლეთის ზორავეარი (სპასალარი), მეფე შინ გაბრუნებულა, ე. ი. ქუთაისს.

აქედან ჩანს, რომ, რაკი გიორგი მეფეს მამული ჰქონებია ტაოში, იგი მიღებული უნდა ჰქონებოდა თავისი მამისაგან მემკვიდრეობით. მაშასადამე, ბაგრატ IV-საც მამული ჰქონებია ტაოში, სადაც ის ამ მამულის მფლობელობის გამო „მამასახლისი“ ყოფილა. ყველა სოფელი (მათ შორის ბარევანიც), რომლებსაც სამამასახლისო სამსახურებელი ჰქონდათ დაკისრებული, მეფე-მამასახლისის სამსახურში ითვლებოდა და გარკვეული მოვალეობანი უნდა შეესრულებინათ.

კონკრეტულად არ ჩანს, რა იყო ეს „სამსახურებელი“. მაგრამ რაკი სიგელში ნათქვამია, რომ ბაგრატ მეფემ ეს სოფელი სატრაპეზოდ გადასცა ოპიზ-

<sup>21</sup> Г. А. Меликшвили. К истории древней Грузии. Тб., 1959. стр. 413.

<sup>22</sup> ქართლის ცხოვრება. ტ. I (ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით), 1955. გვ. 318.

ლებს, თითქო ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ძირითადად აქ უნდა ვიგულისხმოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტები: პური, ღვინო, ბოსტნეული, რძის იაწარძი, თაფლი, ხილი, ამ პროდუქტების მიზიდვა და სხვა. უთუოდ სხვა სახის სამსახურებელიც ჰქონდათ მათ დაკისრებული, მაგრამ ძირითადი „სამსახურებელი“ თითქო ეს უნდა ყოფილიყო. თანაც სოფელს, ალბათ, ფულადი გადასახადიც ედებოდა.

## 5

შემდეგ იმავე სივლეში იკითხება: „აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაჲ და სიგელი ესე ჩუენი შემდგომთა ჩუენთა მომავალთა მეფეთა, ერისთავთა ერისთავთა, ერისთავთა, ტაოისა და კლარჯეთისა ტანუტერთა და ყოველთა კელისუფალთა და საქმის მოქმედთა, დაუმტკიცეთ და ნუვინ კელ-ჰყოფთ შლასა და შეცვალუბანსა ამისსა“.

რას ნიშნავს აქ ნახსენები „ტანუტერი“? სიტყვა სომხურია, ნიშნავს „მამასახლისს“ და გავრცელებული იყო ტაოსა და კლარჯეთში, სადაც „სამამასახლისო სამსახურებელს“ უნდა პრქმეოდა აგრეთვე „სატანუტრო სამსახურებელი“. რომ აგრეა, ეს ჩანს იქედან, რომ ერისთავთ ერისთავს ბეშქენს გაუთავისუფლებდა „სატანუტრო ღრამის“ გადახდისგან კორიდელი ხუცები. კორიდეთის სოფელია ქანეთში, მურღულის ხეობაში, და იგი წინათ ბათუმის ოლქში შემოიღოდა, ამჟამად კი თურქეთის ფარგლებშია მოქცეული. აქ იყო ოდესღაც ღვთისმშობლის ეკლესია და მას ეკუთვნოდა ძველი ბერძნული სახარება (VIII—IX საუკუნისა), რომელზედაც მოიპოვება ბერძნული და ქართული მინაწერები. ამ სახარების 13 ქართული მინაწერი გამოსცა მ. ბროსემ<sup>23</sup>, შემდეგ მ. ჯანაშიელმა აწერა ეს ხელნაწერი და გამოაქვეყნა 22 ქართული მინაწერი<sup>24</sup>, მაგრამ ყველას სჯობს ნ. მარის გამოცემა, რომელსაც ახლავს ყველა ქართული მინაწერის ფოტოსურათი<sup>25</sup>, რიცხვით 24.

შემორე ხსენებულ სატანუტრო ღრამაზე საუბარია მინაწერში<sup>26</sup>, რომელიც ასე იკითხება: „სახელითა ღმრთისაითა მე ბეშქენ ჩემისა სძლისა ხუაშქისა ხოვიშნითა გაუშუი კორიდელთა ხუცესთა სატანუტროი ღრამაი, რაზომცა გამოვიდოდეს; აღარავინ აულოს და ჩემისა ძისწულისა ბექაისა სალოცავად და სულისა ჩემისა ხარებად შეიმოსებოდით, რაზომცა იყუნენ ღმრთის...“

<sup>23</sup> Note sur un manuscrit grec des quatre Evangiles. rapporté du Souzneth-Libre et appartenant au comte Panin: Mélanges Asiatiques. t. VI. 6/16. Octobre. 1870.

<sup>24</sup> Описание рукописей Церковного Музея Духовенства грузинской Епархии. кн. III. 1908. № 993. стр. 233—250.

<sup>25</sup> Грузинские приписки греческого Евангелия из Коридзии: Известия ИАН. 1911, стр. 211—240.

კორიდეთის ბერძნული სახარების დაწერის დროდ VIII—IX საუკუნეს მიიჩნევენ. მისი ერთი ნაწილი (მარკოზის თავი, რომელიც უფრო საყურადღებოა ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით) ფოტოტიპურად გამოსცა მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოებამ (МАК. XI. 1907) და რამდენიმე ქართული მინაწერი ამ გამოცემის ფურცლებზე მოჰყვა (ტაბ. 1—6, 49, 50).

გოაფინა უეაროვამ ამ გამოცემის სარედაქციო წერაში და მკვლევარმა ივანე ეესკევამ თავის წერილში ამ სახარების შესახებ (იქვე, გვ. 1—2) გვიამბეს მეტად საყურადღებო თავგადასავალი, რომელიც ამ ფრიად მნიშვნელოვან ხელნაწერს ვადაზღობისა მე-19 და მე-20 საუკუნეში. ზოგი რამ ამ თავგადასავლიდან ნ. მარმა ვაიმერა თავის გამოკვლევაში კორიდეთის სახარების ქართული წარწერების შესახებ (გვ. 211—212).

<sup>26</sup> № V. გვ. 226.



ეს ნიშნავს, რომ ბეშქენს უპატივებია კორიდელი ღვთისმშობლის ეკლესიის ბუცესთათვის სატანუტრო ღრამის გადახდა. სამაგიეროდ ეს ღრამა, რამდენიც უნდა ყოფილიყო, მათ უნდა მოეხმარათ სამოსლის შესატენად (აქ თითქო უფრო საეკლესიო მსახურების დროს სახმარებელი შესამოსელი უნდა იგულისხმებოდეს).

ეს ბეშქენი ამავე სახარების სხვა წარწერაში ერისთავთ ერისთავად არის მოხსენიებული. მას ღმრთის სწორობით მიმართავს ვინმე ივანე: „მ ერისთავთ ერისთაო (ერთ ერო) ბეშქენ, ღმრთის სწორო, მიწამან შენმან ივანე დავიწერე“<sup>27</sup>. ღმრთის სწორობით ჩვეულებრივ მეფეებს მიმართავდნენ.

მამასახლამე, კორიდეთის ხუცებს რომ სატანუტრო ღრამის გადახდა აპატივა, ეს ყოფილა ერისთავთ ერისთავი ბეშქენ, რომელიც ამ მხარის ტანუტერი, ანუ მამასახლისი ყოფილა. სატანუტრო გადასახადი აქ ფულადი ხასიათისაა („ღრამა“) და იგი უთუოდ ტანუტრის (მამასახლისის) „სამსახურებლოს“ ერთი სახეა. კორიდეთის ხუცებს (უფრო ზედმიწევნით, კორიდეთის ღვთისმშობლის ეკლესიას, რომელსაც უთუოდ მამულები ჰქონდა) სატანუტრო გადასახადი, ალბათ, სხვაც ჰქონდათ შეწერილი. — „რაზომცა გამოვიდოდესო“, რომაა ნათქვამი, ეს გვაფიქრებინებს, რომ ფულადი გადასახადი არ უნდა ყოფილიყო ყოველთვის ერთი და იგივე. ალბათ, ის ამა თუ იმ წლის მოსაველიანობის მიხედვით, ყო ნაანგარიშევი.

ეგვე ბეშქენ ერისთავთ ერისთავი სხვა წარწერაში<sup>28</sup> აღიარებს, რომ მან კორიდეთს უსამართლოდ დაადვა ბეგარი, და მერმე თვითონვე გააუქმა. აქ კითხება: „ქ. სახელითა ღმრთისათა და მეოხებითა და შუამდგომლობითა კორიდეთისა ღმრთისმშობელისათა დაგიწერე ესე დაწერილი მე ბეშქენ თქვენ კორიდელთა ერთობ სოფელსა მას ეამსა, ოდეს ახალი ბეგარი დაგდევ, წინაის რა მკირვებოდა. ვცან, რომე ბრალი მექნა, მევე გაგიშვი. ესე დამედვა: კნვია, მკაი, თიბაი, სალუწავი, გამწეობაი. არა გემართლებოდი და მით გაგეშვი: მწირველნი ხართ ჩემნი და მშობელთა ჩემთანი. სხუაი რაიცა გკირვებია, ეგრევე იყოს“<sup>29</sup>.

ვინ არის ეს ბეშქენ ერისთავთ ერისთავი, რომელმაც ახალი ბეგარიც კი დაადვა სოფელს და მერმე, როცა მიხვდა, რომ უსამართლობა ჩაიდინა, თვითონვე გააუქმა? როდის ცხოვრობდა იგი და სად ჰქონდა რეზიდენცია? ამ კითხვების პირდაპირი პასუხი არ ჩანს. მისი ხელით გამოყვანილი წარწერები უთარბილოა, მაგრამ პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით გარკვევით მე-13 საუკუნისაა, უფრო ზედმიწევნით რომ ვთქვათ, მე-13 საუკუნის მეორე ნახევრისა. ამავე ხანისაა კორიდეთის სახარების ზოგი სხვა მინაწერიც, რომლებშიც „მაჩხიტძის ჩინია“ ნახმარი. ამ ჩინებს ჰყარად კითხულობდნენ მ. ბროსეც, მ. ჟანაშვილიც, თვით ნიკო მარიც კი (ჰემი, ჰემისა, ჰემსა), მაგრამ მე ერთ ადრინდელ წერილში გავარკვიე, რომ აქ ჩ არის და არა ჰ (ჩემი, ჩემისა, ჩემსა). მსგავსად გამოყვა-

27 № IV, გვ. 225.

28 № XVI, გვ. 233.

29 ნ. მარს ამ მინაწერის „სალუწავი გამწეობაი“ ასე აქვს ნათარგმნი: ПОМОЩЬ В МОЛЮТЬ-Н. თითქმის მას „გამწეობაი“ შემწეობად გაუგიაო. ხომ არ აჯობებდა, რომ „გამწეობა“-ში გამწეი ძალის, ე. ი. სატრანსპორტო საშუალებათა გამოყვანა გვეგულისხმებოდა? თუ აგრეა, მაშინ მის წინ მძიმე უნდა დაისვას: სალუწავი, გამწეობაი (ე. ი. სალუწავი და გამწეობა) და ბეგარი ხუთა სახისა გამოვა: ხენა, მკა, თიბვა, ლუწვა და გამწეობა.

ნილი ჩ (რომელიც მოხაზულობით დღევანდელ ხელნაწერ კ-ს მოგვაგონებს) სხვა იმდროინდელ ხელნაწერებშიც მოიპოვება<sup>30</sup>.

მუზედავად იმისა, რომ ბეშქენ ერისთავთ ერისთავი ორი საუკუნით არის დაშორებული ზაგრატ IV-ისაგან, მისი „სატანუტრო დრამა“ და „სატანუტრო ზეგარი“ არსებითად იგივე უნდა იყოს, რაც ზაგრატ IV-ის „სამამასახლისო სამსახურებელი“. ამათგან „სატანუტრო დრამა“ ფულადი გადასახადი ჩანს, „ზეგარი“ კი — გარკვეული სამუშაოების შესრულებას გულისხმობს.

ვიდრე დავასრულებდეთ, ერთი საკითხია კიდევ გასარკვევი. ზაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში, რომლის ნაწყვეტია შემონახული, მეორე ნუხლში ნახსენებია „სოფლისა მამასახლისი“: „ვინცა მოძღუარი იყოს ანუ მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცი იყოს, ანუ კარგი დიდუპარი, ანუ კარგი სოფლისა მამასახლისი, იგეთი კაცი დასუი ბქედ: ქუთიანი იქნების და კარგად ეცოდინების ბქობა და უსამართლოს არას იტყვს“<sup>31</sup>.

ამ ძეგლს ი. ჭავჭავაძის ბაგრატ III-ის დროსად მიიჩნევს<sup>32</sup> და უნდა ვიფიქროთ, „სოფლის მამასახლისი“ ბაგრატ IV-ის დროსაც იყო ჩვენში, მაგრამ არ ჩანს, რა უფლება ჰქონდა მას და რა მოვალეობა ეკისრა. მოყვანილი მუხლის შინაარსიდან მხოლოდ ის არის ცხადი, რომ „კარგი სოფლის მამასახლისი“ შეიძლება დაეყენებინათ მოსამართლედ („ბქედ“), გლეხთა სადაო საქმეების გასარჩევად<sup>33</sup>. მაგრამ თუ „კარგი“ არ იყო? სხვა არა ვიცი თუ რა სოფლის მამასახლისის შესახებ XI საუკუნეში.

ამ მიმოხილვიდან ჩანს, რომ „მამასახლის“ სიტყვას XI საუკუნეში ორი მნიშვნელობა ჰქონდა, რომელთაგანაც ერთი მამულის ქონებასთანაა დაკავშირებული: „სამამასახლისო სამსახურებელი“ (ბაგრატ IV-ის სიგლისა) და „სამამასახლისო ხარკი“ (პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონისა) აღნიშნავდა სამსახურებელს (resp. ხარკს), რომელსაც სოფელი ან მონასტერი იხდიდა ადგილობრივი მთავრის სასარგებლოდ. მთავარი საქართველოში მემკვიდრეობით მიღებულ მამულს ფლობდა და ამ მხარის მამასახლისად ითვლებოდა. ტაოში ასეთი მამულის მფლობელი თვით ბაგრატ IV იყო, რომელსაც ამ მხარეში „სამამასახლისო სამსახურებელიც“ ეკუთვნოდა.

ბოლგარეთში კი, სადაც ქართველთა მონასტერი იყო, სამამასახლისო ხარკი იკრიბებოდა არხონტის სასარგებლოდ, რომელიც ცენტრალური ხელისუფლებისაგან იყო დანიშნული.

ტაოსა და კლარჯეთში „მამასახლის“ ტერმინის ბაღდად იხმარებოდა აგრეთვე მისი სომხური შესატყვისი „ტანუტერი“. ამიტომ სატანუტრო სამსახურებელი ამ მხარეში არსებითად იგივე უნდა ყოფილიყო, რაც „სამამასახლისო სამსახურებელი“.

მეორე მნიშვნელობა „მამასახლის“ სიტყვას არის მონასტრის წინამძღვარი. ეს მნიშვნელობა სიტყვას უნდა მიეღო ჩვენში სამონასტრო ცხოვრების დამკვიდრებისა და განვითარების პროცესში მე-6 საუკუნიდან<sup>34</sup>:

30 ა. შანიძე, მახიტისის ჩინი: „ჩვენი მეცნიერება“, 1924, № 11—12.

31 ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, I, 1963, გვ. 464.

32 ი. ჭავჭავაძის დი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, 1929, გვ. 93.

33 იქვე, გვ. 484.

34 მაღლობას მოვახსენებ პროფ. ივანე სერგულაძეს. რომელმაც ეს წერილი გადამიწიხა და შენიშვნები მომცა.

## თინათინ საბინაშვილი

### ზოგინათი სიტყვის სამანტიკური განვითარების ისტორიისათვის

ქართული ენის ლექსიკის ისტორიული შესწავლისათვის საგულისხმოა ცალკეულ სიტყვათა წარმოებისა და სემანტიკური განვითარების შესაძლო გზების გათვალისწინება. ამ მხრივ ჩვენი დაკვირვება ეხება შემდეგ სიტყვებს:

1. გძილი ძველ ქართულში იშვიათად ხმარებულ სიტყვათა წყებას განეკუთვნება<sup>1</sup>. გვხვდება პეტრე მოციქულის წამებასა<sup>2</sup> და ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში. საბას ლექსიკონში იგი არ შესულა. სიტყვა საინტერესო ჩანს როგორც წარმოების, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით. გძილი ხუროთმოძღვრული ტერმინია, აღნიშნავს კარნიზს, ლავგარდანსა და ლატანს.

გძილი|გრძილის ხმარების სამი შემთხვევა დასტურდება ეზეკიელის წიგნის ოშკურსა (O) და იერუსალიმურ (I) ხელნაწერებში. ეზეკიელის წინასწარმეტყველების გელათური ვერსია (G) ამ სიტყვას არ იცნობს. მის ფარდად აქ ნახმარია გ ი ს ო ს ი (40,43) და ძ გ ი ლ ე (43, 13; 43; 17):

და ოთხნი ტაბლანი ყოვლად-დასაწუველანი კვისანი... და ციდ ერთ იყო მათი გ ძ ი ლ ი ბაკოდ გამოთლილი (IO, 40,43). და გ ძ ი ლ ი გარემო ბაკოთა მისთა მტკაველ ერთ (IO, 43,13); და სალხინებელი იგი წყრთა თოთხმეტ სივრცე ოთხად მიმართ აღვიდ მისა და გ რ ძ ი ლ ი მისი გარემოჲს-გარემო მრჯულად ზოგი წყრთისაჲ (IO, 47,17).

უცხო ტექსტათაგან გძილს შეესატყვისება ბერძნული τὸ γέμισ(σ)ον (კარნიზი, 'შეერილი, ნაპირი), სომხური ժնիտ — ყბა (40,43; 43,17) და ყսակ — კარნიზი (43,13).

ქართული ტექსტისა და გ ძ ი ლ ი ს უცხოური შესატყვისების საფუძველზე ზედმიწევნით დგინდება გძილ სიტყვის მნიშვნელობა. იგი აღნიშნავს დაბალ (დაახლოებით ერთი ციდა სიმაღლის) კედელს. უფრო სწორად, გ ძ ი ლ ი კედლის კიდე, კედლის დამაგვირგვინებელი ნაწილია, თანამედროვე სამშენებლო ტერმინოლოგიით კარნიზი, პარაპეტი ანუ იგივე გისონი<sup>3</sup>. შდრ. გძილის ბერძნული შესატყვისის τὸ γέμισ(σ)ον, ახალი ქართულის გ ი ს ო ს ი (სახურავის, აივნის, ხიდის და ა. შ. შემომზღულდავი დაბალი კედელი, რომელიც მეტწილად

<sup>1</sup> სათანადო სიტყვების შესამოწმებლად ვიყენებდით ეფფისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის სალექსიკონო მასალას.

<sup>2</sup> პეტრე მოციქულის წამების ტექსტი დაუთავს ცნობილ 864 წლის სინურ მრავალთავსა და პარხის მრავალთავს (A—95, X ს.).

<sup>3</sup> თ. კეიჩკელია, მოკლე რუსულ-ქართული ხუროთმოძღვრული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 58, 94, 38; ტექნიკური ტერმინოლოგია, თბ., 1961, გვ. 162.

ყრუ გაუმეოლ ზღუდეს წარმოადგენს<sup>4</sup> და კეისონი (კლასიკური არქიტექტურული ორდერის კარნიზის გამოტანილი ფილა)<sup>5</sup>.

სინურ მრავალთავში გძილი ერთხელ გვხვდება (პეტრე მოციქულის წამებაში) და უნდა აღნიშნავდეს ხის ჯვრის განივ ძელს, ლატანს:

ხოლო სამსუვალი, რომლითა შეპყრობილ არს მართალსა ძელსა გძილი იგი სამუვალ, მოქცევა არს და სინანული კაცისაჲ (248,18). შდრ. A—95: ხოლო სამსუვალი, რომელსა შეპყრობილ არს მართალსა ძელსა გრძილი იგი სამუვალ მოქცევა არს და სინანული კაცისაჲ (145,19a).

გძილის ამ მნიშვნელობებს შორის (კარნიზი, ლატანი) გარდუვალი ზღვარი არ არის, პირიქით, საერთო მეტი შეინიშნება.

სასურველია, თანამედროვე ხუროთმოძღვრულ ტერმინოლოგიაში, რომელიც არცთუ ისე მდიდარია ქართული ტერმინებით, კარნიზის, პარაპეტის ნაცვლად დამკვიდრდეს მათი ადეკვატური შინაარსის მქონე ქართული ტერმინი გძილი.

გძილის, როგორც ხუროთმოძღვრული ტერმინის, წარმომავლობა არ არის დადგენილი. ზოგიერთი არსებითი მონაცემის საფუძველზე. ვფიქრობთ, რომ გძილი არის ღრძილის აღმნიშვნელი ძველი ქართული ფორმა გრძილი<sup>6</sup>. ეზეკიელის წიგნის იერუსალიმურ ხელნაწერში ერთ ადგილას დასტურდება სწორედ გრძილი და არა გძილი (43,17). ამ ადგილზე დაყრდნობით ეზეკიელის ტექსტის პარიზულ გამოცემაში დანარჩენ ორ შემთხვევაშიც გძილი „რ“ აღუდგენიათ — გ(რ)ძილი<sup>7</sup>. პეტრე მოციქულის წამების ერთი და იგივე მავალითი სინურ მრავალთავში გძილ ფორმას უჩვენებს, პარხლის მრავალთავში კი გრძილს.

გძილის გრძილ (=ღრძილს) სიტყვიდან მომდინარეობის სასარგებლოდ მეტყველებს სამსხვერპლო მაგიდების შემოზღუდული კედლის კიდეების ფორმა. როგორც ლიტერატურაში მიუთითებენ, იგი დაკბილული ან შევრილებიანია<sup>8</sup>, რომელიც ალბათ მთარგმნელს მოაგონებდა ღრძილს ფორმას. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა გძილის ლათინური და სომხური შესატყვისები. ორივეგან გძილის ფარდად ნახმარია ადამიანის სახის ნაკეთთა სახელები: ლათინ. ვულგატას labium (ბაგე) და სომხ. *խիտ* (ყბა). ცხადია, საფუძველი ამ მოვლენისა სამსხვერპლო მაგიდის კედლის კიდეების თავისებური დაკბილული ფორმაა.

სახელდების პრინციპი აქ საეხებით ბუნებრივი და გასაგებია. საერთოდ, ქართულ თუ უცხოურ სამშენებლო ტერმინოლოგიაში ჩვეულებრივია ადამიანის სხეულის ნაწილების სახელთა გამოყენება სამშენებლო ტერმინებად<sup>9</sup>: კბილანა (დენტოკული), თალი კბილანა, თალი კბილაიანი, საფეხურის შუბლი, ქუსლი, გუმბათის ყელი...

მასალობრივ გძილსა და გრძილს რ ბგერა განასხვავებს. ესეც არ უქმნის სერიოზულ დაბრკოლებას ზემოგამოთქმულ ეარაუდს. რ-ს დაკარგვა

<sup>4</sup> იქვე, გვ. 94.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 38.

<sup>6</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1967.

<sup>7</sup> Patrologia orientalis, t XXIX, fasc. 5, თ. 40, 13; 43, 13; 43, 17, Paris, 1961.

<sup>8</sup> Твореніи Б. Иеронима. т. 19, ч. 13, гл. 199.

<sup>9</sup> თ. კვიციანი, მოკლე რუსულ-ქართული ხუროთმოძღვრული ლექსიკონი, თბ., 1961.

ქართულში ჩვეულებრივია ამგვარ ფუძეებში თანხმოვანთა თავმოყრის გამო (შდრ. გზა გძელი — შაჰნავეზ., 654,1); გძნეული (რუს. 275,34). შესაძლებელია, მოცემულ შემთხვევაში რ-ს დაკარგვას ხელი შეუწყო გ რ ძ ი ლ ი ს ახალი შინაარსით (კარნიზი, ლავგარდანის) დატვირთვამაც, თუმცა, როგორც უკვე მიუთითებდით, ერთგან „რაეიანი“ ფორმაც შემორჩენილა (ეზუკ., 43, 17).

თავის მხრივ საინტერესო ჩანს გ რ ძ ი ლ და გ რ ძ ე ლ ფუძეთა ურთიერთობა. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა გ რ ძ ძარის ი ვ-სუფიქსიანი ფუძეები, რომლებიც წარმატებით გამოიყენება ტექნიკურ ტერმინოლოგიაში<sup>10</sup> (გრძივა, გრძივი, გრძივ-საბამი, გრძივ-ძელი). გრძელ-გრძივ ფუძეთა ელ-, ივ-სუფიქსები გ რ ძ ი ლ შ ი ი ლ-ის სუფიქსობის საკითხს სვამს.

ამგვარად, გრძილი||გძილი ძველ ქართულში ჯერჯერობით ორ ძეგლში გვხვდება პეტრე მოციქულის წამებასა (სინ. მრავ., პარხ. მრავ.) და ეზუკიელის წინასწარმეტყველებაში. იგი ხუროთმოძღვრული ტერმინია და ნიშნავს კარნიზს, ლავგარდანს, ლატანს. ტერმინი ნაწარმოებია ღრძილის აღმნიშვნელი ძველი ქართული ფორმის გ რ ძ ი ლ ი ს გადატანითი მნიშვნელობით გამოყენების შედეგად.

2. მ აღ ნ არ ი გავრცელებული ლექსიკური ერთეულია როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში, თუმცა ძველში იგი უფრო ხშირად იხმარება; ისტორიულად არსებითი სემანტიკური ცვლილება არ განუცდია, აღნიშნავს ხშირსა და შამბიან დიდ ტყეს მთაში<sup>11</sup>.

სათანადო მასალის შესწავლით ირკვევა, რომ მ აღ ნ არ ი უფრო ფართო შინაარსის სიტყვაა, ვიდრე აქამდე იყო ცნობილი. მიუთითებს ტყიან ადგილზე არა მარტო მთაში, არამედ საერთოდ:

რამჟე ეყოს ძელსა მას ვენაქისასა, ყოველთაგან ძელთა რტოთა, რომელნი არიან ძელთა შორის მ აღ ნ არ ი ს თ ა (ეზუკ., 15,2) დაემკდრნენ უღაბნოთა და დაიძინონ მ აღ ნ არ თ ა შინა (ეზუკ., 34, 25).

კონტექსტის მიხედვით არც ერთ მაგალითში არა ჩანს, რომ მ აღ ნ არ ი — ტყე მთაშია; ბერძნულ-სომხური წყაროებიც მ აღ ნ არ ი ს ფარდად ჩვეულებრივი ტყის აღმნიშვნელ სიტყვებს უჩვენებენ: ბერძნ. δ ო ო ო ო ო ო და სომხ. ანთათ, ამავე მნიშვნელობით გვხვდება ეს სიტყვა ძველი ქართულის ბევრ ძეგლში:

იყო ადგილი და ყოველდავე მ აღ ნ არ (ასურ. მოღ. 26.11) იყო იგი ურწყული. და იყო მ აღ ნ არ ი ტყე ურწყული და ევხუნარი (დავ. ტარიკ., 188,2) და იხარებდენ ყოველნი ძელნი მ აღ ნ არ ი ს ა ნ ი (სინ. მრავ., 3,22). ვითარცა ლომი აღმოვლეს მ აღ ნ არ თ ა გ ა ნ ი ო რ დ ა ნ ი ს ა ა (იერ., 50,44).

ცხადია, არსად არ იგულისხმება, რომ მ აღ ნ არ ი მთიან ადგილზეა; თუმც შეგვხვდა ასეთი მაგალითიც:

და მთანი ღიდ-ღიდნი და მ აღ ნ არ ო ვ ა ნ ნ ი იხილნა მ რ გ უ ლ ა დ და წ ყ ლ ტ ე ლ (ეპუს. ღღ. 91,23).

<sup>10</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. II, თბ., 1951; თ. კ ვ ი რ კ ე ე ლ ი ა, მოკლე რუსულ-ქართული ხუროთმოძღვრული ლექსიკონი, გვ. 13, 25; ტექნიკური ტერმინოლოგია, გვ. 88.

<sup>11</sup> ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1967; ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი, 6, თბ., 1961; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 6, თბ., 1950.

მაშასადამე, მაღნარო ძველ ქართულში აღნიშნავს ტყეს როგორც მთაში, ისე ბარში.

მაღნარის აღნაგობას გაკვრით ეხება არნ. ჩიქობავა, როცა მაღალ სიტყვის ძირად მიიჩნევს აღ- ზმნისწინს (მ-აღ-აღ); „მ-აღ-აღ-ის ასეთ დაშლას, — შენიშნავს ავტორი, — მხარს უჭერენ ნაწარმოები სახელები: უ-აღ-არჰს-ი... მ-აღ-ნარ-ი“<sup>12</sup>.

სხვა თვალსაზრისი საანალიზო სიტყვის თაობაზე სპეციალურ ლიტერატურაში არ მოიპოვება.

მაღნარის ისტორიისათვის საგულისხმო ჩვენებას იძლევა სევანური ენა. ამ სიტყვას ეტიმოლოგიური კავშირი უნდა ჰქონდეს სევანურ სიტყვასთან მ ა ლ, რომელიც იხმარება ზემოსევანურის ორივე დიალექტში და ამჟამად აღნიშნავს ზემდგარ წიწვიან ხმელ ხეს, ან ისეთ ხეს, რომელსაც წვეროდან ხმობა აქვს დაწეებული. სევანური მ ა ლ ქართულ მაღნარში გამოყოფს მაღ ფუძესა და ნარ მორფემას: მაღ-ნარ. ამგვარი სეგმენტაცია სიტყვას სემასიოლოგიურად და მორფოლოგიურად ქართულში გავრცელებულ მცენარეთა ერთგვაროვანი კრებულის აღმნიშვნელ სახელთა რიგში აყენებს (შდრ. მუხა — მუხ-ნარ-ი, კოპიტი — კოპიტ-ნარ-ი, მალ — მაღ-ნარ-ი). ამ ტიპის სახელთა წარმოების შესახებ ა. შანიძე მიუთითებს: „ნარ დაერთვის მცენარის სახელის ფუძეს და აღნიშნავს ადგილს, სადაც ბლომად მოიპოვება ფუძით დასახელებული მცენარე: ნაძე-ნარ-ი, ფიჭვე-ნარ-ი, წაბლ-ნარ-ი...“<sup>13</sup>. ანალოგიური სურათია ჩვენს შემთხვევაშიც: მცენარის სახელის ფუძეს მაღ (=სოკს ან საერთოდ წიწვიან ხეს) დაერთვის ნარ-ი და აწარმოებს სახელს ადგილისას, სადაც გავრცელებულია სოკი ან ზოგადად წიწვიანი მცენარეები. განსხვავებას ქმნის მხოლოდ ის, რომ მაღნარში ძირეული მასალა სევანურია (resp. საერთო ქართველური). მისი ქართული შესატყვისი გამოდის სოკნარი, ნაძენარი, აღრინდელ საფეხურზე — წიწვენარი<sup>14</sup>.

მაღნარის წარმოდგენილი ეტიმოლოგია გასაგებს სდის იმ სემანტიკას, რომელიც მას ძველ ქართულში აქვს (ტყე). შესაძლებელია თავდაპირველად იგი

<sup>12</sup> არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უქველესი აგებულება ქართველურ ენებში, ს.პ., 1942, გვ. 26.

<sup>13</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, § 173; ნარ სუფიქსზე საინტერესოდ მსჯელობს დ. ჩუბინაშვილი ტეერ სიტყვის განმარტებისას: „ერთგვართა ხეთა წრთაჲლ მდგართა ბოლოდ დაერთვის მარცუალი „ნარი“. დასაწიშნავად სიმრავლია მათისა, ეთარა ფიჭვი — ფიჭუნარი, მუხა — მუხნარი, თხილი — თხილნარი...“ დ. ჩუბინაშვილი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1961.

<sup>14</sup> შ. ჯალღანის ცნობით, მ ა ლ ზემოსევანეთში ზემდგარი გამხმარი სოკის სახელია. ცხუმარულში, ლ. შამფრინანის მოწმობით, ხმელი ნაძვის აღმნიშვნელია. ფიგურალური გამოთქმაც კი არსებულა მაღ ზუ(მ)ლი — ნაძვიით მაღალა (სიტყვასიტყვით ნაძვის ზომისაა, ნაძვის ტოლია). უ. ცინდელიანმა დავეიდასტურა, რომ ბალსქვემოურში იხმარება გამოთქმა მაღ რ ა შ უ ნ ე ქ — ნაძვის შეშა, ხოლო სიტყვა მაღ რ ა აღნიშნავს გამხმარი სოკის ან ნაძვის შეშას. ამგვარი ფაქტები გვავარაუდებინებს, რომ აღრინდელ საფეხურზე სევანურში მ ა ლ აღნიშნავდა წიწვიან ხეს საერთოდ.

წიწვიან ტყეზე მიუთითებდა. რადგან წიწვიანი მცენარეები ჩვეულებრივ მთიანი ადგილის ფლორაა, მაღალი ალბათ ამიტომ იყო მიჩნეული მთიანი ადგილის ტყის აღმნიშვნელად. შემდგომი, როცა მაღალი-ში თანდათანობით გაფერმკრთალდა მაღალი ძირის სემანტიკა, ამ უკანასკნელმა განიზოგადა მნიშვნელობა და საერთოდ დიდი ტყის აღმნიშვნელი გახდა.

ამრიგად, ჩვენი ვარაუდით, მაღალი ეტიმოლოგიურად უნდა უკავშირდებოდეს ზემოსენურში გავრცელებულ წიწვიანი ხის აღმნიშვნელ სიტყვას მაღალი და ნაწარმოები უნდა აყოს მაღალი ფუძეზე ნარმაწარმოებლის დართვით: მაღალი-ი.

3. წიწვი ძირის შემცველი სიტყვები გვხვდება ძველ ქართულსა (იწიწვის, ეწიწვოდა, წიწვიანი, უწიწველი, წიწვიულობა, მოეწიწვიანი) და ხევსურულში (აწიწღეს, წიწვი); შინაარსობრივად ყველგან შიშის, ძრწოლის მნიშვნელობა აქვს.

წიწვი ძირი პირველად ა. შანიძემ გამოავლანა ხევსურულში: „როშკას აწიწღეს ციხენის“<sup>15</sup>. კონტექსტიდან ნათლად არა ჩანს სიტყვის სემანტიკა, — ალბათ ამის გამო, ლექსიკონში ავტორი ამ სიტყვას ურთავს ერთ-ერთი ხევსურის განმარტებას: „აწიწღეს დაშინდესო, აუქსნია ჩემთვის ბესარიონის მებობელს გაგა თეთრიაულს“<sup>16</sup>

ალ. კინკარაულის მიერ მოწოდებული ცნობით, ხევსურულში გავრცელებული გამოთქმაა შიშ-წიწვი, რომელშიაც წიწვი სხვა არაფერია, თუ არა შიშის, ე. ი. შიშ-წიწვი სინონიმურ წყვილთაგან შემდგარი კომპოზიტი გამოდის ისე, როგორც სვე-ბედი, შიშველ-ტიტველი.

საგულისხმოა ამ ფუძის არსებობა ხევსურულში, რომელსაც შემოუნახავს იველი ქართულის ბევრი საყურადღებო მონაცემი.

ძველ ქართულში შეგვხვდა წიწვი ძირისაგან ნაწარმოები რამდენიმე სიტყვა. ძველ ძეგლებში წიწვი ი- და ე- პრეფიქსებით დაედასტურეთ. ი-წიწვი-ის, ე-წიწვი-ოლ-ა (შღრ. ხევს. ა-წიწღ-ე-ს). ი-თავსართიანი სულ ხუთიოდე მაგალითი დაიძებნა, ენიანი — ერთი:

1. ნუ იწიწვი, ისრაჲლ! (იერ. G, 30, 10); რუს. Не страшись, Израиль! სომხ. մի' գարნიւրեսցիս Իს'լ.

2. ანუ პირისა ჩემისაგან არა იწიწვიოლით? (იერ. G, 5, 22) რუს. Предо мною не трепещете? სომხ. Կամ յերեսսայ իմոց ոչ սպասիցես'ք. ზერძ. Դ ձո՞ս արօտասոյս մտս օնչ Էնչքիդի՞ջԵՄԷ.

3. არღარა ეშინოდის ჰერმე, არცა იწიწვიოლინ. არცა ორკმაობდენლა, — იტყვის ეფალი (იერ., G, 23, 4). შღრ. IO: და არღარა ეშინოდის ჰერმე. არცა შეძრწუნდენ, იტყვის ეფალი. რუს. И они уже не бдут бояться и пугаться и не будут теряться, говорят Господь. სომხ. և ո՛չ ևս երկիցեն, և ոչ ևս գարნიւրեսցին և ո՛չ Լիქին անուხս ասլ Կ՛ր.

ბერძ. καὶ οὐ φοβηθήσονται: καὶ οὐδὲ πτοηθήσονται. ნუცა იწიწვი (ეზექ. G, 3, 9). შღრ. IO: ნუცა შესძრწუნდებ; რუს. Не страш:сь. სომხ. մի' գանգիւլիցես. ზერძ. Իղձն արօդի'ք

<sup>15</sup> ა. შანიძე, ქვესურული მასალები, წელიწადული, თბ., 1922—24, № 1—2, გვ. 159.

<sup>16</sup> იქვე.

5. პირდაპირ ღრუბლისა ფიცილისა იწიწვის ყოველი შფრინველი (A—1115, 117r, 29). ყოველივე შიშით და ძრწოლით ერჩდეს და მსახურებდეს მას; და მათ თანა თვთ ეპისკოპოსთა ეშიშოდა და ეწიწვოდა მას (თეოფ. ევ. ცხ., 267,25).

საილუსტრაციო მასალიდან და იწიწვის უცხოური შესატყვისებიდან ცხადად ჩანს, რომ წიწ ძირთან დაკავშირებულია შიშის, ძრწოლის მნიშვნელობა. ასე ესმის ეს სიტყვა საბასაც: იწიწვი — მოწიწვით ხარ, — განმარტავს იგი და იმოწმებს ეზეკიელის ზემომოყვანილ ადგილს. მოწიწვება კი საბასეული გაგებით დიდი მოშიშებაა<sup>17</sup>.

წიწ ძირი ი/ე პრეფიქსებით გვხვდება მოგვიანო ხანის (XVIII ს.) ძეგლებშიც:

არ ძალშიც ვიშიშე, ვიწიწვი (არჩ., I, 265,4). დია რამ თუ ეიწიწვოდეთ (არჩ., I, 20,4). იწიწვოდა იესუსგან (საბა, III, 201,17). სულნი შენგან იწიწვიან (საბა, II, 172,3).

საბას ნაწარმოებებში შეგვხვდა ენიანი ენებითის ზმნისწინიანი ფორმები:

გლახანი მოგეწიწვიან (საბა, III, 98,8). მერჲ მას შეაჰირეებენ, ეინც შიშით მოეწიწვიან (საბა, II, 107,28).

იწიწვის, ძველი ქართულის თვალსაზრისით, იშიშვის ტიპის ზმნათარიგში დგება. შეიძლება ფუძე აღვადგინოთ: \*წიწ-ავ, \*იწიწ-ავ-ის — იწიწვიან.

ძველ ქართულსვე შემოუნახავს წიწ-იდან ნაწარმოები ატრიბუტივი წიწნეული, ამ უკანასკნელისაგან მომდინარე ზმნური სახელი — წიწნეულობა და მისი პირიანი ფორმები:

სიზრავლითა გულსწყრომისაჲთა წიწნეულ იქმნეს (ესაია, 31,4). წიწნეულ იქმნენ მბრძოლნი შენი თემანით გამონი (აბღია, 1,9). სააკებამან მქეტამან წიწნეულ გოს (ამბაჲუმ, 2,17). არა წიწნეულად შჲამდე პურსა შენსა (2 შჲ., 8,9). ხოლო განვიდოდა ბარბაროსია იგი... ჩუეულებითისა თაქეღობისაგან არცა თვთ მის სულსა ზღუევისაოვს წიწნეული (ორენტ., 314,17). არა ზესაჯარადარეულობისა ძლით... არცა შიშისა და წიწნეულობისათჳს შეუძინების დასასრულსა კანონისასა განჩინებაჲ (კან. მეთოც., 107,8). უკუეთუ სწიწნეულობდეთ, არა სინაეს სულსა ჩემსა... (ამბაჲუმ, 2,4). დაიძინებდა და ცრემლოდა მწუხარე და წიწნეულობდა (დიოს. 179,25). სამინელსა კამლოთასა განხსნად წიწნეულობდა (დას. საქ. საეკლ. საბ., I, 132,25).

მე-10 საუკუნის ერთ-ერთ ხელნაწერში შეგვხვდა უწიწველ ფორმა:

და ამხილებდა მას მხილებითა უწიწველითა თვალ-უხუავად (P, 15,15a—1b).

მაშასადამე, თუ გავითვალისწინებთ ძველი ქართულისა და ხევსურულის მონაცემებს, წიწ ძირი ფორმატვალების თვალსაზრისით საკმაოდ მოქნილი ჩანს; გვაქვს ი/ე თავსართიანი და ღონით ნაწარმოები ენებითის ფორმები — იწიწვის, ეწიწვოდა, აწიწდეს, ზმნისწინიანი — მოეწიწვიან, სახელეები — წიწვი, წიწნეული, წიწნეულობა, უწიწველი.

<sup>17</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1966.



თანამედროვე სალიტერატურო ქართულს წიწვი ძირიდან ნაწარმოები ზმნური ფორმები არ შემორჩენია. ჩვენი აზრით, ეს ძირი მცირეოდენი სემანტიკური მოდიფიკაციით გარჩენილია გავრცელებულ აბსტრაქტულ სახელში მოწიწება<sup>18</sup> (მორიდება, მოკრძალება)<sup>19</sup>. შიში რილის, კრძალვის ერთ-ერთი წამყვანი კომპონენტია, ამდენად სავესებით ბუნებრივია, მოწიწების აღმნიშვნელი სახელი მოკრძალების, მორიდების შინაარსით აღჭურვილიყო. კონკრეტულად საქმე გვაქვს სიტყვის მნიშვნელობის დავიწროებასთან, რომლის ხარჯზე სიტყვის სემანტიკურ ველში შემოსულია ახალი შინაარსი. საბასთან მოწიწება ძველი შინაარსის მომცველია (დიდი მოწიწება). ამ გაგებით გვხვდება იგი ბევრ ძველ ძეგლში, თუმცა ზოგჯერ ახალი შინაარსიც არ არის უცხო ძველი ტექსტებისათვის.

### შემოკლებათა და დათავიშულ ნიშანთა განმარტება

- ა ბ დ ი ა — წინაწარმეტყუელებამ აბლიამსი: ბიბლა, მოსკოვი, 1743.  
 ა მ ბ ა კ ე შ — წინაწარმეტყუელებამ ამბაკუმსი, ბიბლა, მოსკოვი, 1743.  
 ა ს უ რ. მ ო ლ. — ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკლეულია და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1955.  
 ა რ ჩ. I — არჩილიანი, ტ. 1, თბ., 1936.  
 და ე. ტ ი რ ი ჰ. — წმიდათა ყრმათა ორთა მშათა დავითისი და ტირიჭანისი საკითხავი: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი 1 (V—X სს.), თბ., 1963.  
 და ს. სა ქ. სა ე კ ლ სა ბ. 1 — საარგის კაპაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. 1, ტფ., 1921.  
 დ ი ო ს — ცხოვრება და მოქალაქობამ წმიდისა მამისა ჩუენისა დიოდასი: კ. კეკელიძე, ტიპოგრაფიული ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, თბ., 1960.  
 ე ზ ე ე. — წინაწარმეტყუელებამ ეზეციელისი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თ. ციტიშვილი: საღისერტაციო შრომა (ხელნაწ.), წ. 2, თბ., 1970.  
 ე ს ა ი ა — წინაწარმეტყუელებამ ესაიასი: ბიბლია, მოსკოვი, 1743.  
 ე ქ უ ს. დ ლ. — უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის ექუსთა დღეთაჲსა და გრიგოლ ზოსიმეს თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს“, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1964.  
 თ ე ო ფ. ე კ ო ნ. ც ხ. — თეოფილე ეკონომის ცხოვრება აღწერა: ილ. ევტიქიანოსის შიგრი: კ. კეკელიძე, ეტიუდები..., VI, 1960.  
 ი ე რ. — წინაწარმეტყუელებამ იერემიასი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა კ. დანელიამ: საღისერტაციო შრომა (ხელნაწ.), წ. 2, თბ., 1965.  
 კ ა ნ. შ ე ა თ ც ხ. — კანონი მეთცხარამეტე დანგრას შეკუბულთა წმიდათა მამათა: კ. კეკელიძე, ეტიუდები..., IX, თბ., 1963.  
 ო რ ე ნ ტ. — ორენტიოსისა და მშათა მისთა მარტვლობა: კ. კეკელიძე, ეტიუდები..., IV, თბ., 1957.  
 პ ა რ ხ. მ რ ა ე. — პარხლის მრავალთავი (X ს.), ხელნ. A—25.  
 რ უ ს. — რუსედანიანი, ილია აბულაძისა და ივანე გიგინიშვილის რედაქციით, თბ., 1948.  
 ს ა ბ ა II<sub>2</sub> — სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. II<sub>2</sub>, აღ. ბარამიძისა და ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1962.  
 ს ა ბ ა III — სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. III, ივ. ლოლაშვილის რედაქციით, თბ., 1963.

<sup>18</sup> შდრ.: „მოწიწებით 34,2 [—\*მოძიწებით; შდრ. ძწოლა, ძ(ა)წოლა]“. ა. შანიძე, ლექსიკონი, რომელიც დართული აქვს გამოცემას: გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრება იოანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად დაამზადა ივ. ჭავჭავაძის მიერ, თბ., 1946, გვ. 118.

<sup>19</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, V, თბ., 1958.

- ს. ი. ნ. შრავ. — სინური მრავალთაჲ 864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, წინასტყუაობითა და გამოკვლევით, თბ., 1959.
- შაჰნაეზ. — ფეშანგი, შაჰნაეზიანი, გიორგი ლეონიძისა და სოლ. იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1935.
- 2 მჭ. — წიგნი მეხუთე მეორე შჭლსა: ბიბლია, მოსკოვი, 1743.
- A—95 — პარხლის მრავალთაჲს ხელნაწერი (X ს.).
- A—1115 — ეფრემ ასურის ასკეტიკონის ეფრემ შტირისეული თარგმანის ხელნაწერი (XII ს.).
- G — გელათური ბიბლიის ხელნაწერი A—1108 (XII—XIII სს.).
- I — წინასწარმეტყველთა წიგნების იერუსალიმური ხელნაწერი Ier—7,11 (XI ს.).
- O — ოშკური ბიბლიის ხელნაწერი 978 წლისა.
- P — იოანე-ზოსიმეს კიშნების ნუსხა (X ს.), დაცულია პრინსტონის უნივერსიტეტში (აშშ):  
Hymns in Georgian Garrett. mss. № 24. ესარგებლობდით ხელნაწერის ფოტოპირით, რომელიც ინახება ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში.
- ბიბლიური ტექსტების რუსული და უცხო საილუსტრაციო მასალა მოგვყავს შემდეგი გამოცემებიდან:
- რუსული — Толковая Библия проф. А. П. Лопухина т. 6, СПб., 1914.
- ბერძნული — Vetus Testamentum graecum juxta septuaginta interpretes, Parisis, 1882.
- სომხური — სომხური ბიბლიის ზოგრაბის გამოცემა, ვენეცია, 1805.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ)

ფიქრის მაკლასიფიკაცია

უცნობი სტრუქტურისა და სემანტიკის მქონე ტოპონიმები

არაგვის ხეობის ფშავის ტოპონიმიაში გეოგრაფიულ სახელთა ორი ჯგუფი გამოიყოფა: 1. ქართულ ნიადაგზე ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები, რომელნიც, თავის მხრივ, სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ა. ტოპონიმები, რომელთა სემანტიკა და სტრუქტურა ნათელია; ბ. ქართული სტრუქტურის მქონე ტოპონიმები — მსაზღვრელ-საზღვრულიანი კომპოზიტები — რომელთა მსაზღვრელის სემანტიკა სადღესოდ უცნობია; გ. ერთი შეხედვით უცნობი სტრუქტურის ან სემანტიკის მქონე ტოპონიმები, რომელთა ეტიმოლოგიაზე, ფორმის ან მნიშვნელობის ახსნა ისევე ქართული ენის მონაცემებით ხერხდება; 2. უცნობი სტრუქტურისა და სემანტიკის მქონე ტოპონიმები, რომელთა ნაწილი, მართალია, გარკვეულ სტრუქტურულ ტიპოლოგიას ქმნის, მაგრამ ჭერ-ჭერობით ჭირს მათი რომელიმე კონკრეტული ენის მონაცემებით ახსნა.

წინამდებარე სტატიაში შევეხებით ტოპონიმთა უკანასკნელ ჯგუფს. ეს ტოპონიმებია: ათხალი, აკამათი, ამილი, არახიჭა, არბაჩხანი<sup>1</sup>, ასთაჯო, ასიახი, ატბო//ატბუ, ატნიგა, აფრალი, აფშო, აფხუშო, აყადო, აწიგა, აჭკარა, ბაგოჩა-რა, ბასი, ბაჩალი, ბაჟყატელო, ბაჟყატეშა, ბახია, ბედე, ბეცე, ბიწონი, ბოწახი, ბუსთარა, ბუქლო, ბუცხი//ბუცხო<sup>2</sup>, ბუჟყინტა, ბლოშა, გარდიქალე, გარძელო, გმიარლო, გომეწარი, გოქცი, გუდარახი, გუდრუხი, გუშლოგა, დამასტე, დალაღე<sup>3</sup>, დობჩხა, დოწია, ეგნაყე, ვარაქალი, ვარე, ვება, ზიქაო, თაქვალი, თურციე, იდოგი, ინო, კადაჩალი, კანატია, კარატე, კარახტინი, კიტოხი, ლაფოგა, ლაქჩე, ლახატო, ლემოში, ლიწკრო, ლოგანგა, მათხარა, მამაო, მარიანგა//მარიანგი, მასთალა, შალაჩი, მაშარა, მაშალო, მაწალიცა, მაქარალი, მიჩხი, მიწრალი, მუქო//მუქუ, ნაცარბეტა<sup>4</sup>, ნეძიხი, ნინამაჟა, ნინაქნი, ნისტყუ, ნიყა, ნიჯოხი, ოშანა, პანახი, სიღლო, ტალიშა<sup>5</sup>, ტარხუტი, ტილავეტა, ტიტყა, ტორი, ფახალი, ფიცარუვა, ფშარაო//ფშარაუ, ქაგარა, ქალილო<sup>6</sup>, ქამაქა, ქინო, ქმოლი,

1 ხალხური ეტიმოლოგიით, არბაჩხანი — აბეჩხარი, ფშ. აბეჩხარი — უნა-ყოფო, ხმელი მიწა.

2 პარალელურ ფორმათაგან ბუცხო ჩანს პირველადი, რაც დასტურდება მეორადი ტოპონიმის მიხედვით: ბუცხოკალა.

3 ხალხური ეტიმოლოგიით, დალაღე შეედან ადგილია, დიდ საქანურ ადგილ იყო, იმადა ქვიან დალაღე. ამ ვაგებით, დალაღე მეორე პირია ბრძანებულის ფორმა უნდა იყოს, მაგრამ საერთოდ ფშავურ ტოპონიმიაში არ დასტურდება ზმნური ფორმების გამოყენება გეოგრაფიულ სახელებად.

4 შდრ. ტოპონიმები: ტილავეტა და ეეტა.  
5 შდრ. ჭაუახეთის ტოპონიმები: ტალიშო//ტალიოში, წარმოების მხრივ: დადაშო.  
6. ქავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 56.

6 ამ ტოპონიმის ორგვარი ხალხური ეტიმოლოგია არსებობს: 1. ქალილო — ქალიელა (ფშ. ქალიელი — ქალის საყუთარი სახელი), 2. ქალილო — ქვალილა, შდრ. ლილა — შლაში, წვრილი სილა (ქ. ნოღაიდელი, აჭარული კილოს თავისებურებანი, საქანდ. დისტრუქცია, მანქანზე ნაბეჭდი).

ქუთხი, ქუჩაბახა//ქუჩაბახი, ღივდაშე, ღიმშალა, ღონიშო, ღოშა, ღუდალა, შა-ტუ, შიშარა, ჩიკორკა, ცონა, წაწადა//წაწადო, წერათო, წიკო, ქანიშო, ქაფნა-გა, ქეშე, კიდალი, კიჩო, კოკოხი, ხარმახანი, ხარტიშო, ხასტოში, გაქო//ხაქუ<sup>7</sup>, ხაქუშლო, ხაცანი, ხიმშე<sup>8</sup>, ხურაგო//ხურაკო, კათა, კელამათა, კოდა, კოლგა, კოშარა, კოშბო//კოშბო, ჭლორალი.

ზოგ შემთხვევაში თითქოს შეუძლებელი არ ჩანს მათი ქართულ ნიადაგ-ზე გააზრება<sup>9</sup>, ეს ტოპონიმებია (ტოპონიმთა სავარაუდო ეტიმოლოგიისაგან სა-თანადო მასალის სიმცირის გამო თავს ვიკავებთ): არიმნი, აქრეშონი, აყუდა, ახუნი, აჟადი, ბარბარე, ბეტიჩილილი//მეტიჩილილი, ბოთანა. გველამართლე, ელია, თაყანთი, თრიალეთი, კვირია, მზილა, მზირალა, მისელები, ნაყილი, ოდო-ბანი, ოთხა, სამცირაო<sup>10</sup>, სანება, ჟადა, წერაქუა<sup>9</sup>, წერახუა, ხაფხაღუა.

უცნობი ტოპონიმები (სულ 157 ტოპონიმი) საერთო რაოდენობის (3400) 4,4%-ს შეადგენს (იხ. დანართი I). აღსანიშნავია, რომ უცნობი ტოპონიმების

დანართი 1

ქართულ ნიადაგზე ნაწარმოები გეოგრაფიული სახელების უცნობი სტრუქტურისა და სემანტიკის ტოპონიმებთან რაოდენობრივი შეფარდების სქემა:

№№	ტოპონიმთა წარმოშობა	ტოპონიმთა რაოდენობა:	%
1.	ქართულ ნიადაგზე ნაწარმოები ტოპონიმები	3243	95,37
2.	უცნობი სტრუქტურისა და სემანტიკის ტოპონიმები	157	4,4
სულ		3400	100%

შედარებითი სიკვარბე შეინიშნება არაგვის ხეობის აყოლებით ჩრდილოეთისაკენ; მდაროსკარისა და უინვალის სასოფლო საბჭოში ძირითადად უცნობი სტრუქტურისა და სემანტიკისა მკეროტოპონიმია (სოფლისა და სოფლებში შემავალი მცირე სოფელთა, ანუ უბანთა სახელები), მკეროტოპონიმია თითქმის სულ მთლიანად ქართულ ნიადაგზეა. ნაწარმოები (იხ. დანართი II), სემანტიკურად და სტრუქტურულადაც (ან ყოველ შემთხვევაში, სტრუქტურულად მაინც) გამჭვირვალეა.

მთის კილოთა ტოპონიმის, მათ შორის ფშურის, ნახურ ენათა მონაცემების მიხედვით ახსნა სცადა თ. უთურგაიძემ: „მთის კილოების ნახურთან შერევის გამოვლენისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივიანიკოთ გეოგრაფიულ სახელებს ქართული ენის მთის კილოთა გავრცელების არეალში.“

7 ტოპონიმი ხაქო//ხაქუ უნდა მოდიოდეს ხაქოლ ფორმისაგან, რასაც ნეორაღ: ტოპონიმი ხაქონგორი (— ხაქოლგორი) ვეფხეკრებიანებს. ამ აზრს მხარს უჭერს ტოპონიმ ხაქო//ხაქუ-ს ხალხური ეტიმოლოგია: აქ ბევრი ხაქოლია (ხაქოლი — ერთგვარი მცენარე, ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, 1961), სახელიც იმიტომ დაეტქვა ადგილსა.

8 შდრ. თუშურში „გვაქვს არაქართულ ნაცვალსახელდართული სახელები: ხიშმეუ (ხი — წყალი, მუ — ესე)“; პ. ხუბუტიანი, თუშური კილი, 1969, გვ. 48.

9 დასტურდება ორი არაქართული ტოპონიმური სახელწოდება (შირაქი და ყიზლარი), რომელნიც, როგორც აღნიშნავენ, მამულებზუთის დაუბრუნებელია პატრონს შირაქთან და ყიზლართან მსგავსების მიხედვით.

10 ეს გეოგრაფიული სახელი გვხვდება ტოპონიმ საცრეოს სინონიმურ სახელად.

მთის კილოთა გავრცელების ტერიტორიაზე ძირითადად ქართული წარმოშობის გეოგრაფიული სახელები გვხვდება, მაგრამ საკმაო რაოდენობით ვხვდებით ისეთ ტოპონიმებსაც, რომელთა წარმომავლობისა და ეტიმოლოგიის გარკვევა ხერხდება მხოლოდ ნახური ენების მონაცემთა გათვალისწინებით. ინტენსიური ურთიერთობის დროს გამოირიცხული არ არის ენობრივი კალკები ტოპონიმიაშიც...

ცალკეული ეტიმოლოგიების გვერდით შესაძლებელი ხდება გეოგრაფიულ სახელთა ნახური მაწარმოებლების მთელი სისტემის გამოვლენა<sup>11</sup>.

ამგვარ მაწარმოებლებად თ. უთურგაიძე მიიჩნევს: -ლო, -გო<sup>12</sup>, -ჩო და-ბოლოებებს, რომელიც ნახურში სახელებს უჩნდებათ ადგილობით ბრუნვებში, ე. წ. ლოკატივებში. ამ სუფიქსებს უნდა ჰქონოდათ ლოკატივის ჰი ნიშანი; მათე, ტე, ეხ დაბოლოებებს, რომელიც დღესაც დამოუკიდებელ სიტყვებად გვევლინებიან ნახურ ენებში; შო სუფიქსს, რომელიც პირველი პირის ნაცვალსახელ სო-ს ვარიანტი ჩანს და „... ზმნებთან სააქაო ორიენტაციაზე მიუთითებს, ხოლო როგორც ზმნიზედა უღრის აქეთ, გამოღმა ქართულ ზმნიზედებს. ლოკატივის ჰი თავდაპირველად აქაც ივარაუდება“<sup>13</sup>.

ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებულ უცნობ ტოპონიმებში მარჯლაც შეიძლება ყველა ამ დაბოლოების გამოყოფა, თუ ამის შესაძლებლობას ფუძე მოგვეცემს, ე. ი. თუ ნაწილ ტოპონიმთან მაინც მოხერხდება ფონეტიკური ტრანსფორმაციის გამოირიცხვა და ფუძის სემანტიკის გარკვევა.

ნახურ წარმოშობისად მიაჩნიათ ხევესურულ ტოპონიმიაში გამოვლენილი -ლა სუფიქსი დ. იმნაიშვილსა და თ. უთურგაიძეს<sup>14</sup>. იგი ქისტურში მიმართულების აღმნიშვნელი თანდებული უნდა იყოს წარმოშობითო. თუ ფშაურ ტოპონიმიაში ნახურ ორიენტაციას გავიზიარებდით, შეიძლებოდა -ლა სუფიქსის ვარიანტად მიგვეჩნია ფშავის ტოპონიმებში -ლო დაბოლოება: აფრალი, გმირალი, მაშალო (შდრ. მაშარა), მიწრალი, სიღლო.

როგორც ზემოთყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ფშაურ ტოპონიმებში ხ (სხვადასხვა ხმოვანი თანხლებით ხ თანხმოვნიანი დაბოლოებანი) გამოდის ბოლოკიდურ პოზიციაში, რომელიც თ. უთურგაიძეს მიაჩნია ჰი ე ხ („ნახურ ენებში ჰი ეხ ნიშნავს გამოქვაბულს“<sup>15</sup>) სიტყვისაგან მომდინარე.

სანამ თითოეული ტოპონიმის ეტიმოლოგია არ გარკვევა, ასეთივე უფლებით შეიძლებოდა გვემტკიცებინა, რომ ტოპონიმებში (კიტხი, კინწუხი, ბუტხი, ნეძიხი, გუდრუხი...) უნდა გამოვეყოთ -ხ(ი), რომელიც შეიძლებოდა მიგვეჩნია წყლის, მდინარის სახელად, შდრ. „... ლიახუ შეიძლება დავშალოთ ასე: ლია—ლუო (ლოა—თოვლი) და ხუ—ხი (წყალი), რასაც ექნება მნიშვნელობა თოვლის-წყალი (მდინარე) ან თოვლ-წყალი. ჩაჩნურ (ნახურ) ენებში მსგავსი კონსტრუქციის მდინარის სახელები ხშირია: ბალხი (თეთრი-წყალი),

11 თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, 1966, გვ. 88—89.

12 ჩვენ ფშავის ტოპონიმიაში ტოპონიმ ხურაგო // ხურაკოს გარდა სხვაგან ვერ დავდასტურეთ -გო ტოპოდაბოლოების ხმარებას შემთხვევა, ჩვეულებრივია -გა დაბოლოება. შდრ. მარიანგა // მარიანგო, თ. უთურგაიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

13 თ. უთურგაიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

14 იხ. დ. იმნაიშვილი, ქართული ენიდან სიტყვათა სესხების კანონზომიერებისა-ეისი პანკისის ქისტურში; ივე, XI, 1959, გვ. 245 (იხ. შენიშვნა სქოლიოში); თ. უთურგაიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 99—100.

15 თ. უთურგაიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 96.



სამამულო ტოპონიმიკურ ლიტერატურაში ფართო გასაქანი აქვს ტოპონიმთა კვლევას მათში კანონზომიერად გამოვრებადი მსგავსი ელემენტების მიხედვით<sup>21</sup>.

საზოგადოდ, რა თქმა უნდა, შესაძლებელია მსგავსი შეთოდით ვიკლიოთ გეოგრაფიული სახელები საერთოდ და კერძო შემთხვევაში — ფშავის ტოპონიმია, რომლის უცნობი სტრუქტურისა და სემანტიკის მქონე გეოგრაფიული სახელების ნაწილი სისტემას ქმნის გარკვეულ გამოვრებად ელემენტებს გამოგვაყოფინებს ურთიერთშეპირისპირების წყალობით, ამ ელემენტებს პირობითად შეიძლება ტოპოდაბოლოებანი ვუწოდოთ, ასეთი ტოპოდაბოლოებებია:

- გა: ატნიგა, აწიგა, გუშლოგა, ლაფოგა, მარიანგა||მარიანგი.
- ლო: ბაქყატელო, ბუქალო, გარძელო, ქალილო, ხაქუშლო.
- რა: აქკარა, ბაგოჩარა, ბუსთარა, მათხარა, მაშარა<sup>22</sup>.
- ლო: აფრადო, გმირადო, მაშადო, მიწრადო, სიდლო.
- შა: ბაქყატეშა<sup>23</sup>, ბლოშა, ტალიშა.
- შო: აფშო, აფხუშო, ღონიშო, ქანიშო, ხარტიშო.
- ხ(ი): ასიანი, ბოწანი, ბუცხი, გუდარანი, გუდრუხი, კიტოხი, ნეძიხი, ნიგოხი, პანანი, ქუთხი, ქუჩაბანი||ქუჩაბანი, კოკოხი.

შეიძლებადა სხვა დაბოლოებანიც გამოგვეყო, მაგ., -ტე (დამსტე, კარატე...) და სხვა.

თუ დავეყვირდებით ამ ტოპოდაბოლოებათა ტერიტორიულ განაწილებას (იხ. დანართი III), საინტერესო სურათს ვნახავთ: ჩვენ მიერ გამოყოფილი შეიდივე ტოპოდაბოლოება მხოლოდ უკანაფშავის სასოფლო საბჭოში დასტურდება; -ხ(ი) და -შო დაბოლოებათა არეალი მთელ ფშავს მოიცავს (მხოლოდ ეს ორი ტოპოდაბოლოებაა ყველაზე სამხრეთ ნაწილში — ეჩივალის სასოფლო საბჭოში; მღაროსკარის სასოფლო საბჭოში დამატებით გვხვდება -ლო). თვით უკანაფშავის სასოფლო საბჭოს სოფლებში ამ ტოპოდაბოლოებათა ტერიტორიულ განაწილებასთან გვაქვს საქმე, კერძოდ, -გა და -ლა გვხვდება მხოლოდ გარკვეულ, ჩრდილოეთით მდებარე სოფლებში, რომელნიც არაგვის მარჯვენა ნაპირის მთებზე არიან შეფენილი (თვეისთვად ის ფაქტი, რომ უცნობი სტრუქტურისა და სემანტიკის გეოგრაფიული სახელები ძირითადად მკროტოპონიმიში გვხვდება (იხ. დანართი II), ექვს ბადებს, ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ არაგვის ხეობის ფშავის ტერიტორია ძველად, დროის გარკვეულ მონაკვეთში, რომელიმე არაქართული, შესაძლოა, ნახური ტომით იყო დასახლებული).

უცხო ტოპონიმთა კვლევამ ამ და სხვა მრავალი კუთხით მოსალოდნელია, ბევრი საინტერესო საკითხი გამოავლინოს<sup>24</sup>, ოღონდ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებანი:

<sup>21</sup> იხ. Б. А. Серебряников. О методах изучения топонимических названий. Вопросы языкознания. 1959. № 6. გვ. 35—50; А. К. Матвеев. Методы изучения топонимии субстратного происхождения. Всесоюзная конференция по топонимике СССР, 28 января—2 февраля 1965 г. Тезисы докладов и сообщений. Л., 1965, стр. 12; В. А. Никонов, Язык не известен. Топонимика Востока, М., 1969, стр. 18—35 и др.

<sup>22</sup> შდრ. მაშადო.

<sup>23</sup> შდრ. ბაქყატელო.

<sup>24</sup> საინტერესოა ნ. ბერძენიშვილის შენიშვნა ტერმან „წუნდა“-სთან დაკავშირებით: ტერმან „წუნდა“-ს პარალელები ქაჯახეთის სწორედ ამ ადგილებში (სულდა, ჟოლა, გულსუნდა).

1. წერილობით წყაროებში ფშაკის ტოპონიმთა შესახებ ცნობათა უქონლობის გამო მოკლებული ვართ შესაძლებლობას თვალი ვადევნოთ ტოპონიმთა ფორმაცვლას დიაქრონიულ კრილში. ტოპონიმთა სანდო კვლევა კი მხოლოდ ფაქტობრივი მასალის ფართო ისტორიულ ასპექტში განხილვისას არის შესაძლებელი.

2. არ უნდა გამოირიცხოს იმის შესაძლებლობა, რომ ერთი შეხედვით უცნობი სტრუქტურისა და სემანტიკის ტოპონიმები ქართული წარმოშობისაა, ოღონდ დროთა განმავლობაში ისე არიან ფონეტიკურად ტრანსფორმირებული, რომ მოჩვენებით ურთიერთმსგავსებას გვიჩვენებენ, სინაპლილეში კი სულ სხვადასხვა სისტემის სახელებია ან შეიძლება ლექსიკური ერთეული, რომელიც ტოპონიმშია დაცული, ენას აღარ შემორჩა, დაიკარგა.

3. ამ რიგის ზოგ ტოპონიმს შესაძლებელია ახსნა დაეძნებოს ქართველურ ენათა (ქართულის, მეგრულ-ჭანურის ან სვანურის) მონაცემებით.

4. ზოგი სუფიქსი, ადვილი მოსალოდნელია, ძველი, ქართველური სუფიქსია, რომლის კვალი მხოლოდ ტოპონიმიაში ჩანს, ან შესაძლებელია მომდინარეობს საზღვრულად გამოყენებული რომელიმე სიტყვისაგან.

ამდენად მიგვაჩნია, რომ უცნობ ტოპონიმთა ანალიზი სადღეისოდ მეტწილად ნაადრევი და პრობლემატურია. მსგავს ტოპონიმთა ახსნა მომავლის საქმეა.

ქართულ ნიადაგზე სიტყვათშეერთებით ნაწარმოები რიგი ტოპონიმის შემადგენლობაშიც ვხვდებით აგრეთვე უცნობი სემანტიკის მქონე მსაზღვრელს ან საზღვრულს.

ყურადღებას იქცევს ერთი საინტერესო გარემოება: უცნობი სემანტიკის მსაზღვრელი, რომელიც ტოპონიმის შემადგენლობაში გამოიყოფა, შეიძლება იყოს ან დამოუკიდებლად არსებული ტოპონიმი, მაგ.: აკამათისთავი, ამილისხეობა, არახიჯისანიო, აფრადოსწყარო... (შდრ. დამოუკიდებელი ტოპონიმები: აკამათი, ამილი, არახიჯა, აფრადო...), ან სხვა, სადღეისოდ უცნობი სიტყვა, მაგ.: ბასხაჭურთმთა, ოთროტგორი, ბედაჭევა, ქაფოჭევა... (ბასხაჭური, ოთროკი, ბედა, ქაფო — ამ სიტყვების მნიშვნელობა უცნობია); ხოლო საზღვრულის სემანტიკა მხოლოდ და მხოლოდ მიშინ არის უცნობი, როცა საზღვრულად დამოუკიდებლად არსებული ტოპონიმი გამოიყენება, მაგ. ბატარაბოჩაჭადი, დიდფშარაო, ზენალაბუჯი, უკანაფშავი... (შდრ. ტოპონიმები: ბოჩაჭადი, ფშარაო, ლაბუჯი, ფშავი...).

თუ აღნიშნული ფაქტი შემთხვევითი არ არის, ის საინტერესოა ინდიკატორთა სემანტიკისა და, კერძოდ, ტოპონიმებში სემანტიკური მახვილის თვალსაზრისით.

კუმურდო, დასუნდა, ქილდა) უნდა მოწმობდეს უძველესი მოსახლეობის გარკვეულ ფენაზე; ხოლო ამისივე პარალელები საქართველოს სხვა კუთხეებში ამ ფენის კვალი და შეიძლება მის მოძრაობაზეც მივითითებდეს". ნ. ბერძენიშვილი, ქაეახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური (საანგარიშო მოხსენება), საქართველოს ისტორიის საკითხები, I, 1954, გვ. 127. შდრ. ფშავის ტოპონიმები: ქადა, ქილა...

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
წევრ-კორესპონდენტმა შ. ჯიბაგურმა)



ინანო ქავთარაძე

აღწერიითი მყოფალი და ნამყოფი ერთი სახეობა  
ქველ ქართულში

1. ზოგიერთი გრამატიკული კატეგორიის საწარმოებლად აღწერათს ფორმებს ძველი ქართული ზმნის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. რიგ შემთხვევაში იგი უძველესი სისტემის გადმონაშთია (მოსლვად არს...), ხოლო ცალკეული ფორმები (ნათელ-სცა...) უდავოდ ძველი ქართულის ინოვაციებს წარმოადგენს<sup>1</sup>.

როგორც ცნობილია, მყოფალი ანუ მომავალი დრო ძველ ქართულში სხვაგვარად იწარმოებოდა, ვიდრე ახალ ქართულში: მყოფადს გადმოსცემდა, ერთი იხრივ, I ან II კავშირებითს ფორმა: „სადაცა სიწმიდემან შენმან ინებოს, მონასტრად აღვაშენო ადგილი იგი“ (ხანძთ. კ 38) — სადაც შენი სიწმიდღე ინებებეს, ავაშენებ მონასტრად იმ ადგილს.

IX—X სს ძეგლებში შეიმჩნევა მყოფალის ახალი ქართულისებური (ზმნისწინდართული აწმყოს ფუძე) გამოხატვის ერთეული შემთხვევები (მღრ. „ნუ დამივიწყებ ჩუენ, ადგილისა შენისა წმიდისა მკვდრთა და ნერგთა ნადლისა შენისათა“. და მან ჰრქუა მათ: „ქელთა ღმრთისათა შეეჰვედრებ სულსა ჩემსა და ქელთა თქუენტა ჯორცთა ჩემთა. ხოლო ნებითა ღმრთისაჲთა ერთად იყოს სიხარული ჩუენი საუკუნოდ“ (TP, VII, ხანძთ. 8, 10), თუმცა ახალი სისტემა თანდათან ვრცელდება XI—XII სს-ში და საყოველთაოდ მკვიდრდება XVI საუკუნიდან<sup>2</sup>.

მეორე მხრივ, მყოფალის გადმოსაცემად ქველ ქართულში ერთ-ერთი საკმაოდ გავრცელებული საშუალება იყო ზმნური მნიშვნელობის მქონე აღწერიითი ფორმები: სახელზმნის (მასდარის) მიმართულებითი ბრუნვის გაყინულ ფორმას, რომელიც ინფინიტივის დანიშნულებით იხმარება ძველ ქართულში, მოსდევს რომელიმე დამხმარე ზმნა (უფრო ხშირად: ვარ, ხარ, არს) სათანადო პირში: გამოცხადებად არს — გამოცხადდება; გამოაცხადებს; მოსლვად არს — მოვა.

<sup>1</sup> ი. ქავთარაძე, ლექსები ზმნები ძველ ქართულში, საქანდიდატო დისერტაციას თეზისები, 1945, გვ. 2—5; მისივე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954, გვ. 18—19.

<sup>2</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, § 335, გვ. 276; М. В. Мирзашвили, Язык „Жития Григория Хандзтийского“ (грамматический обзор и словарь), автореферат. Тб., 1966, გვ. 31; ზ. კუშბურიძე, მყოფალის წარმოქმნის ისტორიისათვის ქართულში: ძველი ქართული ენის კათედრის შრ., 11, 1968, გვ. 55—76; მისივე, Будущее время в картвельских языках, автореферат. Тб., 1968.

ამგვარად, ქართულში ისტორიულად უნდა ვიგულისხმოთ ასეთი მონაცვლეობა: დაბადებად არს — დაიბადება, ისე როგორც შემდეგ ტექსტშია: არღარა დაებადა ღმერთსა სწორი ამისი, არცალა მგონიეს თუ დაბადებად არს (ისტორიანი და აზმანი, 81,9); შდრ.: სხუა არ დაბადებულა და არცალა დაიბადების (ვისრამიანი, 74,6).

ამ საკითხს ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ მარი ბროსემ, რომელსაც ყოფად არს, გამოჩინებად არს შედგენილ მყოფადად მიაჩნდა<sup>3</sup>.

პირველი ქართველი გრამატიკოსი კი, რომელმაც სწორად შენიშნა აღწერილობით ფორმათა საშუალებით მყოფადის გადმოცემის თავისებური მოდალური შინაარსი, იყო თედო ეორდანი. იგი წერდა: „ძველს მწერლობაში ზმნის-ზედითად დაბრუნებულნი სახელ-ზმნანი აღნიშნავენ აგრეთვე უუახლოვეს მომავალს დროსა, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს, მაგ. „სადა უკვე შობად არს ქრისტე“ (აღნიშნავს ახლო დროის შობასა, მოახლოებულს შემთხვევასა); „ხოლო იესო განსლვად იყო სამართად“ (ე. ი. მზად იყო წასასვლელად); ესე ყოფად არს“ (ე. ი. ეხლავე ანუ მალე უნდა მოხდეს); „ძე კაცისა მიცემად არს სიკვდილსა და დაფლვად და მესამესა დღესა აღდგომად“ (ე. ი. ყოველივე ესე დაუყოვნებლივ მოხდება)“<sup>4</sup>.

მართლაც, ძველი ქართული ტექსტის სხვადასხვა რედაქციისა და უცხო ენათა მონაცემების შედარება ნათელს ხდის, რომ მოსლვად არს ტიპის აღწერილობით ფორმებს შეესატყვისება მომავლის გამომხატველი კავშირებითი ან ჩვეულებრივი მყოფადი (ბერძნულისა, სომხურისა და რუსულისა). ოღონდ ამ აღწერითს გამოთქმებს ჰქონდა კატეგორიული, უახლოეს მომავალში აუცილებლად შესასრულებელი, სავალდებულო მოქმედების შინაარსი, ეს იყო ე. წ. ტერმინატიული მყოფადი: მოსლვად არს — აუცილებლად მოვა, მოსასვლელია, უნდა მოვიდეს:

მარქუ ჩუენ: ოდეს ყოფად არს ესე (C, მთ. 24,3);

შდრ. მითხარ ჩუენ: ოდეს იყოს ესე (DE, იქვე).

*Εὐχὴ ἴμιν, πότε εἰσὲν ἔσται.*

საა მხე: ს'ქ ქისქი აკი

Скажи нам, когда это будет?

ყოველნი დაბრკოლებად ხართ ჩემდა მოპართ (DE, მთ. 25,31);

შდრ. ყოველივე დაბრკოლდეთ ჩემდა მოპართ (C, იქვე).

*Πάντες ὑμεῖς οὐκ ἔσθε ἀποκρίσεις ἐν ἔμοι*

საჩნხქინ რიჲ ფაქოფიქიიგ ზე ქისქს

Все вы сообразны с о мие.

ელთა მოსლვად არს და ადგიდ-აგოს ყოველი (C, მთ. 17,11);

შდრ. ელთა მოვიდეს და კუალად აგოს ყოველი (DE, იქვე).

ნეჩაქი ნაქს აყოი ჭ ვაქ

Илиа должен прийти.

უუეთუმცა უწყოდა სახლისა უფალმან, რომელსა ეამა მპარავი მოსლვად არს, იღებდამცა და არა უტევა დათხრად გუერდი სახლისა თვისისა (DE, მთ. 24,43);

შდრ. უწყოდა თუმცა მამასახლრ[ს]მან, რომელსა ეამა მპარავი მივიდოდა, არამცა უფლო დათხრად სახლისა თვისისა (C, იქვე). გიძლავს სასუმელისა შესუმად, რომელ ჩემდა შესუმად არს... (C, მარკ. 10,39); შდრ. ძალ-გიცა სასუმელი შესუმად, რომელი მე შევესუა (DE, იქვე). ჭერ-უნ და სულსა და ჩუენცა არა

<sup>3</sup> M. Brossel. *Leart Libéral ou Grammaire Géorgienne*, Paris. 1834, გვ. 53.

<sup>4</sup> თ. ეორდანი, ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1889, გვ. 126, შდრ. გვ. 95.

უმეტესი რაჲმე ტვრთი დაღებად თქუნ ზედა (მოციქ., ა 15,28); შღრ. ჟერუნდა სულსა წმიდასა და ჩუენცა, რაჲთა არაჲა უნეტესი ტვრთი და ეღვეათ თქუნ ზედა (იქვე, ბ).

ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი კატეგორიულობას გასაძლიერებლად და განახლებად მასდარის მიმართულებითის ფორმას უძღვის ჟერარს და მისთანა (შეგვავეს, შეუენის, ჰგამს...) გამოთქმები: ჟერარს მოსლევად. ანალოგიური შინაარსის მქონე სიტყვები, ჩვეულებრივ, ძველ ბერძნულსა და სომხურ ტექსტებშიც დასტურდება:

მიცემაღ არს ძე კაცისაჲ კელთა კაცთასა (C, მთ. 17,22);  
 შღრ. ჟერარს მშ კაცისაჲ მიცემაღ პელთა კაცთასა (DE, იქვე).

*μέλλει ὁ υἱὸς τοῦ ἀνθρώπου παρῆλθῆναι εἰς χεῖρας ἀνθρώπων*  
 შანონციოგ ლიქი მარციოჲ 'ი ძლია მარციან  
 Сын человеческий предан будет в руки человеческие.

ძე კაცისაჲ ენებად არს მათგან (C, მთ. 17,12);  
 შღრ. ჟერარს ძისა კაცისაჲ ენებად მათგან (DE, იქვე).

*ὁ υἱὸς τοῦ ἀνθρώπου μέλλει παθεῖν ὅτι ἀνάδη.*

ლიქი მარციოჲ ჯარჯარხციოგ ლიქი ნიგანღ  
 Сын человеческий пострадает от них.

ელთა-ღა მოსულად არს პირველად? (C, მარტ. 9,11);

შღრ. ელიასა ჟერარს პირველად მოსლევად? (DE, იქვე).

*'Hλιον δεῖ ἔλθειν πρῶτον;*

ბიქს ნაქს ხხიოჲ ჯარჯარხხეღ გამანსან

Илион надлежит придти прежде?

ჟერარს ჰემღა აღსრულებად ყოველი სიმატლე (DE, მთ. 3,15);

შღრ. ესრე შეუენის ჩუენღა აღსრულებად ყოელსა სიმატლისა (C, იქვე).

*Πρέπον ἐστὶν ἡμῖν πληροῦσαι πάντων δικαιοσύνην.*

ქახეღ ლიქი ციოღ გამანსან არჯარციან.

Так надлежит нам исполнить всякую правду.

ჟერარს მისა გებად კერპთა (კომ. II, 113,15). სათნობანი მათნი... ჟერარიანი მითხრობად (ლომ. 1,18). ჟერარს მოქსენებად ჩუენღა (ლემ. 55,1).

ამგვარად, მიმართულებითბრუნვიანი მასდარისა (ინფინიტივისა) და დამნმარე ზმნით გამმოხატული შესიტყვების მომავლის გარკვეული მოდალური შინაარსით გაგება უდავოა. ძველი ქართულის ნათარგმნსა და ორიგენალურ ტექსტებში ამგვარი მავალითები მრავლადაა. სხვადასხვა ლექსიკურ-გრამატიკული მნიშვნელობის გადმოცემის თვალსაზრისით საინტერესოა ზოგი მათგანის პირის ფორმები. ყველაზე ხშირია დამხმარე ზმნა არს:

I 3. მეღა წარსლევად ვარ შემდგომად ათისა დღისა (კომ. II, 193,5). ესუათ და ევმოთ, რამეთუ ზვალე სიკუდილღ ვართ (სინ. 112,23). ვითარ ექუე ყოფად ვართ... მას ღლესა შინა საშინელსა (სწავლ. 14,12).

II 3. სულმან წმიდამან აღგებუნეს თქუნ... და აღწერად ხართ ერის კაცდ. ღლისა შეუფისა (სინ. 84,11). ჰხედვიღ შენ პირებსა მას საზარელთა... რომელთა თანა დამკვდრებად ხარ ხელე (სწავლ. 187,3). ზვალე მიცვალებად ხარ ეზოდ განსადელსა (იქვე, 184,25). არა უწყით, თუ ზვალემ(ღ) ცოცხალ ყოფად ხარ (იქვე, 3,16). კეისრისა წარდგომად ხარ შენ (მოციქ. 27,24). ღუაწლსა ღიღსა შესლევად ხარ, ღედოფლო (შუშანიკ. 8,11). ზვალე შენცა დასნეულებად ხარ (ს.-ს. ორბელიანი, თხზ. III, 126,6).

III 3. საღა ექუე ყოფად არს სამკვდრებელი... შენი? (სწავლ. 185,31). ეგეთნივე სატარველნი ყოფად არიან ცოდვილანი (იქვე, 129,31). კუალად განა-

ხლებად არს [მონასტერი]... კელითა საბანისითა (ხანძთ. იდ, 3). სახშ... გამოყო-  
დილსა კლდისასა დადებად არს (სინ. 164,27). სამ დღე-ღა და ნინევი დაქ-  
ცევად არს (სწავლ. 42,30). შემდგომად სამისა დღისა ნინევშ დაქცევად  
არს (სინ. 107,33). [უცხოელი] მოწვენად არს ჩემ ზედა (სწავლ. 185,21). ჩუენ  
ზედაცა მოწვენად არს დღე იგი საშინელი და ჩუენდაცა შესუმად არს  
სასუშელი იგი სიმწარისაჲ (იქვე, 222,19). არა ხოლო თუ ყრმაჲ მომპქუს, არამედ რო-  
მელი-იგი შობად არს (სინ. 26,31).

დამხმარე ზმნის როლს ამ კონტექსტში ასრულებს აგრეთვე უძს → || უც,  
უვის, დგას, რომელთა ტერმინატიული მნიშვნელობა მყოფადის წარ-  
მოებაში ექვეს არ იწვევს:

სიტყუაჲ მიცემად გიე ყოველთა საქმეთა შენათჱს (სწავლ. 133,23). სა-  
ყოფლად სუჟუნოდ დამკვდრებად გიე ზეაღე (სწავლ. 186,24). დამკვდრე-  
ბად გიე თქუნდ სრუფეველი ცათაჲ (იქვე, 232,34). შემოქმედი ყოველთა ტვრთ-  
ვად გიე (სინ. 9,5). მკეთათჱ შექმად უეი (ლიმ. 136,29). ამა ესერა ესე დგას  
დაცემად მრავალთა და აღდგინებად ისრაელსა შორის (სინ. 92,14). ვითარცა იყნა  
იგი, სიეტროლად დგა სირცხლისა მისგან (სწავლ. 292,34).

ცხადია, რომ შექმად უვის ნიშნავს შექამს, შესაქმელი ჰყავს; და-  
ცემად დგას — დაეცემა, თავს დაესხმის, დასაცემადა გამზადებული (შდრ.  
გაქცევაზეა, წაქცევაზეა...); დამკვდრებად გიე. — უნდა დაამკვიდრო,  
შენი დასამკვიდრებელია...

ყურადღებას იქცევს ინფინიტივისა და დამხმარე ზმნის სმარების ადგი-  
ლი, მათი თანამიმდევრობა: არს და ზოგი მისი მსგავსი ზმნა ძალიან ხშირად  
მოსდევს (გამონაკლისია: ესე არს დაცემად და აღდგომად და სასწაულად  
მრავალთა: სინ. 96,33). ხოლო ჯერ-არს, ჯერ-უჩნს ტიპისა უფრო ხში-  
რად უძღვის მასდარს.

მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამგვარი შესიტყვება ყოველთვის  
ზმნური დროის გაგებას როდი იძლევა, ზოგჯერ მიმართულებითა ბრუნვის  
ფორმა მნიშვნელობით ემთხვევა სახელობითს. ეს განსაკუთრებით ეხება ჯერ-  
არს გამოთქმის შემცველ შესიტყვებას: ჯერ-არს ყოფად და მისთანა  
ყოველთვის არაა მომავალი დროის გაგების მქონე. ალბათ ამითაც აიხსნება  
სახელობითის ფორმის ხმარება ამ შემთხვევაში: უკუეთუ ჯერ-არს კაცისა  
ჯანტევებაჲ ცოლისა თვისსაჲ (მთ. 19,3). სახელობითბრუნვიანი შესიტყვე-  
ბა დროის გაგებას ვერ იძლევა და არც ინმარება.

მიმართულებითბრუნვიანი მასდარის სახელობითის ფორმასთან მონაცე-  
ლეობა ისტორიული განვითარების ფაქტია, რომლის ჩანასახი ძველსავე ქარ-  
თულშია: კეისრისა წარდგომად ხარ შენ (მოციქ. ა, 27,24), შდრ. კეისრი-  
სა ჯერ არს შენდა წარდგომაჲ (იქვე, 2); ვითარცა ეგულებოდა მათ  
განსლვად (იქვე, ა, 13,42), შდრ. ვითარცა ეგულებოდა მათ განსლვაჲ  
(ბ). ასეთი ფაქტები უფრო და უფრო ძლიერდება და მკვიდრდება საშუალ ქარ-  
თულში და დაკავშირებულია დენინფინიტივიზაციის პროცესთან.

ერთგვარი სტილისტიკურ-მოდალური მნიშვნელობა აქვს არს ზმნის  
ადგილსაც: შეწვენად ხარ თუ სათანადო კონტექსტში ნიშნავს: შეეწვიე,  
დაეხმარები, — შებრუნებული რიგით თითქოს სხვა მნიშვნელობა უჩანს: შენ

თანა ვარ შეწევნად შენდა (ხანძთ. TP, ოგ, 21), ჩუენ თანა ხარ შეწევნად ჩუენდა (იქვე, ოგ, 3) — ეს უფრო მყოფალის დანიშნულების მიმღეობას ეტოლება (შესაწევად, შეწვევისათვის, შემწედ, დამხმარედ) და დროის გაგებას მოკლებულია.

2. მომავალი დროის გარკვეული მოდალური მნიშვნელობის გარდა, ინფინიტის ფორმასთან ნამყო დროის დამხმარე ზმნის ხმარება კონტექსტის შესაფერისად იძლევა წარსულის სათანადო ნაკეთის, კერძოდ, მეორე თურმეობითის ან კიდევ პირობითის (მყოფალისეული ნამყოს, ე. წ. „პირველი ხოლმეობითის“) დიფუზურ გაგებას. აქაც მასდარ-მეშველზმნიანი გამოთქმა ხასიათდება მეტი კატეგორიულობით, აუცილებლობით: მოსლევად იყო — უნდა მოსულიყო; შემთხუევად იყო — შეემთხვევოდა, უნდა შემთხვევოდა; ყოფად იყო — უნდა მომხდარიყო, უნდა ყოფილიყო, მოხდებოდა, იქნებოდა; მოსიკუდიდ იყო — მოკვდებოდა, უნდა მომკვდარიყო...

ფრიად ენებად იყო მღღელთმოდღარათავან (C, მთ. 16,21).

*πολλὰ παθεῖν διὸ τῷ περιστέρῳ*

ჩაფიძ ქარჯარანს ქარჯარქ 'ჩ რარანსაიუხოიხინ

იწყო მათა სიტყუად. რაჲ-იგი შემთხუევად იყო შერმე მისა (მრკ. 10,32).

*ἦψατο ἀντίς λέγειν ἐν μέλλουσα ἀντὶ συκοφάνειν*  
 სყაია ასხე ნოფა ფინჯ ანეფ ანენანსიეფ იხენ რნე ნა  
 განსლევად იყო იგი სამარიათ (DE, ო. 4,4).

*\*Ἰδοὺ δὲ ἀντὶ τὸ ἐρχεσθαι διὰ τῆς Σαμαρείας*

ქრნა ანენანსი რნე შამარია

რომელი მოღებად იყო შორწმუნეთა მათ მისა მიმართ (DE, ო. 7,39).

*ὅς ἐμελλεν λαμπάνειν οἱ πιστεύοντες ἐς αὐτόν*

შორ რნეონსიეფ ჭინ ორ ჩალოთაჲს 'ჩ ნა

Которого имели пр:нати верующе

მოსიკუდიდ იყო იესუ ზედა ნათესავსა მას (C ო. 11,51).

შღრ. ეგულებოდა იესუს მოსიკუდიდ ნათესაისათჳს (DE, იქვე).

*\*Ἐμελλεν ὁ Ἰησοῦς ἀπομνησκειν ὑπὲρ τοῦ ἐμοῦ*

შლოანსიეფ ქრ შილთა 'ჩ ქირაჲ აყფჩინ

მოასწავებდა, რომლითა სიკუდილითა მოსიკუდიდ იყო (DE, ო. 12,33);

შღრ. აუწყებდა, რომლითა სიკუდილითა ეგულებოდა სიკუდილი (DE, 12,33).

*σημαίνων ποῖα θανάτου ἤμελλεν ἀπομνησκειν*

სუანანსიჲს ქრ ორქო მანთა მნთანსიეფ იქტ.

„თურმეობით-პირობითის“ შინაარსი გადმოცემულია აგრეთვე შემდეგ მაგალითებშიც, რომლებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ახალი ქართულის ზმნური ნაკეთები აღმოეცენებინა ან მოენიკებოდა ძველ ტექსტებში აღწერილობით გადმოცემოდა. ძველ ქართულში საერთოდ ჯერ კიდევ არაა ზმირი ეს ნაკეთები (მეორე თურმეობითი მეორე სერიის ფუძეს ეყარნობოდა: აღმოეცენა; პირობით-ხოლმეობითი ან, უფრო ზედმიწევნით, მყოფალისეული ნამყო საბოლოოდ საშუალ ქართულში ფორმდება). აღწერითის ფორმებს აქაც კატეგორიულობა გამოყოფს:

მისგან აღმოცენებად იყო კუერაზი (სინ. 6,31). აღღა, რომელი-იგი აღღგომად იყო (სინ. 161,30). პაღე... განსლევად იყო ზელისაგან (მოცქ. 20,7). უწყოდა მან წინაასწართა ცნობითა თჳსათა ყოველი ესე, რლი შემთხუევად იყო მონათა მისთა (კობ. 11, 9,39). დამშ ეგვეითარი გამოჩრჩია, რომელსა ნეფხვა იგი ბორბორი ყოფად იყო (სინ. 118,38; იგივე ზმნა: 129,30; 163,14). პატოვა ზეგარამო ღმრთისა მიერ მონიკებად იყო მათდა (ხანძთ. ე, 3!).

შესიტყვების წევრთა თანამიმდევრობას აქაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს: წინ გადმოსმული ზმნა დამოუკიდებელი გაგების მქონეა და ინფინიტივთან დროს არ გამოხატავს. შდრ. ძალი ღმრთისაჲ იყო განკურნებად მათა (ლკ. 5,17).

იყო ზმნის გამოყენება ზემოთ განხილულ მაგალითებში შემთხვევითი არაა და თურმეობითის ჩამოყალიბების ისტორიისათვის მას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. იყო დღემდე შემორჩა ქართული ენის რამდენიმე დიალექტს ამ ტიპის ზმნებში: მოსვლიყო, შეჰხვედრიყო, დაძალეიყო... წარმოების პრინციპი აქ თითქმის ერთნაირია: დამალე-ად იყო, დამალე-იყო: იყო დამხმარე ზმნის პირის ფორმებს უძღვის მასდარი, ერთ შემთხვევაში მიმართულებითთ გაფორმებული, მეორე შემთხვევაში კი ეკვეცება სუფიქსი და ფუძით არის გამოყენებული გარდაუვალ ორპირიან ზმნათა თურმეობითის გამოსახატავად: და-მ-ა-ლ-ე-ა: და-მ-ა-ლ-ე-ი-ყო.

მართალია, ძველი სალიტერატურო ენის ძეგლებში ეს ფორმები არაა ფიქსირებული, მაგრამ ეს მის არქაულად მიჩნევას ხელს არ უშლის; ცოველ შემთხვევაში იგი ჩანს დამახასიათებელი საშუალო ქართულისა და ერთი ჭკუფის თანამედროვე დიალექტებისათვის:

ქმა მისვლიყო ერანელთა (როსტომიანი, 1980). ორი ქალი დარჩომიყო (ბელნაწ. Ad — 1191, 1802 წ.).

შდრ. განგებლის სიკუდილს არ დახუედრიოს და არას ერიოს (გიორგი ბრწყინ. სამართალი, XIV—XVIII სს., ი. დოლიძის გამოცემა, გვ. 106).

როგორც ცნობილია, ქართული დიალექტების უნეტესობაში და სალიტერატურო ენაში, მიუხედავად სწორი გრამატიკული წარმოებისა, ეს ფორმები უარყოფილია და მათი ადგილი —ოდ სუფიქსიან ფორმებს უჭირავს: დარჩომოდა, resp. დარჩენოდა. დადგომად იყო და დადგომიყო გამოთქმათა გენეზისურ კავშირს აქაც დიალექტების მონაცემები ადასტურებს: თუშურის შესმად იყო შემთხვევითი არაა, იგი ძველია და თუშურშივე დამკვიდრებ იყო ზმნის აღნაგობას ეხმიანება, თუმცა შინაარსობლივ (როგორც ზმნური ნაკვეთები) ესენი სხვადასხვა ოდენობებია.

აღწერითი ფორმები ძველ ქართულში საერთოდ ზმნის დროის კატეგორიის ისტორიისათვის გარკვეულ ჩვენებას იძლევა... დამახასიათებელია ამ მხრივ აგრეთვე მესამე სერიის ორპირიანი ვნებით გვარის ზმნათა ორგანული ფორმების საკომპენსაციოდ გამოყენებული გამოთქმები მიცემულ არს, მიცემულ იყო მის და, რაც ავსებს მიეცემის, მიეცა ტიპის ზმნათა პარადიგმის სისტემას (შდრ. ახალი მისცემია, მისცემოდა).

ჩვენ ამჟერად შეეჩერდით აღწერილობით ფორმათა ორ ძირითად მოდელზე: მიცემად არს და მიცემად იყო, რომლებიც სხვადასხვა სინტაქსურ შეხამებაში იძლევა სხვადასხვა ქცევისა და გვარის გაგებას<sup>6</sup> მყოფადსა და „თურ-

<sup>6</sup> დ. ჩხუბიანიშვილი, მასდარიანი შესიტყვების თავისებურებანი ძველ ქართულში: საქ. მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყოფ. შოაშბე, 3, 1965, გვ. 226—227.

<sup>7</sup> უ. ქურციკიძე, ორპირიანი ვნებით გვარის ზმნების III სერიის მწკრივთა წარმოებისათვის ძველ ქართულში: სმპ, ტ. 30, № 2, 1963, გვ. 244.

<sup>8</sup> ქცევისა და გვარის გრამატიკულ კატეგორიათა მორფოლოგიურა ანაწარმოების უქონლობა აღწერითი ფორმების დიდი სიძველის, მათი ნეიტრალურობის მპყენებელია. მაგრამ ძველი ქართულის ტექსტებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სათანადო სემანტიკის მასდარა

გეობით-პირობითში" (მეორე თურმეობითში და მყოფადისეულ ნამყოში). ამას ემატება აგრეთვე მიმღეობიანი შესიტყვებები მიცემულ არს და მიცემულ იყო, რომლებშიც ნამყოს და ენებითურ შინაარსს (მისცემია, მისცემოდა) საობიექტო მიმღეობის ფორმა განსაზღვრავს. მიცემულ იყო მის და ნიშნავს: მას მისცემოდა, ხოლო მიცემად იყო მის და კატეგორიულ, სავალდებულო მოქმედებას გადმოსცემდა: უნდა მისცემოდა, მიეცემოდა.

3. ამ ტიპის აღწერილობითი ფორმების შემდგომი განვითარების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს მიმართულებითბრუნეიანი მასდარის ნაცვლად მიმღეობათა გამოყენება. ესეც ძველ ქართულში ისახება და ვრცელდება საშუალო ქართულში:

ვამ სოფელსა საცთურთა მათგან, რამეთუ... მომავალ არს საცთური (DE, მთ. 18,7);

შდრ. ვამ ამის სოფლისა საცთურათგან, რამეთუ მოსლევალ არს საცთური (C, იქვე).

... ძუძუჲჳ უპრ 'ესიუ 'ეზმინუ რნ თხუძბაღ

... ჩარქ ჯ ვაქ ვაიუასკვირსანც

надоишо прудити сиблазхам.

ეკედრებოდა მას, რა აუწყოს ყლი იგი საიდუმლო, რლ მომავალ არს (კმ. 1, 263,3). ამა ესერა წარ [მა]ევალ ვარ მე შორსა გზასა (ლმ. 63,25). საოცარი ესე [გულე] ხიხათა ზურგით მომავალ არს (აბუეარისე ტბელი, 58,59). ჩუენ არ ვიცით, რას ქუეყანას მიმავალნი ვართ, ან რა ხანი დაეუეგეიანება (რუსულ. 517,21). მოვახსენებ: იერანისა ხელმწიფისა მე ვარ წამსკლელ (იოსებ ტფილ., 144,1). თვარე მეც შენთან მოუკვდები, რასაც იქმ, მეც ვარ მქნელია, დანდგები—აქა გახლავარ, წახვალ—ვარ წამომსკლელია (იქვე, 142,1—3). მეფემ თქვა, რადგან წამსკლე ვართ, რად ვიქთ წასკლისა ზარესა (ს. თანაშვ. ამრდარჯ. 1188,2). გაბრწყინებისთვის სანთელი ერთს ფეხზედა ღვას. ტირისა, იცებლს წვით არის მიმღები საწაღლის განაპირისა (ვახტანგ VI, 28,35,1). ჩვენც ღლე და ღამე თქვენი მლოცავი ვართ (სულხან-საბა ორბელიანის წერილი პანშანტრანს: მ. თამარავილი, 326). ჩვენი ბრძანება არის: ვინც განჯას წამსკლელი მეურმენი ხართ, ასე იყოღეთ (ხელნაწ. Hd—3133, უო გ).

(შდრ. მოსლევალ, წარდგომად, სიკუდილ.) და გარკვეული სინტაქსური შეხამება ასეთ გარჩევას შესაძლებელს ხდის: შედგენილ შემასმენელთან პირმიუმართაოი დამატება მიმართულებითში (ან -თვს თანდებულთან ნათესაობითში) იძლევა გარდაუვალი ზმნის გაცემას, ხოლო იგივე წვერი მიერ, მისგან თანდებულებით — გარდამავალი შინაარსისა: გამოცხადებდალ არს ჩუენდა — ჩუენ გამოგვეცხადება; განახლებდალ არს მისნიერ — იგი განაახლებს.

მართალია, მასდარის მიმართულებითი ბრუნვა გარდამავლობა-გარდაუვლობას ვერ გამოხატავს, მაგრამ კონტექსტზე დაკვირვება ამ შინაარსის გამოცნობას შესაძლებელს ხდის:

1. რამ-მე უკუე ყოფად არს ჩუენდა (DE, მთ. 19,27);

შდრ. რამე იყო ს აწ ჩუენთვის (C, იქვე). უკუეთუ მოუყასი შეაწუხო, უწყოლდე, ვითარმედ შეწყა შეწუხებდალ ხარ (სწავლ., 157,28). ხვალ სიკუდილდ ვართ (სინ., 112,23). გრიგოლს... ეუწვა, ვითარმედ კულად განახლებდალ არს [იშხანისა ეკლესიაჲ] პირველებრ ქელითა საბანისითა (ხანძთ., ილ. 3).

2. რომელი არა ამის სოფელსა არს და ქუეყანასა ამას დატევებდალ არს (სინ. 248,27). ვერ ღირს არიან ენებანი ესე ამის ეამისანი მერმისა მის თანა დიდებისა, რომელ გამოცხადებდალ არს ჩუენდა მაკხოვრისა ჩუენისა მიერ იესო ქრისტესა (კომ., 11, 57,19). პატივი ზეგარდამოღმართისა მიერ მონიქებდალ იყო მათდა (ხანძთ. გ. 30).

უნდა დაეძინოთ ისიც, რომ აწყო-მყოფადის ფორმასთან შედარებით, მიმღეობისა და შემდგომიანი გამოთქმებში უფრო მეტად იგრძნობა დიურატიული მოქმედებას შინაარსი: შდრ. გლოცავ და: შენი მლოცავი ვარ...

ამგვარად, შთაბეჭდილება ისეთია, რომ მომავალ არს ტიპის აღწერ-რილობითმა გამოთქმებმა თანდათან შეცვალა მოსლვად არს ტიპის ზმნური მნიშვნელობის ფორმები. შესაბამისი მოდალური შინაარსი — კატეგორიულობა, სავალდებულო და აუცილებელი მოქმედების გამოხატვა — აქაც თვალსაჩინო და სარწმუნოა (ძველ ქართულში მათი ცალკეული მონაცვლეო-ბის ფაქტებიც ამის საბუთია). დამახასიათებელია ცნობილი სცენა „ვეფხისტყაოსნიდან“. ავთანდილთან დროსტარების გამო ფატმანს უსენმა ასეთი მუქა-რით მიმართა:

მაგრა ხელე სცნობ პასუხსა მაგა საქმისა მწვეველად:

ვარ შენთა შეილთა შენთა კილითა დამაქმეველად (1101,1—2).

დამაქმეველად ვარ (resp. დამაქმეველი ვარ) ნიშნავს: აუცილებ-ლად დაგაქმევენებ (შდრ. ჭამად უვის...), მზად ვარ დაგაქმევირო. ახალ ქარ-თულში აუცილებლად შესასრულებელი ამგვარი მოქმედების გამოხატველი გამოთქმები იშვიათი როდია, ოღონდ გამოიყენება უკუთქმითსა და კითხვითს (გაკვირვებითს) წინადადებებში და აქ იძენს თავისებურ სტილისტიკურ-მოდა-ლურ ნიუანსს:

„თუ გაბრუნდეს არ გამატანთ, მე ქალაქში წამსვლელი არა ვარ“ (ო. ქავ-ქავაძე, გლახის ნაამბობი, თხზ. I, 41. (შდრ. აგრეთვე საუბარში: მე ქალაქში წამსვ-ლელი ვარ!..)).

მეორე მხრივ, ტერმინატიული მოქმედების ის შინაარსი, რომელსაც ძველ ქართულში მიმართულებითბრუნვიანი მასდარისა და ჭერ-არს სიტყვათა შემცველი გამოთქმები ასრულებდა (ჭერ-არს მიცემად), საშუალ ქართულ-ში გამოიხატა იმავე დამხმარე ზმნისა და მყოფადის მიმღობის მიცემითბრუნ-ვიანი შესიტყვებით: მისაცემს არის — უნდა მისცეს, მიცემა ჰპართებს, ევალება.

ოთხი თემანი თუთო ახალციხეს გაუფაზანე და ოცდაექვს თუმანს კიდეც მისა-ცემსა ვარ (ხელნაწ. Hd—2853. 17774 წ.). შდრ. „ხელ დლით ადრე ხარ ასა-დგომი“ (დ. შენგელია, I, 1959, გვ. 36).

დროთა კორელაცია აქაც შესაფერისად გადმოიცემოდა, ნამყო დროის სათანადო ნაკვეთისათვის ამ კონსტრუქციაში გამოიყენებოდა ისევე იყო: მისა-ცემს იყო — უნდა მიეცა, ჰპართებდა, ევალებოდა მიცემა:

ჩემი რაც მოგეც. მაგასაც მოსაცემს იყავ და გამლოვე ოქრო (ხელნაწ. Hd—109, 1757 წ.). ჩემგან მოსაცედავი იყო, მაგრა... და[უთმე] (ნ. ბერძენიშვი-ლი, მასალები, I, გვ.49, XV ს).

გარკვეული დიალექტური ჯგუფის მეტყველებისათვის ნიშანდობლივი მყოფადის ეს სახეობა (მისაცემს არის), საშუალო ქართულის ლიტერა-



ტურულ ძეგლებში ფიქსირებული, დღემდე შემორჩა ინგილოურ კილოს ოდნავი ფონეტიკური სახეცვლილებით<sup>10</sup>.

მიმართულებითი ბრუნვით გადმოცემული მასდარის ხმარება და მისი სემანტიკური განვითარება ქართულში გვიჩვენებს, რომ იგი ახლოს იდგა სახელადს ფუძეებთან და ითავებდა მიმღობისა და სახელზმნის შინაარსს იმგვარადვე, როგორც ეს შემორჩენილია ქართველური ენების დიალექტებში (შდრ. ქანური დოლოქუნი — 1. ჩაძმა; 2. ჩასაცემელი<sup>11</sup>). ძველ ქართულში ეს მეტადრე შესამჩნევია მაშინ, როცა მასდარი მიზნის გარემოებას გამოხატავს<sup>12</sup>. ამ შემთხვევაში ძველი ტექსტების რედაქციებში მათი პარალელური ხმარებაც დასტურდება:

შჳად სოფლისა ამის მოსრულ ვარ მე (DE, ი. 9,39); შდრ სასჯელად მოვედ სოფლისა ამის (C, იქვე). რაჲთა ღირს ვიქმნე გლახაკი შენი სრულად აღშშნებად ამისა სახელსა ზელა (ხანძთ., ი, 23). შდრ. გაბრიელ... მოსცნა კირით-ხურონი და ნიეთი ყოველი ქვით-კირისა ეკლესიისა სამშნებელად (იქვე, ი, 1).

მაშასადამე, მყოფადი ღროის გადმოსაცემად აღწერილ ფორმებში მასდარის მიმღობით შენაცვლება, რაც ზემოთ იყო აღნიშნული, სრულებით გასაგებია და კანონზომიერი ისტორიული ფაქტია.

4. სარწმუნოა, რომ მასდარის მიმართულებითი ბრუნვის ფორმა თავისი შინაარსით სათანადო კონტექსტში მყოფადის მიმღობას გამოხატავდა და შემდეგ კიდევ შეიცვალა ამით (აღშშნებად — ასაშენებლად). ცალკეული პარალელური გამოყენების შემთხვევები ძველ ქართულშიც შეინიშნება: ღმერთმან დასხნა სარბიელად აერნი არა დაძულებადნი, არცა დასაკრწნელნი (სინ. 133,15).

მაგრამ მიმღობათა ამგვარმა წარმოებამ ვერ გამოღვენა მიმართულებითი ბრუნვის გამოყენება, რაც, სხვათა შორის, ყველაზე დამახასიათებელია ქართულში სიტყვაწარმოებითი დანიშნულებით (შდრ. კმა-ეყო მას წუთადი სწავლაჲ: სინ. 215,3). საგულისხმოა, რომ ქართველი გრამატიკოსების ერთმა თაობამ არ გაიზიარა პლ. იოსელიანის შეხედულება წერადი ტიპის სახელთა განუსაზღვრელი კილოსაგან ნაწარმოებ („ქმნადისა ღროისა“) მიმ-

<sup>10</sup> ი. ქავთარაძე, მყოფადის ერთი სახეობის ისტორიისათვის ქართულში: ივე, XII, 1960, გვ. 207.

<sup>11</sup> არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 177; მისივე, მასდარისა და მიმღობის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში: ივე, V, 1953, გვ. 42—45.

<sup>12</sup> ა. შარტიროსოვი, მასდარულ კონსტრუქციის გენეზისისათვის ძველ ქართულში: ივე, VII, 1955, გვ. 49—50, 56; ნ. კოტინოვი, ვითარებითში დასმული მასდარის ფუნქციები ძველ ქართულში; ი. გოგებაშვილის სახ. თელავის პედინსტიტუტის შრომები, V, 1965, გვ. 97—99.

ლებად მიჩნევის შესახებ<sup>13</sup> და უფრო შესაფერისად ჩათვალეს ეწოდებინათ მისთვის სუბინუმი ან გერუნდიეი<sup>14</sup>.

მის შემონახვას, ზმნური მნიშვნელობის აღწერილობითს ფორმებში გამოყენების გარდა, ხელი შეუწყო თავისებურმა მოდალურმა შინაარსმა: იგი გამოხატავდა ისეთ ტერმინატიულ მოქმედებას, რომელიც აუცილებლად შესრულდება, ეს-ეს არის უნდა შესრულდეს, მზადაა შესასრულებლად: დაკლვადი — ის, რაც აუცილებლად დაიკვლის, დაკვლისათვის გამზადებული, დასაკლავი:

შეჰმოსა უფალმან ადამს სამოსელი იგი ქრწინილებისა და განრყუნადი (სწავლ. 217,27). შენ განხრწნადსა საქმარსა აღირჩევ (ცხოვ. იოჯ. და ეფთ. 79,11). ღმერთი არს არა დასაბამიერი, არცა განსრულებადი (ასურელ მოღვ. 8,20). რაათაჲა ერი დაბადებადი აქებდა უფალსა (ხანძთ. ბ, 10). დაიდვა საფლავსა შინა, ვითარ მკუდარი და ეიწყებადი (სასულ. იე, 1). სიზმარი არს და ეიწყებადი და ნუ გრწამნ მისი (სწავლ. 258,35). მკუდროა და მღუპარე, ვითარცა კრავი და კლვადი (სწავლ. 180,10). ეგოს იგი წინამძღურობასა მას შინა, ეიდრე ღღემდე აღასრულისა მისისა, ხოლო შემდგომად მისსა დაყენებადი იგი წესისაებრ ეამისა წინამძღუარი... მეორედ წინამძღუარად ყოფად იგი (ტიბიჯ. 22,16). იგი უეარ-ჰყოფს მას და ჩადის მამსა ქუეყანისასა და ლეკვადსა (სწავლ. 106,18). უკეთუ ვერ დაუდგამ აუცეხლსა შენსავე აღნთებულსა და კუალად და შრეტადსა (პალავარ. 124,34). ფასი მომეც აქა და შდომადი და დიდებამ ყუაეიღებრ და ცკვენებადი (სინ. 118,6). მოიძულე დაღებამ ესე კაცთა და ცუდებადი (სწავლ. 169,12). შენ მიერ აღემართნეს დაემუღნი და განემტყინეს და ცეშადნი (სასულ. ეა, 26). რომელთა დაგიტევებიეს ზრუნვამ ამის სოფლისა წარმავალისა და საქმეთა მისთა და ცუდებადთა (სწავლ. 91,18). მსგავსად ყუაეიღთა ველისათა აღვლად და კნობადისა (ეკლესიასტი, 7,31). ყუაეიღი არს მწუხრი და კნობადი (სწავლ. 258,30). უწყით მოწევენადი იგი? (სწავლ. 224,5). მიდრკეს გონებამ მისა... მწუხარებთა მათ მიწევენადთა ცოდვილთა ზედა (სწავლ. 80,22).

მოყვანილი და ბევრი სხვა ამგვარი მაგალითი ყურადღებას იქცევს ზმნისწინის გამოყენების სიხშირით, რაც საგულისხმო უნდა იყოს მყოფადის თანამედროვე სახის ჩამოყალიბების ისტორიისათვის. თუმცა აქა-იქ უზმნისწინო მასდარიც იხმარება, მაგრამ ეს აიხსნება არა ზმნისწინის ხმარების ფაქულტატიურობით, არამედ სათანადო ფუძეთა სემანტიკით:

წინასწარ აღუწა მონასა თვსსა ყოფადი (კომ. 1, 253,21). თქვენგან შობადი ყრმა ევე გამოირჩია (ასურ. მოღვ. 210). განელთ... ხილულსა ამს და გრძნობადსა სოფელსა შინა (იქვე, 67,38). რომელნი არიან მოძრავნი და უძრავნი და თვძრეადნი (ტიბიჯ. 3,29).

ძველ ქართულში გავრცელებულ დავიწყებადი ტიპის განხილულ ფორმებს ფართოდ იყენებდა ახალი დანიშნულებით (ბერძნული ენებითის მიმღობის გადმოსაცემად და ცალკეული ტერმინების შესაქმნელად) იოვანე პეტ-

<sup>13</sup> ვ. იოსელიანი, პირქულ-დაწყებითნი კანონნი ქართლისა ღრამპატიისანი, 1840, გვ. 74.

<sup>14</sup> დ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამატიკა, სპბ, 1882, გვ. 71; G. Deeters, Das kharthwelische Verbum, Leipzig, 1931, § 419, გვ. 221—222.

რიწი<sup>15</sup>, ახალ ქართულში კი მისი გამოყენება ძალიან შეიზღუდა და შემოგვრჩა მხოლოდ რამდენიმე ტერმინში<sup>16</sup>.

5. რა ადგილი უჭირავს აღწერილობითს მყოფადს ძველი ქართული ზმნის სისტემაში?

ზემოთ გზადაგზა აღინიშნა, რომ ზმნური მნიშვნელობის მქონე აღწერითი წარმოება ძველ ქართულში კარგად ცნობილი ფაქტია და მყოფადის განხილული ფორმებიც ამ სისტემაში სავსებით ბუნებრივად გამოიყურება. ამასთან, ცხადია, მოულოდნელი არაა მყოფადის გამოხატვა ისტორიულად დიალექტური ვარიანტებით ყოფილიყო წარმოდგენილი, თუმცა ძველი ქართული სალიტერატურო ენის მკაცრად შეზღუდულმა და ნორმირებულმა ხასიათმა უდავოდ პრავალ საინტერესო დიალექტურ ფორმას დაუხშო კარი...

მყოფადის გამოხატვაში განვითარების თითქმის ერთგვარაა გზა შეიმჩნევა სულ სხვადასხვა სისტემის ენებში — ინდოევროპულში, სემიტურში, თურქულსა და იბერიულ-კავკასიურში<sup>17</sup>. თვალსაჩინოა მყოფადის გამოსახატავ ფორმათა სხვადასხვა საშუალებით განახლების ტენდენციაც; მაგალითად, ძველი ბერძნულის ორგანული წარმოების წიაღში ჩაისახა და ახალ ბერძნულში განვითარდა აღწერითი ფორმები: მყოფადის მიმლეობითა და დამხმარე ზმნით (ატიკურ დიალექტში), რასაც მზადყოფნის, გადაწყვეტილების, კატეგორიულობის შინაარსი აქვს<sup>18</sup>.

ანალოგიურად გადმოცემული აუცილებლობითი მყოფადის ფორმები იშვიათი არაა ძველ სომხურში<sup>19</sup> (*ყისიყ* *է* დაწერად არს) და არაბულში, სადაც აღწერით გადმოცემული ფორმა პერფექტული მნიშვნელობის არის და სურვილის, იმედის, კატეგორიულობის შინაარსაც შეიცავს<sup>20</sup>.

მყოფადის აღწერილობითი ფორმები ჩვეულებრივია დღესაც შთის იბერიულ-კავკასიურ ენებში: ხუნძურში მყოფადი ინფინიტივის შინაარსთან არის დაკავშირებული: ყ ო ტ ი ზ ე ბ-უ გ ო გაქრად არის, ე. ი. ნამდვილად გაქრის<sup>21</sup>.

ქართული სახელის მიმართულებით ბრუნვაში დასმის თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე აფხაზურ-ადიღეური ენები. ადიღეურში ინფინიტივს

15 ნ. კეკელიძე, იოანე პეტრიწის ენის საკითხისათვის: თსუ შრ., ტ. 51, 1953, გვ. 246—7; Д. Н. Мелникишвили, Язык и стиль философских трудов Иоанна Петрици, автореферат, Тб., 1967, стр. 14.

16 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953, გვ. 147, § 175; ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 182, 751—755; ნ. ნათაძე, შესაძლებლობის მიმლეობათა წარმოებისათვის თანამედროვე ქართულში: ივე, XIII, 1962, გვ. 126—131.

17 ნ. ნათაძე, მყოფადისათვის ქართველურ ენებში: ქართველურ ენთა სტრუქტურის საკითხები, II, 1961, გვ. 29—50.

18 П. Шанирен, Историческая морфология греческого языка, თარგმანი ფრანგულიდან, М., 1953, გვ. 217, § 301.

19 ი. ილაკაძე, ზმნის მწკრივები ახალ სომხურ ენაში: თსუ შრ., ტ. 91, 1960, გვ. 216—7, 235.

20 А. А. Ковалев, К вопросу об аналитических формах арабского глагола: Краткие сообщения Института народов Азии, № 72, М., 1963, гв. 30.

21 არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა, 1962, გვ. 353.

ერთვის ვითარების გამომხატველი -ჟ ა აფიქსი: სკო-ნ-ჟ ა — მე წასვლად, ე. ი. წავალ. აფხაზურში მყოფადის ინფინიტურ (იმავე პირობითი კილოს) ფუძეზე მეშველი ზმნის დართვით მიიღება კატეგორიული შინაარსის მყოფადის ფორმა (დცარ აუპ — წასვლად არს), ხოლო მეშველი ზმნის ნამყოს ფორმით — წარსული (დცარ აკოა — წასვლად იყო)<sup>22</sup>.

მაშასადამე, აფხაზურ-ადიღურსა და დაღესტნურ ენებში დღესაც მოქმედი მყოფადის გამოხატვის ის სისტემა, რაც ნიშანდობლივი იყო ქართული ენისათვის V—X საუკუნეებში და სავარაუდოა უფრო ადრეც. ამგვარად, აქ რაიმე გავლენებზე და შინაგანი ფორმების შეთვისებაზე მსჯელობა ალბათ საეგებო იქნებოდა. სარწმუნოა, რომ ერთგვაროვანი მოვლენები, ჩვეულებრივ, ვითარდება დამოუკიდებლად სხვადასხვა ან ტიპოლოგიურად მსგავს ენაში ერთდროულად ან მათი განვითარების სხვადასხვა პერიოდში<sup>23</sup>.

#### უმათავისი უმმოკლებანი

ა ბ უ ს ე რ ი ს ძ ე ტ ბ ე ლ ი, ბოლო-ბასილის მშენებლობა ნუარტყალში და აბესერისეთა საგვარეულო მატინე 1233 წ., ტექსტი გამოსცა ლ. მუნსხელიშვილმა, თბ., 1941. ასურ. მოღვ.—ასურელ მოღვწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკლევიითა და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1955.

ბ ა ლ ა ე ა რ.—ბალავაჩიანის ქართული რედაქციები, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1957.

ე კ ლ ე ს ი ა ს ტ ე —თარგმანებმა ეკლესიასტისამ მიტროფანე ზმურელ მიტროპოლიტისა, კ. კეკელიძის გამოც., ტფილისი, 1920.

თ ა ნ ი ა შ ე . ს.—სულხან თანიშვილი, გალექსილი ამირანდარეჯანიანი, გ. ყაჯობიას რედაქციით, ტფილისი, 1934.

ი . — იხ. ქართ. ოთხთავის...

ლი მ.—ლიმონარი, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1960.

ლ კ.—იხ. ქართული ოთხთავის...

მ ა რ კ. იხ. ქართული ოთხთავის...

მ თ. იხ. ქართული ოთხთავის...

მ ო ც ი ქ.—საქმე მოციქულთა, ძველი ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1950.

რ უ ს უ ლ.—რუსულდანიანი, ილ. აბულაძისა და იე. გიგინეიშვილის რედაქციით, თბ., 1957.

ს ა ს უ ლ.—ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, პ. ინგოროვას გამოცემა, ტფილისი, 1913. ს ი ნ.—სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1959.

ს წ ა ე ლ.—შამათა სწავლანი X და XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1955.

<sup>22</sup> ქ. ლომთათიძე, ე. წ. „მიზან-პირობითი კილოს“ წარმოებისათვის აფხაზურ დიალექტებში: იყე, II, 1948, გვ. 25—26; მისივე, აფხაზური ზმნის ძირად დრო-კალთა სისტემა: იყე, VII, 19, გვ. 225; მისივე, სტატიური და დინამიური ზმნები აფხაზურში: იყე, VI, გვ. 268.

<sup>23</sup> ნაშრომის ძირითადი დებულებები მოხსენდა საქართველოს შეცნობებთანა დაკავშირებით ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომას 1953 წლის 8 დეკემბერს. იბეჭდება შემდეგ გამოსული ლიტერატურის გათვალისწინებით.

ტ ი ბ ი კ ი ნ ი — გრიგოლ ბაკურიანისა, გამოცემული შიხ. თარხნიშვილის მიერ, ლუვენა, 1954.

ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდელი ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1944.

ТР—Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии. Б. Марис გამოც. სპეტერბურგი, 1911.

И. И. КAVTAPADZE

## ОПИСАТЕЛЬНЫЕ (АНАЛИТИЧЕСКИЕ) ФОРМЫ БУДУЩЕГО ВРЕМЕНИ И ОДНА РАЗНОВИДНОСТЬ ПРОШЕДШЕГО В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

### Резюме

Древнегрузинский литературный язык для передачи будущего времени не имел собственной органической формы. Будущее время выражалось двояко: или сослагательным (I-го и преимущественно II-го) наклонением (სადაცა სიწმიდებან შენებან ინებოს, მონასტრად აღვაშენო აღგილო ეგი *sadaca sičmideman šenman inebos, monast'rad aγvašeno adgili igi* „где пожелает твоя святость, на том месте построим монастырь“: ТР, VII, კ-38, ср. стр. 101), или же описательно: вспомогательный глагол (часто ვარ *var* „есмы“ и др.) следует за трансформативной (модальной или направительно-целевой) формой имени действия (მასდარა), которая в древнегрузинском языке выступает в роли инфинитива: წარსლედ ვარ *čarsl'vad var* „пойду“, დადგრომად ხარ *dadgromad xar* „ты остановишься“, ყოფად არს *qopad ars* „будет“.

Такие описательные формы будущего времени выражали категорическое, обязательное, терминативное значение и обозначали совершенное действие. В древнегрузинском языке замечаются зачатки замены инфинитива причастием настоящего времени (მომავალ არს *tomaval ars* „придет, он готов прийти“), однако в среднегрузинском языке (XII—XVIII вв.) распространилось применение причастия будущего времени: მისაცემს არს *misacets ars* „он ему должен дать, он даст ему“. Этими формами для передачи будущего времени пользуются в ингилойском диалекте грузинского языка и теперь.

Случаи параллельного употребления, а в дальнейшем и полная замена инфинитива причастием (დაწერად *dačerad* || → დასაწერად *dasacerad* „написать“) указывают на семантическую близость этих двух частей речи в древнегрузинском языке.

Описательные формы будущего времени не различали переходности, не образовывали других грамматических категорий (залог, версия), хотя в контексте эти значения нетрудно различать: ср. განმდიდრებად ვართ *ganmdidrebad vart* „мы обогатимся“ и განმდიდრებად არს ეგი *ganmdidrebad ars igi misgan* „он обогатит его“.

В литературном грузинском языке современный способ выражения будущего времени (основа настоящего плюс глагольная приставка: წერს *cers*, დაწერს *da-cers* „напишет“) оформляется с XII по XVI вв.

В древнегрузинском же языке упомянутая форма инфинитива и прошедшее время вспомогательного глагола передавали значение то II-го результативного, то условного, образованного от будущего: მიღებდა იუმ *miḡebad iqo* „он имел принять, он должен был принять“, განსლვად იუმ *ganslvad iqo* „надлежало ему проходить“.

Аналогично с древнегрузинским, описательным способом будущее время выражается также в аттическом диалекте древнегреческого языка, в древнеармянском, арабском, в тюркских и в горских иберийско-кавказских языках. Разумеется, в этих языках такое будущее время возникло и развилось самостоятельно. Интересно лишь отметить, что в горских иберийско-кавказских языках до сих пор пока действителен тот способ выражения будущего времени, который был характерен для грузинского языка в V—X вв. и, пожалуй, раньше.

Древнегрузинские аналитические глагольные формы в большинстве случаев заменились синтетическими в новогрузинском языке.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

ზურაბ კარბოზია

თანწყობითი სახელური ჯგუფი მებრულ-ლაზურში

თანწყობითი სახელური ჯგუფი ან, როგორც ზოგიერთი მკვლევარი უწოდებს, თანწყობილი შესიტყვება შედგება ორი ან მეტი სახელისაგან, რომლებიც კავშირით ან უკავშიროდ არიან გაერთიანებული. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ამ სახელური ჯგუფის წევრები ერთმანეთთან თანწყობის წესით არიან დაკავშირებული და სინტაქსურად წინადადების ერთგვაროვან წევრებს წარმოადგენენ. მათი ერთგვაროვნობა, კერძოდ, იმაშიც იჩენს თავს, რომ ფორმითაც იდენტურნი არიან ერთმანეთისა, სახელდობრ, ერთი და იმავე ბრუნვის ფორმით არიან წარმოდგენილი.

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია შენიშნულია თავისებურება, რაც თანწყობითს სახელურ ჯგუფს ახასიათებს მებრულ-ლაზურში. კერძოდ, აღნიშნულია, რომ და კავშირით შეერთებული ორი სახელის ბრუნებისას პირველმა სახელმა შეიძლება არ დაირთოს ბრუნვის ნიშანი და სახელობითის ფორმით (ან, რაც იგივეა, — ფუძის სახით) იყოს წარმოდგენილი<sup>1</sup>. მოვიყვანთ ამის საილუსტრაციო რამდენიმე მაგალითს.

მებრულიდან: დიდა დო მუმაქ იგარეს ბრელი (ხუბ. 94,3) — დედა და მამა (დედა და მამა) იტირეს ბერი. ჩემი ბედი ცუდუნა მომიღას ირფელი ჯგირი დო სქეამსია (ხუბ. 25,17) — ჩემი ბედი შინ მომიტანს ყველაფერს კარგსა და ლამაზსო (კარგი და ლამაზსო). ასე რე დურელი დო თელაშ ედგინაეა (ხუბ. 73,10) — ახლა მკვდრისა და ცოცხლის (მკვდარი და ცოცხლის) ადგამაო. დობარგეესგ ხენწფეში საქონელი დო ორქოთგ (ი. ყიფ. 66,30) — დატვირთეს ხელმწიფის საქონლითა და ოქროთი (საქონელი და ოქროთი). გინირთეს კინი ენენქ ძღაბი დო ბოშო (ხუბ. 62,7) — იქნენ კვლავ ესენი ქალად და ვაჟად (ქალი და ვაჟად).

ლაზურიდან: კაპეე (კაეე) უჩა რენ, ამა ალა დო ბეგიქ შუფან (ყიფ. 12,33) — ყუა შავია, მაგრამ ალა და ბეგი სეამს (ალა და ბეგა სეამენ). შექ ბიჟეფეკალა ხორანი დო ობირუს ქოგოოქუე (ელ. 8,14) — თვითონ ბიჭებთან ცეკვა და თამაში (ცეკვა და თამაში) დაიწყო. რუსი დო თურქიში მღარებე რტუე (ჩიქ. II, 23,2) — რუსებისა და თურქების (რუსი და თურქის) ომი იყო. მუთხანი რენ, არ ღორღანი დო არ ტადანითე რიზინიშა ქოშეტეს (ყიფ. 2,34) — როგორც იქნა, ერთი საბნითა და ერთი ტავით (ერთი საბანი და ერთი ტავით) რაზეში მივიდნენ. დინი დო ხოჭაფეშე მილეითიშე ოშქერიხუ (ელ. 26,17) — ჩუქლისა და ხოჭებისაგან (ჩუქლი და ხოჭებისაგან) ხალხის დამინება.

<sup>1</sup> Н. Марр, Грамматика чэнского (лазского) языка, СПб, 1910, гл. 76, § 121. в; И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (инверского) языка, СПб, 1914, гл. 0140, § 148; არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატოკულა ანალიზი, თბ., 1936, გვ. 71; ოთ. ურიდია, მებრულის სინტაქსური თავისებურებანი კართულთან მიმართებით, თსუ შრომები, ტ. 93, 1960, გვ. 173.

და კავშირით შეიძლება ორზე მეტი სახელი იყოს გაერთიანებული. კავშირი, ჩვეულებრივ, ბოლო სახელის წინ დაისმის, სხვა სახელები კი უკავშიროდ უერთდებიან ერთმანეთს. ამ შემთხვევაში ბრუნვის ნიშანი ბოლო (და კავშირის მომდევნო) სახელს დაერთვის, სხვები კი სახელობითის (resp. ფუძის) სახით არის წარმოდგენილი. მაგ.,

მეგრ.: სენი, ბოთლი, ჭირქა და ჩხოუშ ხორციში ეფმა ქორე (ხუბ. 40,30) — თეფში, ბოთლოთ, ჭიქით და ძროხის ხორციოთ (თეფში, ბოლო, ჭიქა და ძროხის ხორცის) სავსე არის.

ლაზ.: ბერეში ბაბა, დიდი ბაბა, დიდი ნანა და ჭუჭაღეფე მუშიკი ოხორჩას ბითთუმ უყურტეს (ჩიქ. I, 77,25) — ბაეშის მამა, პაპა, ბებია და ბიძები (მამა, პაპა, ბებია და მისმა ბიძებმა) ქალს მუღამ უყვიროდნენ.

ზოგჯერ ასეთ მრავალწევრიან სახელურ ჯგუფში ორი ან მეტი და კავშირია გამოყენებული. მაშინაც მხოლოდ ბოლო სახელი დაირთავს ბრუნვის ნიშანს:

მეგრ.: ქინსქედგ ათე საფულშს ხენწჯფე და მუში ჩილი და სქუა და ვეზირე ნქ (ხუბ. 206,11) — ჩარზნენ ამ საფლაფში ხელმწიფე და მისი ცოლ-შეილი და ვეზირები (ხელმწიფე და მისი ცოლი და შეილი და ვეზირებმა).

ლაზ.: ჰამ მუჭტი და კადი და მუთესერაფის ვარ უჩქინან (ყფ. 33,32) — ამ მუჭტინ, ყაღმა და მუთესერაფმა არ იცინ.

როგორც ვხედავთ, თანწყობითი სახელური ჯგუფის შემადგენელი წევრები ერთგვაროვანნი არ არიან ფორმის თვალსაზრისით. ბუნებრივია, ექვი შევიტანოთ თვით ამ სინტაქსური ოდენობის კვალიფიკაციაში: იქნებ სახელთა ჯგუფთან არც გვაქვს საქმე და მეგრულ-ლაზურის ზემოთ მოყვანილ ფრაზებში დო (და) კავშირით გაერთიანებული სიტყვები დამოუკიდებელი სინტაქსური ერთეულები კი არ არიან, არამედ ერთი რთული სიტყვის — კომპოზიტის შემადგენელ ნაწილებად უნდა მივიჩნიოთ?! ალა და ბეგიქ, დიდა და მუშაქ და მსგავსი გამოთქმანი იქნებ კომპოზიტად ჩაგვეთვალა და არა სიტყვათა ჯგუფად?!

საკითხის ამგვარად დასმას ისიც უწყობს ხელს, რომ რიგ შემთხვევაში დო (და) კავშირით შეერთებულ სინონიმურ, ანტონიმურ და მნიშვნელობით ახლო მდგომ სახელებს მეგრულ-ლაზურისას ქართულში და კავშირჩაეზრდნალი კომპოზიტები შეესაბამება: ჩილი და ქომოჩი = ცოლ-ქმარი, დიდა და მუშა = დედ-მამა, და და ჩიმა = და-ძმა, შქვინდი და კოპული = მშვილდ-ისარი...<sup>2</sup>

მაგრამ საქმე ისაა, რომ თვით ამ უკანასკნელთა (ჩილი და ქომოჩი, და და ჩიმა...) კომპოზიტობაა ექვის ქვეშ დაყენებული. ვ. თოფურიამ მართებულად მიუთითა, რომ ამგვარი სიტყვათნაერთები ჩვეულებრივ (შემტკიცებულ) კომპოზიტებად ვერ ჩაითვლება, რადგან არსებობს „შესაძლებლობა კომპონენტთა ცალ-ცალკე ბრუნებისა და მრავლ. რიცხვში ხმარებისა (მოთხრ. ჩილქ და ქომოჩქ, მრ. დალუფი და ჩიმაღეფი)“<sup>3</sup>.

<sup>2</sup> ვ. თოფურია, ქართულურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, VI, კომპოზიტი: ქართულურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, 1959, გვ. 298.

<sup>3</sup> იქვე.



დო კავშირით შეერთებული სახელები მრავლობითში დასმისას თავ-თავისთვის დაირთავენ მრავლობითობის სუფიქსს. რაც შეეხება ბრუნვის ნიშნის დართვა-დაურთველობას, მრავლობითშიც იგივე ვითარებაა, რაც მხოლოდობითში: პირველი წევრი შეიძლება სახელობითის ფორმით (resp. ფუძის სახით) დარჩეს. მაგ.,

მეგრ.: ოქუმალო აწვეძეთ ნგერეფი დო მელატურემს (ი. ყიფ. 168,29) — შესაქმელად ეუფლიართ მგლებსა და მელატურებს (მგლები და მელატურებს). ჩქი უკეთენ ღოხორემს ნგერეფი დო ჟოლორემს (ი. ყიფ. 168,13) — ჩვენ ეუკეთებთ სსახლებს მგლებსა და ძალესს (მგლები და ძალესს). თე ოსურეფი დო ძლაბეფიშ ხოლოს ღოთაღოხოლგ (ხუბ. 175,5) — ამ ქალებსა და გოგოების (ქალები და გოგოების) ახლოს არ ქდება...

ლაზ.: მართეთე მოხთე-ში მთელი მორღერი ბოზოფე დო ბიქეფექ ხასანის ღიდო გაბგარეს (ცლ. 10,4) — მეზობლები რომ მოვიდნენ, ყველა მოხრდილმა გოგომ და ბიქმა (გოგოები და ბიქებმა) ხასანს ძალიან დაადირა. წოხლე ფლაბბერეფე დო ხოჭაფექ მიღეთი ქარმატე'სთერი ოქთამტეს (ცლ. 26,17) — წინათ წინასწარმეტყველები და ხოჭები (წინასწარმეტყველები და ხოჭებმა) ხალხს წისქვილით ამბრუნებდნენ. არ თოკი გამიღუ დო ქუქუღეფე დო მონქეჯას ქონუიტი (ჩიქ. 1, 40,5) — ერთი თოკი გამოიტანა და წიწილებსა და კრუხს (წიწილები და კრუხს) შიბაბ. ოფუტემ კოჩეფ დო ოხოჩაღეფ ირ ხოლ ხეფეს ქაფეფე დო კუქუმაფეთ, წყაროშ მოხოთიუ ჩუმერტეს (ღოუმუხ. 93,5) — სოფლის კაცები და ქალები, ყველანი ხელში ქვევრებითა და თუნგებით (ქვევრები და თუნგებით) წყლის მოსელას უცდიდნენ...<sup>4</sup>.

დო კავშირით შეერთებულ სახელებში პირველი წევრის უბრუნველობა არ შეიძლება გამოდგეს იმის საბუთად, რომ ვამტკიცოთ: ამ სიტყვათნაერთის კომპოზიტობა. საქმე იმაშია, რომ დო კავშირით გაერთიანებულ სახელებს ხშირად ახლავს თავ-თავის მსაზღვრელი სიტყვა (ან სიტყვები), ბრუნვის ნიშანი კი ამ შემთხვევაშიც მხოლოდ ბოლო სახელს ერთვის. მაგ.,

მეგრ.: სუმი ცხენამი კოჩი დო ართი ცირაქ მენილ (ხუბ. 40,10) — სამი ცხენოსანი კაცი და ერთი ქალშვილი შემოვიდა. თე ამშვი კოჩი დო მამაქეთა ქაბუკუს გიოსქვდ ქალაქიქ (ხუბ. 241,32) — ამ ექვს კაცსა და მეშვიდე ქაბუქს (ეს ექვსი კაცი და მეშვიდე ქაბუქს) დარჩა ქალაქი. უირი დალეფი დო ართი ჭიმაში არიკი (ხუბ. 135, სათური) — ორი დისა და ერთი ძმის (ორი დები და ერთი ძმის) ზღაპარი. უკული გამშეონეს შეფაშა აჩა დო თიქ იღუ ხაკეციქ. ინენქ ილ დო ქომონჩიქ, აჩია დო მუში ბაღანობაში ნაქოროფუ ახალგაზრდა მუში ქომონჩიქ (ხუბ. 220,13) — შემდეგ შემოიყვანეს სუფრაზე აჩია და ის გახდა პატარასი, ისინი — ცოლ-ქმარი, აჩია და მისი ბავშვობის შეყვარებული ახალგაზრდა მისი ქმარი.

ლაზ.: ოთხო ბიკი ბერე დო არ ბოზოთე ბიდი (ჩიქ. II, 24,11) — ოთხი ეკიშვილითა და ერთი ქალშვილით (ოთხი ეკიშვილი და ერთი ქალშვილით) წავედი. ნოსტონერი მუნთხანეფე დო დაღალეფეში მომაღეს ქოგოოქუ (ცლ. 24,26) — გემრიელი რამეებისა და ყვავილების (გემრიელი რამეები და ყვავილების) მოტანა დაიწყო.

<sup>4</sup> ოთ. ურიდიას ზემოთ დამოწმებულ წერილში (გვ. 174) აღნიშნული აქვს, თითქოს მეგრულში დო კავშირის წინ მდგომი წევრი აუცილებლად ბრუნვის ნიშნით უნდა იყოს გაფორმებული, თუკი მრავლობით რიცხვში იქნა დასმული. როგორც უხედავთ, ტექსტები ამ ვარაუდს არ ამართლებენ. რაც შეეხება ლაზურს, „ქანურის გრამატიკულ ანალოზში“ (გვ. 71) სწორადაა მითითებული მრავლობითშიც ბრუნვის ნიშნის დაურთველობა: შესაძლებლობა: ქემაღეფე დო დაღიფე, ქუშაღეფი დო დაღეფი...-

იმ დროს მე და შალვა ერთ ბინაზე ვცხოვრობდით. შემოგვესაუბრნენ. 10 შაშხანიანი და ხიშტიანი კაცი დაგვეცა თავს. აგვიფორიაქეს ბინა, წაიღეს წიგნები და ჩემი ძმაც თან წაიყვანეს, მერე ციხეში ჩასვეს. მე ციხეში დავდიოდი ერთ ხანად მის სანახავად. ბოლოს, გავიგე რომ ის ციხიდან გაქცეულიყო. მეც, რასაკვირველია, ყველა ამის შემდეგ კარგი არა მომელოდა რა. ჩემს კვალს, უეჭველია, ადრე თუ გვიან, მიაგნებდნენ... მდგომარეობა იქამდის დაიძაბა, რომ მე იძულებული გავხდი მოსკოვიდან «გაქცეულიყავა»...<sup>15</sup> როგორც ვხედავთ, „შ. გორცევი“ შალვა ნათაძის ფსევდონიმი ყოფილა.

შალვა ნათაძე დაიბადა 1883 წლის ოქტომბერში. მისი მამა იასონ ივანეს ძე ნათაძე (1848—1911) იყო ცნობილი პედაგოგი და ხალხოსნური იდეების მქადაგებელი. იგი თანამშრომლობდა ქართულ პერიოდულ გამოცემებში. ზოგჯერ ფსევდონიმებითაც („ალეველი“, „გარდმობევეწილი“, „ქია-ქია-ში“) აქვეყნებდა წერილებს. შალვას გარდა, იასონს ჰყავდა სხვა შვილებიც, რომლებიც თავიანთი საზოგადოებრივი მოღვაწეობით აგრეთვე ცნობილი არიან. უფროსი ვაჟი — გრიგოლ (გიგო) იასონის ძე ნათაძე (1878—1951), ზემომოყვანილი მოგონების ავტორი, იყო ისტორიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც ადრე თანამშრომლობდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ „გიგოსა“ და „გან-ნარძის“ ფსევდონიმებით; შუათანა ვაჟი — ლევან (ლეო) იასონის ძე ნათაძე (1880—1922) პროფესიით პედაგოგი იყო, ეწეოდა ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მოღვაწეობას „ლეოს“ ფსევდონიმით. რაც შეეხება უმცროს შვილს — შალვას, მან წარმატებით დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი ისტორიის სპეციალობით. ჯერ კიდევ ახალგაზრდა „შალვას“ ფსევდონიმით წერილებს აქვეყნებდა ქართულ პრესაში, შემდეგ მოღვაწეობდა რუსულ პერიოდულ გამოცემებში „გორცევის“, „შ. გორცევისა“ და „შ. ლეონიძის“ ფსევდონიმებით. მისი სტატეები დაბეჭდილია 1900—1912 წლების გამოცემებში: „Киевская мысль“, „Речь“, „Современник“, „Утро России“, კრებ. „Коллективист“ (M., 1907) და სხვ. 1906 წელს მან გამოაქვეყნა ბროშურა — „ეროვნული საკითხი“. რევოლუციური მოღვაწეობის გამო იგი დააპატიმრეს, მაგრამ ციხიდან გაიქცა და ემიგრაციაში წავიდა. 1912 წლის 24 დეკემბერს გარდაიცვალა სისხლის მოწამვლით ქ. კონსტანტინოპოლში (სტამბოლში).

შალვა ნათაძის გარდაცვალებას ფართოდ გამოეხმაურა მაშინდელი პრესა. ერთ-ერთი გაზეთი წერდა: „განსვენებული ეკუთვნოდა ადამიანთა იმ ჯგუფს, რომელიც ცხოვრების მიზანს მშრომელი ხალხის ინტერესების სამსახურში ხედავს. ვისაც ის უნახავს და მისი სიტყვები მოუსმენია მღელვარე დროს, მისთვის აშკარაა, თუ რა დიდი დანაკლისია იგი ჩვენთვის. განსვენებული პირველად ეკუთვნოდა ნაროდნიკების ჯგუფს, მაგრამ შემდეგ ცხოვრების დაკვირვებამ და საზოგადოებრივი მეცნიერების სერიოზულმა შესწავლამ იგი მარქსისტების ბანაკში მიიყვანა. უკუღმართმა ცხოვრებამ ის იძულებული გახადა სამშობლოს მხრიდან განიხნულიყო და მოშორებოდა თავის საყვარელ საქმეს. უკანასკნელ დროს ის ათავსებდა ოსმალეთიდან წერილებს რუსულ გაზეთში. რამოდენიმე წერილი მან მოათავსა აგრეთვე გასულ წელს გაზეთ «მნათობში». კარგი მოლაპარაკე, სერიოზული ცოდნით აღჭურვილი,

<sup>15</sup> სგმ ხელნაწერი, № 1756, გვ. 98.

გონებასავილი და მებრძოლი ტემპერამენტის პატრონი, — აი ვინ იყო შალვა ნათაძე! უღმობელმა სიკვდილმა უდროვოდ მოსწყვიტა ის ცხოვრებას...<sup>16</sup>.

მოყვანილი ცნობები დაგვეხმარება ქართველი რევოლუციონერის ცხოვრებისა და პუბლიცისტური მოღვაწეობის შემდგომი შესწავლის საქმეში.

#### თავდორა კიკვაძე

მწერალი და საზოგადო მოღვაწე თევდორე (თედო) გაბრიელის ძე კიკვაძე დაიბადა სოფ. მაკვანეთში (გურია) 1868 წლის აპრილში<sup>17</sup>. 1878 წ. შეჰყავთ ოზურგეთის ოთხკლასიან სასულიერო სასწავლებელში, რომელსაც ამთავრებს 1884 წ. შემდეგ სწავლას აგრძელებს თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარიაში მისი რედაქტორობით 1887 წ. გამოვიდა ხელნაწერი ჟურნალი „ლაშარი“, რომელშიც იგი წერილებს ათავსებს ხ ლ ა ფ ო რ თ ა ძ ი ს ფსევდონიმით. სხვათა შორის, აღნიშნულ ჟურნალში თანამშრომლობდნენ „გრეთვე ფილიპე მახარაძე (ფსევდონიმით „ფ. ჯვარელი“) და ნოე ჟორდანი (ფსევდონიმით „წითელფერაძე“).

თ. კიკვაძემ სემინარია დაამთავრა 1890 წელს და მუშაობა დაიწყო კიათურაში მარგანეცის ცნობილ მრეწველ ნიკოლოზ ლოდობერიძესთან. კიათურიდან ის წერილებს აქვეყნებდა „ივერისა“ და „კვალში“. ამ წერილებში თ. კიკვაძე უმეტესად აშუქებდა ადგილობრივი მუშების ყოფა-ცხოვრებას. მისი ზოგიერთი სტატია კ ა ლ ა რ ა ს ფსევდონიმითაც არის გამოქვეყნებული.

ნიკო ლოდობერიძემ კიათურის მარგანეცის წარმოება სხვას გადასცა, რის გამოც თ. კიკვაძე თავს ანებებს სამუშაოს და 1897—1898 წლებში მუშაობს აკაკი წერეთლის „კრებულის“ რედაქციის გამგედ. პარალელურად თანამშრომლობდა გაზ. „კვალში“, სადაც ლექსებს აქვეყნებდა ფ ა ნ დ ი ს ფსევდონიმით, ხოლო განყოფილებაში „კვირიდან კვირამდე“ წერილებს ბექდავდა ხელმოუწერლად (1898 წ.)<sup>18</sup>.

1905 წ. თ. კიკვაძე კორექტორად მუშაობდა ახლადდაარსებულ რუსულ გაზეთ „Возрождение“-ში, ხოლო 1906 წლიდან მდივანდ იყო გაზეთ „სხივში“. დასახელებული გაზეთის დახურვის შემდეგ თანამშრომლობდა გაზეთებში „განთიადსა“ და „ელვაში“, სადაც მისი წერილები გამოქვეყნებულია კ.-ს ხელმოწერით. არის ცნობა, რომ გაზ. „ელვაში“ თ. კიკვაძე სტატიებს აქვეყნებდა თ. ბ ე კ ა თ ე ლ ი ს ფსევდონიმითაც<sup>19</sup>. 1906 წ. ჟანდარმერიამ გაზ. „ელვის“ რედაქცია დაარბია და თანამშრომლები დააპატიმრა. მათ შორის იყო თ. კიკვაძეც.

1907 წლის შემოდგომიდან ის ხელმძღვანელობდა იუმორისტულ ჟურნალ „კვალს“, რომლის ოფიციალური რედაქტორი ასოთამწყობი პლატონ

<sup>16</sup> ჩუენი დროება, 1913, 6 იანვარი, № 9. იხ. აგრ. Речь, 1913, № 7; Утро России, 1913, № 5 და სხვ.

<sup>17</sup> თუითონ მწერლის ცნობით, მეტრიკულ მოწმობაში შეცდომით სწერია 1869 წლის აპრილი (საქართველოს სახელმწ. ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი, № 25279).

<sup>18</sup> ამავე სათაურით ხელმოუწერელ წერილებს აქვეყნებდა ნ. ჟორდანიაც, რომელსაც მათ შინ „კვალს“ ხელმძღვანელობდა.

<sup>19</sup> А. А брамишвили, Грузинская периодика. 1968, გვ. 220.

რასაკვირველია, არავის მოუვა აზრად, კომპოზიტად ჩათვალოს: სუმი ცხენამი კოჩი დო ართი ცირა, უირი დაღეფი დო ართი ჭიმა, აჭია დო მუში ბაღანობაში ნაჟოროფუ ახალგაზრდა მუში ქომონჭი, ოთხო ბიჭი ბერე დო არ ბოზი და მისთანანი. უკანასკნელ მეგრულ მაგალითში ხუთი მსახლერელი უძღვის სახელური ჭგუფის მეორე (ბოლო) წევრს; მიუხედავად ამისა, პირველი წევრია (აჭია) უბრუნველია.

საინტერესოა, რომ დო კავშირის წინ მდგომი სახელი შეიძლება მაინც არ ირთავდეს ბრუნვის ნიშანს, როცა მომდევნო წევრი ბრუნვაუცვლელი სიტყვაა, სახელდობრ, პირის ნაცვალსახელი. მაგ.,

ლაზ.: ა მე დი დო მან-თი არ-არ ქვა ქობიხათ (ჩიქ. I, 55,19) — აჰმეღა და მეუ (აჰმედი და მეუ) თითო ქვა ენახოთ. ალი დო მან არ დღას ნანაჰ მიწვეს-ქი... (ჩიქ. I, 99,17) — ალის და მე (ალი და მე) ერთ დღეს დღამ გვიოხრა, რომ... ალი დო მან დიდო მაშქურინეს (ჩიქ. I, 99,19) — ალის და მე (ალი და მე) ძალიან შეგვეშინდა.

მეგრ.: ი ნა დო მა ლეკური ემაჰმედესია შქაშა (ხუბ. 300,3) — მას და მე (იგა და მე) ხმალი გველოო შუამი.

სახელური ჭგუფის შემადგენელ წევრთა დამაკავშირებლად მაჩვენებელი დო კავშირის გარდა სხვა (მაპირისპირებელი) კავშირებიც გამოიყენება. ამ შემთხვევაშიაც პირველი წევრის უბრუნველობა მეგრულ-ლაზურში ბუნებრივი ჩანს. მაგ.,

ლაზ.: ოხო რჯა ვარდა ნანამუშიქ გამელუნ ოფტებმა დო გინძე სერსითე ურათს (ჩიქ. I, 162,18) — ცოლა ან დედამისი (ცოლი ან დედამისმა) გამოეკ ეზიში და ვრძელი ხმით ყვირის. ჩილი ვარდა ნანამუშიქ გოქკათს (ჩიქ. I, 162,21) — ცოლი ან დედამისი (ცოლი ან დედამისმა) დაიწყებს.

მეგრულ ტექსტებში მაპირისპირებელი კავშირის შემცველ სახელურ ჭგუფში წინა წევრის უბრუნველობის მაგალითები ჩვენ არ შეგვხვებდრია, მაგრამ თეორიულად სავსებით დასაშვებია. მაგალითად, გვაქვს: ვარა ჭა დი ვარა დი შქას სოლე მილა (ი. ყიფ. 161,13) — ან ჩალას და ან შეშას (ან ჩალა და ან შეშას) საიდან მოიტან. სავსებით შესაძლებელია გამოვტოვოთ დო კავშირი და მხოლოდ ვარა (ან) მაცალკეებელი კავშირი დავტოვოთ: ვარა ჭა, ვარა დი შქას სოლე მილა.

აქამდე თქმული ეხებოდა კავშირით შეერთებულ სახელთა ჭგუფს. რა ვითარებაა სახელთა უკავშირო შეერთებისას? ლატერატურაში მეგრულის შესახებ აღნიშნულია, რომ უკავშირო შეერთების დროს ყველა ერთგვარი წევრი აუცილებლად დაირთავს ბრუნვის ნიშანს.

მართლაც, უკავშირო შეერთების დროს სახელური ჭგუფის ყველა წევრი, ჩვეულებრივ, იბრუნვის როგორც მეგრულში, ისე ლაზურშიც. მაგრამ არც თუ იშვიათი უნდა იყოს ბოლოსწინა წევრთა უბრუნველობის შემთხვევებიც. მხედველობაში გვაქვს ამგვარი მაგალითები:

მეგრ.: გორჩინდგ ტყას გერი, ატურა, თუნთიქ (ხუბ. 181,10) — ვანლა ტყეში მგელი, ტურა, დოთი (მგელი, ტურა, დოთი). იმ ტოროფა, ცქეშალას ათენერო რაგადანსე (ი. ყიფ. 175,19) — მას სიყვარულს, ქებას (სიყვარული. ქება) ანაიზდ ლაპარაობს. ია, ვარდი, მაგლონიას დუღეფ გუქეჩანსე (ხუბ. 337,25) — იას, ვარდს, მაგნოლიას (ია, ვარდი, მაგნოლიას) ხუქუქა თავი ჰქონდა. არა

მთა და ბარი: სიკუდილამდი სამსახურსა ჩუენ დაიწყებთ მთა და ბარსა (ფეშანგი, 1084,4). მათ სახელი მოიხუეეს, მოეფინა მთა და ბარსა (იქვე, 1116,4). მაშინლა ნახონ ქართულნი, არლუევდენ მთა და ბარებსა (იქვე, 292,4). აწ გესალმები ყველასა, სოფელსა, მთა და ბარასა (მესიცი, 156,47,4). ისეთ გვალეას დაგაყენებ, სულ გაღვიწყე მთა და ბარსა (ხალხ. პოეზია, 205,29). ელეა-სეტყვას გამოუშვებ, სულ დაეიტან მთა და ბარსა (იქვე, 206,10). წადი ეხლა და იარე ვაბეღლით მთა და ბარზუდა (იქვე, 120,19). არ ეფიქრება კლდე-ღრისა... აღზენის მთა და ბარისა (რ. ერისთ. 355,21). და მთა და ბარის დასატყობელად ააყენოსოსო და აატეროს (აყაი, 456,15).

მთა და ველი: გაემართნენ მხიარულნი, მიგრაგნიდენ მთა და ველთა (ეხტ. VI, 16,50,4). როცა მწყემსი გაპყრობს ხელში და გაპყივის მთა და ველში (აყაი, 237,5). კვლად დამანახოს ქვეყანა, შემკული მთა და ველითა (მ. მღვიმ. 17,12).

ცა და ქვეყანა: თითქო ცა და ქვეყანამ ამოოსუნთქო (ე. ნინ. I, 135,19). ცა და ქვეყნის ბაასი (ხალხ. პოეზია, 205). ცა და ქვეყნის შუამავლდ მიახინა მას აფხაზი (აყაი, 213,5).

ცა და მიწა: ის გარბის მინდრად ცა და მიწას შუა (აყაი, ჩემი თავე).

გზა და კვლი: ქრისტე-ღმერთსა შეგაიჩრებ, სულ დაგიბნეე გზა და კვლასა (ხალხ. პოეზია, 206,18). რაც შემიძლია, ვუბნეე გზა და კვალს! (აყაი, 451,1). იმის გზა და კვალს ვინ მოსძებნის (მ. მრეელიშვილი, ზეაუი: მნაოობი, 1956, № 9, გვ. 12, 51). ჩუმაღ, მწყემსო, ჩემს გზა და კვალს შუენ არაყინ არ გეკითხება (იქვე, 23,15).

გზა და ხიდი: ჩვენ რეაფოთი გზა და ქიდად, ნუ ვინ დარჩეს უარესად (ფეშანგი, 403,4). შუა ჩადგენ და ძებნე შუა შური გასდვეს გზა და ხიდად (აყაი, 237,5).

ძმა და და: ძაან ძმა და დასაეთი გვემყრობა გოგო-ბიჭებს (ევნ. ნინ. I, 15,7).

ძმა და შვილი: ქალი მისცა, დაისიძა, თუ ინდომა ძმა და შვილად (ფეშანგი, 287,1). შუენ შაძეს საფარველი, შუენ გუქელყუი ძმა და შვილად (იქვე, 930,1). შოღი, გუნახე, შეგიმცნო, მიგიჩნიო ძმა და შვილად (იქვე, 76,1). გამოკემაში დაბეჭდილია: ძმადა, შვილად). მიმაჩანო ძმა და შვილად, სიამოუნე თქუენთან მინა (იქვე, 339,4. დაბეჭდილია: ძმადა შვილად).

ყ(რ)მა და ბერი: მას ეამშოა უშოვენლად არ დაარჩენს ყმა და ბერსა (იქვე, 323,2). თქუეს: „შევაკლოთ თაგი ჩუენი, რას კელსა გუყრა ყმა და ბერსა“ (იქვე, 377,4). ბაგრატ მისი შემკუიღრეა, თქუენცა ჭითხე ყმა და ბერსა (იქვე, 917,3). იქით და აქათ თაველთა ყრა არის, ყმა და ბერისა (238,2). მოიმაღლეს საბოძურითა, ვინცა იყო ყმა და ბერად (716,2). შორის მოსარულნი მნახველი ჩარად დღეს ყრმა და ბერისა (ნ. ციცი-შვილი, 35,2).

ყმა და მამული: ყმა და მამულსა სხეა შედაეება (გ. ერისთ. 207,10). კენინა წაბრძანდა შვილის ყმა და მამულში (ლ. არღაზ. 333,13). იზოდენა ყმა და მამულის ნახეყარი იმას უნდა დარჩენოდა (ანტ. ფურტ. 51,23). ნახეყარი ყმა და მამულის შოცილე გუარზდებოდა (იქვე, 51,33). მათის წილის ყმა და მამულით მხოლოდ თეთონა სარგებლობდა (იქვე, 53,36).

ხენა და თესვა: ხენა და თესვის თაგი ამათ არა ჭჳონდათ (ანტ. ფურტ. 57,13).

ხენა და ფარცხვა: უღუმართად ქენა და ფარცხვამ ეს ნაყოფი ვაშოილო (ლ. გურამიშვილი, 52,183,1).

წვა და დაგვა: დავითმა როგორც იყო ვაითა და ვაგლახით და რის წვა და დაგვითა შეასრულა სასწაულბელი (ანტ. ფურტ. 54,11). მცხოვრებნი ამ სოფლებისა წვა და დაგვით ათრევდნენ თავიანთ სიციოხლის მწარე დღეებსა (ნ. ლომ. 253,33).

ჭრა და კერვა: ის ქალი გვაწყელიდა წერა-კითხვას, ჭრა და კერვას (დილაქტ. I, 310,27).

ჭრა და კოღვა: ევრა გთნე, თუ ტახტს არ დასკლით, შიხვედებით ჭრა და კოღვასა (ლ. გურამ. 66,286,4).

ცდა და ხერხი: ბელს ეწყიეთ, ღმერთმან მოგეცა, არა ჩეენმა ცდა და ხერხმა (საბა, II, 269,7).

სრა და სამყოფთ: სრა და სამყოფთა სიყუე, ტახტი უთქს ოქროს სუეტითა (ფეშანგი, 146,4).

სრა და ოთალი: სრა და ოთალთა სიყუე კაცმა ვით ვანიგულსა (იქვე, 183,2).

დღე და ღამე: სანდღიარ გზასა მიმართე, სამს დღე და ღამეს იარე (შაპ-ნამე, 5536,2: ლენინგრ. საჭ. წიგნთსაცაის № 15 ხელნაწერი, ყარაჯან გორგეფანისძის რედ.

ული აზროვნების ორი კომპლექსისა, სასულიერო და საერო (მ. წუტუბიძე, ს. ყაზხიშვილი, შესავალი წერილი: იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II, თბილისი, 1937, გვ. XI, 11).

სახელური ჭგუფის წინა წევრის უბრუნველობა შესაძლებელია მაშინაც, როცა მაკავშირებლად სხვა კავშირია (თუ, ან, ანუ) გამოყენებული. მაგ.,

ორ მოი თუ ნათხარის პატრონს... (ვახტ. სამართ., 546,15). ჩიბუხი გოგას, მუწაობა თუ სიარულის დროს, მუდამ პირში ეჭირა. (გ. ნინ. I, 234,30). ვითამუ ვიყო ამხანაგი შემოდგომა ანუ სთვლისა (თეიმ. I, 63,13,2). წაართვემდე, ნახო ვინმე საიშერლო ან საქართლოს (არჩილი, 34,121,2).

როგორც ვხედავთ, თანწყობითს სახელურ ჭგუფში წინა წევრის უბრუნველობის ტენდენცია მეგრულ-ლაზურთან ერთად ქართულსაც (ძველსაც და ახალსაც) ახასიათებს. მაგრამ თუ კი მეგრულ-ლაზურში ეს ტენდენცია ყოველგვარ სახელთან (საკუთართან და საზოგადოსთან, ხმოვანფუძიანთან და თანხმოვანფუძიანთანაც) იჩენს თავს, ქართულში მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში, სახელთა გარკვეულ ჭგუფებში (ძველში — საკუთარ სახელებში<sup>12</sup>, ახალში — ხმოვანფუძიანებში) გვაქვს მხოლოდ. რა არის ამის მიზეზი?

ივ. იმნაიშვილის აზრით, ახალ ქართულში და კავშირით შეერთებულ სახელთა ბრუნებისას პირველი წევრის უბრუნველობას უმთავრესად მაშინ აქვს ადგილი. „როცა პირველი სიტყვა ერთმარცვლიანია და ადვილად ხერხდება მისი შინაარსობლივად და ფორმალურად შერწყმა მომდევნო სიტყვასთან (მთა და ბარი, ცა დამიწა), მაგრამ მსგავსი მოვლენა ზოგჯერ ორმარცვლიან სახელებშიც გვხვდება“<sup>13</sup>.

მართლაც, ორმარცვლიან სიტყვებში არცთუ იშვიათად დასტურდება ეს მოვლენა, არც ორზე მეტმარცვლიან სიტყვებს ეუცხოება ასეთი რამ (იხ. ზემოთ: ბურთობა და ასპარეზსა, ილიადა და ოდისეასაც, სასულიერო და საეროსი, მუშაობა თუ სიარულის...).

სახელთა მარცვლიანობას, ვფიქრობთ, არ უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ისევე როგორც არ ჰქონდა მას მნიშვნელობა ძველი ქართულის საკუთარ სახელებში და არა აქვს მეგრულ-ლაზურში. მთავარი, ვფიქრობთ, ისაა, რომ ყველა ეს სიტყვა (იგულისხმება ახალი ქართულის შესიტყვებებში) ხმოვანფუძიანი სახელია<sup>14</sup>.

11 გამოცემაში ტექსტი გასწორებულია, ნათესაობაჲს ნიშანი კაეებშია მიწერილი: ორმო[ი] თუ ნათხარის პატრონს.

12 ძველი ქართულისებური ვითარება ზოგჯერ ახალ ქართულშიც დასტურდება. მაგ.: ღურმისხანი იყო ძე ადამ და ევასი (დ. კონქ., 431,14); თუნდა რომ ვაჟისა და ქალის შუა ადამ და ევას ჩამომავლობის მგტი ნათესაობა არა ყოფილიყო რა (ე. ვახ. 528,15); ეძიე შენ ადამ და ევას კელო (პ. კაკაბაძე, ქარიშხალი: მნათობი, 1958, № 12. 36,13).

13 ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვითა ფუნქციები... გვ. 384—385.

14 ქართულში და კავშირიან სახელურ ჭგუფში წინა წევრის უბრუნველობა სხვა რამეშიც იჩენს თავს: როცა პირველი წევრი კუთვნილებითი ნაცუალსახელია, იგი ხშირად შესაბამისი პირის ნაცუალსახელითა შეცვლილი. მაგ.: სანამდის მე და ღვთა ვარჯიშს ნახვილიც (რუსუდ. 281,32); მე და შენ შუა არის ერთი ყვითელი კლდე (იქვე, 258,12); შდრ. ჩემსა და შენს შუა (იქვე, 283,2); მე და შენს მგტი ხომ არაჲინ არისო (იქვე, 177,4. ხელნაწერები BC); თქვენ უნდა ჰქმნათ მე და ამისი სამართალი (თეიმ. II, 183,25); თორემ მე და შენი ცულქმრობა აღარ იქნება (იქვე, 177,9); თუ რამ სასამართლო საქმე მე და თქვენს შუა იქნება (იშერ. გურ., 134,31); ის საქმე მე და ღვთის მგტმა არაჲინ იცოდა (დ. კონქ., 461,30); გულზე

გაღწერილი 1671 წ.). მეფის ერთგულება და დღე და ღამის სამსახურის ცდა გმარებებს (საბა, I, 80,21). ეხლა ჩემი საწყალი კაცი დღე და ღამის ასწორებს ჩემის შენახვისათვის (ილია, II, 450,18). დღე-და-ღამის გაყრისას დედა დაუგებდა ლოჯანზე მის სიგრაჟ ნაბღის ქეჩას (გ. წერ. 54,16). შორს არის, მაგრამ იქა ვარ ოცნებით დღე და ღამითა (შ. მღვიმ., გვ. 48).

**მზე და მთვარე:** მარიამ ზის ტახტა ზედან, იგი სჯობდა მზე და მთუარეს (ფეშანგი, 142,3). შეიჯარენს და ლაღობდენ, ვამგზავსე მზე და მთუარესა (იქვე, 715,4). ამაღლით, გრძნობაჲ, გონებაჲ!.. ასილით მზე და მთუარესა (აკაკი, 237,5). ერთხელ თურმე მზე და მთუარეს მოუვიდათ ჩხუბი დიდი (იქვე, 238,3). მზე და მთუარეს გველშეშაპები დაიქურენ-ყეო და დააბნელებენ-ყეო (ნ. მელანია, ბნელო, თბ., 1951, 105,4).

**ტყე და მინდორი:** მოაგრგენს ტყე და მინდორსა, მით ვერ დაუდგამ ქუა დია (ფეშანგი, 382,3). სიყო და ის იკლებდენ ტყე და მინდორს თამაშობით (ე. ნინ. II, 247,24).

**ტყე და ველე:** თეარა ამ ტულით და თიხით გავიტან ტყე და ველსაო (აკაკი, 135,18). რა სიმღერით მიწანავებია იმის ზურგზე აღმა-დაღმა ტყე და ველში (პ. კაპანაძე, 86,12).

**ხე და ქვა:** ნეკით გასტყვარცნის, აფშინა ხე და ქვათ შეეცხებაო (ვაჟა, 128,12). **კლდე და კაპანი:** გაივლის კლდე და კაპანსა, მი: უფრო არ ეგებნია (ფეშანგი, 722,2), გაივლის კლდე და კაპანსა, არც ყოლს მიაჩანს სალია (იქვე, 869,3).

**რძე და ღვინო:** რძე-და-ღვინის ფერი იმისი პირისაჲსი კანა დაეფურცაყულუბია (ე. ნინ. 72,21).

**ხე და ბელი:** აროდეს უმტყუენია ჩვენთვის სეე და ბედსაო (აკაკი, 589,24).

**დრო და ფაში:** ხომ ახედაეთ, ბატონებო, რა დრო და ეამის აჰყოლი და მორჩილი კაცი ვარ (ილია, II, 277,10). დრო და ეამის შესაფერად — ზამთარ თბილი, ზაფხულ გრილი (აკაკი, 211,11).

**ცრუ და მართალი:** მსაჭულად ყოფა ცუდია, ვინ ვერ სცნობს ცრუ და მართალსა (არჩილი, 76,49,1).

**ია და ვარდი:** ადგა ბიჰმა, ახსენა ღმერთი და იქ უნდა წაიღიეს, საცა ია და ვარდის ქალაქი (დიადეკი, I, 324,27). შენ ია და ვარდის ქალაქში უნდა გადმოყუენაო (იქვე, 325,8). უნდა რომ მოჰამაგირეთ დადგეს ამ ია და ვარდის (იქვე, 325,30).

**მიწა და წყალი:** ნულარც სხვის მიწა-და-წყალმა, ნულარც სხვის არე-მარემა (შ. მღვიმელი, 4,21).

**შრომა და ჭაფა:** ყმაწვილი ქალია; შრომა ვა ჭაფის ატანა შეუძლიან (ს. მგალობ-400,27).

**ქუა და უნარი:** აბა რა ქუა და უნარის გამოჩენა შეაძლება ამ ერთი ციქნა მერუნებამი? (თ. დონეაშვილი, ალაზნის პირას: მნათობი, 1955, № 11, 103,21).

**ტურფა და სრული:** წვერგამო ყმასა ეამსგავსე მასა, მშვენიერებია ტურფა და სრულსა (საბა, II, 122).

**ღამე და დღე:** მას ჰქონდა მორკმა, დიდება ლხინი ღამე და ღღისანი (ფეშანგი, 258,3).

**ოქრო და ვერცხლი:** ოქრო და ვერცხლსა წმიდასა ვერას უპოვებ წიდასა (საბა, II, 123,8). ოქრო და ვერცხლთა მიწათ ჩაბნევა ბრძენმა ეგოდენ ეერა გიძარხონ (იქვე, 180,32). ოქრო და ვერცხლში ჩამქდარი, მარტო შემოღის მთაყარი (აკაკი, 263,12). ოქრო და ვერცხლთ შექედეთ მუსხა, მრავალმტოვანი და უდიდესი (აკაკი, 570,22).

**აწმყო და მომავალი:** აწმყო და მომავალსათვის დღეს რალა არის ქართველი (აკაკი, 336,28).

**ბურთობა და ასპარეზი:** ბურთობა და ასპარეზა აქებდიან ჩემგან ქმნილსა (ვეფხისტყაოსანი, 325,4: XVIII საუკ. ფელანწერები — II 461 და W 18<sup>10</sup>).

**ილია და ოდიხე:** ეს ფრიალ საეულისხმო მომენტია, ეს მომენტი ახასიათებს „ილიად“ და „ოდისეასს“ (ე. კოტეტიშვილი, შესავალი წერილი, ხალხ. პოეზია, 9,23).

**სასულიერო და საერო:** პეტრიწის ადგილისა და საქმის გასარკვევად ცოტა უფრო ღრმა ფილოსოფიური კვლევა საჭირო და უპირველეს აუელოსა განასახევევლად ქარ-

<sup>10</sup> ზოგ ხელნაწერში (II 1839, S 4527...) ამ სახელური გვფიქვს წინა წვერი ნაბრუნებია: ბურთობას და ასპარეზსა. სხვა ხელნაწერებში (და პოემის ყველა გამოცემაში) სტრიქონის პირველი ნახევარი სხვაგვარად იკითხება: სროლასა და ასპარეზსა.

რა აქვს საერთო ძველი ქართულის საკუთარსა და ახალი ქართულის ხმოვანფუძიან სახელებს მეგრულ-ლაზურის სახელებთან? საერთოა ის, რომ მათ ყველას სახელობითის ფორმა და ფუძე ერთნაირი აქვთ.

თანწყობით სახელურ ჯგუფში პირველი წევრის უბრუნველობას საფუძვლად ის უნდა ედოს, რომ სახელობითში, ე. ი. ისეთ ფორმაში, რომელიც საგნის სახელწოდებას გამოხატავს<sup>15</sup>, სახელობითის ფორმა ფუძედ იქნა გააზრიანებული და ირიბ ბრუნვებშიც სწორედ ეს გაუფორმებელი ფუძე იქნა გაღატანილი.

ნ. მარმა ლაზურში და კავშირიან თანწყობით შესიტყვებაში პირველი წევრის უბრუნველობა იმავე რიგის მოვლენად მიიჩნია, როგორისაც არის მსაზღვრელის უბრუნველობა საზღვრელის წინ. იგი წერდა: „სიტყვები წინადადებაში მთელის განუყოფელ ნაწილებად აღიქმება... ღო (და) კავშირით შეერთებული არსებითები ერთ მთლიანობად აღიქმება და ამიტომ იბრუნვის ბოლო მთგანი, წინამავალი კი გაუფორმებელი საწითაც იმავე ბრუნვაში დასმულად აღიქმება, რა ბრუნვაშიცაა ბოლო სახელი: დოული დო ზურნათე „დოლითა და ზურნით“. ამანუა დაფუძნებული ისიც, რომ მსაზღვრელად გამოყენებული ზედსართავები და ნაცვალსახელები, როცა უძღვიან სასაზღვრ სიტყვას, არ იცვლებიან: იბრუნვის მხოლოდ ბოლო სიტყვა“<sup>16</sup>.

ნ. მარის მოსაზრება სამართლიანია. მართლაც, მსაზღვრელ-საზღვრულში (თუ საზღვრულ-მსაზღვრულში) პირველი წევრის უბრუნველობა ქართულშიც (ძველშიც, ახალშიც) სწორედ იმ რიგის სახელებში დასტურდება, რა რიგის სახელებიც არ იცვლებიან ბრუნვაში თანწყობითი შესიტყვეების ბრუნებისას. ახალ ქართულში სწორედ ხმოვანფუძიანი მსაზღვრელები არ იბრუნვიან საზღვრელის წინ (ფართო ველმა, ფართო ველს...), ძველ ქართულში (და ახალშიც) საზღვრულ-მსაზღვრელის პირველი წევრი არ იცვლება, თუ კი საკუთარი სახელია (პეროდე მეფესა, ჰეროდე მეფისა, ბუროდე მეფითა... თამარ მეფემ, თამარ მეფეს, თამარ მეფის...).

თანწყობითი სახელური ჯგუფისა და მსაზღვრელ-საზღვრელის ერთგვაროვანი ცვლილება თანხმოვანფუძიან სახელებშიც შეინიშნება ქართულში. როგორც ვიცი, ახალ ქართულში მსაზღვრელ-საზღვრელის წყობის დროს თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი სახელი მხოლოდ სამ ბრუნვაშია (სახელობითში, მოთხრობითში, წოდებითში) სრულად შეთანხმებული საზღვრულთან. სხვა ბრუნვებში სრული შეთანხმება არა გვაქვს; სახელდობრ, მიცემითსა და ვითარებითში ბრუნვის ნიშანი მთლიანად მოკვეცილია და მსაზღვრელი ფუძის სახითა წარმოდგენილი (დიდ სახლს, დიდ სახლად), ნათესაობითსა და მოქმედებითში კი ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი ელემენტი (ს, თ) იკვეცება და ი ხმოვანილა შემორჩენილი (დიდ-ი სახლის, დიდ-ი სახლით). სპორადულად ანალოგიური ცვლილება დასტურდება თანწყობითის სახელურ ჯგუფშიც. მაგ.,

მჩინეა ნიშანი მე-დ იმის ბრძოლს წამისა (ეაეა, 149,20); მე და შესზე უფრო იმათ ესმათ (გ. წარ., 271,33); თუ მე და მაროს გაყრაე შეიძლება (ეკ. გვბ. 531,34); დღეს შე ე და სამონის წყალობით სამართალი ვეღარ ჰრის სამართალს (გ. წარ., 271,31).

<sup>15</sup> „სახელობით ბრუნვას ბრუნვათა შორის პირველი ადგილი უკავია, როგორც საგნის სახელწოდების გამოხატველ ფორმას“ — ა. კიზირია, სახელობითისა და მოთხრობითის ფუნქციები ძველ ქართულში: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, 1, თბ., 1956, გვ. 362.

<sup>16</sup> Н. Марр. Грамматика чанского (лазжско) языка, гв. 76, § 121.



პირველ წევრს ბრუნვის ნიშანი მოკვეცილი აქვს და ფუძის სახითაა დაკავშირებული მიცემითში დასმულ მეორე წევრთან:

შენ, კარისა ჩენისა მწირველს წერეთელს მღვდელს სვიმონს და შენს შვილ<sup>17</sup> და მომავალს (იმერ.-გურ., 98,13). როდესაც დიანბეგ და ნაჩალიკს უსულოდ შეეძლოთ (ა. ყაზბ., 157,8). ხუთ უღელ ხარ და კამეჩში გამოგარჩიე, ღომაო (ხალხ. პოეზია, 187,25).

თანწყობითი შესიტყვების პირველ წევრს ბრუნვის ნიშნის თანხმობითი ელემენტი მოკვეცილი აქვს და მხოლოდ იხმოვანი აქვს შერჩენილი:

მას გაახსენდა თავისი ძული და დედამაჟილას სიტყვები (ჯ. ნინ. 11, 95.5). ნხაკილი<sup>18</sup> და კნაელით მასპინძელთა გული შეეპირებინათ (საბა, 111, 93,11).

ანალოგია ამით როდი ამოიწურება. ცნობილია, რომ ახალ ქართულში მოქმედებითში დასმულ საზღვრულს ზოგჯერ ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი შეეწყობა (დიდის სახლით), ვითარებითში დასმულს კი — მიცემითში დასმული მსაზღვრელი (დიდის სახლად). საინტერესოა, რომ იგივე მოვლენა შეიძლება დავადასტუროთ თანწყობითის სახელურ ჭგუფშიაც.

ოქროსა და ვერცხლითა იყო აგებული (შაპ-ნამე, 399,11). მე დონ კიხობის თავ-გადასაქვას გთავაზობ მთლიანად, ჩუმი გმირის გარდაცვალებასა და დაკრძალვამდე (სერგანტისი, დონ კიხობი, ტ. 11, თბ., 1953, 9,12).

პირველ წინადადებაში ნათესაობითის ფორმა (ოქროსა) შეწყობილია მოქმედებითთან (ვერცხლითა), მეორეში კი ვითარებითთან (დაკრძალვამდე) მიცემითია (გარდაცვალებასა) დაკავშირებული.

დავასკვნით: თანწყობითი სახელური ჭგუფი და მსაზღვრელ-საზღვრული (საზღვრულ-მსაზღვრელი) ერთი რიგის შესიტყვებებს წარმოადგენენ. ერთი რიგისას იმ თვალსაზრისით, რომ მათ ცვლილების ერთნაირი ტენდენცია ახასიათებთ — ტენდენცია გამარტივებისა, პირველი წევრის გაკვეთასა, უბრუნველობისა. და ეს ტენდენცია საერთოა მეგრულ-ლაზურისა და ქართული-სათვის.

შემოკლებები

- აკაი — აკაი წერეთელი, თხზულებათა კრებული შვიდ ტომად. ტ. III, პიემები, თბ., 1940.
- ლ. არდაზ. — ლავრენტი არდაზიანი, სოლომონ ისაკიშ შექლანოაშვილი: ჩენი საუნჯე, ქართული მწერლობა ოც ტომად, ტ. 6, თბ., 1960.
- არჩილი — არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. 1, თბ., 1936.
- ბესიცი — ბესიცი, თხზულებანი, ტექსტი, შენიშვნები, ლექსიკონი. აღ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, თბ., 1962.
- ეკ. გაბ. — ეკატერინე გაბაშვილი, მოთხრობები: ჩენი საუნჯე, ტ. 10, თბ., 1960.
- დ. გურამ. — დავით გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1955.
- დიალექტი. I — ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, ქართული ენის ენობათა მოკლე განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი, თბ., 1961.

17 გამოცემაში მიცემითის ნიშანი აღდგენილია: შვილ[ს] და მომავალს.  
 18 გამოცემაში მოქმედებითისეული თ აღდგენილია: ჩხაკილი<თ> და კნაელით.

- ლიუმზ. — G. Dumézil, Contes Lazes, Paris, 1937.
- გ. ერისთ. — გ. ერისთავი, კომედიები: ჩვენი საუნჯე, ტ. 6, თბ., 1960.
- რ. ერისთ. — რაფიელ ერისთავი, ლექსები: ჩვენი საუნჯე, ტ. 9, თბ., 1960.
- ევა — ევა-ფშველა, რჩეული: ჩვენი საუნჯე, ტ. 12, თბ., 1950.
- ვახტ. VI — ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, ლექსები და პოემები, აღ. ბარამიძის რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1947.
- ვახტ. სამართ. — სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა: ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1963.
- თეიმ. I — თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი აღ. ბარამიძის და გ. ჭაკობიას რედაქციით, თბ., 1934.
- თეიმ. II — თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული, გიორგი ჭაკობიას წინასიტყვაობით, რედაქციით, ლექსიკონით და შენიშვნებით, თბ., 1939.
- ილია — ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, თბ., 1941.
- იმერ-გურ. — ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდრის სამთავროებისა (1466—1770 წწ.). წიგნი I, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ. ბერქანაძემ, თბ., 1958.
- პ. კაკაბ. — პოლიკარპე კაკაბაძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1954.
- ნ. ლომ. — ნიკო ლომოური, მოთხრობები: ჩვენი საუნჯე, ტ. 10, თბ., 1960.
- ს. მგალობ. — სოფრომ მგალობლიშვილი, მოთხრობები: ჩვენი საუნჯე, ტ. 10, თბ., 1960.
- შ. მღვიმ. — შიო მღვიმელი, სიმღერები, თბ., 1938.
- ე. ნინ. — ეგნატე ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული მეოთხე გამოცემა, სიმონ ხუნდძის რედაქციით და შენიშვნებით, ტ. I, II, თბ., 1932.
- ელ. — ს. ელენტი, ჰანური ტექსტები, არქაბული კილოკავი, თბ., 1938.
- რუსულ. — რუსულანაინი. ილია აბულაძისა და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით, თბ., 1957.
- საბა, I — სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. I. გამოსაცემად შ.ო. შხადის ს. ყუბანეიშვილმა და რ. ბარამიძემ, თბ., 1959.
- საბა, II<sub>2</sub> — სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. II<sub>2</sub>. აღ. ბარამიძისა და ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1962.
- ფეშანგი — ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გიორგი ლუნიძის და სოლ. იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1935.
- ა. ფურც. — ანტონ ფურცელაძე, მოთხრობები: ჩვენი საუნჯე, ტ. 10, თბ., 1960.
- ა. ყაზბ. — ალექსანდრე ყაზბეგი, რჩეული: ჩვენი საუნჯე, ტ. 11, თბ., 1960.
- ი. ყიფ. — მეგრული ტექსტები, დაბეჭდილი წიგნმა: И. Кипшадзе, Грамматика мингрельского (инверского) языка с хрестоматиею и словарем, СПб, 1914.
- ყიფ. — ი. ყიფშიძე, ჰანური ტექსტები, თბ., 1939.
- შაჰ-ნამე — აბულ-ყასიმ ფირდოუსი, შაჰ-ნამე, ქართული ეერსიები. ტ. II, პროფ. იუსტ. აბულაძის, დოც. აღ. ბარამიძის, პ. ინგორაევას, პროფ. კ. კეკელიძის და პროფ. აკ. შანშიძის რედაქციით, კომენტარებით და ლექსიკონით, თბ., 1934.
- ჩქ. I — არნ. ჩიქობავა, ჰანური ტექსტები. ნაკვეთი პირველი, ხოფური კილოკავი, თბ., 1929.
- ჩქ. II — არნ. ჩიქობავა, ჰანური ტექსტები, II. წიგნში: ჰანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, თბ., 1936.
- ნ. ციცი. — ნოდარ ციციშვილი, შვიდი მთიები, ბარამ-გური, პროფ. კ. კეკელიძის რედაქციით, გამოკვლევით და ლექსიკონით, თბ., 1930.
- გ. წერ. — გიორგი წერეთელი, მოთხრობები: ჩვენი საუნჯე, ტ. 9, თბ., 1960.
- დ. ჭონქ. — დანიელ ჭონქაძე, სურამის ციხე: ჩვენი საუნჯე, ტ. 6, თბ., 1960.
- ხალხ. პოეზია — ე. კობერეშვილი, ხალხური პოეზია, მე-2 გამოც., თბ., 1961.
- ხუბ. — მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, თბ., 1937.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ჭიქიამ)

კონსტანტინე ლერნერი

გლოტოქრონოლოგიის მეთოდი და ლექსიკო-  
სტატისტიკის ამოცანები

I

1. ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების მეთოდთა რიგში გლოტოქრონოლოგიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იმის გამო, რომ აქ იყო დასმული პრინციპულად ახალი ამოცანა — მონათესავე ენათა დივერგენციის აბსოლუტური დათარიღება. ამ მეთოდის ჩამოყალიბება ორი ძირითადი ფაქტორით იყო გაპირობებული:

ა) გლოტოქრონოლოგიის, ანუ ლექსიკო-სტატისტიკური დათარიღების, მეთოდი შესაძლებელი გახდა ამერიკის ისტორიულ ენათმეცნიერებაში არსებულ სტატისტიკურ, კერძოდ: ლექსიკო-სტატისტიკურ გამოკვლევათა ტრადიციის საფუძველზე, რომელიც, დ. ჰაიბზის შენიშვნით, ჯერ კიდევ დ. უიტნის შრომებიდან მოდის<sup>1</sup>. ამ ტრადიციის ერთ-ერთ წყაროს, როგორც ცნობილია, შეადგენს ამერიკის აბორიგენთა ენების გრამატიკული წყობის თავისებურებანი და, რაც მთავარია, დამწერლობის უქონლობა, რაც ხელს უშლიდა ამ ენათა ისტორიულ შესწავლას კლასიკური შედარებითი მეთოდით.

ბ) ენათა დივერგენციის აბსოლუტური დათარიღების ცდას გარედან მისცა ბიძგი რადიოაქტიური ნახშირბადის დათარიღების მეთოდმა, რომელიც უ. ლიბის მიერ იყო ჩამოყალიბებული და დღესაც გამოიყენება არქეოლოგიაში ორგანული ნივთიერების დათარიღების მიზნით. გლოტოქრონოლოგიის ავტორი მ. სვოდეში თვითონ აღნიშნავს, რომ ძირითადი ლექსიკონის ცვალებადობის კონსტანტა (შემდეგ „ინდექსი“) ლიბის მეთოდის გავლენით და მასთან ანალოგიით შეიქმნა.

2. გლოტოქრონოლოგიის ამოსავალი დებულებები და პროცედურები მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბოთ.

ა) არსებობს ლექსიკონის ნაწილი, რომელიც უნივერსალურ ცნებებს გაცნობავს. იგი ყველა ენაში არის წარმოდგენილი და მასში თითქმის გამოირჩეულია სესხება.

ბ) ეს ლექსიკონი (რომელიც მ. სვოდეშის მიერ ჯერ 215-, შემდეგ კი 100-ელემენტის სიით იყო წარმოდგენილი) ყველა ენაში დაახლოებით ერთნაირი და მუდმივი სიჩქარით იცვლება.

გ) ამ სტანდარტულ სიჩქარეს მ. სვოდეში „ემპირიულად“ ადგენდა მრავალსაუკუნოვანი დამწერლობის მქონე ენების მასალაზე. მაგალითად, შედარე-

<sup>1</sup> D. Hymes, Lexico-statistics so far, „Current Anthropology“, Vol. I, 1967.

ბული იყო ძველი და თანამედროვე ინგლისური ენის ძეგლები (1000-წლიანი პერიოდი), რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ დღემდე სიის 85% შენარჩუნებულია. ამავე გზით შესწავლილი იქნა რამდენიმე ენა და ამის საფუძველზე დადგინდა ცვალებადობის (უფრო სწორად, შენარჩუნების) საშუალო სიჩქარე ( $r$ )  $\approx 85\%$  ყოველ ათას წელიწადში.

დ) საკვლევ მონათესავე ენებში, რომელთა ისტორია დათარიღებული არ არის, სიის მიხედვით ვადგენთ საერთო ელემენტთა რაოდენობას ( $c$ ).

ეს მონაცემები ( $r$  და  $c$ ) შეგვაქვს სათანადო ფორმულაში  $t = \frac{\log C}{2 \log r}$  და

ვადგენთ იმ დროს, როდესაც ორი ენის იდენტური იყო ამოსავალი სიის თვალსაზრისით, ანუ, მ. სვოდეშის მიხედვით, დივერგენციის დროს.

3. აბსოლუტური დათარიღების შესაძლებლობა ბევრ პრინციპულ დაბრკოლებასთანაა დაკავშირებული. ეს პრობლემები დაწვრილებით ცალკე გვაქვს შესწავლილი. წინამდებარე წერილში ჩვენ მხოლოდ ზოგადად მოვხაზავთ იმ ძირითად საკითხებს, რომელთა დადებითად გადაწყვეტის გარეშე აბსოლუტური დათარიღება შეუძლებელია.

ა) უპირველეს ყოვლისა, ესაა ჰიპოთეზა ლექსიკონის გარკვეული ნაწილის მუდმივი და ერთნაირი ცვალებადობის შესახებ, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, რადიოაქტიურ ელემენტთა თანაბარი დაშლის პროცესთან ანალოგიით წარმოიშვა. ამ ჰიპოთეზის დასამტკიცებლად მ. სვოდეშმა 7 ენა შეისწავლა, რ. ლიზმა — 13<sup>2</sup>, რომელთა უმრავლესობა ინდოევროპულ ენათა ჯგუფს ეკუთვნის. აღსანიშნავია, რომ შესწავლილი ენები ცვალებადობის სხვადასხვა სიჩქარეს გვიჩვენებენ (შენარჩუნების 56%-დან 94%-მდე, რ. ლიზის მონაცემებით). გლოტოქრონოლოგია ამ სირაულის დაძლევას სტატისტიკური ხერხებით ცდილობს. მიღებულია ცვალებადობის საშუალო სიჩქარე, რომელსაც უნივერსალური მნიშვნელობა ენიჭება.

თუ გავითვალისწინებთ საკონტროლო ენათა მცირე რაოდენობას და იმ გარემოებას, რომ შესწავლილი ენები შეტწილად ერთი ჯგუფის წარმომადგენლები არიან, მიღებული შედეგის ამგვარი განზოგადება ენათმეცნიერულ თვალსაზრისით სადავო იქნება, თუმცა რ. ლიზი ცდილობს სტატისტიკურად გაამართლოს ეს ფაქტი. თვით მეთოდის ავტორმა უკვე 1955<sup>3</sup> წელს შენიშნა, რომ სასურველი იქნებოდა ამ თვალსაზრისით შესწავლილიყო 100 ენა მიანტ. მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა და ძალაში დარჩა ცვალებადობის არსებული მაჩვენებელი. ყოველ შემთხვევაში, გლოტოქრონოლოგიას ჯერ არ გააჩნია ცვალებადობის ტემპის ერთნაირობის არც პრაქტიკული, არც სტატისტიკურად დამაჯერებელი დამტკიცება.

აქ აღსანიშნავია, რომ ცვალებადობის ინდექსი ერთსა და იმავე დათარიღებულ საკონტროლო ენაშიც კი საგრძნობლად იცვლება. სახელდობრ, მ. სვოდეშის მონაცემებით, 215-ელემენტიანი სიის საფუძველზე შევდურმა ენა: 85%-იანი შენარჩუნება გვიჩვენა, ინგლისურმა — 78%, რუმინულმა — 56%. საშუალო კი — 80%. 100-ელემენტიაში სიამ კი შესაბამისად მოგვცა 94%, 86%, 71% და საშუალო — 85%.

<sup>2</sup> R. Lees The basis of glottochronology, „Language“, vol. 29, 1953, № 2.

<sup>3</sup> M. Swadesh, К вопросу о повышении точности в лексико-статистическом датировании, ИЛ, 1. 1960. M. Swadesh Towards greater accuracy in lexico-statistic dating, JAL, vol. XXI, 1955.

ბ) გასაგებია, რომ, თუ ცვალებადობის ტემპი მართლაც მუდმივი და უნივერსალური იქნებოდა, ცვალებადობის პროპორციულობა, როგორც ამას გამოყენებული ფორმულა და ბუნებრივ პროცესთან ანალოგია მოითხოვს. არ შეიცვლებოდა. პირველი რიგის მაჩვენებლების მცდარობა ახსნილი იყო 215-ელემენტარული სიის უზუსტობით. ესე იგი იყარაუდებოდა, რომ ახალი, 100-ელემენტარული სია უფრო ზუსტი და ნამდვილად უნივერსალური იქნებოდა. ამ სიის შედგენის საკითხებს ჩვენ ქვემოთ დაუბრუნდებით, აქ კი ვნახოთ, როგორ ამტკიცებს სვოდეში სიის უნივერსალურობას და, ამდენად, ცვალებადობის ტემპის ერთგვაროვნობას. სვოდეშის თვალსაზრისით, 100-ელემენტარული სიის ღირებულებაზე მეტყველებს ის, რომ კონკრეტულ მაჩვენებლებსა და უნივერსალური (საშუალო) ინდექსს შორის სტანდარტული განსხვავება 3,44 %-დან 2,09 %-მდე და გარკვეული შეზღუდვის შემდეგ, 0,44 %-მდე შემცირდა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ ფაქტს არ შეიძლება აქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგანაც სიის დაზუსტება და ცვალებადობის სიჩქარის უნივერსალურობის „დამტკიცება“ მიღწეულია საკონტროლო ენათა რაოდენობის შემცირების ჯიხით: გამოანგარიშებიდან გამორიცხულია რამდენიმე ენა (მაგ., შვედური, კობტური) და დატოვებულია მხოლოდ ის ენები, რომლებიც ერთმანეთთან ახლოს მდგომ შედეგებს გვაძლევენ.

ბირთვული ლექსიკის ცვალებადობის ტემპის უნივერსალურობის ჰიპოთეზა პირველად გლოტოქრონოლოგიაში წარმოიშვა, მაგრამ ამ დებულების დამტკიცება დამაჯერებელი არ არის. ეს დებულება ეწინააღმდეგება აგრეთვე ისტორიული ენათმეცნიერების მთელ გამოცდილებას, სხვადასხვა ენის ლექსიკის განვითარების ისტორიას. ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით ამ დებულებას უფრო მეტი და უფრო საფუძვლიანი დასაბუთება სჭირდება. თვით გლოტოქრონოლოგიაშივე იგულისხმებოდა, რომ მომავალში უფრო მეტი ენის შესწავლის შედეგად ამ დებულებას მეტი საბუთი მოეძებნებოდა, მაგრამ პრაქტიკულად ეს ვერ განხორციელდა.

უფრო მნიშვნელოვან კრიტიკას იწვევს გლოტოქრონოლოგიისათვის აუცილებელი დებულება, რომ ყველა ენა დაახლოებით ერთნაირად იცვლება ისტორიის ყოველ 1000 წელში. საკონტროლო ენებში დათარიღებული (დოკუმენტირებული) პერიოდი არ აღემატებოდა 1000, ზოგ შემთხვევაში 2000 წელიწადს, გლოტოქრონოლოგია კი გაცილებით შორეული პერიოდების დათარიღებას ისახავს მიზნად ამ დებულებას არ გააჩნია თუნდაც სუსტი სტატისტიკური დამტკიცებაც კი, იგი აქსიომად არის მიღებული.

4. აბსოლუტური დათარიღების შესახებ მსჯელობისას პირველ რიგში დგება და საკმაოდ კარგადაა ცნობილი სპეციალურ ლიტერატურაში მუდმივი ცვალებადობის საკითხი. აბსოლუტური დათარიღების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აგრეთვე გლოტოქრონოლოგიასა და რადიოაქტიურა ნახშირბადის დათარიღებას შორის ანალოგიის დარღვევის მომენტები. ეს საკითხი გაცილებით ნაკლებადაა დამუშავებული და რუსულ ენაზე არსებულ ლიტერატურაში არ არის გაშუქებული საერთოდ.

ა) გლოტოქრონოლოგიაში გამოყენებული ექსპონენტური დაშლის ფორმულა  $M_t = M_0 e^{-\lambda t}$  აღწერს რადიოაქტიური ნუკლიდების დაშლის პროცესს, რომელიც მუდმივი სიჩქარით მიმდინარეობს. აქ  $M$  = შენარჩუნებულ ელემენტთა რაოდენობას,  $M_0$  = რადიოაქტიურ ელემენტთა ამოსავალ რაოდენობას ორგანიზმის სიკვდილის მომენტისათვის, რადგანაც ირღვევა რადიოაქტიურ

და არარადიოაქტიურ იზოტოპთა წონასწორობა,  $\lambda =$  დაშლის პროპორციულობის კოეფიციენტი, რომელიც გარკვეული რადიოაქტიური ელემენტის (ლიბის მეთოდში  $C^{14}$ ) ნახევარი დაშლის მიმართ გამოიანგარიშება.

გლოტოქრონოლოგიაში ამ ფორმულას შემდეგი სახე მიეცა: 
$$\frac{N=N_0 e^{-\lambda t}}{N_0} = k$$

სადაც  $N_0 =$  სიის ელემენტთა რაოდენობას,  $N =$  ანალიზის დროს დადასტურებულ ელემენტთა რაოდენობას,  $K =$  ცვალებადობის ინდექსს (მ. სვოდესის წარმებში იგი  $I$ -ით არის აღნიშნული), რომელიც გაცილებით უფრო მარტივად არის დადგენილი, ვიდრე  $\lambda$ , და შინაარსობრივად არ უდრის მას. ყოველ შემთხვევაში, „ორივე მეთოდის ფორმულა და თეორიული პრინციპი ერთია“. გლოტოქრონოლოგიის ავტორების ეს განცხადება მოითხოვს მეთოდოლოგიურ მსგავსებასაც, რაც რეალურად არ დასტურდება.

ბ) ყოველი რადიოაქტიური იზოტოპი დაშლის ერთნაირი ალბათობით ხასიათდება. გლოტოქრონოლოგიის სია კი ამ თვალსაზრისით ერთგვაროვანი არ არის. ისეთი სიის შედგენა, რომლის ელემენტებსაც ცვალებადობის ერთნაირი სიჩქარე ექნებათ, შეუძლებელია. მ. სვოდესის 1955 წლის წერილში წარმოდგენილი სიის დაზუსტების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა ელემენტების დაახლოება ცვალებადობის ინდივიდუალური სიჩქარის თვალსაზრისით, მაგრამ ეს მიზანი მიღწეული ვერ იქნა. ამგვარად, ერთ ენაშიც კი სიის ცვალებადობის მაჩვენებელი რეალურად საშუალო ოდენობას წარმოადგენს. ესე იგი, გლოტოქრონოლოგიაში გამოყენებული ცვალებადობის უნივერსალური მაჩვენებელი საშუალო ოდენობათა საშუალოს წარმოადგენს, რადგანაც საცდელ ენებში სხვადასხვა მაჩვენებელი იყო მიღებული. ექსპონენტური დაშლის ფორმულაში კი საშუალო მაჩვენებლების გამოყენება დაუშვებელია<sup>4</sup>.

დ) ექსპონენტური დაშლის ფორმულა აღწერს ბუნებრივ პროცესს, რომელიც ერთ ქრონოლოგიურ ღერძზეა განლაგებული, ე. ი. აქ რადიოაქტიური ელემენტების ერთი სიმრავლის დაშლასთან გვაქვს საქმე.

გლოტოქრონოლოგია ცვალებადობის კონსტანტის დადგენის დროს გარეგნულად მაინც ინარჩუნებს ანალოგიას, რადგანაც ამ მიზნით გამოყენებულია ერთი ენის მასალა მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, (ფორმულა

$t = \frac{\log C}{\log r}$ ) გლოტოქრონოლოგიის პრაქტიკული გამოყენება კი ენება ორი

ენის პარალელურ განვითარებას. ამ წინააღმდეგობის დაძლევა გლოტოქრონოლოგიაში ცდილობენ სტატისტიკური დამოუკიდებლობის ცნების საშუალებით (ფორმულაში შემოტანილია კოეფიციენტი  $2-t = \frac{\log C}{2 \log r}$ ), რომელიც გან-

სხვავდება ენათმეცნიერებაში მიღებული ენათა განვითარების დამოუკიდებლობის გაგებისაგან.

5. გლოტოქრონოლოგიის ძირითადი დებულებები ცვალებადობის მუდმივი და უნივერსალური ტემპის, სესხების თავიდან აცილებისა და განვითარების დამოუკიდებლობის შესახებ გამოთქმულია არა მთელი ენის მიმართ, არამედ

<sup>4</sup> ამის შესახებ იხ. C. D. Chretien, The mathematical model of glottochronology, „Language“, vol. 42, 1966. ამავე ავტორის კომენტარები წერილში: N. Vander Merwe, new mathematics for glottochronology, „CA“, vol. 7, 1966, № 4.

საბოლოო ჯამში უნივერსალური ლექსიკონის (სიის) მიმართ. ამდენად, გლოტოქრონოლოგიამ, ავტორების ვარაუდით, შეიძლება გვერდი აუაროს იმ კრიტიკას, რომელსაც იწვევს ეს დებულებები, თუ მათ მთელ ენაზე გავავრცელებთ.

დავეშვათ დროებით, რომ ეს უნივერსალური ლექსიკონი რეალურად არსებობს და მასში ყველა დასახელებული დებულება მართლდება. რის დათარიღებას მოგვცემს გლოტოქრონოლოგია ამ შემთხვევაში?

ნათელია, რომ ბირთვული ლექსიკონის ცვალებადობის სიჩქარე არ უდრის მთელი ენის ცვალებადობის, განვითარების სიჩქარეს, რომ ენის სხვა სისტემები, სხვა დონეები სხვა ტემპით იცვლება. ამ გარემოებაზე მიუთითა, მაგალითად, ჰაიმზმა, რომელმაც აღნიშნა, რომ არ შეიძლება გავაიგიოთ ბირთვული ლექსიკონის ცვალებადობა და მთელი ენის განვითარება. ამგვარად, გლოტოქრონოლოგიის მიერ დაშვებული ყველა პირობის შესრულების შემთხვევაშიც კი ჩვენ ვერ მივიღებთ ენათა სრული დივერგენციის დათარიღებას.

6. მით უფრო სადავო იქნება აბსოლუტური დათარიღების შესაძლებლობა, თუ გავითვალისწინებთ იმ პრინციპულ სირთულეებს, რომლებთანაც დაკავშირებულია ნამდვილად უნივერსალური სიის შედგენა და ამ სიის ცვალებადობის მუდმივი და უნივერსალური ტემპის დამტკიცება.

როგორც აღვნიშნეთ, პირველი უნივერსალური სია, რომელიც უშუალოდ აბსოლუტური დათარიღების ამოცანას ემსახურებოდა, 215 ელემენტისაგან შედგებოდა. ეს სია მეტ-ნაკლებად აპრიორულად იყო შედგენილი, ძირითადად ინდოევროპულ ენათა მასალას ეყრდნობოდა და ინგლისური ენის ეკვივალენტებით იყო გამოხატული.

უკვე 1955 წელს სვოლემში იძულებული გახდა გადაესინჯა და დაეზუსტებინა სია, აგრეთვე ელემენტთა შერჩევის პრინციპები. ამ დაზუსტების შედეგად სიის მოცულობა 100 ელემენტამდე შემცირდა (92 ელემენტი ძველი სიიდან + 8 ახალი), მაშინ როდესაც თავდაპირველად იგულისხმებოდა, რომ უფრო დიდი სიის შედგენაც იქნებოდა მიზანშეწონილი. სიის შედგენის დაზუსტებული პრინციპები შემდეგში მდგომარეობს: სიის ელემენტს კონკრეტულ ენაში ზუსტი ეკვივალენტი უნდა მოეძებნოს, ეკვივალენტი უნდა იყოს მარტივი, დაუშვებელი აღწერითი ფორმები, ეკვივალენტი არ უნდა იყოს დაკავშირებული კულტურასთან ან გეოგრაფიულ თავისებურებებთან, სიაში არ უნდა შევიტანოთ დუბლეტები, ხმა-ბაძვითი სიტყვები და ა. შ. ეს პრინციპები მაინც არ იძლევიან შესაძლებლობას კონკრეტულ ენაში, კონკრეტულ შემთხვევაში ავტომატურად მივანიჭოთ უპირატესობა ამა თუ იმ ლექსიკურ ელემენტს.

ნამდვილად უნივერსალური სიის შედგენა საბოლოო ჯამში შეუძლებელი აღმოჩნდა. მაგალითად, დ. ჰაიმზმა აღნიშნა, რომ ჩვენ არ ვიცით, რა ელემენტები უნდა შევიტანოთ ამ ლექსიკონში კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტულ ენაში და რომ სიხშირეთა ლექსიკონებისა და ბავშვთა მეტყველების ლექსიკონების გამოყენებამ, რომლის ცდაც აღინიშნება ლიტერატურაში შეიძლება სხვადასხვა ენაში სხვადასხვა შედეგი მოგვცეს. უნივერსალური სიის პრაქტიკულ გამოყენებას სკეპტიკურად ეკიდება ჩ. ჰოკეტიც, რომლის აზრითაც იმ მნიშვნელობათა რაოდენობა, რომლებიც ყველა ენაში აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი, საოცრად მცირეა.

ის სიმძნელები და წინააღმდეგობანი, რომლებთანაც დაკავშირებულია სიის შეესება კონკრეტულ ენებში, ემპირიულად ნაჩვენებია, მაგალითად, ჯ. ჰორის წერილში ნავაპო ენის მასალაზე. ჰოიერი სამართლიანად მიღის იმ დას-

კენამდე, რომ გლოტოქრონოლოგიის თეორია არ გვაძლევს შესაძლებლობას საბოლოოდ დავადგინოთ უნივერსალური სია, რომელიც შეუფერხებლად შეიძლება გადაითარგმნოს ნებისმიერ ენაზე.

სიის შედგენის ზოგადი პრინციპების ნაკლოვანება გაანალიზებულია აგრეთვე ვ. ზვეგინცევის მიერ გლოტოქრონოლოგიის მიმოხილვაში. ზვეგინცევი გახაზავს მ. სვოდეშის პრინციპულ შეცდომას. მ. სვოდეშის სია რეალურად შედგენილია ცნებათა დონეზე. გასაგებია, რომ ცნების ენობრივი რეალიზაცია სხვადასხვა იქნება. აქედან გამომდინარეობს მეთოდის ერთ-ერთი ძირითადი წინააღმდეგობა როგორც სიის შევსების, ისე შენარჩუნების აღრიცხვის თვალსაზრისით.

7. გლოტოქრონოლოგიაში შესატყვისობად ითვლება მხოლოდ ისეთი წყვილი, რომლებიც კანონზომიერ ბგერათშესატყვისობასთან ერთად ამჟღავნებს მნიშვნელობის სრულ იდენტობას. ესე იგი, სპეციფიკური გლოტოქრონოლოგიური შესატყვისობა განსხვავებულია შესატყვისობის ტრადიციული გაგებისაგან. ეს თავისებურება გამოწვეული იყო ნახშირბადის დათარიღების მეთოდთან ანალოგიით. ექსპონენტური დაშლის ფორმულა აღწერს რადიოაქტიური ელემენტების დაშლის, ესე იგი, დაკარგვის პროცესს. უნივერსალური სიის ელემენტები კი სწორედ პოსტულირებული უნივერსალურობის გამო არ შეიძლება დაიკარგოს. ამდენად, გლოტოქრონოლოგია იძულებულია მიმართოს ერთი ფორმის მნიშვნელობის იდენტურობას, რაც, ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, დიდ და, ზოგ შემთხვევაში, გადაულახავ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. შეცდომის დამატებით წყაროს წარმოდგენს ის გარემოებაც, რომ სიის ელემენტები, მიუხედავად ნავარაუდევი უნივერსალურობისა, ინგლისური ლექსიკური ერთეულებით არის გამოხატული და მთარგმნელი იძულებულია მიჰყევს ინგლისური ენის სემანტიკურ სტრუქტურას. მაგალითად, სიაში წარმოდგენილია ელემენტი Skin, რომელსაც რუსულში ორი სიტყვა უდრის: кожа, шкура — რომელი ავირჩიოთ? მეორე მხრივ, ინგლისურში და ამდენად სიაში (თუ პირიქით?) გარჩეულია skin და bark (ხის ქერქი), ძველ ქართულში კი შესაბამისი ელემენტების შერჩევა არცთუ ისე მარტივია, რადგანაც სამივე მნიშვნელობა (რუსული ეკვივალენტებით кожа, шкура, коры) ძირითადად ერთი ფორმით (ტყავი — ტყები) არის გამოხატული და „კანის“ მნიშვნელობა გაცილებით უფრო შეზღუდულია (იხ. მაგალითად, ს.—ს. ორბელიანის „სიტყვის კონა“).

ფაქტობრივი მდგომარეობის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მ. სვოდეშის სია ლინგვისტურად უნივერსალური არ არის და მის მიერ მოცემული წესების საშუალებით ასეთი სიის შედგენა შეუძლებელია. რაც უფრო მეტ ენაზე ითარგმნება სია, მით უფრო მეტი ელემენტი ხდება სადავო და წინააღმდეგობრივი. სიის შევსება, მაგალითად, ქართული (ძველი და თანამედროვე) და საერთოდ ქართველური ენების ერთეულებით გვაიძულებს დავარღვიოთ მ. სვოდეშის თითქმის ყველა წესი; საბოლოო ჯამში, ირღვევა ძირითადი მოთხოვნა — მნიშვნელობის იდენტურობა.

\* ეს ლ. ელშლევს. მაგალითად, მეთოდის სერიოზულ ნაკლად მიაჩნია. იხ. L. Hjelmslev, *Essay d'une critique de la méthode dite glottochronologique*, 32-d International Congress of Americanists, Copenhagen, 1956, გვ. 634.



ქართულში აღმოჩნდა, მაგალითად, ისეთი დუბლეტები, რომლებიც არ გვექონია სიაში: წყვილი man: person რუსულში მას შეესაბამება мужчина: человек, ქართულში — „კაცი“: „ადამიანი“ წყვილით შეიძლება ვთარგმნოთ, მაგრამ „ადამიანი“-ს გამოყენება გლოტოქრონოლოგიის პრინციპებს ეწინააღმდეგება\* (ნასესხებია, ე. ი. კულტურასთანაა დაკავშირებული), ამიტომ „ადამიანი“-ს ნაცვლად ისევ „კაცი“ უნდა ავიღოთ და გვექნება ერთი სიტყვა სიის ორი ელემენტისთვის „კაცი: კაცი“ (ან ზანური „კოჩი: კოჩი“). სიის ამ ერთეულთან ქართულში სხვა დაბრკოლებაცაა დაკავშირებული. „კაცი“ (мужчина) შედის სხვა წყვილშიც: „კაცი: ქალი“ (სიაში: man: woman), მაგრამ ამასთან ერთად გვაქვს აღწერითი ფორმები (მამაკაცი: დედაკაცი) და ძველ ქართულში კიდევ სხვა ერთეულები; ასე რომ, ერთზე მეტი ვარიანტია შესაძლებელი და არჩევანი მთელ რიგ ფაქტორზეა დამოკიდებული (მით უმეტეს. თუ გავითვალისწინებთ მნიშვნელობის იდენტურობის აუცილებლობას), რაც გლოტოქრონოლოგიის თეორიით გათვალისწინებული არ არის. ამასთან დაკავშირებით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ გლოტოქრონოლოგიაში შეიმჩნევა ქვეყნობრივი ტენდენცია — არჩეულ იქნეს ისეთი ვარიანტები, რომლებიც შენარჩუნების უფრო მაღალ დონეს გვაძლევენ, მაგრამ ენის ისტორიის თვალსაზრისით მათი შერჩევა ყოველთვის გამართლებული არ არის.

ახალ ქართულში, ძველ ქართულში, ქანურში არ მოექმნება ზუსტი ეკვივალენტი, მაგალითად, feather (nepo) ელემენტს, რომელიც ხან „ბუმბული“ (ა. ტოვარი), ხან „ფრთა“ (პ. ფოგტი) სიტყვითაა თარგმნილი. ფოგტს თავისი ვარიანტი უფრო ზუსტად მიაჩნია, მაგრამ არც ის უდრის ლექსიკონის ერთეულს. ყველაზე ახლოს შეიძლება ძველ ქართული „ნაკრტენი“ იყოს, მაგრამ ისიც „გრძელ ბუმბულს“ ნიშნავს (იხ. ს.—ს. ორბელიანის ლექსიკონი). მსგავსი მდგომარეობა დასტურდება, მაგალითად, claw (коготь) ელემენტის შემთხვევაში. ძველ ქართულში არ არის მკაცრი ოპოზიცია „ადამიანის: ცხოველის ფრჩხილი“, „სიტყვის კონაში“ ეს მნიშვნელობა (ცნება) უფრო დიფერენცირებულია.

სიის შედგენის თვალსაზრისით საყურადღებოა foot ელემენტის ისტორია. გ. კლიმოვის სიაში იგი თარგმნილია როგორც нога და მოცემულია მისი ზანურ-სვანური ეკვივალენტები (ქართული შესატყვისი არ აღმოჩნდა). foot კი ნიშნავს ступня, რომლის შესატყვისობა თითქმის არ მოიძებნება. აღსანიშნავია, რომ პირველ სიაში იყო წარმოდგენილი ელემენტი foot (ступня) და ელემენტი leg (нога), რომელიც ახალ სიაში არ შევიდა.

თანაბარი ეკვივალენტების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ dry, რომელიც ნიშნავს „ხმელ“-ს და „მშრალ“-ს, ზმნა to cut, რომელიც -ჭრ- და „კვეთ- ძირებით შეიძლება გადმოვეყუთ (პ. ფოგტი) და ბევრი სხვა. ფორმის მნიშვნელობის სხვადასხვა ღირებულების საილუსტრაციოდ გამოდგება ელემენტი liver („ღვიძლი“): მეგრულში, მაგალითად, როგორც ჩანს, არ იყო გარჩეული „ღვიძლი“ და „ფილტვი“. ამ თვალსაზრისით სანიმუშოა მნიშვნელობის ის განსხვავება, რომელიც ენის სტრუქტურით არის გაპირობებული. ფოგტმა აღნიშნა, რომ სიაში არ უნდა შედიოდეს ისეთი ელემენტები, როგო-

\* ამ შეცდომას უშვებს მაგალითად ა. ტოვარი, რაზედაც მიუთითებს პ. ფოგტი. იხ. H. Vogt, Some remarks on glottochronologic word-list, „Tidsskrift for Sprogvidenskap“ XX, 1965, გვ. 27.

რიცა ინგლისური წინდებულები at და with, რადგანაც მათი თარგმანი ენის სტრუქტურაზეა დამოკიდებული. მართლაც, 100-ელემენტთან სიაში ეს ელემენტები არ არის, მაგრამ დარჩა ჩვენებითი ნაცვალსახელები that (თო) და this (ათო), მაშინ როდესაც ქართულში სამწვეროვანი სისტემა გვაქვს.

აღსანიშნავია აგრეთვე to sit ელემენტი, რომელიც ა. ტოვარმა -ში- — ძირით თარგმნა. როგორც პ. ფოგტმა სამართლიანად აღნიშნა, ამ შემთხვევაში საჭირო იყო -ჯედ- ძირის გამოყენება. როგორც ვხედავთ, ზოგჯერ ეკვივალენტის შერჩევა მორფოლოგიის გათვალისწინებასაც მოითხოვს.

8. აბსოლუტური დათარიღებას და სიის უნივერსალურობას ეწინააღმდეგება, აგრეთვე მეთოდის პრაქტიკული გამოყენების შედეგებიც. ცნობილია ისეთი ფაქტები, როდესაც ერთი და იმავე მეთოდიკისა და ერთი და იმავე დაზუსტებული სიის გამოყენებით სხვადასხვა ავტორმა ერთი და იმავე ენისათვის სხვადასხვა აბსოლუტური შედეგი მიიღო<sup>7</sup>.

როგორც მეთოდის ცალკეული კომპონენტების ანალიზის, ისე გლოტოქრონოლოგიის პრაქტიკული გამოყენების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ აბსოლუტური დათარიღების მიზანი მიუღწეველი დარჩა. სწორედ ეს დასკვნა გვხვდება მთელ რიგ ავტორთან. გლოტოქრონოლოგიის თეორიული ანალიზისა და გამოყენების გამოცდილება შეჭამებულია, მაგალითად, რ. პოლის გამოთქმაში, რომელმაც აღნიშნა: „ლინგვისტთა უმრავლესობამ გლოტოქრონოლოგიას უარყოფითი შეფასება მისცა, როგორც უსამართლო თეორიას“<sup>8</sup>.

11. გლოტოქრონოლოგიის ძირითად პრობლემად სამართლიანად არის აღიარებული აბსოლუტური დათარიღების საკითხი. ამავე დროს არსებობს მკიდრო ორგანული კავშირი გლოტოქრონოლოგიასა და ლექსიკო-სტატისტიკის ჩვეულებრივ ამოცანებს შორის, რაც გაცილებით ხაკლებად გაშუქებული დარჩა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ გლოტოქრონოლოგიის მეთოდი განპირობებული იყო ლექსიკო-სტატისტიკის მდიდარი ტრადიციით. აქ შეიძლება დავუმატოთ, რომ აბსოლუტური დათარიღების მეთოდი ჩვეულებრივი ლექსიკო-სტატისტიკური კვლევის სფეროში წარმოიშვა და ამ კვლევის გავრცელებისა და განვითარების ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს.

2. სკოლემის მეთოდს თავიდან „ლექსიკო-სტატისტიკური დათარიღების მეთოდი“ ეწოდებოდა. ტერმინი „გლოტოქრონოლოგია“ უფრო გვიან წარმოიშვა პრინციპულად ახალი ამოცანის გახაზვის მიზნით.

დ. ჰაიმზის განსაზღვრით, ლექსიკო-სტატისტიკაში შედის პრობლემათა სამი ერთმანეთთან დაკავშირებული ჯგუფი: 1. ნათესაობის დადგენა, 2. ენათა გენეზისური კლასიფიკაცია; 3. ლექსიკის ცვალებადობის სიჩქარის განსაზღვრა ანუ გლოტოქრონოლოგია. მესამე ამოცანა ლექსიკო-სტატისტიკაში ახალია და ცალკე პრობლემად გამოყოფილი აღმოჩნდა მეთოდის ჩამოყალიბების შემდეგ. თვით გლოტოქრონოლოგიის მეთოდის განვითარებისა და ლექსიკო-

<sup>7</sup> საყურადღებოა, მაგალითად, ქართველური ენების დივერგენციის დათარიღების შედეგები. პ. ფოგტის მიხედვით, მეგრულ-ქართლის დივერგენცია 1300 წლის წინათ დაიწყო. გ. კლიმოვი ამ დივერგენციას (ქართულ-ზანური) ჩვენ წელთაღრიცხვამდე მე-8 საუკუნით ათარიღებს. თ. გამყრელიძის და გ. მაქავერიანის შედეგი კი — 1 ს.

<sup>8</sup> N. Wan der Merwe. New mathematics for glottochronology, „CA“, vol. 7. 1966, № 4. კომენტარები. გვ. 489.

სტატისტიკის ძველ ამოცანებთან მისი ურთიერთობის თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ ს. გულდჩინსკიამ სამივე პრობლემა გლოტოქრონოლოგიის საგნად ჩათვალა.

ამგვარად აბსოლუტური დათარიღებისათვის აუცილებელი პროცედურებისა და მათ შედეგად მოსალოდნელი ინფორმაციის გათვალისწინებით გლოტოქრონოლოგია მთელ ლექსიკო-სტატისტიკასთანაა გატოლებული.

1. აბსოლუტური დათარიღების მეთოდის ჩამოყალიბებამდე მ. სვოდეშის კვლევა არ სცილდება პირველ ორ ამოცანას, რომელიც ამერიკის ისტორიულ-გენეზისურ ენათმეცნიერებაში ჯერ კიდევ 30-იან წლებში იყო დასმული მათემატიკური, კერძოდ სტატისტიკური, მეთოდების წინაშე.

ამერიკის ინდიელთა ენების გრამატიკული ჰასალა მკვლევრებისათვის მეტწილად მიუწვდომელი იყო და დასმული ამოცანების (ნათესაობის დადგენა, კლასიფიკაცია) გადაჭრა ძირითადად ლექსიკურ მასალას ეყრდნობოდა. შემდგომში ამ თვალსაზრისით გლოტოქრონოლოგიაც იქნა შეჟუსახებული, როგორც „ლექსიკური ცვალებადობის სტატისტიკური მოდელირების ზოგადი თეორიის გამომხატურება“ (პიმილი).

აბსოლუტური დათარიღებისა და ლექსიკო-სტატისტიკის ტრადიციული ამოცანების ურთიერთდამოკიდებულება ნათლად ჩანს მ. სვოდეშის იმ წერილების მოკლე ანალიზიდანაც კი, რომლებშიც, მიღებული შეხედულების მიხედვით, ჩაისახა ეს მეთოდი ან მეთოდის ცალკეული საკითხებია დამუშავებული.

ჯერ კიდევ 1948 წელს სვოდეშმა წააკითხა მოხსენება<sup>9</sup>, სადაც აღნიშნული იყო ლექსიკის ცვალებადობის იმ მაქსიმალური სიჩქარის განსაზღვრის შესაძლებლობა, რომელიც ენის საკომუნიკაციო ფუნქციით არის განპირობებული. ამ წერილს თვითონ სვოდეში აღნიშნავს როგორც აბსოლუტური დათარიღების მეთოდზე მუშაობის დასაწყისს, მაგრამ ცვალებადობის ტემპის მუდმივობა და უნივერსალურობა ჯერ არც ივარაუდებოდა.

1950 წელს გამოსულ წერილში მოცემულა ამერიკის ინდიელთა 30 ენის კლასიფიკაციის ცდა 165 ლექსიკური ერთეულის საფუძველზე. აქ უკვე წარმოდგენილია გლოტოქრონოლოგიის ძირითადი ელემენტები (ამოსავალი სია, ცვალებადობის ფორმულა). მაგრამ შედეგებს ჰქონდა არა აბსოლუტური რიცხვების სახე, არამედ დივერგენციის დრო პირობითი მონაკვეთებით იყო განსაზღვრული და ეს შედეგები ენათა კლასიფიკაციის თვალსაზრისით განიხილებოდა. სვოდეში წერდა: „შედარებითი ლინგვისტიკისათვის და რეკონსტრუქციისათვის არ არის საკმარისი ის ფაქტი, რომ ენები მონათესავენი არიან, საპირა ვიცოდეთ ნათესაობის ხარისხიც“<sup>10</sup>. აქვე სვოდეში ხაზგასმით აღნიშნავდა ლექსიკური მასალის უპირატესობას ნათესაობის დამტკიცების თვალსაზრისით, რადგანაც საერთო ლექსიკა რიცხვითი შეფარდების სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ. გლოტოქრონოლოგიის სისი შემუშავების თვალსაზრისით საყურადღებოა შემდეგი ფაქტი: საერთოდ ითვლება, რომ პირველი სია 215 ელემენტისაგან შედგებოდა, უნივერსალურობის პრეტენზია ჰქონდა და ინგლისური ეკვივალენტებით იყო გამოხატული. ამ წერილში კი გვაქვს სელიშის ჯგუფის ენების 165-ელემენტური სია, რომელიც ნათესაობის დადგენას და კლასი-

<sup>9</sup> M. Swadesh, The time-depth value of linguistic diversity, seyd at the viking Found Supper Conference for Anthropology, March, 1948.

<sup>10</sup> M. Swadesh, Salish Internal Relationship, IJAL, Vol. 16, 1950, № 4, გვ. 158.

ფიკაციას ემსახურება. სიის შედგენის პრინციპებზე არაფერია ნათქვამი, რადგანაც სიის უნივერსალურობა არ ივარაუდებოდა, კვლევის საგანს ენათა ერთი ჯგუფი წარმოადგენდა და ამ ეტაპზე მასალის შერჩევის პრობლემა დიდ სიზრულეს არ გულისხმობდა.

ამერიკულ ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ გლოტოქრონოლოგიის ძირითადი იდეა მომდინარეობს ე. სეპირის ცნობილი დებულებიდან იმის შესახებ, რომ მონათესავე ენათა შორის განსხვავების ხარისხი უამოკიდებელია დივერგენტული განვითარების ხანგრძლივობაზე<sup>11</sup>.

ამ დებულებას ლექსიკის თვალსაზრისით მიეცა მარტივი სტატისტიკური გამოსახულება  $R = r^P$ .

1951 წლის სპეციალურ წერილში მ. სვოდეში განიხილავდა ვლოტოქრონოლოგიისა და მთლიანად ლექსიკო-სტატისტიკის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას — საერთო ლექსიკის დიფერენციაციის საკითხს<sup>12</sup>. ისტორიულ-გენეზოლოგია თვალსაზრისში მოითხოვს სტატისტიკურ გამოკვლევაში სესხების განიხილვას. მ. სვოდეში გთავაზობს პრობლემის უნივერსალურ გადაწყვეტას პირთული ლექსიკონის სახით, სადაც სესხება მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი.

ძირითადი ლექსიკონის ცვალებადობის თვალსაზრისით შესწავლილ იქნა რამდენიმე ენა, სვოდეში აღნიშნავდა, რომ „ცვალებადობის სიჩქარე უსასრულოდ მრავალფეროვანი არ უნდა იყოს“.

შემდგომში ცვალებადობის კონსტანტის არსებობის შესაძლებლობა სპეციალურად იქნა შესწავლილი. 1952 წელს სვოდეშმა აღნიშნა: „ის ფაქტი, რომ ლექსიკონის ძირითადი ნაწილი მუდმივი სიჩქარით იცვლება, შემთხვევით იყო დადგენილი“. შემთხვევით იმიტომ, რომ თავდაპირველად მხოლოდ ცვალებადობის შესაძლებელი მაქსიმუმის დადგენა ივარაუდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ცვალებადობის კონსტანტის მიღების შემდეგ წინ წამოიწია აბსოლუტური დათარიღების პრობლემა, ლექსიკო-სტატისტიკის ტრადიციული საკითხები სვოდეშის ყურადღების სფეროში დარჩა. 1953 წელს გამოდის მისი წერილი, სადაც დასმულია ამოცანა — დაშტეციდეს ინდიელთა სამი ენის ნათესაობა ლექსიკურ მასალაზე<sup>13</sup>.

ნათესაობის დადგენისა და კლასიფიკაციის საკითხებს სვოდეში განიხილავს აგრეთვე საპროგრამო სტატიაში, რომელიც ეძღვნება ამერიკის ისტორიულ-შეღარებითი ენათმეცნიერების პრობლემებს. ავტორი აღნიშნავს ამერიკის ინდიელთა ენების ისტორიული შესწავლის სირთულეებს და გახაზავს ლექსიკური გამოკვლევის მნიშვნელობას. გამართულია მსჯელობა ლექსიკური მსგავსების საკმარისი რაოდენობის შესახებ ნათესაობის დადგენის თვალსაზრისით და მოცემულია დასკვნა, რომ გამოსავალი უნდა ვეძებოთ ნათესაობის დამტკიცების მათემატიკური საფუძვლების გამომუშავებაში<sup>14</sup>. ენათა კლასიფი-

<sup>11</sup> რადგანაც ვახსენებ ე. სეპირის სახელს, ზედმეტი არ იქნება დაეებრუნდეთ ენისა და ლექსიკონის ურთიერთობის საკითხს და აღნიშნოთ, რომ გლოტოქრონოლოგია ფაქტობრივად ეწინააღმდეგება ე. სეპირის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც არ შეიძლება გავაიგიოთ ენა და მისი ლექსიკონი. იხ. Э. Сепир, Язык, М., 1934 გვ. 172.

<sup>12</sup> M. Swadesh, Diffusional cumulation and archaic residu as historic explanation. SWJA, vol. 7, 1951 № 1.

<sup>13</sup> M. Swadesh, Moscan I, A problem in remote common origin, JAL. vol. 19, 1953.

<sup>14</sup> M. Swadesh, Perspective and problems of american comparative linguistics, „Word“, vol. 10, 1954, გვ. 313.

კაციის პრობლემას მ. სვოდეში უბრუნდება 1958 წელს<sup>15</sup>. ყველა აღნიშნულ წერაში აბსოლუტური დათარიღების პრობლემასთან ერთად მუშავდება ლექსიკის საკითხები, რომლებიც ერთდროულად მნიშვნელოვანია როგორც აბსოლუტური დათარიღებისთვის, ისე ნათესაობისა და კლასიფიკაციის თვალსაზრისით.

2. ახალ მეთოდზე დიდ იმედებს ამყარებდნენ და სწრაფ შედეგებს მოელოდნენ, მაგრამ უკვე 1955 წელს მ. სვოდეშმა აღნიშნა, რომ მათოდმა ჯერ ვერ მოგვცა მოსალოდნელი შედეგები. აბსოლუტური დათარიღების მეთოდის ღირებულება ვერც მომდევნო კონკრეტულ გამოკვლევებში დამტკიცდა, და, როგორც აღვნიშნეთ, ეს შესაძლებლობა უარყოფითად იქნა შეფასებული. ს. გუდჩინსკაიას დასკვნით, „აბსოლუტური დათარიღების იმედი სამუდამოდ დაკარგულია, რადგანაც აბსოლუტური მარკენებლების მცდარობაზე მეტი აღზათობით შეგვიძლია ვილაპარაკოთ, ვიდრე მათ რეალობაზე“<sup>16</sup>.

გლოტოქრონოლოგიის რეალურ შედეგს ენათა კლასიფიკაცია და, ამდენად, ბიმართებითი ქრონოლოგია შეადგენს.

ეს შეხედულება გავრცელებულია სპეციალურ ლიტერატურაშიც. მაკალითად, კრიობერის თვალსაზრისით, „გლოტოქრონოლოგიის მონაცემებს აბსოლუტური დათარიღების გარეშეც დიდი მნიშვნელობა აქვს ენათა კლასიფიკაციის საქმეში“<sup>17</sup>. დ. ჰაიმზის შენიშვნის მიხედვით, აბსოლუტური დათარიღების სხვაობა, რომელიც სხვადასხვა ავტორთან გვაქვს, მაინც არ არღვევს ენათა ტრადიციულ კლასიფიკაციას.

გლოტოქრონოლოგია გვაძლევს მონათესავე ენათა სინქრონულ კლასიფიკაციას 100 (ან 200) ელემენტის საფუძველზე. იმის მტკიცება, რომ ეს კლასიფიკაცია ასახავს ნათესაობის ხარისხს, დაკავშირებულია ისევ სიის ღირებულების საკითხთან. ესე იგი, გლოტოქრონოლოგიის პროცედურების შედეგად მიღებული კლასიფიკაციის წინაშე დგება იგივე პრობლემა, რაც სხვა რაოდენობრივი კლასიფიკაციებში გვექონდა, — მასალის შერჩევის საკითხი, რომელიც გლოტოქრონოლოგიის ერთ-ერთ სუსტ მხარეს წარმოადგენს.

ლექსიკო-სტატისტიკის ზოგადი დებულების თვალსაზრისით გამართლებული ჩანს ს. გუდჩინსკაიას შენიშვნა: „დივერგენციის დათარიღება გლოტოქრონოლოგიის გამოყენების მხოლოდ ერთი ნაწილია, მეორე კი არის იმავე მასალის გამოყენება ნათესაობის დადგენის მიზნით“. გლოტოქრონოლოგიის მსგავსი დახასიათება დ. ჰაიმზთანაც გვხვდება: „გლოტოქრონოლოგია გვევლინება როგორც სავარაუდო ნათესაობის წინასწარი განსაზღვრის საშუალება“.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ნათესაობის დადგენის ლექსიკო-სტატისტიკური ბუნება ამერიკის ენათმეცნიერებაშივე არსებითი ხასიათის კრიტიკას იწვევს. დამახასიათებელია, მაგალითად, დ. ჰაიმზის მოსაზრება, რომ თუ კლასიფიკაცია და აბსოლუტური დათარიღებაც კი პრინციპში შეიძლება დაეყრდნოს ლექსიკო-სტატისტიკურ გამოკვლევას, ნათესაობის დადგენა ლექსიკო-სტატისტიკური ხერხებით შეუძლებელია. დ. ჰაიმზი იმორწმუნს ა. მეიეს სიტყვებს: „ჯერ

<sup>15</sup> M. S. Swadesh, The mesh principle in comparative linguistics, „AL“, vol. IV, 1958.

<sup>16</sup> S. Gudchinsky, 1955 წლის წერილი, გვ. 149.

<sup>17</sup> A. L. Kroeber, Romance history and glottochronology, „Language“, vol. 34, № 3, 1958, გვ. 455—457.

ვერავენ ვერ მოახერხა ნათესაობის დადგენა ლექსიკური მსგავსებისა და განსხვავების საფუძველზე<sup>19</sup>. იმავე რიგისაა ა. კრიობერის შენიშვნაც: „მე მჭერა, რომ სელიშის ჭფუფის ენები მონათესავენი არიან, მაგრამ სტრუქტურული მსგავსების საფუძველზე და არა ლექსიკო-სტატისტიკური მსგავსების მიხედვით“<sup>20</sup>.

გლოტოქრონოლოგიის ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას გავაკეთოთ ზოგიერთი შენიშვნა ამ მეთოდისა და ამდენად მთელი ისტორიული ლექსიკო-სტატისტიკის მიმართების შესახებ ისტორიულ-შედარებით კვლევასთან.

გლოტოქრონოლოგიის ერთ-ერთ დადებით მხარედ აღიარებულია ის, რომ მეთოდი გამოიყენება იმ ენათა მიმართ, რომელთა ისტორია მეტნაკლებად ცნობილია და ნათესაობა საკმაოდ კარგადაა დადგენილი<sup>21</sup>. აქ ძირითადად იგულისხმება ბგერათშესატყვისობათა სისტემების ცოდნა.

მაგრამ ისტორიულ-შედარებით შესწავლასთან კავშირი არღვევს გლოტოქრონოლოგიის ძირითად დებულებებს. ჩვენ ვნახეთ, რომ რეალურად უნივერსალური ლექსიკონი ვერ ჩამოყალიბდა და სიის შედგენის პრინციპები მაინც აოველ კონკრეტულ შემთხვევაში გაშლილ ისტორიულ-შედარებით შესწავლას მოითხოვს და ენათა სხვადასხვა ჭფუფებში განსხვავებულ შედეგებს ნოვეცემს, რაც ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის აბსოლუტურ დათარიღებას.

ლექსიკო-სტატისტიკის მეორე და ძირითადი ამოცანის — ნათესაობის დადგენის უსაფუძვლობა გამომდინარეობს, ერთი მხრივ, იმ მდგომარეობიდან, რომ სათანადო ლექსიკური მასალის დადგენა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის დონეზეა დამოკიდებული.

მეორე მხრივ, ლექსიკო-სტატისტიკა, თავისი ამოსავალი პრინციპის თანხმად, ცდილობს ნათესაობა ლექსიკურ მსგავსებამდე დაეყვანოს, რაც ეწინააღმდეგება ისტორიულ-გენეზისური ენათმეცნიერების ძირითად მოთხოვნილებას. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ლ. იელმსლევის შენიშვნა, რომლისათვის „გაუგებარი და საოცარია, რატომ უარყოფს ლექსიკო-სტატისტიკა აფიქსების აღრიცხვას“<sup>22</sup>.

ლექსიკო-სტატისტიკის მესამე ამოცანა — ენათა გენეზისური კლასიფიკაცია ლექსიკური მასალის საფუძველზე — წარმოადგენს ლინგვისტური კვლევის ამ მიმართულების რეალურ შედეგს. აღსანიშნავია, რომ ლექსიკო-სტატისტიკა ამ თვალსაზრისითაც მთლიანად ისტორიულ-შედარებითი შესწავლის დონეზეა დამოკიდებული, მაშინ როდესაც ამ მიმართულების ძირითადი ამოცანა იყო ისტორიულ-შედარებითი ინფორმაციის მოპოვება ტრადიციული ისტორიულ-შედარებითი შესწავლის გარეშე.

<sup>19</sup> A. Meillet. Linguistic historique et linguistique general. „Collection linguistique“. № 8. გვ. 46.

<sup>20</sup> A. L. Kroeber. Linguistic time-depth results so far: and their meanings. IJAL. vol. 21. 1955. გვ. 154.

<sup>21</sup> იხ. მკ. L. Hjelm slev. დასახ. ნაშრომი, გვ. 611.

<sup>22</sup> L. Hjelm slev. დასახ. ნაშრომი, გვ. 614.

მანანა ლვალი

**ლიმონარის X საუკუნის ერთი უნოზი ფრაგმენტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულია მე-13 საუკუნის ხელნაწერი H—1349. ტექსტი წარმოადგენს საეკლესიო ტიპიკონს; ნაწერია ეტრატზე, ნუსხურით. საცავ ფურცლად მას აქვს მეტად დაზიანებული, ასომთავრული ტექსტის შემცველი ფურცელი (145 ფ), რომელიც ხელის მიხედვით X საუკუნეს მიეკუთვნება.

როგორც გაირკვა, ეს ფურცელი შეიცავს ლიმონარის თხრობებს. ჩვენ ეს ტექსტი შევეუდარეთ ლიმონარის გამოცემულ ტექსტს<sup>1</sup>. შედარების შედეგად აღმოჩნდა, რომ აღნიშნული ტექსტის 145r-ზე მოთავსებული ყოფილა ლიმონარის I თხრობის ნაწილი და II თხრობა თავიდან ბოლომდე, ხოლო v-ზე — III თხრობა თავიდან ბოლომდე და II დამატების II თხრობის ნაწილი<sup>2</sup>.

დღემდე ცნობილი იყო ლიმონარის ქართული ტექსტის შემცველი 3 ხელნაწერი: ათონის № 9 (977 წლისა), სინას № 36 (925 წლისა) და სინას № 68 (XIII საუკუნისა).

ამ სამ ნუსხას მათი ურთიერთ მიმართებისა და ტექსტობრივი შედგენილობის თვალსაზრისით ი. აბულაძე შემდეგნაირად ახასიათებს: „ამ ნუსხების ერთმანეთთან შედარებამ გვიჩვენა, რომ ისინი საერთო ერთ ნაწილთან ერთად განსხვავებულსაც საკმარისად გვიჩვენებენ. საერთოა ყველასათვის თხრობანი ანუ თავები, რომლებიც რაოდენობით 91/92-ია. სინა 36-ს დანართად არაფერი აქვს, ხოლო ათონის ნუსხას № 9-ს დანართი მოეპოვება და ისიც მეტად საინტერესო წარწერით: „ესე თავები იპოვა კვპრეს, ადგილსა, რომელსა ჰრქვან თეომორფო. მიმს გავსებული სამოთხესა“. დამატება მოეპოვება სინურ მეორე ნუსხასაც, № 68-ს. მისი დანართი განსხვავებულია ათონურისაგან. იგი, წინააღმდეგ ათონურისა, გამოყოფილად კი არაა დართული, არამედ უშუალოდ მისდევს ყველა ნუსხისათვის საერთო ნაწილს — ი. მოსხის 91/92 თავისაგან შემდგარ ნაწარმოებს, „სამოთხეს“. მოცულობით ის ათონურ დანართზე ნაკლებია. სინური მეორე ნუსხა, რომელიც XIII საუკუნისად ითვლება, იმ ნაწილში, რაც მას საერთო აქვს სხვა ნუსხებთან, ტექსტობრივ ზედმიწევნით არ მოდის მათთან. ეტყობა, გადამწერთა ხელში შეღაბულა. სინა № 36 და ათონი № 9 ზედმიწევნით ხედებიან ურთიერთს, განსხვავება უმნიშვნელოა. ტექსტი უკეთაა დაცული ათონურ ნუსხაში“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იოანე მოსხი, ლიმონარი, ტექსტი გამოკვლეულია და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1960.

<sup>2</sup> თხრობათა თანამიმდევრობის განსაზღვრისას ვეყრდნობით ლიმონარის ი. აბულაძისეულ გამოცემას.

<sup>3</sup> იოანე მოსხი, ლიმონარი, გვ. 09.

ქართულ ენაზე ძველად უნდა არსებულიყო ლიმონარის სხვა ნუსხებიც. რომლებმაც ჩვენამდე არ მოაღწიეს. ხსენებული ფრაგმენტის პოვნას ის ღირებულება აქვს, რომ იგი მიგვანიშნებს ერთ-ერთი ასეთი ნუსხის არსებობაზე: X—X საუკუნეებში.

საინტერესო სურათს იძლევა ეს ფრაგმენტი თხრობათა თანამიმდევრობის თეალსაზრისით. აქ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თხრობები შემდეგი თანამიმდევრობით არის დალაგებული: ლიმონარის ძირითადი ტექსტის I, II, III და II დამატების მე-2 თხრობა. თხრობების ეს თანამიმდევრობა, სახელდობრ II დამატების ერთ-ერთი თხრობის (მე-2 თხრობა) ძირითად ტექსტში არსებობა, ლიმონარის აქამდე ცნობილი ქართული ნუსხებისათვის უცნობია.

კითხვა ისმის, ხომ არ არის შემთხვევით მოხვედრილი II დამატების მე-2 თხრობა ძირითად ტექსტში?

აღსანიშნავია, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომ ბერძნულ<sup>4</sup> და არაბულ<sup>5</sup> ლიმონარის ტექსტებში თხრობების თანამიმდევრობა ქართულისაგან სხვაობს: სახელდობრ, თხრობა, რომელიც ქართულში II დამატების მე-2 თხრობას წარმოადგენს, ბერძნულ-არაბული ლიმონარის ძირითად ტექსტშია შესული, როგორც მე-19 თხრობა.

ჩვენ მიერ ნაპოვნ ამ ნაწყვეტს გვერდით დაუყუყუნეთ შესატყვისი ტექსტ-ლიმონარის ი. აბულადის გამოცემიდან (იხ. ტექსტი), I, II, III თხრობებთან სქოლიოში ვაჩვენეთ C (Sin 68) ხელნაწერის განსხვავებები, რადგან ამ ხელნაწერიდან ლიმონარის ძირითადი ტექსტი ი. აბულადის გამოცემაში გათვალისწინებული არ არის. II დამატების მე-2 თხრობას კი, რომელიც აგრეთვე დატული აქვს ჩვენს ფრაგმენტს, გვერდით სწორედ C ხელნაწერის ტექსტი დაუყუყუნეთ, რადგან ლიმონარის 3 ხელნაწერიდან ამ ნაწილს (II დამატებას) მხოლოდ C ხელნაწერი შეიცავს (ი. აბულადის გამოცემაშიც ეს დამატება აღნიშნული C ხელნაწერიდანაა შეტანილი). შედარებამ დაგვანახა, რომ ი. აბულადის გამოცემისაგან განსხვავებული წაკითხვები, რაც აქვს ჩვენი ფრაგმენტის ტექსტს. შესატყვისის პოულობენ ზოგჯერ ბერძნულ, ზოგჯერ კი არაბულ ტექსტებში. ეს ეხება ძირითადად ჩვენი ფრაგმენტის მე-4 თხრობას, რომელიც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ლიმონარის ქართულ თარგმანში II დამატების მე-2 თხრობას შეესაბამება, ბერძნულსა და არაბულში კი ძირითადი ტექსტის მე-19 თხრობას.

მაგ.: II დამატების მე-2 თხრობაში C ხელნაწერის მიხედვით ლაპარაკია გამოქვაბულზე, რომელიც კალიმონის მონასტრის მახლობლად მდებარეობს (გვ. 120). ჩვენს ფრაგმენტში კი ნაცლად კალიმონისა საქურისთა მონასტერია ნახსენებო: „ვეჯდ ოდეს [ქუა]ბსა ერთსა მახლობლად საკურის... მონასტრის...“ ამგვარი წაკითხვა შეესაბამება არაბულ წყაროს: „ვიჯჳქი მე ქვაბში საკურისთა მონასტრის მახლობლად“<sup>6</sup>. ამავე თხრობაში ერთგან ნათქვამია: „გამოვედ და შეუდეგ კვალსა მის დედაკაცისასა“. შესატყვისის ადგილი ჩვენს ფრაგმენტში დაზიანებულია და ცუდად იკითხება: „მოვ...რთხი ჩემი და გამოვედ ქუ... ამის...დეგ კუალსა მის დედაკაცისასა“. ბერძნული და არაბული წაკითხვების გათვალისწინებით („αδψν ἄψυ κββθν μω, ἐξῆ.θον ἄρ“

<sup>4</sup> Migne. Patrologia graece. t. LXXXVII, 2845—3116.

<sup>5</sup> ალ-ბუსთანი, X საუკუნის სინური ხელნაწერის მიხედვით არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკლებით გამოსცა რუსულად ვეარამიან, თბ., 1965.

<sup>6</sup> ალ-ბუსთანი, გვ. 84.



αηλιαίαι<sup>7</sup>; „ხელი მოკვიდე ჩემს ჯოხს და წავედი მისი ქვაბისაკენ“ (არაბ.)<sup>8</sup> დაზიანებული ადგილი ამგვარად გაიმართება: „მოვ[იღე კუე]რთხი ჩემი და გამოვედ ქუ[აბისა ამისგან და შეუ]ღდე კუალსა მის დედაკაცისასა“. ამ შემთხვევაშიც ფრაგმენტის ტექსტი ბერძნულ-არაბულთან უფრო ახლო დგას, ვინემ ქართულთან.

სხვა მხრივ ფრაგმენტის ტექსტი თითქმის სიტყვასიტყვით მიჰყვება ლიმონარის ქართული თარგმანის ტექსტს და არაბულ და ბერძნულ წყაროებთანაც ერთნაირ მსგავსება-განსხვავებას გვიჩვენებს. ასე მაგ.: „რაათა დაემკვდრო ქუაბსა ამას შინა და მე განგყურხო შენ უძლურებისაგან შენისა“ (გვ. 145r) — ერთნაირადაა ჩვენს ფრაგმენტსა და ლიმონარის სრულ ტექსტში. აღნიშნული ფრაზა არ მოეპოვება არც არაბულ, არც ბერძნულ წყაროებს. ასევე არ არის ბერძნულ და არაბულ წყაროებში ჩვენს ფრაგმენტსა და ლიმონარის ი. აბულაძის გამოცემაში დატული ზოგიერთი საერთო წაკითხვები, როგორცაა: „წმიდითა ფერკითა მისითა [მო]კითხვად და ნუგეშინის-ცემად ჩემდა“ (გვ. 145r). „ნუ წარხუალ (ვიღრე ხუალ. — ილ. აბ.) ამის ქუაბისაგან“ (145r).

შეიძლება თუ არა რაიმე დასკვნის გამოტანა ამ მცირეოდენი მასალის საფუძველზე? ბერძნული „ლიმონარის“ შედგენილობის საკითხი დღემდე შეუწავლელია, ვინაიდან ამ ძეგლს მრავალი ცვლილება განუცდია და ამავე დროს არ არსებობს ბერძნული „ლიმონარის“ კრიტიკული გამოცემა. სადაც გათვალისწინებული იქნებოდა „ლიმონარის“ ყველა ხელნაწერის მონაცემები<sup>9</sup>. ბერძნული ლიმონარის შესწავლის თვალსაზრისით ქართული ლიმონარი უთუოდ დიდი ღირებულების მქონეა ნუსხათა სიძველისა და შედგენილობის თვალსაზრისით<sup>10</sup>. როგორც ზემოთაც ითქვა, ქართული ლიმონარის უძველეს საბუნსაში გამოიყო 91/92 თხრობა, რომელიც სამივე ხელნაწერში ძირითად ფენას ქმნის. გარდა ამ ძირითადი ფენისა, ათონის № 9 ხელნაწერს აქვს დანართი წარწერით: „მიმსგავსებული სამოთხესა“; Sin 68-საც აქვს II დანართი, განსხვავებული ათონური ნუსხის დანართისაგან. დანართების გარეშეა უძველესი სინური ნუსხა Sin 36. კ. კეკელიძე ვარაუდობს, რომ Sin 36 ხელნაწერმა, სადაც 91 თხრობაა დანართების გარეშე, შემოგვინახა ლიმონარის უძველესი რედაქცია, რომლის ბერძნული დედანი დაკარგულია. ათონის ხელნაწერის დანართის თხრობები კი, რომელთაც ბერძნული დედნები არ ეძებნებათ, არ უნდა წარმოადგენდნენ ლიმონარის კუთვნილებას. რაც შეეხება Sin 68 ხელნაწერის II დანართს, რომლის თხრობებიც ბერძნულშიც არის, კ. კეკელიძე მასაც მოსხი-სეულად მიიჩნევს<sup>11</sup>.

ჩვენ ფრაგმენტში გაერთიანებულია 3 თხრობა ქართული ლიმონარის ძირითადი ნაწილიდან და ერთი II დამატებიდან. ამრიგად, ოთხივე თხრობა მოსხისეული უნდა იყოს. პირველი სამი თხრობა თითქმის ზუსტად მისდევს გამოკვეთებულ ტექსტს, ხოლო მეოთხე კი კითხვა-სხვაობებით უახლოვდება ლიმონარის ბერძნულ-არაბულ რედაქციებს. ამის საფუძველზე შეიძლება დაეუშვათ:

<sup>7</sup> Migne, Patrologiae graecae, t. LXXXVII. გვ. 2856.

<sup>8</sup> ალ-ბუსთანი, გვ. 84.

<sup>9</sup> ალ-ბუსთანი, გვ. 26.

<sup>10</sup> იოანე მოსხი, ლიმონარი, გვ. 10.

<sup>11</sup> კ. კეკელიძე, ვტიულები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. VIII.

ორი ვარაუდი ჩვენი ფრაგმენტის რაობის შესახებ: 1. ფრაგმენტი შეიძლება ეკუთვნოდეს ისეთ პატრისტიკულ კრებულს, სადაც სხვა მასალასთან ერთად შეტანილი იქნებოდა გამოკრებით თხრობები ლიმონარიდან, რითაც შეიძლება აიხსნას თხრობათა არატრადიციული თანამიმდევრობა ჩვენს ფრაგმენტში. 2. შესაძლებელია ჩვენი ფრაგმენტი მომდინარეობს ტრადიციული ქართული ლიმონარისაგან განსხვავებული დღემდე უცნობი ქართული რედაქციიდან, სადაც ძირითადი და დამატებითი თხრობები გამიჯნული არ იყო. იგი შედგენილობით სხვაობდა ცნობილი ქართული რედაქციისაგან, განსხვავებულ თარგმანს არ წარმოადგენდა და ამავე დროს უახლოვდებოდა ბერძნულ-არაბულ ლიმონარს.

მასალის სიმცირის გამო რაიმე უფრო გარკვეულის თქმა ძნელია.

### თავი ა (1)

(145r)... მან მან დიდებულმან: ისმინე ჩემი, კეთილო ბერო, და ნუ წარხუალ სინად.

ხოლო [მან] არა შეიწყენარა სიტყუაჲ მისი, არამედ რქუა მას: ვერ შესაძლებელ არს ჩემდა, თუმცა არა წარვედ სინად. ხოლო მას<sup>2</sup>, ვითარცა ესმა ესე ბერისაგან<sup>3</sup>, დაუტევა და წარვიდა. და ვითარცა განთენა<sup>4</sup>, ფრიად განთენდა<sup>5</sup> საღმობაჲ იგი ბერისაჲ უფროჲს პირველისა<sup>6</sup> ვიდრემდის სულმოკლე [იქმნა იგი]. და<sup>7</sup> კუალად მეორესა ღამესა ეჩუენა მას კაცი იგი დიდებულის, რომელი პირველ ეხილვა, და რქუა მას:

— ზ კეთილო ბერო, [რამსათვის]<sup>8</sup> შრომასა შეიმთხუევ თავსა შენსა<sup>9</sup> წარსლად შენდა<sup>10</sup> სინად, არამედ<sup>11</sup> დამემორჩილე და ნუ წარხუალ<sup>12</sup> ამის ქუაბისაგან.

მაშინ მიუგო და რქუა მას ბერმან: მაუწყე მე, ვინ<sup>2</sup> ხარ შენ? ხოლო მან რქუა<sup>3</sup>: მე ვარ იოვანე ნათლის-მცემელი და ამისათვის გეტყვ შენ. რამათა არა წარხვდებ სხუასა აღგილსა. რამეთუ ესე ქუაბი, რომელსა

1. (159) მიუგო და ჰრქუა მას კაცი-მან მან დიდებულმან: ისმინე ჩემი, კეთილო ბერო, და ნუ წარხუალ სინად.

ხოლო მან არა შეიწყენარა სიტყუაჲ მისი, არამედ ჰრქუა მას: ვერ შესაძლებელ არს ჩემდა, თუმცა არა წარვედ სინად. მაშინ, ვითარცა ესმა ესე მისგან. დაუტევა და წარვიდა. და ვითარცა განთენა, კუალად უფროხსად განძნდა საღმობაჲ იგი ბერისაჲ უფროჲს პირველისა, ვიდრემდის სულმოკლე იქმნა იგი. და კუალად მეორესა ღამესა ეჩუენა მას კაცი იგი დიდებულის, რომელი პირველ ეხილვა; და ჰრქუა მას:

— ზ კეთილო ბერო, რამსა შრომასა შეიმთხუევ შენ წარსლად სინად, დამემორჩილე და ნუ ვიდრე ხუალ ამის ქუაბისაგან.

მაშინ მიუგო ბერმან და ჰრქუა მას: მაუწყე მე. ვინ უკუე ხარ შენ? მიუგო მას, რომელი იგი ეჩუენა მას და ჰრქუა: მე ვარ იოვანე ნათლის-მცემელი და ამისთვის გეტყვ შენ,

1 ჰრქუა C. 2 ხოლო მას] მაშინ C. 3 ბერისაგან] მისგან C. 4 განთენდა C. 5 ფრიად განთენდა] კუალად უფროხსად განძნდებოდა C. 6 უფროჲს პირველისა — C. 7 და] არამედ C. 8 რამათა C. 9 თავსა შენსა] შენ C. 10 შენდა — C. 11 არამედ — C. 12 წარხუალ] ვიდრე ხუალ C.

1 ~ ბერმან და ჰრქუა მას C. 2 + უე C. 3 ხოლო მან რქუა] მიუგო მას, რომელი-იგი

შინა შენ [ხარი] უფროს არს მთა-სა [სინასა]. [რამეთუ] ამას შინა უფალი ჩუენი იესუ ქრისტმ მრავალგზის შემოსრულ არს წმილითა ფერკითა მისითა [მოკითხვად და ნუგეშინის-ცემად ჩემდა. აწ უკუე აღმითქუ მე, რაათა დაემკვდრო ქუაბსა ამას შინა და მე განგკურნო შენ უძლურებისაგან შენისა<sup>6</sup>.

და ვითარცა ესმა ესე ბერსა, დაჭერებულ იქმნა გონებაჲ მისი და აღუთქუა მას, რაათა არღარა განეშოროს მის ქუაბისაგან და მუნთქუესეუ განიკურნა და დაემკვდრა ქუაბსა<sup>8</sup> მას შინა, ვიდრე დღემდე<sup>9</sup> განსლვისა მისისა ამიერ სოფლით, [რამეთუ ყო] ქუაბი იგი ეკლესია ქრისტსა და შეკრიბნა<sup>10</sup> მას შინა ძმანი მრავალნი და აღილსა მას უწოდების საფსათა.

2. [სხუაჲ] ბერი იყო ადგილსავე მას<sup>11</sup> საფსადას და ესე[ვითართა] სათნოებათა<sup>12</sup> მიიწია. ვიდრემდის ლომნი [მო]ვიდოდეს მისა<sup>13</sup> და შეიწყყნარებდა და ქელითა თვისითა სცემდა<sup>14</sup> საზრდელსა.

3. [145v] გვთხრობდა ჩუენ ამბა<sup>15</sup> ლეონტი, რომელი იყო მონასტრისაჲ<sup>16</sup> წმილისა<sup>17</sup> თე[ვ]დოსისი<sup>18</sup>, რამეთუ შემდგომად განსხმისა მწველებელთაჲსა<sup>19</sup> წა[რკედ] მე ახლისაგან ლავრისა<sup>20</sup> და დავემკვდრე მის თანა<sup>21</sup>, რომელი იგი... ომთა<sup>22</sup>.

და დღესა კვრიაყესა მოვედ ეკლესიად ზიარებლად წმიდასა [საიდუ]მლოსა და ვიხილე ანგელოზი უფლისაჲ, მდგომა-

რაათა არა წარხვდე სხუასა ადგილსა, რამეთუ ესე ქუაბი, რომელსა შინა ხარი შენ, უფროს არს მთასა სინასა, რამეთუ ამას შინა უფალი ჩუენი იესუ ქრისტმ მრავალგზის შემოსრულ არს წმილითა ფერკითა მისითა მოკითხვად და ნუგეშინის-ცემად ჩემდა. აწ უკუე აღმითქუ მე, რაათა დაემკვდრო ქუაბსა ამას შინა, და მე განგკურნო უძლურებისაგან შენისა.

და ვითარცა ესმა ესე ბერსა, დაჭერებულ იქმნა გონებაჲ მისი და აღუთქუა მას, რაათა არღარა განეშოროს მიერ ჟამითგან მის ადგილისაგან და მუნთქუესეუ განიკურნა და დაემკვდრა.

მუნ შინა, ვიდრე დღედ განსლვისა მისისა ამიერ სოფლით, რამეთუ ყო ქუაბი იგი ეკლესია ქრისტსა, და შეკრიბნა მას შინა ძმანი მრავალნი და აღილსა მას ეწოდების საფსათა.

2. სხუაჲ ბერი იყო ადგილსავე მას, რომელსა ეწოდების საფსადას, და ესეეითართა სათნოებათა მიიწია, ვიდრემდის ლომნი მოვიდოდეს მისა, და შეიწყყნარებდა და ქელითა თვისითა სცემდა მათ საზრდელსა.

3. გვთხრობდა ამბა ლეონტი, რომელი იყო მონასტრისაგან წმილისა თეოდოსისა, რამეთუ შემდგომად განსხმისა მწველებელთა მათ ახლისაგან ლავრისა, წარკედ და დავემკვდრე მას შინა.

და დღესა კვრიაყესა მოვედ ეკლესიად ზიარებლად წმილისა საიდუ[100]მლოსა და ვიხილე ანგელოზი უფლი-

ჩუენა და ჰრქუა C. 4 ~ ხარ შენ C. 5 შენ — C. 6 შენსა — C. 7 მის ქუაბისაგან] მიერ C. 8 ქუაბსა — C. 9 დღედ C. 10 ჰეიკრიბნა C. 11 + რომელსა ეწოდების C. 12 სათნოებათა C. 13 მისსა C. 14 + მათ C. 15 ჩუენ ამბა] მამა C. 16 მონასტრისა C. 17 წაის C. 18 თეოდოსისა C. 19 მწველებელთა მათ C. 20 ~ახლისა მისგან ლავრისა წარკედ C. 21 მის თანა] მას შინა 22 რომელა იგი... ომთა — C.

რე მარჭუენით] კერძო] საკურთხე-  
 ეელსა! და შემბიყრა მე [შიშმან] და  
 ძიწო ლამან [მიუთ]ნრობელმან. და რა-  
 ეამს წარვედ სენაკად ჩემდა<sup>2</sup>, [მოიწია]  
 ჩემ ზედა კმაჲ ანგელოზისა  
 მისგან და ვინაჲთგან [იკურთხა სა-  
 კურ]თხეველი ესე, დავიდგინე მე უფ-  
 ლისა<sup>3</sup> მიერ მცველად მას ზედა].

4. გვთხრობდა ჩუენ აბა ელია და  
 თქუა: ვჯედ ოდეს მე... [ქუა]ბ-  
 სა ერთსა მახლობელად სა-  
 ვურის მონასტრის ... ერთსა.  
 მეცხრესა ოდენ ეამსა დაჰრეკა კარ-  
 სა... და ვითარ ... .. დედაკაცი იყრ და  
 ვარქუ მას: რასა ეძიებ [აქი]... .. მე-  
 ცა ამით განგებითა ვცხოვნ-  
 [დები] ... ..სა მახლობელად  
 შენსა ვითარ უტევან [ერთ]... მისი და  
 თქუა: ვიქცეოდე და ... ..

ფრიად სიცხისა ამისგან და მო-  
 ვედ აქა ... .. მე  
 მცირედ წყალი.

ხოლო მე მოვართუ მას წყალი და...  
 წარვიდა და... შევედ მე ქუაბ-  
 სა... ..  
 რობაჲ... აღ... ძრა... მით დედაკაცისა...  
 მართ... დად... თავ... და ვითარ...  
 ვერ უძლე წინა [აღდგომ]ად გულის-  
 თქუმასა მას, მოვ...რთხი ჩემი და  
 გამოვედ ქუ... ამის... დეგ კუალსა მის  
 დედაკაცისასა და სიმძაფრითა სიცხი-  
 საჲთა დაიწუებოდა... ..  
 ... ტყუარებოდეს ... ..  
 ვილოდე წრაფით.

საჲ, მდგომარჲ მარჭუენით კერძო სა-  
 კურთხეველსა და შემბიყრა მე შიშ-  
 მან და ძიწო ლამან მიუთხრო-  
 ბელმან. და რაეამს წარვედ სენაკად  
 ჩემდა, მოიწია ჩემდა კმაჲ, ვი-  
 თარმედ: ვინაჲთგან იკურთხა სა-  
 კურთხეველი ესე, დავიდგინე მე  
 ღმრთისა მიერ მცველად მას  
 ზედა.

II დამ. 2. მითხრობდა ჩუენ  
 მამაჲ ელია კალიმონისა  
 მონასტრისაჲ, ვითარმედ:  
 ვჯედ დაყუდებით მახლო-  
 ბელად მონასტრისა ქუაბ-  
 სა შინა. და მეცხრესა ეამსა დაჰ-  
 რეკა ვინმე კარსა. და ვითარ გა-  
 მოვედ, ვბოვე დედაკაცი, და ვარქუ  
 მას: რასა ეძიებ აქა? და მრქუა მე:  
 შემინდევ, მამაო. რამეთუ მეცა ამი-  
 თვე გონებითა ვცხოვდები და  
 ვიყოფვი მცირესა ქუაბსა, მახ-  
 ლობელად შენსა, ვითარ უტევან  
 ერთ. და მიჩუენა ქუაბი მისი და  
 თქუა: ვიქცეოდე რაჲ უდაბნოსა ამას.  
 მომეწყურა მე ფრიად სიცხისა მის-  
 გან, არამედ ყავ სიყუარული და მა-  
 სუ მე მცირედ წყალი.

ხოლო მე მოვართუ წყალი და ვა-  
 სუ მას. და ვითარ შევედ ქუაბად  
 ჩემდა, ბრძოლა-მიყო მე ეშმაკ-  
 მან სულითა სიძვისაჲთა ძლიერად და  
 აღმძრვიდა გულის-თქუმითა დედაკა-  
 ცისა მის მიმართ. და ვითარ ვიძლიე  
 და ვერ უძლე წინააღდგომად გულის-  
 თქუმასა მას, გამოვედ და შეუდეგ  
 კუალსა მის დედაკაცისასა. და სიმ-  
 ძაფრითა სიცხისაჲთა დაიწუებოდა  
 ქუეყანაჲ, ვიდრემდის ქვანიცა ტყუ-  
 რებოდეს, რამეთუ იყო თუშ იგი აგ-  
 ესტოსი. და ვითარ ვილოდე სწრა-  
 ფით...

1 საკურთხევენელისა: C. 2 სენაკსა ჩემსა C. 3 ანგელოზისა მისგან და] ვითარმედ C.  
 4 ოწისა] ოწისა C.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 ე. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა)

Е. Э. ГРАНСТРЕМ

НЕИЗВЕСТНЫЙ ГРЕЧЕСКИЙ СБОРНИК БЕСЕД ВАСИЛИЯ  
ВЕЛИКОГО

Описываемый ниже сборник бесед Василия Великого хранится в настоящее время в фондах Института рукописей им. К. С. Кекелидзе АН Грузинской ССР, под шифром Gg. 48. Рукопись была передана в Институт в 1960 г. из библиотеки Г. Ф. Церетели, хранящейся в Институте истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН ГССР. Имеющиеся на рукописи экслибрисы и пометы (см. ниже) не дают никаких четких указаний на ее происхождение; лишь на л. 22 внизу находится помета Порфирия Успенского, относящаяся к 1860 г. и дающая возможность разъяснить судьбу рукописи на протяжении последних ста лет.

В 1883 г. императорской Публичной библиотекой в Петербурге была приобретена коллекция рукописей епископа Чигиринского Порфирия Успенского (1804—1885); для описания этой коллекции были приглашены виднейшие ученые тех лет: славяно-русские рукописи описал хранитель отдела рукописей библиотеки И. А. Бычков, греческие—профессор Петербургского университета эллинист В. К. Ернштедт, арабские — В. Д. Смирнов, сирийские и эфиопские — П. К. Коковцов<sup>1</sup>.

Описание всех рукописей Порфирия было напечатано в Отчете Публичной библиотеки за 1883 г., но сборник Василия Великого в этом описании не указан. Не удалось найти упоминания об этом кодексе и в каких-либо сочинениях самого Порфирия. Между тем, помета на л. 22 несомненно сделана рукой Порфирия, почерк которого хорошо известен по сделанным им заметкам на других рукописях из его коллекции.

Как же могла эта рукопись попасть в руки Г. Ф. Церетели? Наиболее вероятным мне представляется следующий путь.

Во время работы по описанию греческих рукописей Порфирия Успенского В. К. Ернштедт взял интересующий нас кодекс к себе домой для углубленного его изучения; напомним, что в то время многие брали рукописи на дом и это не рассматривалось как вопиющее нарушение правил пользования книжными или рукописными богатствами государственного хранилища. Рукопись оставалась у В. К. Ернштедта до его

<sup>1</sup> Подробнее о греческих рукописях собрания Порфирия Успенского см.: Е. Э. Гранстрем. Греческие рукописи Гос. публичной библиотеки им. М. Е. Салтыкова-Щедрина. В кн.: Труды Гос. публичной библиотеки им. М. Е. Салтыкова-Щедрина, т. II (V), Л., 1957, стр. 211—237; описание всего собрания см. Отчет Имп. Публичной библиотеки за 1883 год. СПб., 1885, стр. 9—189 и приложения. О В. К. Ернштедте см.: Victoris Jernstedt Opuscula. СПб., 1907, где на стр. IX—X помещен «Хронологический список трудов».

смерти в 1902 г., после чего, вместе с другими книгами из библиотеки покойного, перешла к его ближайшему ученику известному эллинисту и палеологу Г. Ф. Церетели (1870—1938). Как в средние века, так и в наше время, книги учителя нередко переходят к его ученикам.

После смерти Г. Ф. Церетели (1938 год) его книги и бумаги хранились опечатанными и неразобранными до начала 1960-ых годов.

\* \* \*

Рукопись Сг. 48 датируется серединой X века и относится к числу греческих рукописей итальянского происхождения<sup>2</sup>. Письмо чистый минускул, напоминающий письмо некоторых других рукописей, написанных в греческих монастырях Италии<sup>3</sup>. Кодекс состоит из 342 листов пергамента, причем листы 1—21 добавлены позднее, в начале XIII в., поэтому эти листы не входят в первоначальную нумерацию тетрадей, которая начинается с листа 22 тетрадью третьей. Всего в рукописи 42 тетради, из которых тетради 3—18 (тетради 1—2, как уже сказано, не сохранились), 20—28, 30—39 и 41—42 представляют собой кватернионы; тетрадь 29 состоит из 6 листов, а тетради 19 и 40 из 7 листов каждая. Лл. 340—341 являются обрывком последней тетради всего кодекса, а л. 342 оторван от переплета; где именно следует поместить этот лист — установить не удалось, ввиду того, что при описании рукописи в Таблице я не имела под рукой греческого текста творений Василия Великого.

Номера тетрадей проставлены в правом верхнем углу первого листа каждой тетради и заключены в небольшую рамку; подобную нумерацию можно видеть в двух рукописях — 927 г. и 970 г.<sup>4</sup>

На каждом листе — 37 строк; размер листов 21,3×15,0 см<sup>5</sup>. Тип разликовки: преобладает  $1_{1c}$ , но встречаются также типы  $1_{1c}$  и  $1_{1d}$ . В начале бесед имеются заставки и инициалы, рисованные красками (красная, синяя, желтая), золото не встречается; в конце большей части бесед в небольшой рамке также помещены их заглавия<sup>7</sup>.

Номера бесед рукой писца не были проставлены; имеющаяся в рукописи нумерация бесед помечена позднее, скорее всего, в XIII в., когда были добавлены начальные листы. Некоторые беседы получили двойную нумерацию.

<sup>2</sup> Происхождение рукописи определено господином А. Жакобом (Jacob A., Бельгия).

<sup>3</sup> См. напр., рукопись, хранящуюся в Научной Библиотеке им. А. М. Горького Московского Гос. Университета и описанную в статье З. Г. Самодуровой. Хроника Петра Александрийского. Византийский Временник, XVIII, Москва, 1961, стр. 150—197. О греческих рукописях, написанных в Италии см. R. Devreese. Les manuscrits grecs de l'Italie méridionale. Citta del Vaticano. Bibliotheca Apost. Vaticana. 1955 (Studi e testi, 183).

<sup>4</sup> См. K. and S. Lake. Dated Greek Minuscule manuscripts to the year 1200, вып. 1. Boston, Mass., 1934, табл. 3 и вып. X. Boston, Mass., 1939, табл. 711.

<sup>5</sup> Листы сильно покороблены, поэтому размер их указан не вполне точно; по этой же причине не был измерен текст.

<sup>6</sup> По указанному в предыдущей сноске изданию Lake.

<sup>7</sup> Подобные концовки см., напр., в рукописи творений Григория Богослова X в. по изданию: Collezione Fiorentina di facsimili paleografici greci e latini illustrati da G. Vitelli e G. Paoli. Firenze. 1884—1897, fasc. III tav. XXV (Laur. inv. Sopr. 177c, 167); см. также: Lake, Dated Greek MSS, вып. 1, табл. 30.

На многих листах кодекса встречаются пометы к тексту (ὀρθῶς, συμπέσει, краткие комментарии и т. п.).

Переплет рукописи—доски в тисненой коже, возможно, относящийся к XIII в. На корешке имеется наклейка XIX в. с номером 122 и надпись Vas (ilius). На обороте верхней крышки переплета три наклейки, все относящиеся к XIX в.: 1) Коб. № 1/3, № 32; 2) небольшой экслибрис, на котором изображен колос, а внизу помещен девиз: «Ut arundo»; 3) экслибрис с изображением шлема и лат, в середине — рука, согнутая в локте и держащая пальмовую ветвь; этот экслибрис — красный, с золотым рисунком<sup>8</sup>.

Содержание рукописи следующее:

Лл. 1—3 об. Πίναξ τὰς πέφυκε τῇ δὲ τῇ δόλτω. Πίναξ: этот повторен дважды, теми же двумя писцами, которые добавили лл. 1—21 взамен утраченных листов.

Л. 4 чистый, лишь несколько мелких неразборчивых помет.

Лл. 4 об.—5. Миниатюра XIII—XIV вв.<sup>9</sup> (в разворот двух листов) с надписью: Διδαχὴ τοῦ ἐν ἁγίοις πατρὸς ἡμῶν | Βασιλείου τοῦ Μεγάλου. На миниатюре изображен сидящий Василий Великий, который пишет, держа на коленях открытый кодекс. Позади него — храм, перед ним — столы. У ног святителя берет начало источник (очевидно, источник знания), откуда черпают воду кувшинчиками коленопреклоненные люди, расположенные двумя группами. За этими коленопреклоненными фигурами помещены другие две группы, из которых в первой, ближайшей к Василию Великому, помещено шесть женских и мужских фигур (не есть ли это изображения владельцев рукописи?), а во второй — толпа мужчин, одинаково одетых, в остроконечных шапках. Фон — синий, золота нет. Краски на миниатюре пострадали<sup>10</sup>.

Л. 5 об. чистый.

Лл. 6—12 об. Без номера беседы. Τοῦ ἐν ἁγίοις π(α)τρ(ῶ)ς ἡμῶν Βασιλείου ἀρχιεπισκόπου | Καισαρείας Καππαδοκίας ὁμιλία εἰς τὸν α' ψαλμ(όν). Текст см. J.-P. Migne. Patrologia Graeca<sup>11</sup>, t 29, Paris, 1857, col. 209<sub>A</sub>—228<sub>B</sub>.

Лл. 12 об.—21 об. Без номера беседы. Τοῦ ἐν ἁγίοις π(α)τρ(ῶ)ς ἡμῶν Βασιλείου ἀρχιεπισκόπου | Καισαρείας Καππαδοκίας ὁμιλία εἰς τ(ὸν) Ζ' ψαλμ(όν). Текст см. там же, t. 29, col. 228<sub>C</sub>; конец беседы, соответствует концу беседы на псалом 28-ой, см. там же, t. 29, col. 305<sub>B</sub>.

<sup>8</sup> Колос встречается в гербах следующих фамилий: Calvet. Fénerot de Chalanforge. Gevraise, Sailer (Bav.) Второй экслибрис мог принадлежать следующим фамилиям: Friedrich (Nürenberg), Pauli (Bav.), Villardi de Quinson de Montlaur (Dauphine, prov. Languedoc). Я весьма признательна библиотекарю Гос. Эрмитажа Г. А. Ивановой, которая по моей просьбе любезно разыскала эти сведения. В справочнике М. Ришара (M. Richard. Répertoire des bibliothèques et des catalogues de manuscrits grecs, 2-me éd. Paris. 1958) ни одна из перечисленных фамилий не указана.

<sup>9</sup> Миниатюра датирована сотрудником Института рукописей АН ГССР Е. М. Мачавариани.

<sup>10</sup> Любопытно отметить, что прием размещения одной миниатюры на разворот двух листов встречается в армянских рукописях из Васпуракана. См. Л. Д. Закарян. О двух группах рукописей с лицевыми миниатюрами из скрипториев Васпуракана. Автореферат, М., 1969, стр. 8.

<sup>11</sup> Далее: PG.

Лл. 20—25. Λόγος Γ'. Τοῦ αὐτοῦ εἰς τὸν ΙΑ' ψαλμὸν. Κ(όρι)ε, τίς παροικῆσει ἐν τῷ | σκηνώματι σου ἢ τίς κατασκηνώσει ἐν ὄρει ἀγ(ίω)σου. Текст см. там же, t. 29, col. 249<sub>D</sub>—264<sub>C</sub>, без последней фразы и заключительной формулы.

Лл. 25—30 об. Λόγος Δ'. Τοῦ αὐτοῦ εἰς μέρος τοῦ | ΙΔ' ψαλμοῦ καὶ κατὰ τοιαύτων. Текст см. там же, t. 29, col. 264<sub>C</sub>—280<sub>C</sub>.

Лл. 30 об.—39 об. Без номера. Τοῦ αὐτοῦ εἰς τὸν ΚΗ' | ψαλμὸν. Текст см. там же, t. 29, col. 280<sub>C</sub>—305<sub>B</sub>.

Лл. 39—45 об. Без номера. Εἰς τὸν ΚΘ' ψαλμὸν. | ψαλμὸς ὡδῆς τοῦ ἐγκαινισμοῦ | τῷ οἴκῳ Δα(οὶ)δ. Текст см. там же, t. 29, col. 305<sub>B</sub>—324<sub>A</sub>.

Лл. 45 об.—55. Λόγος Ζ'. Εἰς τὸν ΛΒ' ψαλμὸν. Текст см. там же, t. 29, col. 324<sub>A</sub>—349<sub>A</sub>.

Лл. 55—69. Номер беседы неясен. Εἰς τὸν ΛΓ' ψαλμὸν. | Τῷ Δα(οὶ)δ ὅπως ἠλλοίωσεν τὸ πρόσωπον αὐτοῦ ἐναντίον Ἀβ(ι)μέλεχ. | κ(αί) ἀπέλευσεν αὐτὸν κ(αί) ἀπῆλθεν. Текст см. там же, t. 29, col. 349<sub>B</sub>—385<sub>C</sub>.

Лл. 69—80. Номер беседы неясен. Εἰς τὸν ΜΔ' ψαλμὸν: | Εἰς τὸ τέλος ὑπὲρ τῶν ἀλλοιωθ(η)μένων τοῖς υἱοῖς Κορὲ | εἰς σύνεσιν ὡδῆ ὑπὲρ τοῦ | ἀγαπητοῦ. Текст см. там же, t. 29, col. 388<sub>A</sub>—413<sub>D</sub>.

Лл. 80—86 об. Λόγος Ι'. Εἰς τὸν ΜΕ' ψαλμὸν: | εἰς τὸ τέλος ὑπὲρ τῶν υἱῶν Κορὲ ὑπὲρ τῶν | κριθίων ψαλμὸς. Текст см. там же, t. 29, col. 416<sub>A</sub>—432<sub>A</sub>.

Лл. 86 об.—97 об. Λόγος ΙΑ'. Εἰς τὸν ΜΗ' ψαλμὸν: | εἰς τὸ τέλος τοῖς υἱοῖς | Κορὲ ψαλμὸς. Текст см. там же, t. 29, col. 432<sub>A</sub>—460<sub>A</sub>.

Лл. 97 об.—101. Λόγος ΙΒ'. Εἰς τὸν ΝΘ' ψαλμὸν. Текст см. там же, t. 29, col. 460<sub>A</sub>—469<sub>A</sub>.

Лл. 101 об.—106 об. Λόγος ΙΙ'. Εἰς τὸν ΞΑ' ψαλμὸν. Εἰς τὸ τέλος ὑπὲρ ἰδι(θ)οῦ ψαλμὸς τῷ | Δα(οὶ)δ. Текст см. там же, t. 29, col. 469<sub>B</sub>—484<sub>A</sub>.

Лл. 107—111 об. Λόγος ΙΔ'. Εἰς τὸν ΡΙΔ' ψαλμὸν. Текст см. там же, t. 29, col. 484<sub>A</sub>—493<sub>C</sub>.

Лл. 111 об.—116. Λόγος(ς) ΙΕ'. Εἰς τὸν ΡΙΕ' ψαλμὸν. Текст см. там же t. 30, col. 104<sub>B</sub>—116<sub>A</sub>.

Лл. 116 об.—122 об. Λόγος(ς) Ις'. Περὶ φθόνου. Текст см. там же, t. 31, col. 372<sub>B</sub>—386<sub>C</sub>.

Лл. 123—131. Λόγος ΙΖ'. Τοῦ αὐτοῦ περὶ εὐχαριστίας. Текст см. там же, t. 31, col. 217<sub>B</sub>—237<sub>A</sub>.

Лл. 131 об.—142. Λόγος(ς) ΙΗ'. Ἰουδ(ίου) ΛΑ'. Τοῦ αὐτοῦ εἰς τὴν μάρτυρα Ἰουλιτταν, καὶ εἰς | τὰ λειπόμιστα τῆς προ(λ)εχθείσης οὐμίας, περὶ εὐχαριστίας. Текст см. там же, t. 31, col. 237<sub>A</sub>—261<sub>A</sub>.

Лл. 142 об.—150. Λόγος(ς) ΙΘ'. Ἰκνουαρίω Γ'. Τοῦ αὐτοῦ εἰς Γόρδιον μάρτυρα. Текст см. там же, t. 31, col. 489<sub>B</sub>—508<sub>A</sub>.

Лл. 150—157 об. Без номера беседы. Τοῦ αὐτοῦ κατὰ | τῶν ὀργιζομέ(ν)ων. Текст см. там же, t. 31, col. 353<sub>A</sub>—372<sub>B</sub>; между листами 153 и 154 утрачен один лист.

Лл. 157 об.—167 об. ΚΑ'. Τοῦ αὐτοῦ προ(τ)ε(ρ)ική εἰς τὸ β(ί)πτισμα. Текст см. там же, t. 31, col. 424<sub>A</sub>—444<sub>C</sub>.

Лл. 167 об.—171. ΚΒ'. Τοῦ αὐτοῦ περὶ πίστεως. Текст см. там же, t. 31, col. 464<sub>B</sub>—472<sub>B</sub>.





Лл. 171—178. ΚΓ'. Τοῦ αὐτοῦ εἰς τοὺς | τσαρρίκοντα μάρτυρας. Текст см. там же, т. 31, col. 508<sub>B</sub>—525<sub>A</sub>.

Лл. 178 об.—189 об. ΚΔ'. Τοῦ αὐτοῦ πρὸς τοὺς πλουτοῦντας. Текст см. там же, т. 31, col. 277<sub>C</sub>—304<sub>C</sub>.

Лл. 189 об.—198. ΚΕ'. Τοῦ αὐτοῦ κατὰ μεθ' ὑπόντων. Текст см. там же, т. 31, col. 444<sub>C</sub>—464<sub>A</sub>.

Лл. 198—205 об. Κς'. Τοῦ αὐτοῦ εἰς τὸ κα|θελῶ μου τὰς ἀπο|θήκας. Текст см. там же, т. 31, col. 261<sub>A</sub>—277<sub>C</sub>.

Лл. 205 об.—210. ΚΖ'. Τοῦ αὐτοῦ εἰς τὴν ἀρχὴν | τοῦ κατὰ Ἰωάννην | εὐαγγε-  
λίου. Текст см. там же, т. 31, col. 472<sub>B</sub>—481<sub>C</sub>.

Лл. 210—226. Λόγος ΚΗ'. Εἰς τὴν ἀρχὴν τῶν | παρομιῶν. Текст см. там же, т. 31, col. 385<sub>C</sub>—424<sub>A</sub>.

Лл. 226—229 об. ΚΘ'. Τοῦ αὐτοῦ πρὸς τοὺς συκοφρανοῦντας ἡμᾶς ὅτι | τρεῖς  
θεοὺς λέγομεν. Текст см. там же, т. 31, col. 1488<sub>C</sub>—1496<sub>C</sub>.

Лл. 229 об.—239. Номера Λ' и ΙΖ'. Τοῦ αὐτοῦ πρὸς τοὺς | νέους ὄπως  
ἂν εἰ ἀλλη|γικῶν ὠφελοῖντο λό|γων. Текст см. там же, т. 31, col. 564<sub>C</sub>—589<sub>A</sub>.

Лл. 239—247 об. Λόγος ΛΑ'. Τοῦ αὐτοῦ ὁμιλία ῥη|θεισα ἐν Λακίκοις.  
Текст см. там же, т. 31, col. 1437<sub>C</sub>—1457<sub>B</sub>.

Лл. 248—258 об. Номера ΛΒ' и ΙΘ' (?). Τοῦ αὐτοῦ ἐν λιμῶ ῥη|θεισα καὶ  
αὐχμῶ. Текст см. там же, т. 31, col. 304<sub>D</sub>—328<sub>C</sub>.

Лл. 258 об.—266. ΛΓ'. Τοῦ αὐτοῦ κατὰ Σαβελ|λιανῶν καὶ Ἀρείου καὶ | τῶν  
ἀνομοίων. Текст см. там же, т. 31, col. 600<sub>B</sub>—617<sub>B</sub>.

Лл. 266—277 об. Λόγος ΛΔ'. Τοῦ αὐτοῦ περὶ τοῦ μὴ προσ|ηλωσθαι τοῖς  
βιωτικοῖς καὶ | περὶ τοῦ γενομένου | ἐμπουρισμοῦ ἐξωθεν | τῆς ἐκκλησίας. Текст см.  
там же, т. 31, col. 540<sub>B</sub>—564<sub>B</sub>.

Лл. 277 об.—284 об. ΛΕ'. Τοῦ αὐτοῦ περὶ τοῦ ἀγίου βασιλείου ἐπι|σκόπου Κωνσταντίας  
Κατὰ|παδοκίας λόγος περὶ | ταπεινοφροσύνης. Текст см. там же, т. 31, col.  
525<sub>A</sub>—540<sub>B</sub>.

Лл. 284 об.—294. ΚΓ' (номер стерт, неясен). Τοῦ αὐτοῦ εἰς τὸ πρὸς|εχε  
σελυτῶ. Текст см. там же, т. 31, col. 197<sub>C</sub>—217<sub>B</sub>.

Лл. 294—305. Λόγος ΛΖ' и ΚΔ'. Τοῦ αὐτοῦ ὅτι οὐκ ἐστιν | αἰτίως τῶν  
κτικῶν | ὁ θ(εὸς). Текст см. там же, т. 31, col. 329<sub>A</sub>—353<sub>A</sub>.

Лл. 305 об.—314 об. ΛΗ'. Τοῦ αὐτοῦ περὶ | νηστείας. Текст см. там же,  
т. 31, col. 164<sub>A</sub>—184<sub>C</sub>.

Лл. 314 об.—321 об. ΛΘ'. Τοῦ αὐτοῦ περὶ | νηστείας. Текст см. там же,  
т. 31, col. 185<sub>A</sub>—197<sub>C</sub>.

Лл. 321 об.—329 об. Λόγος Μ' и ΚΖ'. Τοῦ αὐτοῦ λόγος εἰς | τὴν Χ(ριστο)ῦ  
γένναν. Текст см. там же, т. 31, col. 1457<sub>C</sub>—1476<sub>A</sub>.

Лл. 330—336. Λόγος ΜΑ'. Τοῦ αὐτοῦ πρὸς παρ|θίνον ἐκπεσοῦσιν. Текст  
см. там же, т. 32, col. 369<sub>A</sub>—381<sub>B</sub>.

Лл. 336—339 об. Λόγος ΜΒ'. Τοῦ αὐτοῦ πρὸς μο|νάζοντα ἐκπε|σόντα.  
Текст см. там же, т. 32, col. 365<sub>A</sub>; на этих листах содержится только  
начало указанной беседы, затем несколько листов утрачено. На л. 339 об.  
находится конец беседы, определить которую не удалось: „Καὶ μετὰ πολ-  
ῆς τῆς παρερησίας τῶν ὀ(σα)τῶν ἐπιβήτη | ἀποκάνει τῆ; βασι|λειᾶς; ἥ; γένουτο  
12. „Βασιλῆ“, ἡδὲ καὶ τοῦ ἁγίου ἡμετέρου ἡμετέρου, 1971, № 1

πάντας ἡμᾶς ἐπιτυχεῖν | χάριτι καὶ φιλαν|θρώπια τοῦ κυρίου ἡμῶν Ἰ(ησοῦ)  
Χ(ριστοῦ)δ... ἀμήν“.

Лл. 340—341 об. Богослужбные тексты, плохо сохранившиеся и потому почти не поддающиеся прочтению. В начале помета μαρτίω ΚΕ' на основании которой можно предполагать, что на этих листах помещена служба на Благовещение.

Лл. 342—342 об. Іпс. „ἦσαν· ἀλλ' ὁμως ἐπειδὴ προθυμίαν | ἐπεδείξαντο“, des. „φιλάν(θρωπ)ως γὰρ ἐστὶν ὁ δεσπότης· καὶ | τῆς ἀγαθότητος αὐτοῦ τὸ δῶρον ἐστὶ. Определить этот фрагмент мне не удалось.

(Представил Институт рукописей  
им. К. С. Кекелидзе АН ГССР)

# ს ა ნ თ ქ ა ტ ი ე ბ ი

## ახალი წიგნები

გამომცემლობა „მეცნიერება“

**მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ ი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, I**

სარედაქციო კოლეგია: ც. აბულაძე, ალ. გამყრელიძე, ც. ქახაბრიშვილი (მდივანი), ე. მეტრეველი (მთავარი რედაქტორი), ც. ქურციკიძე, მ. შანიძე, ნ. შოშიაშვილი.

ტომის რედაქტორი ალ. გამყრელიძე.

მრავალთაგი წარმოადგენს კრებულს. რომელიც გამოსაცემად მოამზადეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ც. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებმა. კრებული ეძღვნება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფესორ ილია აბულაძის ხსოვნას. მასში იბეჭდება ილ. აბულაძის ხსოვნაადმი მიძღვნილი სტატია და მისი გამოქვეყნებული შრომების სია.

მრავალთაგის ამ ტომში აგრესივე ქვეყნდება გამოკვლევები, რომლებიც ეხება ძველი აღთქმის წიგნთა ძველქართული რედაქციების ფილოლოგიური კვლევის შედეგებს, ქართულ-ბიზანტიურ და ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობებს ქართული მრავალთაგის მიხედვით. ჩეროვიანი უკრადლება ეთობა პოეტურ მემკვიდრეობასაც — იბეჭდება სტატია, რომელიც ეხება ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულ საიათნოვას ქართულ ლექსებს. დაინტერესებული მკითხველი კრებულში ნახავს ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის გ. სათაგლიშვილის საარქივო ფონდის მიმოხილვას და სხვ.

„მრავალთაგის“ წინამდებარე I ტომი წარმოადგენს გაგრძელებას ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ აღრე გამოქვეყნებული კრებულებისა — „ხელნაწერთა ინსტიტუტის შოპანე“ (ტტ. I—V, 1959—1963), „ფილოლოგიური ძიებანი“ (ტ. I, 1964) და „სალოგრაფიული ძიებანი“ (ტტ.

I—II, 1965—1969). (198 გვ., ტირაჟი 1000, ფასი 3 მან. 85 კაპ.).

**უ ტ ხ ო უ რ ი წ ყ ა რ ო ე ბ ი ს ა ქ ა რ-თ კ ე ლ ო ს შ ე ს ა ხ ე ბ, წ ი გ ნ ი X X X I I I, ევლია ჩელეების „მოგზაურობის წიგნი“ (თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ), ნაკ. I, ქართული თარგმანი.**

მთავარი რედაქცია: ი. აბულაძე, ვლ. ფუთურიძე, ს. ყაუხჩიშვილი, გ. წერეთელი (მთ. რედაქტორი), ს. ჯიქია. თურქული წყაროების სერიის რედაქტორი სერგი ჯიქია.

წიგნი წარმოდგენილია XVII საუკუნის ცნობილი მოგზაურის ევლია ჩელეების ათოთმეტი თხზულების II ტომის ქართული თარგმანი.

„მოგზაურობის წიგნი“ ამ ნაწილში მოცემულია ამერკაეასის და, კერძოდ, საქართველოს შესახებ გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და პოლიტიკური ხასიათის უამრავი ცნობა, რაც ძვირფასი წყაროა ჩვენი ქვეყნის წარსულის შესასწავლად.

თხზულება იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ, მოგზაურის მიერ ნახაზი ქვეყნების აღწერის გარდა, ისტორიული მოვლენების შესახებ საინტერესო მსჯელობასა და დღემდე უცნობ ფაქტებს შეიცავს (448 გვ., ტირაჟი 1300, ფასი 2 მან. 59 კაპ.).

**ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III მეტაფრასული რედაქციები (XI—XIII სს.)**

დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ე. გაბიაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაჟიძემ, გ. კიკნაძემ და ც. ქურციკიძემ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით.

კრებული „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“ გამოდის 4 წიგნად. I წიგნში, რომელიც 1964 წელს გამოიცა, შევიდა უძველესი პერიოდის (V—X სს.) ორიგინალური ქართული ძეგლები, II წიგნში კი, რომელიც 1967 წელს გამოქვეყნდა, მოხდა მომდევნო (XI—XIV) საუკუნეთა ძეგლები. III წიგნი შეიცავს მეტაფრასულ რედაქციებს, ხოლო IV (გამოვიდა III-ზე ადრე, 1968 წ.) დაეთმო სვინაქსარულ რედაქციებს. ტექსტები მეცნიერულ-კრიტიკულად არის დადგენილი ყველა ხელმისაწვდომი ნუსხის მიხედვით.

წინამდებარე III წიგნში შესული მასალა წარმოადგენს ძვირფას წყაროს ქართული ენისა და ლიტერატურის განვითარების შესასწავლად (312 გვ., ტირაჟი 1000, ფასი 1 მან. 94 კაპ.).

**ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტომი II (ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები)**

სარგის ცაიშვილის ნაშრომის I ტომი, რომელიც გამოქვეყნდა 1970 წელს, თეორიული ხასიათისაა და ეხებოდა ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის ძირითად საკითხებს, ვეფხისტყაოსნის რედაქციებს. განხილული იყო რედაქციების ჩამოყალიბების თავისებურებანი და პოემის ტექსტის აღდგენის პრობლემები. წინამდებარე ტომში, პოემის რედაქციების კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების მიხედვით დალაგებული და მეცნიერულად აღწერილია ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები და ცალკეული ფრაგმენტები, რომელზედაც ავტორს ხელი მიუწვედებოდა (სულ 162 ხელნაწერი და 32 ფრაგმენტი); ამდენად აღნიშნულ ტომს, რომელშიც პირველად ერთად არის თავმოყრილი და აღწერილი პოემის ხელნაწერები, ერთგვარად საცნობარო ხასიათი ექნება და გარკვეულ სამსახურს გაუწევს ვეფხისტყაოსნის შესწავლით და ინტერესებულ პირებს.

ამავე ტომში იბეჭდება აგრეთვე ამავე საკითხებთან დაკავშირებული რამდენიმე გამოკვლევა და მოკლე საძიებლები (208 გვ., ტირაჟი 1000, ფასი 1 მან. 44 კაპ.).

**ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, დავით სოსლანის აკლდამის საიდუმლოება**

ეს წიგნი წარმოადგენს ისტორიულ-ფილოლოგიური და ეთნოგრაფიულ-ფილკლორული ხასიათის ნარკვევს. მასში განხილულია თამარ მეფის ქმრის დავით სოსლანის (1207) ბიოგრაფიული საკითხები (ღის იყო ჩამომავლობით, რა ვითარებაში გარდაიცვალა, სად არის დაკრძალული) და მის აკლდამად ნაუარაუდევი ეკვლარის (ანუ ნუზალის ეკლესიის) ისტორია.

1946 წელს არქეოლოგმა ე. პრელინამ სოფ. ნუზალში (არღონის ხეობა) აღმოაჩინა ქვის აკლდამა, რომელშიც ესვენა ახალგაზრდა, ვუკაცური აღნაგობის მამაკაცის ჩონჩხი, და გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს ჩონჩხი ეკუთვნის დავით სოსლანს. 1969 წელს ანთროპოლოგმა თ. შამუკაევმა გამოაქვეყნა წიგნი „ნუზალის ეკლდარის საიდუმლო“, რომელშიც მოცემულია ცდა დავით სოსლანის პორტრეტის აღდგენისა და განვითარებულა ე. პრელინას ჰიპოთეზა.

ავტორმა იმოგზაურა არღონის ხეობაში, შეისწავლა ნუზალის ეკლესიის მხატვრობა, წარწერები, ხეობის ისტორიული ძეგლები და ადგილები, სამეცნიერო ლიტერატურა და ამის შედეგად დაწერა წინამდებარე ნარკვევი.

წიგნი განკუთვნილია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის (118 გვ., ტირაჟი 2000, ფასი 60 კაპ.).

**ო. ბ ა ქ ა ნ ი ძ ე, ლესია უკრაინკა**

წიგნში მოცემულია უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსის ლესია უკრაინკას ცხოვრების, განსაკუთრებით გამახვილებულია უკრადლება საქართველოში. მის ყოფმასა და შემოქმედებით მოლაწევობაზე (103 გვ., ტირაჟი 1500, ფასი 56 კაპ.).